

644
1966/4

საქართველო ბანკი.



ბიბლიოთეკა



1966

6

ბიბლიოთეკა

6

ი 3 5 ი ს ი
1 9 6 6

ლიბრატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი



10.336
955.07

◆

მთავარი რედაქტორი სუბა გერულავა

სარედაქციო კოლეგია: აბაკი ბაჭრაძე, გურამ გვერდუჩიანი, მერაბ ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მბრეველი, გურამ შანჭიჭიძე (პ/მზ. მღივანი), ვიოლეტი ციციშვილი, ვახტანგ ველიძე, სერგი ვილიაძე, თამაზ ვილიაძე, ლაშა ჯანაშია.

◆



პახანს მოგანად

მოსაგონებლად იმ გმირულ დღეთა

ახლა, როდესაც მზის შუქი გვათოვს,
დგას გაზაფხულის ფერების სვავი,
ნუ გაიკვირვებთ, ვინახავ რატომ
ქალაქისაგან გამოჭრილ ყვავილს.

თუ გაიხსენებთ გარდასულ დღეთა
სიკვდილ-სიცოცხლის მრისხანე წამებს,
როცა გრიგალი ჩეხდა და ფლეთდა
და მზეს ამაოდ ებრძოდა ღამე, —

აღბათ ის წუთიც აღდგება თვალწინ,
აღდგება სისხლის და ტყვიის ღვარი,
როცა სანგარში ჭაბუკი კაცი
სჭრიდა უსიტყვოდ ქალაქის ყვავილს.

ამ ყვავილს მისი გულისთქმა ენდო,
უკანასკნელი მხურვალე ლოცვა,
შინ გაეგზავნა, უნდოდა მეტრძოლს,
რომ მიელოცა მაისის მოსვლა.

მაგრამ მტრისაგან ნასროლმა ტყვიამ
მკერდი გაუბო უეცრად ვაჟკაცს...
ერთი მიაპყრო თვალეზი ღია
და თვალთა ფერი გადასცა ლაჭვარდს.

მე წამოვიღე ყვავილი იგი
მოსაგონებლად იმ გმირულ დღეთა
და იმის შემდეგ თრთოლვით და რიდით
მზეს და გაზაფხულს ჩვენ ვხვდებით ერთად.

გგონია, ქვისგან გამოკვეთილი
ქანდაკებაა და ტკბები ხილვით,
შორს შუა ზღვაში გასულ გემივით
გამოკრთის იმის თვალთაგან სხივი.

მითხრეს, უყვარსო ღვინოც და ყანწიც,
რომ არ გინდოდეს გამღერებს ძალით,
ოთხმოცდაექვსის გამხდარა კაცი
და ჯერ არავის უნახავს მთვრალი.

უქებენ შვილს და ახარებს ქება,
სურს აღტაცება დამალოს მამამ.
— რა ამბავია! — მოხუცი წყრება
და მეტს მოითხოვს სოფელზე ამავს.

და თან დაატანს: — ორას წელს გაეძღებ,
ამ საუკუნეს დავტოვებ უკან,
ოღონდაც, შვილო, ცხოვრების გზაზე
ნუ დამანახვებ ნაარმალ ლუკმას.

მერე დასძახებს, ო, ისე ლაღად,
თითქოს სურს გულის გიჩვენოს სიღრმე,
გგონია, ყველა მდინარის ტალღა
მისი ხმებიდან სათავეს იღებს.

მწვერვალზე

აქ ფრთები ლაღმა არწივმა მოგვცა,
თერგმა ტალღების ჩაგვიდგა ღონე,
კაიშაურზე ავმალღდით როცა,
გაირღვა უცებ ნისლეების ყორე,
მზეს შემოვხვით ორივე ხელი, —
გადაიშალა სამშობლო ვრცელი.

რეკდა და რეკდა სიცოცხლის ზარი,
დიდი ყაზბეგის გული გალობდა,
ვეფხთა ბილიკებს მივდევი მგზავრი,
ცად ვმალღდებოდი და მიხაროდა,
რომ ღრუბლებს ზევით მნათობებს შევხვდი
და... მაინც მედგა მიწაზე ვეხი.

გახსენება ქამის ხეობაში

ტოტებს დაისის ეხვევა ფთილა
უკანასკნელი მზის ბრწყინვალეებით
და მელანდება მესხეთის დილა,
თუ შორს წასული სატრფოს თვალები.

ცა ერთიანად დაემხო ქედებს,
თითქოს ღრუბლების ფარაც შეჩერდა...
და ვარსკვლავეთში იმ თვალებს ვეძებ,
მე რომ მინახავს ზარზმის სვეტებთან.

კ ი ბ ე ზ ე

ჩამოვდიოდი კიბეზე გუშინ,
არ დაგიმალავ, ძვირფასო, გეტყვი;
ქვის საფეხურებს ვითვლიდი გულში
და თან ვამბობდი: — ლუწი თუ კენტი.

ნაბიჯს რომ ვდგამდი, ასე მეგონა,
შენ ჩაირბინე ეს კიბე უწინ,
დაბლა მელოდი თითქოს მეგობარს
და შენც ფიქრობდი: — კენტი თუ ლუწი.

ჩავათავე და შევჩერდი ლუწზე,
ვთქვი:—კვლავ იწყება დარდი, წვალება...
მაგრამ გაბრწყინდი მალლიდან უცებ
და შეგვეართა შენმა თვალებმა.


ხ ა ლ ხ შ რ კ ი ლ ო ზ ე

არა, ვერ გეტყვი, ვერ გაგიმხელ ალბათ ნაფიქრალს,
როცა მინდოდა გულის გახსნა, სიტყვა გამიქრა,
სად გაგაჩერო, სად შემოგხვდე, შენ ხომ ქარი ხარ,
თუ სიყვარული გაგიბედე, ნუ გეწყინება!

სადაც გაივლი, წინ ვარდივით გადავიშლები,
შენს განვლილ გზაზე დარჩენილი მტვერი ვიქნები.
ჩამოისვენებ? იქვე ხეზე თუ დავფრინდები,
შენზე ვიმღერებ და, ძვირფასო, ნუ გეწყინება!

როცა ბინაზე დაბრუნდები სახემზიანი,
როცა მისწყდება შენი კაბის ჩუმი შრიალი,
შენს ფანჯარასთან გაეჩერდები მკერდნატყვიარი,
თუ ვარდონანას დავიკვნესებ, ნუ გეწყინება!

როდესაც მიწა მთვარის შუქით შეიმოსება,
ჩამოიშლება როცა ნისლი მთებზე დროშებად,
გარეთ კიბესთან დავიძინებ მე შენს ქოშებთან,
თუ შენი სახე დამესიზმრა, ნუ გეწყინება!



ვესტანი ჯეჰეხეძე

ხ ი ლ ი

რაც გამაჩნია, ყველაფერს ვყიდი:
უნდა ავაგო პატარა ხიდი.
ხიდზე გაივლის დაღლილი კაცი
და შეამოკლებს დროსა და მანძილს.

გაღმა ცხოვრობს თუ გამოღმა ცხოვრობს,
პატარა ხიდზე გაივლის ბოლოს.
და თუ სხვა გზით და ბილიკით მიდის,
უნდა მონახოს მეორე ხიდი...

რაც გამაჩნია, ყველაფერს ვყიდი:
უნდა ავაგო პატარა ხიდი;
არა სახლი და სასახლე დიდი,
არამედ — ერთი პატარა ხიდი.

თვალეში როგორ შევხედო სიკვდილს,
თუ არ ავაგე პატარა ხიდი?!

მშვიდად თენდევა...


ვერ გაასწორებ წარსულს ლექსივით,
ვერ მოამზადებ ახალ ვარიანტს,
ღრომ გაანადდა ბევრი ვექსილი,
მევალები მაინც არიან.

ისინი წარსულს ედავებიან,
ისინი ღია კარებს ამტვრევენ,
ხალისიან და ნეტარებიან
ღლეთა სიმცირეს გრძნობენ აღრევე;

სულში უწყვიათ მძიმე ლოდები,
რომლებსაც ჟამი ძალით მიათრევს,
თანაც ვერასგზით ვერ უტოლდება
მათი სიმართლე სხვათა სიმართლეს.
მშვიდად თენდება დილა ყოველი,
მზეა დღისით და მთვარეა ღამით,
მაგრამ უკეთეს დღეებს მოელის
გული
და არა უკეთეს ამინდს.

ერთმანეთს უნდა ვენდოთ...

მე წავიკითხე მკვდარი მეგობრის
ძველი დღიური და შემეშინდა...
ჩვენ ხშირად მხოლოდ თვალებს ვენდობით.
ხშირად ვერთობით სიტყვის ეშხითაც.
დღისით ყველანი ნიღბებს ვატარებთ,
ერთიმეორეს ვედიდგულებით
და უმიზეზოდ ვკიცხავთ პატარებს
ყალბი სიმკაცრით შენიღბულები.
ზოგჯერ ერთმანეთს დავეკარგებით,
ზოგჯერ ერთმანეთს ავუხირდებით,
მაგრამ ჩვენა ვართ უფრო კარგები,
მაგრამ ჩვენა ვართ უფრო დიდები.
ჩვენ გრძნობებს აღარ უნდა ვმაღავდეთ,
რადგან გრძნობებსაც უყვართ სიცხადე,
ერთმანეთს უნდა ვენდოთ მანამდე,
სანამ დღიურებს წავიკითხავდეთ.
ისე უბრალოდ უნდა ვცხოვრობდეთ,
როგორც ხეები დგანან ქუჩებში,
გულახდილები ვიყოთ ბოლომდე,
არ დაუჟარგოთ ნუგეშს ნუგეში.
და ვიდრე სულის ძალა გვეყოფა,
არ დავეკარგოთ ცოცხლებს ცოცხლები,
ძველს გავუფრთხილდეთ —
ახალ მეგობრებს
ჩვენ აღბათ უკვე ვეღარ მოვძებნით...



სიყვარული და გონიერება

რომანი

...წითელ კუთხეში ვისხედით. ცნობისმოყვარე თვალები ყოველი მხრიდან შემომცქეროდნენ. ტექნიკისუბნის შემსწავლელი წრის გამოსაშვები საღამო იყო. გამოცდას კასრადე იბარებდა. დათა კომისიის თავმჯდომარე იყო, მაგრამ შეკითხვებს „გეთაყვა“ იძლეოდა.

— გეთაყვა, აბა სატელიტების თაობაზე რას გვეტყვი? — შემეკითხა.

ვუპასუხე.

— ახლა დიფერენციალის ჯვარედის თერმოდამუშავება მოიგონეთ!

სწრაფად მოვიგონე.

— რა ტემპერატურაზე ხდება საბარგო ავტომობილის სატელიტის ცემენტაცია ჩვენში?

აქაც არ დავბნეულვარ.

— ყოჩაღ! — თქვა „გეთაყვა“ და მაგრად ჩამომართვა ხელი.

...ლოგინში ვიწექი, ვიგონებდი ჩემს მიერ გაცემულ პასუხებს და ჟრუანტელი მივლიდა.

გვერდით ოთახიდან დედის ხმამალალი ლაპარაკი მომესმა. დედის ხმას მამის ხმა მოჰყვა. საწოლიდან წამოვდე-

ქი, ფეხშიშველამ გავიბრბინე ოთახი და კარი გამოვალე. მამამ გამომხედა. მე მიყვარდა მისი ამგვარი გამოხედვა: თითქოს დამცინავი და იმავე დროს წამახალისებელი, სიყვარულით წარტყმული წკიპურტის მაგვარი.

— იქნებ შენ მაინც გააგებინო რამე, ჩემს სიტყვას აღარაფრად აგდებს, თითქოს მტერი ვიყო, — შემომჩივლა დედამ.

— რა მოხდა?

მამამ გაიცინა:

— აღრიანად უნდა ჩამომწეროს, ჯერ კი ისევ მემორჩილება ჩანი.

— გულის შეტევა ჰქონდა, მთელი დამე არ ეძინა, — მითხრა დედამ.

— აბა რას ამბობ, საყვარელო, ღმერთმანი, ჩიტვიტო ვგრძნობ თავს.

— ფეხს არ მოიცვლი შინიდან!

— მართლა, დაგესვენა, მამა, — ისე, სხვათა შორის, ვთქვი.

— არ შეიძლება, — მიპასუხა მან და ხელები გაშალა.

მამა მაღალი და გამხდარი იყო. ხელებს რომ შლიდა, დონ-კიხოტს ემსგავსებოდა. ამას ზოგჯერ განგებ აკეთებდა: იუმორის გრძნობა ჰქონდა და საკუთარ თავშიც ეძებდა დასაცინს. ადამიან-

დასასრული. დასაწყისი იხილეთ „ცისკარი“, № 5.

ნებსა და საუნებში სასაცილოს ყველაზე ადრე ამჩნევდა, მაგრამ ხმამაღლა იზვიათად იტყოდა.

— ცამეტი წლის ბიჭი მიწვეს, ფილტვების ანთება აქვს, — თქვა მამამ და ხელჯობი აიღო.

დედამ ხელები გაასავსავა:

— ღმერთო ჩემო, წუხელ ბეწვზე გადაჩა სიკვდილს!

მამაჩემის ავადმყოფობას შეჩვეული ვიყავი და დედის ჩივილს ყურადღება არ მივაქციე. სახელდახელოდ ვისაუბრე და კიბეზე დავეშვი. მერაბი ეზოში მიცდიდა. ჯერ ადრე იყო და ქუჩაში მეგზოვის მეტი არავინ ჩანდა.

ჭრელკაბიანი ქალი ვეება ცოცხს ცელივით იქნევდა. გადადგამდა ფეხს და მოიქნევდა, კიდევ გადადგამდა და ისევ მოიქნევდა. კარგად არ იყო ქუჩა მორწყული, პაერში მტვრის კორიანტელი ტრიალებდა. ტროტუარის გასწვრივ ბელურები დახტოდნენ. თაფლისფერი ძაღლი შუა ქუჩაში გაშხლართულიყო და ნებივრობდა. მოსახვევიდან მემაწვნი გამოვიდა. ვირზე გადაკიდებულ პატრონტამისმაგვარ ხურჯინში თიხის მოგრძო ქილები მასრებივით ეწყო. ფეხებს ისე რბილად ადგამდა, თითქოს ხალიჩაზე მიდისო.

მოედანი გადავჭერით და ქარხნისკენ დავეშვიო...

ძია ვასო დაზვასთან ფუსფუსებდა. ჭემალი და გურამიც მოსულიყვნენ. ყოველთვის ადრე ვიყრიდით თავს, მუშაობის დაწყებამდე ოცი წუთით ადრე. ძია ვასოს ჩვეულება მთელ ბრიგადას გადაედო. იტყოდა ხოლმე — კარგად მომზადებული სამუშაო დღე ორ დღეს უდრისო.

— გავიგე, წუხელ გივაჟაკიათ, — თქვა ძია ვასომ და მოგვაჩერდა.

— გამოცდა ჩავაბარეთ, — უპასუხა მერაბმა.

ნამზადი მოვიმარაგე და საკუჭნაოდან საჭრისები მოვიტანე. შუაღღემდე თავაუღებლად ვიმუშავეთ. მერე ერთიმეორის მიყოლებით გავჩერდით, რადგან ნამზადის მარაგი შემოგველია. ძია

ვასო სასხმელ საამქროში გავიდა. სერი რის საყურებლად სხვებიც ვაპყვნენ. ნამდვილი ჩხუბი გაიმართა: ხარტები მსხმელებს ადანაშაულებდნენ, ტემპში ვერ მოგვდევთო, მსხმელები თავს იმართლებდნენ, გეგმას ორმაგად ვასრულებთ და მეტი რაღა გქნათო.

— მეორე ღუმელიც რომ ვარგოდეს, კიდევ პო, ეს ისე თქვა ნიკო ტუხაშვილი, თითქოს თავს დამნაშავედ გრძობსო. ძია ნიკო სასხმელი საამქროს უფროსი იყო. თავისი საქმის დიდ მცოდნედ ითვლებოდა.

— იდექი ახლა ასე, და ბუხები ყლაპე, — თქვა გურამმა.

— შენ რა გენაღვლება, — უთხრა ჩარექიშვილმა გურამს, — ცოლ-შვილი გაწუხებს თუ რა, თანაც დღევანდელი ნორმა უკვე შეასრულე. მე მანეთის საქმეც არ გამიყვებია... შინ რას წაივლებ?

— რას წაივლებ და ღვთის ცეცხლს, — გაჯავრდა ძია ვასო.

— გამოზოგვა უნდა, — თქვა ჩარექიშვილმა, — ასე მხოლოდ შტერი აკეთებს, სამხრობამდე მოინელებს ხოლმე დღის საგზალს.

— იქნებ შეგვეკეთებია, გარედან თითქოს არა უშავს რა, — მერაბმა ღუმელს გახედა.

ღირექტორი მოსულიყო და ძია ვასოს უკან იდგა. ძია ვასო შეტრიალდა:

— ეს საქმეა?!

— რა?

— რა და, როდის შეაკეთებ ბოვს?

— სახსრები არაა.

— ამას რა სახსრები უნდა! გარსაცმია დამწვარი, შეცვლაა საჭირო. ვენტილატორიც შესაკეთებელია! — გაცხარდა ძია ვასო.

— ვენტილატორს ჩვენ შევაკეთებთ, — თავი გამოიღო გურამმა.

— ეგ ნალი, მაგრამ ვირი? — გაიღრიჭა ქიტესა.

— ნალი იყოს, თორემ ვირი მოიძებნება, — თქვა ჩარექიშვილმა.

— გარსაცმს ჩვენ შევცვლით, — მიუბრუნდა ამბროსის ძია ვასო.

— აკი ვთქვი, მოიძებნება-მეთქი, —

თავზე ხელი გადაისვა ჩარეჟივილიმა.

ძია ვასო ბოვისკენ წავიდა. ვიდექით და შევცქეროდით, როგორ ადიოდა რკინის კიბეზე. საკერძე ხილზე რომ გავიდა, ხელით მისწვდა გარსაცმის დამწვარ ადგილს და ექვსმილიმეტრიან რკინის ფურცელს ხელისგულისტოლა ნაჭერი მჭადივით ჩამოატეხა. მერე კიდევ ჩამოატეხა. თიხის ფენაც ჩამოფშენა და ამონავი გამოაჩინა.

მერე ხილზე გადმოდგა და იქიდან გადმოგვძახა:

— აგურიც დამწვარა, სანთელივითაა ჩაღვენთილი! ძალაყინი უნდა იყოს მანდ!

აქლემამ ჯართიდან გამოაძვრინა რკინის მოკლე კეტი და მიაწოდა. წვეტიანი ძალაყინი ძია ვასომ გარსაცმს შიგნიდან შეუყარა და ასწია. მეტად ფრთხილად მუშაობდა.

— გამოსულელდა კაცი, — თქვა ჩარეჟივილიმა.

— მამაჩემი კალატოზია, მეც ვიცი აგურის წყობა, — ჩაილაპარაკა აქლემამ. უნდობლად გადახედეს. ისევ დუმდნენ. დუმდნენ და ძია ვასოს შესცქეროდნენ.

— აგურის დაწყობა ძნელი საქმე არაა, — უთხრა ქიტესამ, — ოღონდ თვალი უნდა გიჭრიდეს. მთავარია, კედელი არ გაამრუდო.

— შეველსა და თარაზოს ხმარობენ, — თქვა აქლემამ.

აქლემას თავის გამოჩენა არ უყვარდა; მიკვირდა, ასე რომ ატარტარებდა ენას.

— აგური შემოზიდეთ! აგერ იქ დააწყვეთ! — დაიძახა ძია ვასომ.

არავინ განძრეულა. იდგნენ და შესცქეროდნენ.

— ფურცლოვანი რკინა საწყობშია, სულ რამდენიმე ფურცელია გამოსაცვლელი, — ისევ დაიძახა ძია ვასომ.

— ჩქარა, თორემ ეს დამთხვეული აქაურობას დაღეწავს, — ჩაილაპარაკა ტუნაშვილიმა. პიჯაკი გაიხადა და იქვე მიავლო. სხვებიც დაფაცურდნენ. ვინ რას აკეთებდა, ვინ — რას. მარტო ჩარეჟივი-

ვილი იდგა მოშორებით და ჩიბუხს აბოლებდა. მერე ისიც წამოდგა და ცეცხლგამძლე აგურის შემოზიდვას გვეხმარებოდა.

მე, მერაბი და ცოტნე სამუშაო დღეს სხვებზე ადრე ვამთავრებდით, მაგრამ ახლა შინ რა წაგვიყვანდა! საგანგებოდ დაგებულ ფიცრებზე რახრახით მოვავრიალებდით ცალთვლიან ურიკებს. ბორბალს ზედ შუაზე თუ არ გაატარებდი, ფიცარი აყირავდებოდა. მერე სავსე ურიკის ფიცარზე ამოთრევა ხათაბალა იყო: მოგადგებოდა სხვა ურიკა და იწყებოდა ერთი აყალ-მაყალი და ყაყანი.

ძალიან ვფრთხილობდი, მაგრამ მაინც გადამივორდა ურიკა-ცოტნე წამომეწია, დამკიჟინა, სახელურზე ხელი ამიკრა და მომიპირქვევა. აგური მიწაზე დაცვივდა. კარგა ხანს დამავიანდა, სანამ ხელახლა დავტვირთავდი და ურიკას ფიცარზე შევავაგორებდი.

ბოვთან რომ მივედი, გაკვირებული გავჩერდი: საამქროს კართან პატარა სოსო იდგა. ფერ-ფური გადასდიოდა, ქლოშინებდა, თან თვალებს ფეთიანივით აქეთ-იქით აცეცებდა. მერაბი, დათა, აქლემა, ამბროსი და კიდევ სამი-ოთხი მუშა ბიჭს გარს შემოხვევოდნენ. საკვირველი უფრო ის იყო, რომ ძია ვასოს საშუშაო მიეტოვებინა, ბოვიდან ჩამოსულიყო და ისიც სოსოს მისჩერებოდა. პირველად სწორედ ძია ვასომ მომხედა, მერე სხვებმაც მომხედეს. თუმცა გარკვეული არაფერი მიფიქრია, — საშინელმა წინათგარძნობამ გამაშეშა.

დათა მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამაღო და მითხრა:

— ეშმაკს დამსგავსებინარ, პირი მაინც დაგებანა, — თითქოს სხვათა შორის თქვა, ხმა კი უთრთოდა, უცნაურად გამოიყურებოდა, — წამო, პირი დაიბანე! — წელზე ხელი მომხვია და ონკანი-სკენ წამიყვანა. ანგარიშმიუცემლად გაცვივი. ფიცრის თაროდან საპონი ავიღე და გადაჭარბებული სიბეჯითით დავიბანე ხელ-პირი. გული გამალებით მიძგერდა, ვთრთოდნი: ხალათში ხელი ძლივს გავუყარე, თმა გადავივარცხნე. ამას რომ

მოგრი და ნახევარწრედ ჩამწკრივებულ
ადამიანების წინ ვაჭერდი, ისეთი
შიში ვიგრძენი, კინალამ ვიყვირე.

ძია ვასო მომიახლოვდა და დაყვავე-
ბით მითხრა:

— მამაშენი გამხდარა ცუდად, ბიჭმა
მოიტანა ამბავი.

ქეთინი წაშკადა.

— მე კი ვაქცატი მეგონე! — მერე შე-
მეკითხა, — აღრეც ავადმყოფობდა?

თავი დაუქნინე.

— ჰოდა, არაფერია, ჩვეულებრივი
შეტევაა ალბათ.

— წავიდეთ, — გამახსენა მერაბმა.
მერაბთან აქლემაც იღვა. სოსო აქლემას
ზურგს ამოფარებოდა.

— ტრამვაის ფული გაქვს? აჰა,
აიღე! — ჩარქეიშვილმა ხელში ვერცხ-
ლის ათშაურაიანი ჩამიღო.

— მოიცა, მეც მოვდივარ, — თქვა და-
თამ.

სიკვდილი რომ გარდაუვალა, ამაზე
ადამიანები არ ფიქრობენ. თუმცა კარ-
გიცაა, რომ არ ფიქრობენ, ადამიანი იმ-
ედით ცხოვრობს.

მამის სიკვდილი გულშიც არ გამივი-
ლია. როგორ წარმოვიდგენდი თუ მამა
მოკვდებოდა; რომ ვთქვა, ძალიან მიყ-
ვარდა-მეთქი, ალბათ ვინმე დამცინებს,
იტყვის, ვის ეჯავრება მამაო. დაიღუბა
მამა და მისი სიკვდილი მაინც არ მჯე-
როდა. თავისი დღე და მოსწრება სხვის
სიცოცხლეზე ზრუნავდა, სხვებს იხსნი-
და ხოლმე სიკვდილის კლანჭებისგან და
საკუთარ თავს კი ვერ უშვებდა. თვითონ
გულის შეტევა ტანჯავდა და სხვის გულს
კი მკურნალობდა, თვითონ სიცხე ჰქო-
ნდა და სხვას კი უწერდა სიცხის დასაგ-
დებ წამალს. სხვას ურჩევდა ლოგინში
წოლას, გამოუშუშებას, დასვენებას, თვი-
თონ კი ერთი დღეც არ დაუსვენია. ყვე-
ლაზე უკეთ თვითონ იცოდა თავისი ავა-
დმყოფობის საშინელება და მაინც იცი-
ნოდა, ოხუნჯობდა. არასოდეს არ გადაგ-
დებდა თავის მწუხარებას, ვარაშს, ნალ-
ველს...

ჩვენ, ახალგაზრდებს, სანამ მშობლე-
ბის ფრთებს ვეფარებით, ცხოვრებისა
არაფერი გავგეგება და ჩვენს მდგომარე-
ობა უცვლელი გვგონია.

მამა იმდენს მუშაობდა, შინაურსაც
და გარეულსაც ყველას ეგონა, მოზრდი-
ლი თანხა ექნება შავი დღისათვის შემო-
ნახულიო. მე ამაზე არასოდეს მიფიქ-
რია, მაგრამ ვერც წარმოვიდგენდი, მა-
შინვე ფულის შოვნაზე თუ მომიხდებო-
და ზრუნვა. კამოდის უჯრები გადავატ-
რიალე და ხუთას მანეთზე მეტი ვერ
ვნახე. ეს იყო მამაჩემის უკანასკნელი
ჯამაგირი.

— მას ფული არასოდეს ჰქონდა, —
მითხრა დედამ. ფერწასული იყო, ბევრს
ტიროდა.

მოდრიოდნენ და მოდრიოდნენ ნათესა-
ვები, ნაცნობები, მეზობლები. ყველა
მომსვლელს დედა ტირილით ეგებებო-
და. უცებ გაჩუმდებოდა და გარინდებ-
ული, თვალეგამტერებული იჯდა. მე-
რე მოულოდნელად ალაპარაკდებოდა.
ჩუმი ხმით, სვენებ-სვენებით და ოდნავ
გაგრძელებული კილოთი ჰყვებოდა მა-
მის ამბავს, თითქოს სიზმარს იგონებდეს.
მოსულები თვალეგზე ცხვირსახოცებს
იფარებდნენ და ვიწვიშებდნენ.

— რა კაცი დაიკარგა! — თქვა ვილა-
ცამ.

— ღმერთო, დაიქცეს შენი სამართა-
ლი!

— სიკვდილი მხოლოდ კარგებს არ-
ჩევს!

დილით მე და აქლემამ ვიანგარიშეთ:
დასაფლავებისთვის სულ ცოტა ათასი
მანეთი იყო საჭირო.

დასაფლავების წინა დღეს ჩარქეიშვი-
ლი სხვებზე ადრე მოვიდა, ცალკე გამი-
ხმო და ქაღალდის ფულის დასტა ჩამი-
ღო ჯიბეში.

— აქ ორმოცი მანეთია, — მითხრა ჩა-
რქეიშვილმა, — ასეთ დროს ბევრი ფუ-
ლია საჭირო. ეს ჩემგან გქონდეს.

ცრემლი მომერია.

დათამ ვაზეთი მოიტანა. ვაზეთში მა-
მაჩემის შავარშიამოვლებული სურათი

და ნეკროლოგი იყო მოთავსებული. გულისფანცქალით გადავიკითხე ნეკროლოგი.

მადლიერი თვალით შევხედე დათას.

ძია ვასომ და დათამ დაწერეს გუშინ დილითო, — მიჩურჩულა აქლემამ.

— შენ ნურაფერზე იღარდებ, — მითხრა დათამ, — ყველაფერი მოგვარებულია.

— ჩარექიშვილმა ორმოცი მანეთი მომცა, ეს ჩემგან გქონდესო, — ვუთხარი მე.

— არ უნდა გამოგერთმია. ქარხანაში ფული ვახტანგმა შეაგროვა, მაგან უარი თქვა.

— იქნებ ჯიბეზე არა ჰქონდა?

— მუშისა არაფერი სცხია, — ხელი ჩაიჭინა დათამ...

საშინელი განცდა ეუფლება ადამიანს, როცა საყვარელი ადამიანის დაკრძალვის შემდეგ სასაფლაოდან ბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახლი სოფლებიდან ჩამოსული ნათესავებით იყო სავსე, მარტოობის საშინელება მაინც დამაწვა გულზე.

ახლობლები ფუსფუსებდნენ: ჯამ-ჭურჭელს წმენდდნენ, ქვაბებს ხეხავდნენ, ბინას ალაგებდნენ. სხვები სასტუმრო ოთახის ცარიელ კედლებთან ჩამწკრივებულ სკამებზე ისხდნენ და ვიწვივებდნენ. მათი შეხედვა მზარავდა. სიბრაღეულით გამოყოლებული მზერა და უკან დადევნებული სიტყვები ეკლებივით მესობოდა:

„საცოდავი ბავშვი!“

„დაიღუბა ოჯახი!“

„მერის მუშაობა არ შეუძლია, ვინ უპატრონებს საცოდავებს?“

„ათი წელი კიდევ რომ ეცოცხლა, ბიჭი გზაზე დადგებოდა.“

დედა საწოლ ოთახში განმარტოვებულყო. ფეხაკრფით შევედი, საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი. ხელი მომხვია, გულზე მიმიკრა და ცრემლი წასკდა, ქვითინებდა. მოვეხვიე და ვაკოცე.

— ნუ გეშინია, დედა, — შევეხმიანე,

— დიდი ბიჭი მყავხარ, არ მეშინია.

ქვეყანა გაკვირვებულია, მარტომ როგორ შესძელი ამდენი რამის გაკეთება? — როგორ თუ მარტომ! მთელი ქანახანა გვეხმარებოდა.

— მამა მარტო იყო, თუმცა გარშემო ათასი მადლიერი ადამიანი ეხვია, შენ არ იცი, რა ძნელია მარტოობა.

— ისეთი კარგი ხალხია, ვერ წარმოიდგენ!

— ვიცი.

შიში საღდაც გაქრა. იმედის და რწმენის შუქი ჩადგა გულში.

— ჯერჯერობით კურსებს თავს დადებებუ...

— ეს არ გამაგონო! უნდა ისწავლო, — შეშფოთდა დედა.

— თვითონ მოვემზადები და ატესტატს ავიღებ. უმაღლესსაც დავამთავრებ, საინჟინროზე შევალ.

— უნდა დაამთავრო.

— მალე თანრიგს მომცემენ, აი ნახავ. ცრემლი დაბა-ღუპით ჩამოსდიოდა, დაბნეულად შემომცქეროდა.

— კურსებს თავს ნუ დანებებ, — თქვა დედამ.

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს, — ვანუგეშე მე, — ატესტატს მაინც ავიღებ.

— მეშინია.

— ნურაფრის გეშინია, ბავშვი კი ალარა ვარ.

თმაზე ხელი გადამისვა და გამიღიმა. სევდიანად გაიღიმა. დავიხარე და ისევ ვაკოცე.

8.

ქარხანაში მუშაობა დულდა და გამიღიოდა. ორივე თუჯსადნობი ღუმელი ენთო და ორივე ვენტოლატორი გუგუნებდა. ქიტესა და მისი საამქროს მუშები ოფლის მოწმენდას ვერ ასწრებდნენ.

ახლა ნამზადი თავზესაყრელად გვქონდა, გემუშავა ოლონდ და, რამდენიც გინდოდა, იმდენი იყო. მთელი დღის ნორმა შესრულდებოდა თუ არა, შეჯიბრი ჩაღდებოდა. ჩარექიშვილი თავს იკ-

ლავდა, ჯიბრს უწევდა ძია ვასოს. ადრე მოდიოდა და სამუშაო დღის შემდეგაც გვიანობამდე რჩებოდა.

— პა, რამდენზე გამოხველ დღეს? — გასძახებდა ძია ვასო.

— ჯერ ის მითხარი, შენ რამდენზე გამოხველ?

— მე ფული არ მადარდებს!

— შენმა მზემ, მუქთად მუშაობ, აი!

— მუქთად რატომ ვიმუშავებ?

— პოდა, მეც ეგრე ვარ.

— რას ელაპარაკები, ხომ ხედავ, გაცდენს, — ეტყოდა ცოტემ, — ისე ველარ გვჯობნიან და ახლა ლაპარაკით უნდათ გაგვაცდინონ.

საქმე კარგად მიდიოდა. შეკვეთა სრულდებოდა. „ტრაქტორცენტრი“ წარმომადგენლები დამზადებულ სათადარიგო ნაწილებს კმაყოფილი სახით ითვლიდნენ.

დიღხანს არ გაგერძელებულა ასე. ერთ დღეს ჩარეჟიშვილმა ჩარხიდან მოხსნილი დეტალი იატაკზე დაანარცხა და შეიგინა.

— ეს მეხუთეა დღეს! ნიჟარებითაა სავსე! — და ერთხელ კიდევ შეიგინა.

მერე ნიჟარიანი ნამზადი ჩვენც შეგვზვდა. ერთი, ორი, სამი... ბოლოს თითქმის მთელი ნამზადი ნიჟარიანი გამოდგა. გავჩარხავდით დეტალს, ბოლომდე მივიყვანდით და უცებ უშველებელი ღრუ გამოჩნდებოდა. დეტალს ჩარხიდან ვხსნიდით და ჯართში ვყრიდით.

— რა ღმერთი უწყობდა! — გაბრაზდა ძია ვასო.

ტუხაშვილს გამოუძახეს. ძია ნიკო დაბნეული იდგა და წუნდებული დეტალების გროვას დაჰყურებდა.

— საკვირველია! — ბუტბუტებდა ძია ნიკო, — ღმერთმანი, ველარაფერი გამოიგია!

— მთელი ნამზადი ასეთია, — ამოიოხრა ძია ვასომ.

— როგორ შეიძლება, როგორ შეიძლება!

— ასე კია და, — ძია ვასომ ჩარხიდან კიდევ ერთი დეტალი ჩამოხსნა, — აი, ნახე.

ტუხაშვილი ნამზადს ათვალისწინებდა. — გარედან არაფერი ეტყობა!

— ჯერ ნორმის ნახევარიც ანუ შემოსულ რულებია, — სინანულით თქვა ჩარეჟიშვილმა და ისევ შეიკურთხა უმისამართოდ.

— შინ რას წაიღებ, არა? — დასცინა ცოტემ.

— ხმა გაიწყვიტე, ლაწირაკო!

ამბროსი მოვიდა. ამბროსის ჩადუნელი მოჰყვა, თეთრადევიც მოვიდნენ და... შენ ისა თქვი, ვინ არ მოსულა; ნამდვილი ბაზარი გაიმართა, — ყაყანებდნენ და ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს.

„გეთაყვამ“ სათითაოდ დაათვალისწინებდა მისი მიყრილი წუნდებული დეტალები, მერე ორიოდ დამუშავებული ნამზადიც შეათვალისწინებდა და თავი გააქნია.

— უცნაური ამბავია! — თქვა მან.

— რა უნდა იყოს მიზეზი? — ჰკითხა დათამ.

— არ ვიცი. ჩემს პრაქტიკაში პირველად ვხვდები ასეთ რამეს.

— ჯერ ყურადღება არ მივაქციე, — თქვა ჩარეჟიშვილმა, — ხანდახან წინათაც გამოერეოდა ხოლმე. მერე ერთმანეთს მიჰყვა. ეს ერთი საათია მარტო ნიჟარებიანი მხვდება.

— გეთაყვა, ერთი ისიც მომაწოდე, — კასრადემ თითოთი გაჩარხულ დეტალზე მანიშნა.

მივაწოდე. შეათვალისწინებდა. პენსნე მოიხსნა და ახლა ისე შეათვალისწინებდა.

— როდინდელი ნაღობია? — იკითხა ჩადუნელმა.

— წუხანდელი თუა, — გაუბედავად თქვა ტუხაშვილმა.

— აბა, უკანასკნელი სხმულიდან მოიტანეთ!

ძია ნიკო წავიდა და რამდენიმე ნამზადი მოიტანა.

— აპა, — „გეთაყვამ“ ერთი მე მომცა, ერთი ძია ვასოს. ერთიც ჩარეჟიშვილმა წაიღო.

ნამზადი ჯერ ისევ თბილი იყო. ფრთხილად დავამაგრე ჩარხზე და საჭ-

როსი მივაყენე. სხმულს ნიქარა არა ჰქონდა.

— კარგია, — თქვა ძია ვასომ.

— ამას არა უჭირს რა, — მოიწონა ჩარქეიშვილმაც.

— საკვირველია, ღმერთმანი! — მხრები აიჩეჩა „გეთაყვამ“.

დათა ფეხსაცმლის წვერით აგორებდა ასფალტზე წუნდებულ დეტალს. მერე თავი გააქნია:

— ნამდვილი მავნებლობაა, ჰა, რას იტყვი? — მიუბრუნდა ძია ნიკოს.

ძია ნიკომ მხრები აიჩეჩა. თავზე ხელი გადაისვა, თვალეზი ნერვიულად აახამხამა. „გეთაყვა“ ყურებამდე გაწითლდა.

— მართლაც მავნებლობაა, — თქვა ბარამიძემ. მერე მიიხედა-მოიხედა, ხელეზი გაასავსავა და დაამატა: — ჩვენთან მავნებელი არავინაა და, რა ვიცი.

ბარამიძე საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. კამათში უეჭველად ჩაერეოდა, მაგრამ ვის მხარეზე იყო, ვერ გაიგებდი.

— ახალ ნამზადზე იმუშავეთ, ძველი იყოს, ლაბორატორიაში გავგზავნი და შევეამოწმებ, — გვითხრა ამბროსიმ და წავიდა.

მეორე დღეს ნორმალურად ვიმუშავეთ. ნამზადი ხარისხიანი გამოდგა, სპემაგეოროდ მესამე დღეს ვიწყვევლეთ თავბედი.

ლაბორატორიიდან სპეციალისტები მოვიდნენ. ყველა საამქრო დაიარეს, თუჯადნობი ღუმელები დაათვალიერეს, კოქსის, ჯართის, კირქვის ნიმუშები აიღეს, ნამზადი და გაჩარხული წუნდებული დეტალები წაიღეს და წავიდნენ. მათგან მხოლოდ ერთი დარჩა, საყალიბო მიწას სინჯავდა. მერე იდგა და რამდენიმე საათის განმავლობაში მეყალიბებებს მუშაობას თვალყურს ადევნებდა. საშუალო ხნის ჭადარა კაცი იყო, მაღალი, ხმელ-ხმელი. საზაფხულო პალტო მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული, თავისთვის იდგა და თვალს არ აშორებდა მეყალიბებებს.

ძია ვასომ თქვა, ეს კაცი პროფესორი ლალიძეაო. მე კი მხატვარი მეგონა, რად-

გან მამაჩემის ნაცნობ მხატვრებს ყველას ასე ეცვა, თმაც ასე ჰქონდათ გადავარცხნილი.

ცოტნე მოვიდა და ყურში წამჩურჩულა, პროფესორი ქალიშვილით მოსულაო. მერე ხმამაღლა მითხრა:

— ვაჰ, ბიჭო, რომ იცოდე, რა გოგოა! გამიკვირდა: ჩემს სიცოცხლეში პროფესორის ქალიშვილი არ მენახა. საქმე მაინც არაფერი მქონდა და გავყვიცი...

გოგო ბოვიდან ათიოდე ნაბიჯზე ტაბურეტზე წამოსკუბებულიყო, ფეხი ფეხზე გადაედო, მუხლზე სქელი, მუყაოს ყდაში ჩამჯდარი სახატი ალბომი გაეშალა და გამწარებით ხატავდა. ალბათ ბოვს თუ ხატავდა, რადგან წარა-მარა თავს წამოსწევდა და ნახევრადმოჭუტული თვალეზით გვერდულად გახედავდა ხოლმე. ჩვენი ხნისა იყო, იქნებ უფრო პატარაც; ისე იჯდა, ვითომც აქ არაფერი იყო, ყურადღებასაც არ აქცევდა ბიჭებს, გარს რომ უტრიალებდნენ და ბირდაპირ სახეში შესცქეროდნენ. ამისთანა მეტიჩარა გოგოები ჭირივით მძულს... გამოვტრიალდი და წამოვედი.

მივდიოდი და ვფიქრობდი: „გახურებულ ბოვთან ასე ახლო ჯდომას მეც კი ვერ გავუძლებდი. რას ასტკეციაა ლოყები!“

პროფესორი ისევ იქ იდგა და მეყალიბებ თედოს ისე შესცქეროდა, გეგონებოდათ დაყალიბებას პირველად ხედავსო. აქაო და პროფესორი მიყურებსო, თედო ტყავიდან ძვრებოდა. რაც მართალია, მართალია, ცოტა შემშურდა კიდევ, რომ პროფესორი თედოს მუშაობას თვალს ინტერესით ადევნებდა. მე რომ რთული დეტალების ჩარხვა ვიცოდი, ამაზე პატივცემულ პროფესორს წარმოდგენაც არა ჰქონდა.

პროფესორმა პალტო საყალიბო მაგიდაზე მიაგდო, დაიხარა და თედოს შეკრული ყალიბი გახსნა. მერე ქვედა ყალიბს ზედა მოაცილა და გადმობრუნებული მიწაზე დადო.

— მე მგონია, ყმაწვილო, რომ ასეთ დიდ ყალიბს ერთი გამოსაორთქლი არ ეყოფა, — თქვა პროფესორმა.

— ჩვენი სულ ასე ვაკეთებთ და, რა ვიცი, — წაიღულღულა თედომ.

— ჩემი არა გჯერათ? — გაიცინა პროფესორმა.

თედოს ალბათ არა სჯეროდა, რაკი მხრები უნდობლად აიჩეჩა.

— თუ აირი ყალიბიდან მთლიანად არ გამოვა, — თქვა პროფესორმა, — ბუნებრივია, სხმულში ბუშტები და ნიჟარები წარმოიქმნება.

„აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული!“ — აღტაცებისაგან ისე შევიკუნტრუშე, რომ პროფესორმა გაომხედა.

— ეს რომ არ მოხდეს, — განაგრძო პროფესორმა, — ამისათვის საჭიროა... — უცბად მომიბრუნდა და მთხოვა: — ყმაწვილო, ეგებ სადმე წვრილი მავთული მომიძებნო.

ციბრუტივით დავტრიალდი და ფოლადის წვრილი მავთული წუთში მოვუბრუნე.

ყალიბუთები ისე შეკრა, საყალიბო მიწა რამდენიმე ადგილას მავთულით დაჩხვლიტა.

— ახლა აირს მეტი გამოსასვლელი ხვრელი ექნება, — თქვა პროფესორმა და მე მომხედა, ალერსიანად ამათვალიერ-ჩამათვალიერა. — რამდენი წლისა ხარ? — მკითხა მან.

— მალე ჩვიდმეტის შევსრულდები, — ვუპასუხე.

— აჰა, — თავი დააქნია პროფესორმა. მერე თედოს უთხრა: — მიწა ძლიერ არ უნდა დაბეკნო, მაგრად დაბეკნილი მიწიდან აირი ძნელად გამოდის. თიხა რაც უფრო მქლევა და რაც მეტი სილაა საყალიბო მიწაში, მით უფრო იოლად დაიცლება თუჯი აირისაგან.

მოდი და ნუ გაგვიკვირდება. ვითომ აუცილებლად პროფესორი უნდა იყო, რომ ამისთანა უბრალო რამეს მიხვდებო?

— შენც მეყალიბე ხარ? — ისევ მომიბრუნდა. შუბლი შევიკარი, გავიფიქრე, მეყალიბეს რა მიგავს-მეთქი.

— ხარატი ვარ, — ვთქვი ამაყად.

— ყოჩაღ! — შემაქო პროფესორმა, მერე ღიმილით მკითხა, — რატომ არ

სწავლობ? შენი ხნის ყმაწვილი სკოლაში უნდა სწავლობდეს.

— ესწავლობ.

— საღამოს სკოლაში?

— არა, ჩემით ესწავლობ, დამოუკიდებლად. მალე ათწლედის დამთავრების მოწმობას ავიღებ.

— ყოჩაღ! — ისევ შემაქო პროფესორმა, — მერე რას აპირებ?

— უმაღლესში შევალ.

— სპეციალობა არჩეული გაქვს?

— საინჟინროზე მინდა შესვლა, მექანიკურზე.

— გეტყობა, ხარატის ხელობა გიყვარს.

მინდოდა მეთქვა, ხარატის ხელობა ძალიან მიყვარს-მეთქი, მაგრამ ვინ დამაცადა: „გეთაყვა“ ისე მორბოდა, გეგონებოდათ ასი წლის უნახავი ძმა დაინახაო. მორბოდა და თან ხელებს აქნევდა, ყვიროდა:

— გეთაყვა, ასე როგორ შეიძლება! თურმე დილიდან აქ ხარ და მე კი ახლა შემატყობინეს!

— გამარჯობა, კოტე! — მიესალმა „გეთაყვას“ პროფესორი.

— შენ რახან მოხვედი, გვეშველება! — წამოიძახა „გეთაყვა“.

— ჩემს იმედზე თუ ხართ, საქმე ცუდად გქონიათ, — გაიცინა პროფესორმა. ერთმანეთს მხრებზე ხელებს უთათუნებდნენ და ხარხარებდნენ. მერე პროფესორის ქალიშვილიც მოვიდა. „გეთაყვასი“ მიკვირდა: წინათ სულ ზეთი ჩამოსდიოდა, ახლა რამ გამოცვალა, ვერ გამეგო. ამხელა კაცი იგრინებოდა და იწელებოდა ამ ერთი ციდა გოგოს წინაშე, მერე ხომ მთლად ამეშალა ნერვები: „გეთაყვა“ ალბომი გამოართვა, ნახატები გადაათვალიერა და... ჰო, ჰო, ჰო, რას აქებდა! რომ არ მოგატყუოთ, ტვინი წაიღო.

უცებ არც ვაცეი, არც ვაცხელე, „გეთაყვასთან“ მივედი და პირდაპირ მივახალე:

— ამხანაგო კოტე, საკისრის რგოლები გამოსაჩარხად მასიურის მაგვირად

მილისებური ნამზადი რომ ვიხმართ, უკეთესი არ იქნება?

ალბათ იფიქრა, ჭკუაზე შეცდაო, დაბნეული შემომცქეროდა.

— სამუშაო არაფერი გაქვს?! — მკითხა მკაცრად.

ქალიშვილმა ხომ მთლად ბოლო მომიღო:

— თქვენ ამხანაგი კოტე ხართ? — შეეკითხა „გეთაყვას“.

პროფესორმა მხარზე ხელი დამკრა:

— ყოჩალი ბიჭია, — მერე „გეთაყვას“ მიუბრუნდა: — საღამოს კურსები უნდა გახსნათ და ბავშვებს დაეხმაროთ საშუალო განათლების მიღებაში.

— ეს ყმაწვილი ხარატობას სწავლობს.

— სიმწიფის ატესტატისთვის ემზადება, — თქვა პროფესორმა.

— კურსების შესახებ მოვილაპარაკებთ, — შეპპირდა „გეთაყვა“ პროფესორს.

პროფესორის ქალიშვილი ისე შემომცქეროდა, თითქოს ვიღაც რეგვენი ვყოფილიყავ.

რატომღაც ჩემს თავზე ვბრაზდებოდი, — სხვაზე როცა ბრაზობ, არც ისე ძნელია, საკუთარ თავზე გაბრაზება კი...

წასვლას ვერ ვახერხებდი, გულზე ვსკდებოდი. გამახსენდა, როგორ შემაქო „გეთაყვამ“ ტექნიკუმის გამოცდაზე და რატომღაც შემძულდა ეს კაცი.

ასე უხეშად რომ გავაწბილებს, შეგძულდება, აბა რა. ერთი სული მქონდა, ჩემი გამოგონებით პროფესორთან თავი მესახელებინა. საქმე ის იყო, რომ ქარხანაში მისვლისთანავე ერთი აზრი დამებადა: ძია ვასოს ჩარხზე ლითონის მასიური ნამზადი დაემაგრებინა და ბურღავდა. წვრილი ბურბუშელა ცვიოდა ჩარხიდან და ნამზადი თანდათან რგოლის სახეს იღებდა. ხომ შეიძლება, ნამზადად მილი ვიხმართ? რგოლი ხომ უფრო ადვილად გაიჩარხება? მაშინ ამ საქმის არაფერი გამეგებოდა და კითხვაც ვერ გავბედე. მას შემდეგ საკისრის შიგარგოლის შეკვეთაც აღარ მიგვიღია. ეს

აზრი კი მოსვენებას არ მაძლევდა. მერაბმა ჩარხი რომ გააკეთა, ამ დამსახურებას ორივეს გვაწერდნენ. მერაბს კი უმადლოდი, მაგრამ სადღაც, გულის კუნჭულში უკმაყოფილებას ვგრძნობდი. რგოლის ნამზადად მილის გამოყენების აზრი იმიტომ უფრო მაწვალებდა, მინდოდა სიკეთე სიკეთით გადამეხადა მერაბისათვის, თუმცა მისთვის ჯერ არაფერი მეთქვა.

— იქნებ სადმე ორი მცირე ტომარა მიშოვოთ, საყალიბო მიწას წავიღებ საანალიზოდ, — თქვა პროფესორმა, — ორივეს წავიღებ, ნახმარსაც და უხმარსაც.

— შენ ფიქრობ, ავთანდილ, რომ მიწის ბრალია?

— სრულებითაც არა, თუმცა მიწის აირგამტარობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ მიწაში ნაკელს გაურევენ ხოლმე. ნაკელი იწვის და ხვრელებს ტოვებს.

— შენი იმედი მაქვს, იცოდე.

— მეტალურგები შეახურეთ, ისინი მეტს გეტყვიან.

„გეთაყვამ“ მითხრა, საწყობში გაიქეცი და ორი მომცრო ქაღალდის პარკი მომიტანეო. უარს ხომ ვერ ვეტყოდი, მაგრამ ჯიბრზე არ გავქექულვარ, ზღაზვნით წავედი.

პარკები მოვიტანე. პროფესორმა თავისი ხელით ჩაყარა პარკებში საყალიბო მიწა. ისე დატენა, ძლივსლა ასწია, ასწია და საყალიბო მაგიდაზე შემოდო. მისამართი დამიტოვე და გამოგიგზავნიო, უთხრა პროფესორს „გეთაყვამ“, მაგრამ... მე თვითონ წავიღებო, აიხირა.

— ერთს მე წავიღებ, — თქვა ქალიშვილმა.

მაშინვე შევთავაზე, პარკებს წამოგიღებ-მეთქი. პროფესორი ჯერ უარზე დადგა, მაგრამ მერე დამთანხმდა.

ქალიშვილი წინ გარბოდა, პროფესორი გვერდით მომყვებოდა, მთელი გზა მესაუბრებოდა. სულ დაწვრილებით გამომოკითხა ყველაფერი. არჩილ ჯანდიერ

გამიგონიო, თქვა, ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ მამაშენზე ბევრი კარგი და კეთილი მსმენიაო. რომ ვუთხარი, სამი თვის წინათ დავასაფლავეთ-მეთქი, ძალიან ეწყინა. მცოდნოდა, დასაფლავებაზე უთუოლ მოვიდოდიო...

ერთხანს ხმამაუღებლად მივიდოდით. დუმილი პროფესორმა დაარღვია.

— ოჯახს როგორ უძღვები, გეხმარება ვინმე? — მკითხა.

— რა დახმარება მინდა, პატარა ხომ აღარა ვარ! — ვიწყინე მე.

— რასაკვირველია, პატარა აღარა ხარ...

— მუშაობა არ მეზარება.

— სწავლა?

— სწავლასაც შევძლებ. გაინად საშუალო სკოლას დავამთავრებ.

— მომეცი, ახლა მე წამოვიღებ, შენ უკვე დაიღალე, — მითხრა პროფესორმა.

— ჯერ არ დავდლიღვარ, — ვიცრუე, თუმცა მკლავები დამიბუჟდა და პარკები სიდაც იყო ხელიდან გამივარდებოდა.

— არ დადლიღხარ, მაგრამ მაინც შეგეშველები.

— არა, არა, მე წამოვიღებ, — გავკვიუტდი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში პროფესორის ქალიშვილი ორი-სამი ნაბიჯით გვისწრებდა, მაგრამ ყური ჩვენკენ ეჭირა და დარწმუნებული ვიყავი, მთელი ჩვენი საუბარი ესმოდა.

ერთგან შევისვენე, ტროტუარიდან ჩავედი და ბაზალტის ბორდიურზე შევდგი ფეხი. პარკი მუხლზე დავიდე. ახლა მეორე ფეხი შევდგი ბორდიურზე და ის ხელიც დავასვენე.

— მომეცი! — მკაცრად თქვა პროფესორმა.

— არა, მხოლოდ ხელი შევინაცვლებ.

კოოპერაციის ქუჩა ავიარეთ და მოედანზე რომ გავედით, პროფესორმა გამაჩერა.

— ახლა ლაბორატორიაში აღარავინ იქნება, უკეთესია, შინ მივიტანოთ. აქვე ვცხოვრობთ.

მაჩაბლის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. დიდებული სადარბაზო შესასვლელი ჰქონ-

დათ. კედლები ზეთის საღებავებით მოხატათ. კიბეები თეთრი მარმარილოს მთლიანი ფილებით იყო მოპირკეთებული. მეორე სართულზე ავედით. პროფესორმა შესასვლელი კარი ძლივს გააღო.

პარკები სამზარეულოში დავაწყვე და თავისუფლად ამოვისუნთქე. ხელები ვერც დაბლა დაუშვი, ვერც მაღლა ავწიე. ისევე მქონდა მუცელთან მიტანილი და გაშვებული, თითქოს ის პარკები ისევე ხელში მჭეროდეს.

წამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ აღარ გამომიშვეს. სასტუმრო ოთახში შევედით თუ არა, პროფესორის ქალიშვილმა ხელი გამომიწოდა და მითხრა:

— მე მერი მქვია, თქვენა?

— ოთარი, — ვუპასუხე და მაჯა გავუწოდე.

თავს უხერხულად ვვარდობდი: მტვრით გაგანგლული სამუშაო შარვალ-ხალათი მეცვა და ხელები მთლად დასვრილი მქონდა.

— წამოდით, ხელები დაიბანეთ.

— თუ შეიძლება, წავალ, — ვთქვი და სავარძლიდან წამოვდექი.

— არსად არ წახვალ. სანამ არ ვისადილებთ, არსად გაგიშვებთ, — თითი დამიქინა პროფესორმა.

— ბატონო, მე...

— მამას ავთანდილი ჰქვია, ამხანაგი ავთანდილი, — გაიცინა მერიმ.

— ბატონო ავთანდილ, მე წავალ, — ვთქვი და თავი ჩავღუნე.

— ჩვენ ჯერ მილისებურ ნამზადზე არ გვისაუბრია, როგორ წახვალ? — მითხრა პროფესორმა.

ამას მაინც არ მოველოდი. ეს რა კაცი ყოფილა-მეთქი, ეს რა სასწაულს გადავეყარე-მეთქი, ვფიქრობდი.

— საპონი აქაა, პირსახოციც, — მითხრა მერიმ და სამზარეულოში მარტო დამტოვა.

ხელები დავიბანე. საპონი ოთხჯერ მაინც წავისვი და ისე დავიბანე, მეშინოდა, პირსახოცი არ დამესვარა. ყველაფერს ქათქათი გაუდიოდა. გული გაგინათლებოდა, ისე იყო იქაურობა დალაგე-

ბულ-გაკრიალებული. სასტუმრო ოთახში ხომ ყველაფერი ბრწყინავდა. ფანჯრებს მზე ანათებდა და ოთახში სასიამოვნო სინათლე იდგა. მზის სხივების სვეტი წითლადშედებულ იატაკზე ცერად ეშვებოდა.

— არ მოიწყინოთ, ახლავე გავშლი სუფრას, — მითხრა მერიმ, — მანამ კი აი, ამით გაერთეთ, — მუყაოს სქელ ყდაში აკინძული „ნივას“ ნომრები მომავლოდა.

ვიჯექი და ვფურცლავდი. პროფესორი საშინაო ტანსაცმელში გამოეწყო და მერის სუფრის გაშლას შეელოდა. ერთი სული მქონდა, როდის მოიცილიდა, რომ მილისებურ ნამზადზე გვესაუბრა. ტყუილად ვფურცლავდი ჟურნალს, სურათებსაც კი ვერ ვარჩევდი. სულ იმ ნამზადზე ვფიქრობდი.

სუფრასთან მიმიწვიეს.

— მერი კარგი დიასახლისია, მაგრამ ოჯახს უჩემოდ მაინც ვერ აუღის, — თქვა პროფესორმა.

ნამდვილად გულთმისანი იყო. გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, ნეტავ დედა სადა ჰყავს-მეთქი და: ხუთი წელია რაც დედა გარდაეცვალაო, მითხრა.

უცებ მომეწონა ეს პატარა გოგო, მეტიჩრობისა აღარაფერი ეტყობოდა. ნამდვილად კარგი გოგო იყო. დიდი, შავი თვალები და ძალიან ხშირი, ხვეული და გიშერივით შავი თმა ჰქონდა. სულ პატარა გოგო იქნებოდა, როცა დედა გარდაეცვალა. მაშინდელი სევდა თითქოს ახლაც ემიხნეოდა სახეზე: შეხედავდით და ნამდვილად იფიქრებდით, რაღაც ჩუმი დარდი აწუხებსო. ძალიან თავაზიანი მასპინძელი გახლდათ: ხან რას მომამწოდებდა, ხან რას. თან სულ იმას გაიძახოდა, ჩვენი სტუმრები ხანდახან უმადოდ რომ ჰმენ, ასე მგონია, დიასახლისობას მიწუნებენო. ძალიან გულწრფელად ლაპარაკობდა.

სიამოვნებით შევუკამდი რამეს, მაგრამ, ღმერთმანი, რატომღაც ყელში არ ჩამდიოდა. მაინცდამაინც არც პროფესორი შეექცეოდა მადიანად, ცოტა წაიხეშა და ისეთ რამეებზე გააბა საუბარი, სრუ-

ლიად რომ არ მაინტერესებდა. ჩემი მილისებრი ნამზადი აღარ გახსენებია.

უხერხულად ვიჯექი და ვიფურცლავდი. ღმერთმა უშველოს, ვიღაცამ ზარი დარეკა.

— ფოსტალიონი იქნება, — თქვა მერიმ და გავიდა. მართლაც ფოსტალიონი იყო. მერიმ მთელი დასტა გაზეთები და წერილები შემოიტანა. პროფესორმა გამართვა, ადგა და ფანჯარასთან სავარძელში მოიკალათა.

დავემშვიდობე მასპინძლებს და წამოვედი. ძაღლის გუნებაზე დავდექი. მივლიოდი და ვფიქრობდი: „ასეთი ხალხისა არაფერი უნდა იწამო... იმასაც ვნახავთ, პროფესორი ლაღიძე სოციალიზმს თუ ავიშენებს. დეტალის უქონლობის გამო ტრაქტორი რომ ჩერდება, მაგას არ აწუხებს; არ გაჩერდება ტრაქტორი და... არც მაშინ დაიმტვრევს ხელებს ტაშისცემით. ჯერ ბელგიაში უსწავლია, მერე საფრანგეთში. დაზგას ახლოს არ გაჰკარებია. შენი მილისებრი ნამზადი მაგას სულაც არ აინტერესებს“.

მივდიოდი და სულ ხვითქი გადამდიოდა. კაცს რომ ააფორიაქებ და მერე ცივ წყალს გადაასხამ, ამაზე ცუდი არაფერია. ეცადე, ჯერ არ დაჰპირდე და თუ დაჰპირდები, კაცი არა ხარ, შეუსრულე კიდეც. გაცრუებულ იმედს ისევ უიმედობა სჯობს. ამას რომ ვფიქრობდი, უცებ გამეღიმა.

აი, რა გამახსენდა: ერთმა მოქიფემ მეზურნე წაიყვანა ქორწილში, დიდი გასამრჯელო აღუთქვა. მთელი ღამე ატყვიტინებინა ზურნა, მერე ფული აღარ მისცა, ბარი-ბარში, — შენ დაუკარ, მე მეამა, მე შეგპირდი, შენ გეამაო. ეს რომ გამახსენდა, გულზე მომეშვა.

9

მთელი ღამე სულ ამაზე ვფიქრობდი, ლოგინში ვტრიალებდი, ვტრიალებდი და როგორც იქნა, ჩამეძინა...

ვერც კი გავიგე, როგორ გათენდა. ავდექი, ჩავიცვი და მერაბთან შესახვედრად გავედი: მერაბს გამოგონება მოე-

წონა. გადავწყვიტეთ მისვლისთანავე ძია ვასოს მოვლაპარაკებოდით, მაგრამ მისალმებაც ვერ მოვასწარი, რომ ახალი ამბავი დაგვხვდა.

— ამ საღამოს კომკავშირის უკრედის კრებაა, თქვენს საკითხს განვიხილავთ, — გვითხრა გურამმა.

ეს მთლად მოულოდნელი იყო. ჩვეულებრივად კრების მოწვევის თაობაზე განცხადებას რამდენიმე დღით ადრე გამოაკრავდნენ ხოლმე. ყოველ დილას, ქარხანაში მისვლისას, დაფას ვათვალიერებდი, რადგან ვიცოდი, უახლოეს კრებაზე კომკავშირში ჩვენი მიღების საკითხი უნდა გაეტანათ. კრების მოწვევა რატომღაც ძალიან დააგვიანეს და მე უკვე მივეჩვიე ცარიელ დაფას.

— დაფაზე არაფერია! — გაიოცა მერამბმა.

— უცებ გადაწყდა, ახლა წერენ ბიჭები განცხადებას, — დაგვამშვიდა გურამმა.

ჯემალმა თვალი ჩამიკრა და ბეჭებზე მომიცაცუნა ხელი, დამშვიდდი, ყველაფერი რიგზეაო. დავმშვიდდი კი არა, მთლად ავფორიაქდი.

არ ვიცი, ნამეტანი მშიშარა ვარ თუ რა ჯანდაბაა ჩემს თავს, ყველაფერი კარგად მიდის და მაინც შემინია რაღაცის. ვინც კი კომკავშირში მიიღეს იმ დღეს, საწარმოო გეგმას ყველა გადაჭარბებით ასრულებდა. ამას საჯაროდ ამბობდნენ და იყო ერთი ტაშის გრიალი. მას შემდეგ, რაც თანრიგები მოგვეცეს და გამომუშაებაზე გადაგვიყვანეს, ძია ვასოს წინადადებით, ბრიგადული აღრიცხვა შემოვიღეთ. ცალ-ცალკე თითოეულის ნამუშევარს აღარ ვითვლიდით. ამის გამო ერთხელ ლაზათიანად მოგვდგნენ კიდევ, გაუპიროვნებას უწყობთ ხელსო. ძია ვასომ უბასუხა: გაუპიროვნება იქნა საშიში, სადაც თვითშეგნება არაა, ჩვენს ბრიგადაში ყველა მუშაობსო.

ხელფასი უცებ მომემატა, ასე მეგონა ძია ვასოს და ბიჭების კუთვნილი ფული მიმაქვს-მეთქი.

ერთხელ ძია ვასომ გვითხრა, ახლა იმ ეტაპზე ვართ, რომ ასეა საჭიროო. ცხო-

ვრება სულ ეტაპებად ჰქონდა დაყოფილი.

— კომკავშირის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო? — თქვა ძია ვასომ. ამ დროს დათა თეთრადემ ჩავგვიარა.

— რაო, ძია ვასო? — შეჩერდა დათა.

— ახალი ეტაპი დაიწყო-მეთქი?

— რა ეტაპი?!

— რაიკომის პლენუმისთვის ანგარიშს ამზადებ?

— კი, ვამზადებ!

— რა უჩვენე, რამდენი მუშა გავაკომკავშირებელი?

— ძია ვასო, დღეს მარცხენა ფეხზე ამდგარხარ, შარზე ხარ, — გაიცინა დათამ.

ძია ვასო ჩარხთან იდგა. ჩარხი კანკალებდა და საჭრისი თუჯიდან ანათალ წვირლ ნაფოტს ნაპერწყლებივით ისროდა. იქით მერაბი იდგა, მერე — ჯემალი და გურამი. მათი ჩარხებიც თრთოდნენ და საჭრისები ნაფოტებს ფანტავდნენ. რაღაც მიხაროდა. ფანჯრიდან შემოსული დილის მზე ანათებდა საამქროს. ღვედები ბრუნავდნენ, წამყვანი და ამყოლი ბორბლები თავბრუდამხვევად ტრიალებდნენ. სამსხმელოდან ვენტილატორის გუგუნე ისმოდა. რაღაც მიხაროდა, იქნებ ის, რომ ახლა საქმე ხელში უფრო მორჩილად მომყვებოდა და თუჯის ლუგვი სასურველ ფორმას იღებდა.

— ჯანდიერი შენა ხარ? — კარიდანვე დაიძახა „გეთაყვამ“ და მერაბს მიუახლოვდა.

— არა, ჯანდიერი ესაა, — თქვა მერამბმა.

„გეთაყვა“ ჩემთან მოვიდა.

— რაციონალიზატორული წინადადება გაქვს, ყმაწვილო? — მკითხა „გეთაყვამ“.

— რაციონალიზატორული?! — გავიოცე მე.

— ჰო, რა წინადადება გაქვს, გეთაყვა?

— არ ვიცი!

— ლალიძემ დამირეკა, ჯანდიერს კარგი წინადადება აქვსო.

— ჰოო, — აღმომხდა უნებურად.

აბნეულად, რის ვაივაგლახით მოგყევი სათქმელს, რომელიც ასე დიდხანს მწვავლებდა.

— მერე, მილსებური ნამზადი სადა? — იკითხა „გეთაყვამ“.

— ნამზადი?

— არც ისე იოლი საშოვნელია, — თქვა „გეთაყვამ“.

— იოლი ლობიოს ჭამაა, — ძია ვასოს მუშაობა არ შეუწყვეტია, სათვალეს ზევიდან გადმოგვცქეროდა.

— უნდა შევუკვეთოთ, — თქვა მერაბმა.

— დიახ, — უნდობლად გააქნია თავი „გეთაყვამ“.

დათა გამოცოცხლდა, თვალები აუციმციმდა. გენიალურიო, დაიძახა და ხელი მაგრად ჩამომართვა.

— ფანტაზიაა, — თქვა „გეთაყვამ“, — ასეთ ნამზადს ვერ ვიშოვით.

— იქნებ მართლა ძნელი იყოს, — ჩავილაპარაკე მე.

— თუჯისას აქ ჩამოვასხამთ, მარტო ფოლადისა უნდა შევუკვეთოთ, — დათას სახე უბრწყინავდა, — ყველაფერს მე მოვავგვარებ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ ისევ დაზგებთან ვიდექით, ვჩარხავდით. საჭრისი ზუზუნებდა... მე ვფიქრობდი: პროფესორის ქალიშვილი, ეს პატარა მერი, ეშმაკი გოგო უნდა იყოს. „თქვენ ამხანაგი კოტე ხართ?“ — შეეკითხა „გეთაყვას“, თან თვალებს ცულღუტად ათამაშებდა და ცერად შემომცქეროდა. პროფესორზეც თქვა, ამხანაგი ავთანდილი ჰქვიაო. ცალი თვალთ მინც გადამეხვდა ნახატისათვის. ალბათ ეწყინა, რომ არა ვთხოვე, მაჩვენე-მეთქი.

შესვენებაზე დათამ საწყობიდან მთელი კალთა ნამზადი მოიტანა. რამდენიმე ცალი მილსებურიც იყო. ისინი მე მომცა. სხვანაირი კიდევ მერაბსა და ძია ვასოს დაურიგა. რაღაც დეტალი წინ დაგვიდო და გვითხრა, აბა, ახლა დავიწყოთო.

— აღარ დაგვასვენებ! — თქვა ძია ვასომ, მაგრამ დეტალი დათას მინც ჩამოართვა, შეათვალეირა, მერე უკანვე გაუწოდა, სანამ ჩვენ დავნაყარდებით, ქაღ-

ლზე გამოხაზე და ზომებიც დააწერო.

დათამ ქაღალდი მონახა და დეტალი უცებ გამოხაზა. ჩვენ ვსაუზმობდით. მზე ისევ ანათებდა საამქროს. ფანჯრებიდან ირიბად დაშვებულ სხივებში მტერის კორიანტელი ელვარებდა. გული გამალებით მიცემდა.

დათამ ნახაზი სამ ცალად გააკეთა და ჩამოგვირიგა. ძია ვასომ პირკვარი გადაისახა ღიმილით, ღმერთო, შენ გვიშველეო და ჩარხვას შეუდგა. მერაბიც შეუდგა ჩარხვას. ნამზადი ძლივს დავამაგრე ჩარხზე, ორჯერ გამივარდა ხელიდან.

— ნუ ღელავ, — მითხრა დათამ, — თუ გინდა, მე ვცდი.

არა-მეთქი, ვიუარე. ძლივს ვიმორჩილებდი სახელურს. თითები მითრთოდა. მერე თანდათან დაეწყნარდი. სანამ ნამზადს შევებრუნებდი, თავი არ ამიწევია. ძია ვასოს რომ გავხედე, გული მომეცა, ჯერ ისევ ბურღავდა. მე შიგა დიამეტრი შემოვასწორე, გარე ზედაპირიც მოვათავე.

— ეს ერთი და ღმერთი! — დავიძახე და გამზადებული დეტალი მაგიდაზე დავდე. ძია ვასო ბურღავდა, მერაბიც. დათამ დეტალი აიღო.

— მიდი, მიდი, კარგია! — მაქეზებდა სისხარულის ღიმილით.

მეორე დავაყენე და მალე ისიც გამზადებული ჩამოვხსენი. ძია ვასო და მერაბი კი ისევ ბურღავდნენ. მესამე რომ გამოვჩარხე, მხოლოდ მაშინ მორჩნენ თითო-თითოს გამოჩარხვას.

— სამასი პროცენტი! სამასი პროცენტი! — დაიძახა დათამ. ჩემი გამოჩარხული დეტალები აკრიფა და საამქროდან გავარდა.

კრების დაწყებამდე კაი ორი საათი იყო. ეზოში გამოვედით. დაფას შევხედეთ: განცხადება გაეკრათ; დიდი, წითელი ასოებით ეწერა: კომკავშირში — მხოლოდ ღირსეულნი! ქვევით: ოთარ ჯანდიერი — რაციონალიზატორი. მერე უფრო წვრილად: ჯანდიერის წინადადება სამჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

მერაბს შევხედე, იღვა და წარწერას ისე შესცქეროდა, თითქოს კითხულობს და ვერ ამოუკითხავსო. გავწითლდი. მივხედ-მოვიხედე, ხომ არავინ მიყუბრებს-მეთქი. არ მინდოდა ვინმეს დავენახე.

— წავიდეთ, — მერაბს მუჯლუგუნით წაგვკარი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. მერაბი ისევ ისე იღვა და წარწერას მისჩერებოდა.

— წავიდეთ, — გავიმეორე მე.

მერაბი ადგილიდან არ იძვროდა.

ქუჩაში გავედი. რიყის ქუჩაზე აუარებელი ხალხი ირეოდა. მოხუცი გლეხი ლაფში მოსვრილ კამეჩებს მიერეკებოდა. მოედნიდან ხილის სუნი მოჰქონდა ნიავეს. თოქმაჩების რიგიდან სპილენძის ყრიალი და ჩაქურჩის კაკუნი ისმოდა. ირგვლივ ყურთასმენის წამლები გნიახი იღვა.

ანახდეულად ქვის საფეხურზე ჩამოვვჩქი. ნახევრადშიშველი, თმაგაბურძგნული ბიჭები კოჭაობდნენ. სხვადასხვაფრად შეღებილი კოჭები ტროტუარზე ჩაემწკრივებინათ, ჯილებს ესროდნენ. კოჭობა მომინდა. თქ, როგორ მომინდა, აი, იმ ბიჭებში გარევა და თავდავიწყებით თამაში.

ყველაზე პატარა ათი წლისაც არ იქნებოდა. დაკვრებული ტრუსი თეძოებზე ჩასჩაჩოდა. მზეზე დამწვარი შიშველა ტანი ყანვისფრად ჩაშავებოდა. პატარა, გამხდარ სახეზე ორი დიდი თვალი უბრაილებდა.

ბიჭმა ხელი სახეში შემოიკრა: კოჭი მწკრივს ასცდა, გაგორდა და ტროტუარიდან გადავარდა.

— ალჩუა! — თქვა ვიღაცამ.

— თაფია.

— ვა, ბრმების შკოლაა!

ბიჭები კოჭს წრედ შემოერტყნენ, ერთმანეთს აწვებოდნენ და მუჯლუგუნით იგერიებდნენ. პატარა ბიჭი ხან აქედან შეიძვრებოდა წრეში, ხან იქიდან, ხელებს იქნევდა და ჯიუტად გაიძახოდა:

— ალჩუა, ალჩუა!

— მოკეტე! — შეუტია წოწოლამ.

— ალჩუა, — არ ნებდებოდა ბიჭი.

წოწოლამ წამოარტყა.

— ალჩუა-მეთქი! — ყვიროდა ბიჭი. მას კოჭები აღარა ჰქონდა და უკანასკნელ იმედს ებლაუჭებოდა. წრიდან გამოსვლა მოვარდებოდა, წრეს შემოუბრუნდა, ბიჭებს გასწევა-გამოსწევა და კოჭთან ჩაიმუხლებდა, თავს მიწაზე დადებდა და ისე შესცქეროდა.

ჩემთან მოვარდა.

— ძია, ნახე, თუ ალჩუ არ არის!

მივედი. კოჭს შევხედე. ჭიკის მხრიდან კენჭზე იყო მიყუბრებული. კენჭი რომ არა, წაიქცეოდა.

— ხომ ალჩუა, ნახე, ძია, თუ ალჩუ არ არის! — თვალეებში სასოწარკვეთილება და მუდარა იხატებოდა.

გული მომიკვდა. როგორ მინდოდა მეთქვა, ალჩუა-მეთქი! ბიჭს თავზე ხელი გადავუსვი:

— თაფია, — ვთქვი მე.

— ეე, — ხელი ჩაიქნია ბიჭმა, საცოდავად შემომხედა...

ქარხნისკენ გამოვბრუნდი. იმ პატარა ბიჭის მუდარით სავსე მზერა თვალთაგან არა მცილდებოდა. გული მტკიოდა, მაგრამ რალაც მიხაროდა, მხრებში ძალას ვგრძნობდი და მტკიცედ მივაბიჯებდი. სადღაც სულის სიღრმეში აღძრული კმაყოფილება ფარავდა გულის ტკივილს...

დიდი ხნის ოცნება ამისრულდა, კომკავშირში მიმიღეს. ბევრი ილაპარაკეს ჩემზე და ერთხმად მიმიღეს.

ცოტნეც მიიღეს, თუმცა მისი წინააღმდეგი ბევრი იყო. გაუხსენეს წვრილმანი ცოდვებიც, რომელთა იქ თქმაც, მე მგონი, არ ღირდა. მერაბი არ მიიღეს.

მე და მერაბი ეზოში ვიდექით, ჯემალი მოვიდა და გვითხრა, ძია ვასო შინ გვეპატიყებო.

— წამოხვალ? — განგებ ვკითხე მერაბს, თორემ რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, არ წამოვიდოდა.

— რატომაც არა, შენ თუ წახვალ! — თქვა მერაბმა.

ძია ვასო, დათა, ეფრამი და ვახტანგი ერთად იდგნენ. ისინიც კრების ირგვლივ კამათობდნენ.

— მე შენ გითხარი, არაფერი გამოვა, — ამბობდა ვახტანგი, — თავიდანვე

შეცდომაა დაშვებული. მასების კონტროლი მილიციას არ ეხება.

— ეხება, — ცხარობდა დათა, — მილიციასაც ეხება და სხვასაც. ყველას ეხება.

ეს საკითხი მეც მაინტერესებდა, რადგან კრებაზე ვაჩეიშვილის მაგივრად შემოყვანეს საშეფო ბრიგადაში. ვაჩეიშვილი მონაგარიშედ მუშაობდა კანტორაში, ავად გახდა და აბასთუმანში გააგზავნეს ქარხნის ხარჯზე. საშეფო ბრიგადაზე ბევრი ილაპარაკეს. კომკავშირის უჭრედის დავალებით ვახტანგ თეთრაძის ჯერ კიდევ შარშან უკისრია ამ ბრიგადის ხელმძღვანელობა, მაგრამ მერე აღარაფერი გაუკეთებია. მოსდგნენ ამ ჩვენ ვახტანგს და მაგრად გათათხეს. დათამ მთელი ლექცია წავგიკითხა ბრიგადების მნიშვნელობაზე, შეფობა მასების თვითშეგნების საუკეთესო გამოხატულებათა და რა ვიცი, რა აღარ თქვა.

— გეყოფა ლაქლაქი, — შეაწყვეტინა ძია ვასომ, — თქვენი გულისათვის ჩემს ბებერს დამეს ვერ ვათვინებ.

მე, მერაბი და ჯემალი იქვე ვიდექით, მწყრივად, მათგან ორიოდე ნაბიჯზე. ძია ვასომ მითხრა:

— წამოდი, შენს მაგივრად პურ-მარილს მე გავშლი, მეკუთვნის და რას იზამ! — გაიცინა, ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა, მერე უკანვე ჩაიღო: — ჯემალ, შენც წამოდი, ხარჯი-ხარჯია.

— ჩვენს მარჯვენას გაუმარჯოს! — თქვა ძია ვასომ და ჭიქა გამოცალა.

— გაუმარჯოს ჩვენს მარჯვენას! — ჭიქა მეც გამოვცალე; აღარ მახსოვს, მეექვსე თუ მეშვიდე ჭიქა იყო. თავბრუ მეხვეოდა, ირგვლივ ყველაფერი ირეოდა. თამბაქოს კვამლი ნისლივით იწვავოთახში. საგნები ხან შორს მიდიოდნენ, პატარავდებოდნენ და ქრებოდნენ, ხან ახლო იწვედნენ, დიდდებოდნენ და სამკვეთრეს კარგავდნენ, ერთმანეთში იღვლებოდნენ.

— შვილო, მეტს ნულარ დაღევ, არ

გაწყინოს, შვილო, — დეიდა მართამ ქოჩორი გვერდზე გადამიწოვა, მასო, ბავშვია, ნულარ ასმევთ ღვინოს.

— ჯავრით ესვამ, დეიდა, ბოღმა მასმევს ამ ოხერ ღვინოს!

ძია ვასომ და ვახტანგმა გაიცინეს.

— აი სულელი, — წამოიძახა დათამ.

— ბავშვია, — თქვა დეიდა მართამ, — ნულარ ასმევთ ღვინოს.

— რატომ არ მიიღეთ მერაბი კომკავშირში?! — ისე დავიყვირე, რომ აწეული ჭიქები ჰაერში გაუშეშდათ. ყველას თვალი მოვავლე, მაგიდას მუშტი დავკარ და ისევ დავიყვირე: — რატომ არ მიიღეთ? მიპასუხეთ!

— ვაჩემდი! — შემომიძტია დათამ.

— წამოდი, წამოწექი, აი აქ, ტახტზე წამოწექი, — მითხრა დეიდა მართამ.

— მერაბი უნდა მიგველო, — თქვა ვახტანგმა.

— ყველას გჯობიათ მერაბი, მერაბი მეც მჯობია! რატომ არ მიიღეთ!

— შენც რომ მიგიღეთ, ძალიან შევცდით! — გაბრაზდა დათა.

— შეცდით?! შეცდით?! — წამოვვარდი სკამიდან.

— არა, არ შევმცდარვართ, — გაიღიმა ძია ვასომ.

— არა, რატომ თქვა დათამ შევცდითო?!

— ისე თქვა, — მამშვიდებდა ჩვენი ძია ვასო.

— წამოდი, შვილო, წამოწექი, — შემეხვეწა დეიდა მართამ.

— სმა თუ არ შეგიძლია, არ უნდა დალიო, — წამოღდა დათაც.

— მე მთვრალი არა ვარ, არა ვარ მთვრალი!

— მართალია, ოთარი მთვრალი არაა, — თქვა ძია ვასომ.

— მით უარესი, — ისევ სკამზე დაეშვა დათა.

— ჩვენ მიგვიღეთ, მერაბი კი არა. ეს სამართალია? — უარესად გადავირიე.

ყველა რომ ვაჩემდა, ისევ წამოვხტი, ძია ვასოს ვეცი:

— რატომ მერაბიც არ დაპატიყცე, რატომ არა სთხოვე? — მივაშტერდი, — მთელი ბრიგადა აქა ვართ, მერაბი რად უნდა გამოგვკლებოდა! ჰა!

— მერაბი?! — გაიოცა ძია ვასომ, — მერაბი სად იყო?

— ადამიანი ნაცარში ჩაგდებული ნე-მსი არაა, რომ ვერ დაინახო. იქ არ იყო! უნდა დაგენახა! უნდა დაგენახა! უნდა დაგენახა! — გავკიოდი უაზროდ...

ეჰ, რა პურ-მარილი ჩავამწარე! ეს იყო ჩემი პირველი სიმთვრალე...

10.

საშეფო ბრიგადის უფლება-მოვალეობის განსაზღვრაზე ძლივს შევთანხმდით. მილიციის სამმართველოდან გვესწრებოდა სამოქალაქო ტანსაცემლში გამოწყობილი კაცი. ლაპარაკის დროს თვალებს ისე ჭუტავდა, თითქოს ვინმეს დასცინისო. იმ კაცს უნდოდა, ჩვენი მოვალეობა ქუჩაში წესრიგის დაცვით განსაზღვრულიყო. ჩვენ კი უფრო მეტს მოვითხოვდით; ჩვენ ხომ მიზნად დავისახეთ ბიუროკრატიზმის და თვითნებობის ცალკეული შემთხვევების გამოვლინება და აღმოფხვრა.

რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც დაიწყეთ ქუჩაში მორიგეობა. საათობით დაწყალობდით მაღაზიის ვიტრინების წინ. ხან აღმა გვექონდა გეზი, ხან დაღმა, — წესრიგს ვამყარებდით.

ერთ კვირა დღეს მე, აქლემა და ცოტნე სიონის ქუჩაზე გავედით. ვიღაც კაცს პატარა ბიჭისათვის სანოვაგით დატვირთული უშველბელი კალათი აეკიდა და სახედარივით წინ გაეგდო. ძლივს მიათრევდა ბიჭი კალათს. ცალ ხელში კალათი ეჭირა, მეორეში — ბოთლებით სავსე ტობრაკი. კაცი ხელცარიელი მიჰყვებოდა. ეგ იყო, ბავშვი ახლდა. სიმძიმისაგან წელში შვილიდევით გაღუნული ბიჭი საცოდავად მიბარბაცებდა, მუხლებში იყეცებოდა, რის ვაივაგლახით ადგამდა ფეხებს. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ხელი ვერ მოენაცვლებინა, ბავშვი კი მოსვენებას არ აძლევდა: ხან წი-

ნიდან შემოურბენდა, ხან ზურგიდან, ისე ეღაც დახეულ შარვალზე ეჯავჯავებოდა.

წარმოიდგინეთ: ცალ ხელში უშველბელი კალათი გეჭიროს, მეორეში ღვინიანი ბოთლებით გატენილი ტობრაკი და ვინმე ლაწირაკი ფეხებში გებლანდებოდეს, ამხელა ახმახი კიდევ, ამ ბარგი-ბარხანის პატრონი, უდარდელად მოგდეგდეს და მოლიდინებდეს.

— რომელი კანონის ძალით აჰკიდა ამდენი რამ? — იკითხა აქლემამ.

— ფულს აძლევს, — შეედავა ცოტნე.

— სულ ერთია, მაინც არა აქვს უფლება.

— ჩვენ შეგვიძლია გავაჩეროთ და ვაიძულოთ, თვითონ წაიღოს, — ვთქვი მე, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი, ამის უფლება ნამდვილად გვექონდა თუ არა.

— ბიჭი გასამრჯელოს დაჰკარგავს, იქნებ შემოგვიკურთხოს კიდევც, — მეც შემომედავა ცოტნე.

— მაინც უნდა ვაიძულოთ, — გვითხრა აქლემამ.

გვრძნობდი, აქლემამ მართალი იყო. მაგრამ გაბედულად ვერ ავუბი მხარი. წარმოვიდგინე, თითქოს პატარა ბიჭს შინ ავადმყოფი დედა უწევს და უმცროსი და-ძმა ელოდება. ფეხებს ძლივს რომ მიათრევს ბიჭი, თან იმასა ფიქრობს, ორიოდ გროშს ავიღებ და დედისათვის წამალს ვიყიდო...

სანამ ბიჭები კამათობდნენ და მეც სადღაც ამოკითხულ ცრემლისმომგვრელ ამბებს ვისხენებდი, — ერთი უბედურება დატრიალდა.

ბიჭს ტობრაკი ხელიდან გაუვარდა და... ქვაფენილზე სისხლივით წითელი ღვინო დაიქცა. გაცეცხლებული კაცი ბიჭს ეცა და ცემა დაუწყო. ბიჭი ფართხალბედა და ფეხებზეკრული გოჭივით ჭყიოდა. სამივენი თვალისდახამხამებაში მოგწყდით ადგილიდან და კაცს შემოგეხვიეთ; ძლივს გავადგებინეთ ბიჭი ხელიდან. შემოგვხვდა. შევატყვეთ, ჩვენმა კრიალა აშურმებმა და წითელმა მკლავსაკრავებმა ფერი აცვლევინეს. სამაგიეროდ, ბიჭმა დაინახა თუ არა გამომესარ-

ჩლენო, ახლა ის გაწიწმადდა: შეიქნა ერთი გაწევე-გამოწევა. და ბოლოს, რაკი ამ ქვეყანაზე დაუწყინარებელი არავინაა, ისიც დაწყინარდა. მერე ცოტნემ უთხრა ორივეს, გთხოვთ აილოთ თქვენი სანოვაგეა თუ ჯანდაბა და კომისარიატში წამობრძანდეთო.

კაცი გაჯიუტდა. მაშინ ცოტნემ უყვირა:

— წამობრძანდით!

კაცი გაფითრდა, ბავშვმა ტირილი მოართო. ბავშვის ტირილს საერთოდ ვერ ვიტან. მით უმეტეს, იმისთვის თუ ტირის, რომ მამა მილიციაში მიჰყავთ.

უცნობი გვეხვეწებოდა, თავი დამანებეთ, ამ ბიჭს ფულს მივცემ და გავისტუმრებო.

— აბა, აბა, ფულით ვერ მოგვატყუებ. წამოდი! — უყვირა აქლემამ.

მე ბავშვს შევცქეროდი და მისი საცოლაობით ვიწვოდო...

მილიციის მორიგემ როცა ჩვენი მანდატები გასინჯა, მხედრული სალამი მოგვცა და გავვიღომა. კიდევ უფრო გავიბღინძეთ. კედლის გასწვრივ მდგარ ფიცარის გრძელ სკამზე ჩამოჯდომა ვიუკადრისეთ, თუმცა მორიგემ რამდენჯერმე შემოგვთავაზა. სამორიგეოში წინ და უკან დავაბოტებდით. ხელები ჯიბეებში გვეწყო.

ბიჭი ამბობდა, წიხლით მცემო.

— მართალი არაა, — ვთქვი მე, — წიხლით არ უტემია.

— ხელი ხომ გაართყა? — იკითხა მორიგემ.

— გაართყა, ხელით სცემა. რამდენჯერმე გაართყა ხელი.

— ესეც საკმარისია, — თქვა მორიგემ და ის კაცი ბარიერს იქით გაიყვანა. ატირებული ბავშვი გარეთ დარჩა.

მორიგემ კაცს ბინის მისამართი ჰკითხა და მილიციელს უბრძანა, ბავშვი შინ წაიყვანეო. ამაზე მთლად გაცოფდა ბიჭი, ფეხებს აბაკუნებდა და მილიციელის ხელიდან დასხლტომას ცდილობდა.

გამომძიებელი მოვიდა და ჩვენება ჩა-

მოგვართვა. ეს ის ახალგაზრდა გამომძიებელი იყო, ერთხელ ჩვენ რომ დავვკითხა. ახლა უცნობს ისე ელაპარაკებოდა, მივხვდი, ცუდი დღე დაადგებოდა. საშინელ გუნებაზე დაგდექი. კუდიანი დედაბრის მდგომარეობაში ვიყავი, ქარიშხალი რომ გამოიწვია და მერე ვეღარ დაიმორჩილა ის ქარიშხალი. ათასნაირად ვცდილობდი, უცნობის მდგომარეობა შემემსუბუქებინა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი.

ის იყო გამომძიებელმა ოქმის შედგენა მოათავა, რომ სამორიგეოში ვილაც გლეხი შემოიყვანეს. ახალგაზრდა იყო, წელწერილი და ბეჭებგანიერი. გვერდზე ჩახსნილი სატინის ხალათი ეცვა, ფეხზე — ხარაზული მესტები. შარვლის ტოტები წინდებში ჰქონდა ჩატანებული. თავზე თუშური ქუდი ეხურა. ნაღდი გლეხი იყო და რატომ დაუჭერიათ-მეთქი, გამიკვირდა.

— რა მოხდა, ყაჩმანოვ? — გაბრაზებით იკითხა მორიგემ.

— ეს, უფროსო, გიორგობიანმა გამოგატანა.

— როგორ თუ გამოგატანა?!

— ისე, გამოგატანა, ჩასვიო.

— ჩასვიო, რაზეო?

— უფროსო, გიორგობიანმა არ გითხრა!

— რისთვის დაგაკავეს? — შეეკითხა მორიგე გლეხს.

— რა ვიცი, შენი ჰკირიმე, დამიჭირეს კი და...

— თავს ნუ იგდებ! — უყვირა გამომძიებელმა, — ძალიან კარგად იცი... თქვენისთანები კამერაში ალაპარაკდებიან ხოლმე.

ყელში ბოღმა მომაწვა, ძალიან შემეცოდა ის გლეხი, წინ წავდექი და გამომძიებელს ვუთხარი:

— ასე როგორ შეიძლება!

— რა არ შეიძლება? — შემომიბღვირა.

— უდანაშაულო კაცის დაჭერა-

— უღანაშაულო არაა, — ჩაილაპარაკა გამომძიებელმა, მერე დაამატა, — ტყუილ-უბრალოდ არავის იჭერენ.

— თქვენ იცით ხოლმე ასე.

— ამხანაგო, რატომ ერევით სხვის საქმეში?!

— ჩვენ საშეფო ბრიგადის წევრები ვართ. — გამომძიებელს მანდატი მაგიდაზე დავუდეთ. მანდატისთვის არც დაუხედავს, ისე თქვა:

— საშეფო ბრიგადა მე არ ვიცი.

— უნდა იცოდეთ.

— საქმე ხომ მოათავეთ? ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ, — მომახალა.

— არსადაც არ წავალთ, სანამ ამ კაცს არ გაუშვებთ, არსადაც არ წავალთ! — რალაც ეშმაკი შემიჩნდა. თითქოს მე კი არა, ვინმე სხვა ლაპარაკობდა. ხმაც უცნაური მქონდა, სულ არა ჰგავდა ჩემს ხმას.

გამომძიებელმა მილიციელს უთხრა:

— წაიყვანე და ჩასვი, მალე ალაპარაკდება.

— ეს უკანონობაა, — ვთქვი და ტელეფონთან მივედი, — გიჩივლებთ!

მორიგემ ყურმილს ხელი დაადო, მერე გლუხს მიუბრუნდა:

— იტყვი თუ არა, რაზე დაგაკავებს!

— არ ვიცი, — თქვა გლუხმა, — აკი ვითხარით, არ ვიცი-მეთქი.

— გიორგობიანი მოვა და გაირკვევა, — მორიგე ყურმილს ხელს არ უშვებდა.

— ჩვენც მოვიცადოთ, — ვუთხარი აქლემას, — აქ ჩამოვსხედეთ და მოვიცადოთ.

გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. გამომძიებელი გავიდა. გლუხი კედელს მიეყუდა.

— რა გვარი ხარ? — შეეკითხა მორიგე.

— ტლოყაშვილი.

— ტლოყაშვილი? — გაიცინა მორიგემ, — სადაური ხარ?

— ჭიზიყელი, ზემო მაჩხანელი.

— მენთეშაშვილს იცნობ ვინმეს? — ტლოყაშვილმა თავი ჩალუნა და მოტყუებულად ჩაიციხა, მისთვის წვერისა და ტყუილად გაუსვა, — როგორ არ ვიცნობ, ბიძაშვილებად მეკუთვნიან, — თქვა მან. მერე თავი ასწია, — დედაჩემიც მენთეშაშვილია.

— აქ რისთვის ჩამოხვედი?

— სააქიმოდ ჩამოველ. ჩვენმა ექიმმა აიტეხა, ჭლექი გჭირსო.

— ჭლექისა არაფერი გეტყობა!

— მახველებს ხოლმე, აი აქ კიდევ მტკივა, — ტლოყაშვილმა მკერდზე ხელი მიიღო და ამოიოხრა.

— ჩემი ნათესავი მოკვდა ჭლექით, დევივით ვაქვაცი იყო, — თქვა ცოტნემ.

ტლოყაშვილმა თვალები აახამხამა, შიშით გახედა ცოტნეს:

— ჭლექით მოკვდა?

— ის ნამდვილად ავად იყო, ჭლექით.

— შენ მაინც არ იტყვი რისთვის დაგიჭირეს? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— ქუჩაში რად დადიხარო.

— ნუ გვატყუებ, სიარულისთვის არავის იჭერენ.

— ჯარიმა გადაიხადეო. რა მიმეცა! — აღელდა ტლოყაშვილი, — ოთხთუმაწანა ხევარი ძლივს მოვაგროვე სააქიმოდ.

— მეტი გექნება, — თქვა მორიგემ.

— საიდან მექნება. ვინ თავმკვდარი... აჰა, აი, აჰა, ნახე მეტი თუა, — ჯიბიდან ტყავის ძველებური საფულე ამოიღო და თითების კანკალით ძლივს ამოაძრო საფულედან რამდენჯერმე მიკეცილ-მოკეცილი ქაღალდის ფული. ამოაძრო და მორიგის მაგიდაზე დადო. მორიგემ დინჯად გაშალა ფული, გადათვალა და უკანვე გაუწოდა.

— საბუთი გაქვს რამე?

— რა საბუთი? — კიდევ უფრო აღელდა ტლოყაშვილი,

— პირადობის მოწმობა ან სხვა რამ საბუთი.

ტლოყაშვილმა ჯიბე ამოიქექა. კანაფ-გადახვეული ქაღალდების დასტა ამოიღო, იქიდან ერთი გაცრეცილი და გაჭო-

წილი ქალაღი ამოარჩია და მორიგეს მიაწოდა.

მორიგემ საბუთი შეათვალიერა. მერე ფეხზე წამოდგა, საბუთი ტლოყაშვილს დაუბრუნა და უთხრა:

— კარგი, წადი, თავისუფალი ხარ.

გარეთ რომ გამოვედით და პატარა გზა გავიარეთ, თითო ჭიქა ღვინოზე დამეპატივეთო, გვთხოვა ტლოყაშვილმა. გულით გვთხოვა და უარს როგორ ვეტყოდით. ღვინოს სარდაფში შევყვეით. მიკიტანმა გადმობრუნებულ კასრზე ღვინით სავსე სპილენძის თუნგი შემოდგა, პური, ყველი და მწვანელი მოიტანა. სარდაფს კედელში დატანებული პატარა სარკმელი ანათებდა. ამ სარკმელში სინათლე ქუჩის ტროტუარში ჩატანებული ცხურიდან ჩამოდიოდა. კედლის გასწვრივ კასრები ბაყბაყ დევებივით ჩამწკრივებულიყვნენ. ამობრუნებულ სარდაფში ჩვენს მეტი არავინ იყო. უცებ აგრილდა, თითქოს აცივდა კიდეც, კანკალმა ამიტანა.

ტლოყაშვილმა ჭიქები ღვინით გაავსო.

— ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! — თქვა მან, — კაცმა რომ შემოგხედოთ, ცუდი ბიჭები არ უნდა იყოთ, — ჭიქა ჭიქაზე მოგვიჯახუნა და გამოცალა.

— არც ვართ ცუდი ბიჭები, — აქლემამ ტლოყაშვილს თვალი თვალში გაუყარა.

— მილიციას ემსახურები?

— დიახ, — უპასუხა აქლემამ და მანაც გამოცალა ჭიქა.

— კარგია, ასე თუ ემსახურებით.

ღვინო მეც დავლიე. დაცლილ ჭიქაში ღვინო სისხლის ლაქებივით დარჩა.

— სააქიმოდ ჩამოხვედი? — ჰკითხა ცოტნემ.

— სააქიმოდ, — ტლოყაშვილმა ჯიბიდან დანა ამოიღო, ტარს თითი დააჭირა და დანა თავისით გაიხსნა. ყველი

თხლად დაჭრა. ასეთი დანა არასოდეს შენახა.

— დავლიოთ, — თქვა ტლოყაშვილმა და ჭიქა მომიჯახუნა.

კიდეც დავლიეთ...

ღრო შეუშინველად გადიოდა. ხანდახან მიკიტანი ჩამოვიდოდა, მომცრო კასრიდან სპილენძის საწყაოში ღვინოს გადმოსახმდა, მერე იმ ღვინოს ძაბრიან ბოთლში გადაიღებდა და მიდიოდა. ბებერ კატას მოუგავდა სიარული.

— დიდ კასრებში თავანკარა ღვინოა, პატარაში წყალნარევი, — თქვა ტლოყაშვილმა.

— პატარიდან ჩამოგვისხა, წყალნარევია? — აქლემამ ღვინით სავსე ჭიქას გახედა, ოდნავ მოწრუბა, დაიგემოვნა და გადააპურჭყა.

— ღვინონასვამზე გემოს ვერ გაუგებ, — ტლოყაშვილმა ჭიქას ხელისგული დააფარა, შეანჯღრია, სინათლეზე გახედა. ბროწეულისფერი ჯაჭვი თანდათან ქრებოდა, ჭიქა დადგა და განაგრძო, — ერთ შემოდგომაზე სამოცი ვედრო რქაწითელი ჩამოვიტანე, — ოთხმოცი გავყიდე, დანარჩენი დავლიე.

— ეგ რა ანგარიშია?! — გაიოცა ცოტნემ.

— თბილისში წყალი ბევრია, — თქვა ტლოყაშვილმა.

— მოტყუებაა, — შევშფოთდი, — მოტყუება უსინდისობაა.

— ჯერ ღლაპი ხარ, ცხოვრებისა რა გესმის...

— მოტყუება უსინდისობაა. ეს ყველამ იცის.

— მე კი არ ვიცოდი. ახლა მეცოდინება.

— ასე, — ვთქვი და ჭიქა ჭიქაზე მივუჯახუნე, ეს შერიგების ნიშანი იყო. ღვინოს სმაში ისევე აღვიღია შერიგება, როგორც წაჩხუბება.

თუნგი გამოიცალა. უკანასკნელი ჭიქით ტლოყაშვილმა ჩვენი სადღეგრძელო დალია.

— მიყვარს თქვენისთანა ბიჭები, —



თქვა მან, — კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. არ გეგონოთ, პატივისცემა ერთ თუნგზე გადაგიტაროთ. მალე ისევ თქვენი მასპინძელი ვიქნები.

— ქალაქში შეხვედრა ძნელია, — უთხრა აქლემამ.

— შევხვდებით.

კიბეზე ბარბაცით ამოვედი. დღის სინათლემ თვალი მომჭრა. ტლოყაშილს დავემშვიდობებთ. მერე მე ნათესავთან წასვლა მოვიმიზეზე და ბიჭებს გამოვეთხოვე.

თავი მიბრუნდა, ფეხი მერეოდა, მაგრამ ვცდილობდი სწორედ გამველო და სწორედაც მივიდიოდი, ისე სწორედ რომ გამველოები ჩერდებოდნენ და თვალს მაყოლებდნენ.

მაჩაბლის ქუჩაზე ჩრდილი და მზე ხალიჩასავით ეფინა. ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა. პაერი უთვალავი ნაპერწყლით იყო სავსე. კედელს ზურავით მივეყუდე, თავიც კედელს მივადე. პირდაპირ, ქუჩის გადაღმა, სადარბაზოს მარმარილოს საფეხურები ჰქონდა და იმ საფეხურებზე მერი დღეში რამდენჯერმე აღიოდა და ჩადიოდა. ახლა სადარბაზოს კარი მიხურული იყო. მისი ფანჯრის მინებს მზე ალაბლაპებდა. ათასი მზე ბრწყინავდა ამ მინებში. ფანჯრებს იქით მყუდრო ბინა იყო და იქ მერი ცხოვრობდა. „აქ ჩემი პატარა მერი ცხოვრობს“ — ვთქვი მე. სწორედ ასე ვთქვი: ჩემი პატარა მერი-მეთქი. ძალიან მომინდა მისი ნახვა. „მერის რომ ჰქვია დაემართოს, ყველა მოერიდება. ჰქვია-ნებს ყველა ერიდება. მე ჩამოვკვდები მერის საწოლთან და არ მოვცილდები; არ მოვცილდები, სანამ არ განიკურნება. მერე? მერე რა იქნება, არ ვიცი. მაგრამ, როცა ყველა მიატოვებს, მხოლოდ მე ვიქნები მასთან“.

დიდხანს ვიდექი ასე კედელზე მიყუდებული. შევეცქეროდი სარკმელს, რომლის მინებშიც ათასი მზე ბრწყინავდა. ჩემს გულშიც ბრწყინავდა ათასი მზე... მერე მზე ჩავიდა.

მეორე დილით ქარხანაში დაბრუნდით. ეს პირველი შემთხვევა იყო. სპეცტან-საცმელი ჩაფიცვი და დახვასთან მივედი.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს! — წაიბურღლუნა ძია ვასომ ისე, რომ ზედაც არ შემოუხედავს.

სხვებმა შემომხედეს, თავი დამიქნიეს და მუშაობა განაგრძეს. ხმა არ ამოუღიათ.

ასე მემართება ყოველთვის, საკმარისია წუთით ამოვეარდე კალაპოტიდან და უცხოსავით ვგრძნობ თავს. სხვებისთვის ყველაფერი უბრალოდ ხდება. მე კი ყველაფერში განსაკუთრებულს ვხედავ და გულზე შემომეყრება ხოლმე. ათას რამეს ვფიქრობ, ასე მგონია, ყველას პირი შეუკრავს და ზურგს უკან მჭორავენ, მკიცხავენ... ამას რომ გავიფიქრებ, ზედაც არ მინდა ვინმეს შევხედო.

შესვენების საყვირი მისცეს თუ არა, თავი დავლუნე და ცოტნესთან მივედი.

— როგორა ხარ?

— რა მიჭირს.

— მე თავი მტკიავა.

— დასპირტულმა ღვინომ იცის, — ჩანთიდან პური და ვაშლი ამოიღო, დატვრეულ საყალიბო ყუთზე ჩამოკვდა, ვაშლი გაკბიხა.

— თავი მტკიავა, ძლივს წამოვდექი ლოგინიდან, ცოტა კიდევაც დავიგვიანე.

ცოტნე ვაშლს ათქლავუნებდა, სწრაფად იქნევიდა ყებებს.

— როგორ გეძინა?

— მეძინა რა, — უგემურად მიბასუხა.

— მე ცუდად მეძინა, სულ ის პატარა ბიჭი მესიზმრებოდა.

— სულელი ხარ, — ახლა პურს დაწვდა. მოკბეჩდა უშველებელ ლუკმას და დაუსრულებლად ღეჭავდა.

აქლემა მოვარდა, ხელი მტაცა და გვერდზე გამიყვანა. სახეზე ფერი არ ელო. თვალებს შიშით აცეცებდა.

— რა მოხდა? — ვკითხე შემკრთალმა.

— მილიციიდან მოვიდნენ: მორიგე და გამოძიებული, კიდევ მილიციის სამ-

მართველოს წარმომადგენელი, მაშინ მოლაპარაკებას რომ ესწრებოდა.

— მერე? — გული შემიქანდა.

— პარტუჯრედის მდივანთან ჩაიკეტნენ.

— რა გვინდაო, თუ იცი?

— ტლოყაშვილი კარგი სულისა არ უნდა იყოს. რაღაც ამბავია, იცოდე.

— ერთი შენც, — შევეცადე დამემშვიდებინა, თავად კი ავფორიაქდი.

საამქროს შემოსასვლელში დამლაგებელმა ქალმა შემორგო თავი, მიიხედ-მოიხედა და დაიძახა:

— ჯანდიერო, პარტუჯრედის მდივანთან გეძახიან!

— ხომ ვითხარი! — თქვა აქლემამ.

მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა: ათასი რამ წარმოვიდგინე.

პარტუჯრედის ოთახში ჩადუნელი მაგიდასთან იჯდა. დათა თეთრაძე ბოლოსასცემდა. დირექტორიც იქ იყო. მილიციის გუშინდელი მორიგე, გამომძიებელი და მილიციის სამმართველოს წარმომადგენელი მაგიდის გარშემო ისხდნენ და აბოლებდნენ.

— დაჯექი, — მითხრა დათამ და სკამზე მიმითითა.

სკამთან მივედი და გაეჩერდი. სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მე შემომცქეროდა.

— გუშინ მორიგეობდი? — მკითხა ჩადუნელმა.

— დიახ.

— ვინ იყო შენთან?

— აფციაური და რუხაძე.

— აფციაური რომელია?

— აფციაური ალექსი, თუჯსამსხმელოდან.

— აქლემა? — მკითხა დათამ.

— დიახ აქლემა. — გაღიმებას შევეცადე, მაგრამ არ გამომივიდა.

— აბა, მოგვიყვი, გუშინ რა შეგემთხვათ? — ისევე დათამ მკითხა.

— ამათ ყველაფერი იციან, — ვთქვი მე და მორიგესა და გამომძიებელზე ვანიშნე.

— შენგან მინდა გავიგო, მითხარი.

შევიშმუშნე, ფეხი მოვინაცვლე, არ ვიცოდი, როგორ დამეწყო.

— საჭირო არაა, — თქვა შილიციის სამმართველოს წარმომადგენელმა, — ეს მითხარი, ბიჭიკო, ადრე თუ იცნობდი ტლოყაშვილს?

— გუშინ პირველად ვნახე.

— შენი მეგობრები თუ იცნობენ.

— არა.

— დანამდვილებით იცი?

— დანამდვილებით.

— კიდევ ერთი შეკითხვა, — რბილად მომმართა, — მილიციიდან რომ გახვედით, ტლოყაშვილს ხომ არავინ დახვედრია ან ხომ არ იცი, საით წავიდა?

— ერთად წავედით.

— სად წახვედით?

— ტლოყაშვილმა გვთხოვა, ღვინოზე დამეპატიეთო.

— მერე?

— სამიკიტნოში ჩავედით. აი, იქ, მუხრანის ქუჩაზე რომ სამიკიტნოა.

— სამიკიტნოში ხომ არ შეხვედრია ვინმე?

— არა, მარტონი ვიყავით.

— მერე?

— ღვინო დაგვალეგინა და დაგვემშვიდობა.

სიჩუმე ჩამოვარდა. პაპიროსს აბოლებდნენ და დღუმდნენ. მერე იმ მილიციელმა, გამომძიებელს რომ მოჰყვა, თქვა:

— შესაძლოა, ის არც იყოს.

პასუხი არავინ გასცა.

ათას რამეს ვფიქრობდი, გული გამალებით მიცემდა.

— ტლოყაშვილი კაი სულის ადამიანი არაა, — გავიმეორე აქლემას სიტყვებში, — ფაქტია, — დავამატე ბოლოს.

თვალები დააჰყიტეს და ინტერესით შემომხედდეს.

— ასე რატომ ფიქრობ? — მკითხა გამომძიებელმა.

— ჯერ ერთი, უშველებელი ბეზუთი ჰქონდა, მერე ლაპარაკზე ეტყობოდა, რომ სულ სხვა კაცია.

— რა ეტყობოდა ლაპარაკზე? — ჩაეჩინა დათა.

— ის, რომ სხვა კაცია.

— როგორ თუ სხვა კაცი?!

შე მხრები ავიჩეჩე.

— თქვი!

— რა ვთქვა?

— რატომ ფიქრობ, რომ ტლოყაშვილი კაი სულისა არაა?

— სულაც არა ისეთი ბეჩავი და საწყალი, როგორც თავი მოგვაჩვენა. მატყუარა და გაიძვერა ვინმეა.

— ყური მიგდე, ბიჭოკო, — მითხრა მილიციის სამმართველოს წარმომადგენელმა, — კომკავშირელი ხარ, ხომ ასეა?

— დიახ.

— რა გქვია?

— ოთარი.

— ჩემო ოთარ, რაღა დაგიმალოთ: ერთ საშიშ დამნაშავეს დავეძებთ, ვიცოდით, რომ იმ დამნაშავეს ჩვენი თანამშრომლებსათვის ცნობილი ქალი უნდ. შეხვედროდა. ქალს ვუთვალთვალე და... ტლოყაშვილს შეხვდა. მათ მხოლოდ ორი სიტყვა გადაულაპარაკეს ერთმანეთს და დასცილდნენ. როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა, რომ ტლოყაშვილი დამნაშავე იყოს?

შე მხრები ავიჩეჩე.

— დამნაშავე, რომელმაც ლაგოდების რაიონში კოლმეურნეობის ძნები გადაწვა და საბჭოს თავმჯდომარე მძიმედ დაჭრა.

ხმა ვედარ ამოვიღე. რეტდასხმული ვიდექი და სიტყვა ვერ დამეძრა.

ტლოყაშვილს რომ ბოროტების ჩადენა შეეძლო, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ ეს ჩემთვის წარმოუდგენელი საშინელება იყო.

— შეგიძლია წახვიდე, — მითხრა დამ და თვითონვე გამიღო კარი...

თეთრაძეების აივანზე არავინ ჩანდა. ფანჯრები დაკეტილი და კარი ნახევრად დახურული იყო. ამ დროს ძია გიორგი ყოველთვის აივანზე ტრიალებდა ან გაზეთს კითხულობდა. დათა და ვახტანგი ჯვან მოდიოდნენ. ძია გიორგი უმეტესად მარტო იყო.

ძალიან მინდოდა ძია გიორგისთან სუბარა; რომ გეკითხათ რისთვისო, გეტყვი ვიპასუხებდით. ძალიან მცხელვდებოდა თავი ონკანს შევეუშვირე. მერე რამდენჯერმე ავუარ-ჩავუარე თეთრაძეების აივანს, ვიყოყმანე, ვიყოყმანე და, როგორც იქნა, კიბეზე ავედი, დერეფნის კარი ფრთხილად შევალე.

— რაო, ეშმაკის ფეხო, აქ საიდან გაჩნდი? — გამომხემაურა ოთახიდან ძია გიორგი.

— მოვედი.

— ვხედავ. დაჯექი, ახლავე გამოვალ.

ტახტზე ჩამოვჯექი, მივიხედ-მოვიხედე: ირგვლივ სასიამოვნო სიმყუდროვე იყო. ეზოში არავინ ჩანდა. სარდაფის პირას მარტო დამბლადაცემული არშაქა იჯდა პატარა სამფეხა სკამზე, ზურგი მზისათვის მიეშვირა, გამხმარი ხელები ძვლადქცეულ მუხლებზე დაეწყყო, თვლემდა. ნიავე არხვედა აკაციის კენწეროებს. ნიავე აქაც აღწევდა, თეთრაძეების აივანზე, მოსალბუნე, ჭუმი ნიავე. გულში კი ქარიშხალი ბობოქრობდა და განგავით მავსებდა.

ერთხელ ძია ვასომ თქვა, ცხოვრება უღრან ტყეაა ჰვავსო, შვლის ნუკრიცაა იქ და კბილებდალესილი აფთარიცო. ნუკრი, რომელსაც არასოდეს აფთარი არ უნახავს, პირველდანახვისთანავე შეიციანობს მტერს და გაერიდებაო, ამას ინსტინქტი ჰქვია, ადამიანებს კი ალლო აქვთო. ალლოსა და სიფხიზლის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია. ალბათ, ამის გამო იყო: ქუჩაში რომ მივდიოდი, უცნაური განცდა მქონდა: გვერდით მიმავალ ადამიანებს სახეში შევცქეროდი და ვინ იცის, რას აღარ ვფიქრობდი, — ზოგი კაცისმკვლელი მეგონა, ზოგი ჯაშუში, მავნებელი, ჯანდაბა და ოხრობა.

ძია გიორგი გამოვიდა:

— წვიმს თუ რა ამზავია, ასე რამ დავსველა, ბიჭო?

— ონკანს შევეუშვირე თავი, ცოტას გავკრილდები-მეთქი. როგორა ბრძანდებით, ძია გიორგი?

— არ ვაცივდე, აპა, შეიშმრალე. — პირსახოცი მომაწოდა.

— როგორ გიკითხოთ, ძია გიორგი?

— კარგად ვარ, ოთარ, — პირსახოცი ჩამომართვა და სკამზე გადაკიდა. — შენ როგორ ხარ? აი, მანდ, ტახტზე დაჯექი. კარგად ვარ-მეთქი, ვუპასუხე.

— ეჰ, ვბერდები. ცუდი ყოფილა სიბერე, — სკამი მიიჩოჩა, ჩამოჯდა. — ჰა, შენ რა აზრისა ხარ? — გაიღიმა.

— აბა, როგორ გითხრობ.

— ტანსაცმელზე ვატყობ, ჯერ შინ არ ასულხარ, მოშიებული იქნები.

— ქარხანაში ვისაუბმე.

— ნიგვზით შენელებულ ისპანახზე რას იტყვი? არ მოგერიდოს.

— გმადლობთ. ნუ შეწუხდებით.

— რას ამბობ, რა შეწუხება! ჩვენ ხომ ძველი ძმაკაცები ვართ, — ადგა და სამზარეულოსკენ წავიდა.

იშვიათი კერძის მომზადება იცოდა და განა მარტო კერძის მომზადება! ქალი ოჯახში არ ჰყავდათ, მაგრამ რომელ დიასახლისს არ შეეშურებოდა მათი ბინის სისუფთავე და წესრიგი. სამივენი ხელებდაკაპიწებულნი მუშაობდნენ. საწყალ მამაჩემს ვახტანგი და დათა ყოველთვის სამაგალითოდ ჰყავდა. ზამთარში სიცივე რომ იყო და ლოგინიდან წამოდგომა ჭირივით მეზარებოდა, თავზე დამადგებოდა, საბანს გადამაძრობდა და მეტყობდა: ადე, გაიხედე, ვახტანგმა და დათამ ერთი ურემი შეშა დახერხეს, დააპეს და დააწყვესო... სკოლაში წასვლამდე საოჯახო საქმეს მოათავებდნენ და სკოლის შემდეგ ქარხანაში დადიოდნენ. აი, ბიჭებიც ასეთი უნდა! საქალო საქმის გაკეთება კი არ მეთაკილებდა, მაგრამ რაც მართალია მართალია, ზარმაცი ვარ. ძალიანაც მომწონს, როცა გარშემო ყველაფერი წესრიგშია და დაკრიალებულდასუფთავებულია, მაგრამ იმას ვერ მივეჩვიე, ჩემს რამეებს თავისი ადგილი მივუჩინო. სულ ამაზე გვაქვს ჩხუბი. ჩემი ფესხაცმელები ხან აქა ყრია, ხან იქ; ერთი საწოლქვეშაა, მეორე — სამზარეულოში. წივნების ძებნაზე უფრო მეტ დროს ვკარგავ, ვიდრე კითხვაზე.

მერაბს ყოველთვის ყველაფერი თავის

ადგილზე აქვს. მერაბი გამარჯვება და მუბისყოფას ხომ ნულარ იტყვი, რკინის ნერვები აქვს. ამ მხრივ დათას ^{გაქვს} სჯობნის, არც ჩამოუვარდება.

აიგანზე პატარა, მრგვალი მაგიდა ედგათ თეთრადიქებს. ზაფხულობით იმ მაგიდაზე სადილობდნენ. ტახტთან მოაჩოჩა ძია გიორგიმ ის მაგიდა, ზედ თეთრი ქათქათა სუფრა გადაათარა და თეფშებზე და დანა-ჩანგალი დააწყო. ალბათ, თვითონაც მოშიებული იყო, რადგან ორი კაციისათვის გააწყო სუფრა. იქნებ იმიტომაც მოიქცა ასე, რომ თამამად შევეცეოდი საქმელს. ისპანახი მესიამოვნა, მეორედაც გადავიღე. ზედ სამი ჭიქა წითელი ღვინოც დავაყოლე.

— ასე სჯობია, — თქვა ძია გიორგიმ და პაპიროსს მოუკიდა, — ახლა ვიმასლაათოთ. — მაგიდა გვერდით გასწია და სავარძელში მოხერხებულად ჩაჯდა.

თუმცა სამად-სამი ჭიქა ღვინო შევსვი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მომეკიდა და ლაპარაკის ხასიათზე მომიყვანა. ვიმასლაათოთ? ვიმასლაათოთო და მეც მაშინვე ვკითხე: ძია გიორგი, ამ ქვეყანაზე ბოროტი ხალხი უფრო მეტია თუ კეთილი-მეთქი.

— ქვეყნად ბოროტი ხალხიცაა, მაგრამ კეთილს რა გამოლევის! აბა, მიხედვითობედე, განა გარშემო სულ კეთილი აღამიანები არ არიან? — მანაც მაშინვე მიპასუხა.

— განა არ ვიცი, — აღელვებით წამოვიძახე, — განა არ ვიცი, მაგრამ ისე მეჩვენება, თითქოს გარშემო მხოლოდ ქურდები და მავნებლები არიან.

სავარძლიდან წამოდგა და გვერდით მომიჯდა.

— საიდან დაგებადა ამისთანა აზრი? რა დროს შენი იჭვებია? აბა, შეხედევცხოვრება რა კარგი რამაა, შეხედე, რადიდებულ მომავალს აშენებს ხალხი. განა შეიძლება, ამ მომავლის მშენებელი ხალხი კეთილი არ იყოს! ეს როგორ მოგვიღია აზრად! საკვირველია.

— აი, გუშინ ერთი კაცი დავისხენით მილიციიდან, მერე სამიკიტნოში იმ კაცთან ერთად ღვინოც დავლიეთ. დღეს კო

გამოირკვა, სამშინო დამნაშავე ყოფილა...

— ეშმაკის ფეხო, ნამდვილი ამბავია თუ სიტყვის მასალად მოიტანე?

— არა გჯერათ?

— მჯერა, როგორ არა მჯერა, მაგრამ ის მაკვირვებს, სამიკიტნოში რომ დაგიწყია სიარული. ვერ მოგიწონებ, — საყვედურით შემომხედა. მერე ადგა და სწავარძელში გადაჯდა, — ნეტა ვიცოდე, თქვენი მდივანი რას აკეთებს. ალბათ ბეგრს ლაუბობს, კომკავშირელები კი სამიკიტნოში დაუდის.

— დათა არაფერ შუაშია.

— შუაშია და მერე როგორ! მაგ შენი ტვინის ქყლეტაშიაც ისაა შუაში, — გაჩუმდა, ერთხანს თვალგამტვრებული იჯდა, მერე დაფიქრებით თქვა, — ერთი უბედურება გვქირს, უკიდურესობაში ვიცით ხოლმე გადავარდნა. სიმინდის ყანაში შალაფა თუა გასამარგლი, მივადგებით და ბალახთან ერთად სიმინდსაც ვთხრით. მერე თავში შემოვიკრავთ ხოლმე ხელს, ეს რა გვიქნიაო.

დათა და ვახტანგი მოვიდნენ, ორივენი სანოვავით იყვნენ დატვირთულნი.

— სტუმარიც გვყოლია! რა ლხინი იქნება! — კარიდანვე დაიძახა ვახტანგმა.

— რას დღესასწაულობთ, არ იტყვიან? — იკითხა ძია გიორგიმ.

— ეჰე, მამაჩემო, მართლა დაბერდი, გულმავიწყობა დაგჩემდა.

— ვითომ დავბერდი? ჰა, ოთარ, შენ რას იტყვი, დავბერდი?

გავიცინე.

ისეთი ადამიანები, როგორიც ძია გიორგია, არასოდეს ბერდებიან. ცხოვრებას ახალგაზრდული თვალთ უყურებენ და ამიტომ მუდამ ახალგაზრდულადაც გამოიყურებიან. ლამაზი კაცი იყო ძია გიორგი — მაღალი, მხარბეჭიანი, წელგამოლილი, მარტო თმა კი არა, უღვაშიც გასთეთრებოდა. კეხიანი ცხვირი ვაჟაკურ იერს აძლევდა. პატარა, ჭროლა თვალები მუდამ ალერსიანად იმზირებოდნენ.

— ერთი ეს მაგინდა აქეთ გადმოდგი, — მითხრა ვახტანგმა.

მაგინდა გამოვწიე. ვახტანგმა და დათამ ქალღმერთი გახვეული სანოვავი მადედაზე დაალაგეს, მერე მიდგნენ მოდუნდა და სუფრა ხელახლა გააწყვეს. როცა ვახტანგმა ღვინოც გამოიტანა, სუფრას შემოვუსხედით.

ძია გიორგის დაბადების დღე ყოფილა, სამოცდახუთი წელი შესრულებია. არ მეგონა ამდენი ხნის თუ იყო, სულ არა ჰგავდა მოხუცს. ორი-სამი ჭიქა რომ დავლიეთ, დათამ გიტარა გამოიტანა და სიმღერა წამოიწყო. კარგი ხმა ჰქონდა. ძია გიორგიც მღეროდა, ვახტანგიც. მეც „ვმღეროდი“, ოღონდ ხმის ამოღებას ვერა ვებედავდი, მარტო პირს ვაღებდი. საზოგადოებაში ყოველთვის ასე ვმღერი ხოლმე, მარტო პირს ვაღებ და კილოს გუნებაში მივყვები. ეს ნაკლი სკოლიდან გამომყვა. სიმღერას დავიწყებდით თუ არა, ჩვენი სიმღერის მასწავლებელი ჩემვენ მობრუნდებოდა და გადმომძახებდა, ჯანდიერო, გაჩუმდიო. მეც გავჩუმდებოდი და გულში ვიმეორებდი: „აფრინდა ქორი აფრინდა არავგი ჩაინადირა, მცხეთას დაეცა დედალსა, ავჭაღას მტვერი აღინა“.

ისინი ღვინოს მოზრდილი ჭიქით სვამდნენ, მე პატარა ჭიქით ლიმონათგარეულ ღვინოს მასმევდნენ, მაგრამ მაინც დავთვერი. ძია გიორგიმ რაღაც ძველებური თბილისური შემოსძახა, მერე მე და დათამ ვიცეკვეთ. დათა მხარზე ხელს მიტყაბუნებდა და მკოცნიდა. როგორ იცვლება შეხედულება ადამიანებზე! ახლო გაიცნობ და თვალწინ სულ სხვა კაცი დაგიდგება. კაცის გაცნობას ცხრა ლიტრი მარილი უნდაო, სწორედაა ნათქვამი. ნამეტანი დოყლაპია ვარ — ვინც არ უნდა იყოს, პირველი გაცნობისას დიდი ვინმე მგონია, მოწიწებით ვექცევი და თვალის გასწორებას ვერ ვუბედავ. შეიძლება, დიდი ხნის ნაცნობიც იყოს, მაინც ასე მემართება. სანამ ცხრა ლიტრა მარილს არ შეეჭამ, ადამიანს ახლო ვერ გავიცნობ. მე ფიქრობ, არავიზე არ უნდა გქონდეს დიდი წარმოდგენა, ყველას უბრალოდ უნდა შეხედო და მაშინ ფინისავით არავის დაუწყებ კუდის ჭი-

ცინს. ხასიათის გამოცვლა იოლი როდია, მაგრამ მინც უნდა შეეცადო. ზოგიერთი ისე იფხორება, ძალაუნებურად მოწიწებით ექცევი. ადამიანები თვითონ იდებენ ფასს, გაკრიალდებიან და შენც ბრწყყვილა შუშა ბრილიანტი გგონია, მერე ახლო გაიცნობ, ათას სუსტ მხარეს მოუწახავ და, მხარზეც კი უპარტყუნებ ხელს, ელაზნანდარები კიდევ და ზოგჯერ კისერშიც წაუთაქებ. რამდენჯერ მქონია ამისთანა შემთხვევა, ვინ მოთვლის.

ვახტანგმა რომ ლიმონათი დამისხა, სხვა ჭიქაში გადავისხი და ღვინო გადავკარი. შექეიფებული ნამეტანი გულადი ვარ. დათამ დიდი ჭიქები შეავსო. მეც შემივსო დიდი ჭიქა, თუმცა შიგ ლიმონათიც გაურია. ხელმოვრედ შესვა ძია გიორგის სადღეგრძელო, დიდხანს კი ილაპარაკა. ასე, საგანგებოდ, კრებაზე ლაპარაკობენ ხოლმე.

— ოქმი ხომ არ შევადგინო? — ვთქვა მხიარულად.

დათამ გაკვირვებით შემომხედა.

— ოპო, შე ეშმაკის ფეხო! — გაიცინა ძია გიორგიმ.

— ადრე გახვედი პენსიაში, მამაჩემო, შენ ახლაც ბევრი რამის გაკეთება შეგიძლია, — ვახტანგი ფეხზე იდგა და ჭიქას ხელში ატრიალებდა.

12.

ჩარქიშვილი საწყობში ლუგვის არჩევას მოჰყვება ხოლმე: ადვილად დასამუშავებელს თავისთვის აწყობს, საძნელოს კი იქვე ტოვებს, ჩემზე სულელი წაიღებსო. რამდენჯერ შემინიშნავს, მაგრამ არაფერი მითქვამს, უფროსი კაცია და როგორ ვაკადრო-მეთქი. იმას კი შტერი ვგონივარ და ალბათ გულში კიდევაც დამცინის. მეც დამცინის და სხვებსაც, რადგან არავინ არაფერს ეუბნება. ასეთ რამეს რომ შევნიშნავ, მთლად მოვიშლები ხოლმე, უფრო ისა მკლავს, რომ ვერაფერს ვამბობ და ბოლმას გულში ვიტრიალებ. ამ რამდენიმე დღის წინათ მორიდებით ვუთხარი, არჩევა რო-

გორ შეიძლება, ხელში რაც მოგხვდება, ის უნდა წაიღო-მეთქი. შემომხედა გიორგინა და ალერსიანად მიტხრა: „შენ ნუ აარჩევ, შვილო, ხელში რაც მოგხვდება ის წაიღე“. რა უნდა მეთქვა? ჩარქიშვილის დაუნებული ლუგვები კალათში ჩაყარე და წამოვედი. ძია ვასოცა და ბიჭებიც მთელ დღეს ბუზღუნებდნენ, — ეს რა ლუგვებიაო. ჩემი უნდილობით სხვებიც წვალობენ!

საჭრისზეც ასეა. ზოგი საჭრისი მთელ საუკუნეს გეყოფა, ზოგი თოვლივით შემოგადნება ხელში. არჩევანში ჩარქიშვილს ვინ დაასწრებს, კარგს მაშინვე დაისაკუთრებს, ჩვენ მონარჩენით ვკმაყოფილდებით. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ამ საჭრისების გამო მთელი უბედურება დატრიალდა.

ცოტაოდენი სამუშაო იარალი საამქროს საკუქნაოში გვეწყო, დანარჩენი დიდ საწყობში ინახებოდა. ეს საწყობი ერთი უშველგებელი, ახუხლავებული ხის შენობა იყო. არავინ იცოდა, როდის ააშენეს. საფრთხობელას წააგავდა და ისე იყო დამბალ-გამოხრული, როდის წაიქცეოდა, არ ვიცოდით. ერთ ხანობას „გეთაყვა“ კიდევაც დალუქა, რადგან მისი ექსპლოატაცია სახიფათოდ მიიჩნია, მაგრამ ჩადუნელი ჩაერია და „გეთაყვას“ დადებული ლუქის ბეჭედი თავისი ხელით ჩამოგლიჯა. ერთი აყალ-მაყალი ატყდა. „გეთაყვა“ გაცეცხლდა. გაკვირვებულნი შევცქეროდით: არ ვიცოდით, ასეთი აფეთქება თუ შეეძლო.

— იქ ცხვირს რატომ ჰყოფთ, სადაც არაფერი გაგეგბათ! — უყვირა გააფთრებულმა „გეთაყვამ“. — გირჩევთ ახლავე დალუქოთ საწყობი.

— მომწყდით თავიდან! — უარესად უყვირა ჩადუნელმა.

დალუქვა ჩადუნელმა მინც არ დაანება და საწყობში ისევ ეწყო ინსტრუმენტები, სათადარიგო ნაწილები, ღვედები და ათასი რამ. მაგრამ ერთი მინც მოხდა, „გეთაყვას“ გამოცდილებისა მუშებს სჯეროდათ, — საწყობში შესვლას ერიდებოდნენ. იქ მხოლოდ საწყობის გამგე შედიოდა, ისიც იშვიათად. ინსტ-

რუმენტების და საჭირო მასალების მარაგი საამქროებს ერთდროულად ვაჭმონდათ და საკუჭნაოში ინახავდნენ.

იმ დღეს კი აი რა მოხდა:

ჩვენს საკუჭნაოში მაღალხარისხოვანი საჭირსები გამოილია. ალბათ, ეს საჭირსები ჩარექიშვილსაც გამოეღია, რაკი ცოტნესთან საიდუმლო ბჭობა გამართა. მერე ცოტნე სადღაც გაქრა. ათიოდე წუთის შემდეგ საშინელმა გრუხუნმა გააყრუა იქაურობა. ყველანი ეზოში გავცივიდით. საწყობის ვარშემო მტვრის კორიანტელი ტრიალებდა.

ძლიერი ქარი ქროდა და მტვერს სახეში გვაყრიდა. საამქროებიდან მუშები გამოვობდნენ. ხალხი ყვიროდა, ხმაურობდა. საწყობის სახურავის ცალი მხარე ჩანგრეულიყო. მრგვალი, გაუჩორკნავი ხის ნივნივები ჩხირბივით ეკიდა და ქარის შემოტევაზე უმწეოდ ქანაობდა.

ჩადუნელმა და „გეთაყვამ“ ბრბო გარღვიეს და საწყობის კარს მისცვიდნენ. კარს დიდი, ძველებური, დაჯანგული ბოქლომი ედო.

— მაღლობა ღმერთს! — შვებით დაიძახა „გეთაყვამ“.

ჩადუნელი დუმდა.

— მაღლობა ღმერთს, საწყობში არაფერ იყო, — თქვა ისევ „გეთაყვამ“.

ხალხი გაიჩინდა, დაწყნარდა, თითქომ ქარიშხალი ჩადგა და ზღვა დამშვიდდაო. საყვირმაც შეწყვიტა გულსაკლავი ღმუილი. ჩვენ ვიდექით და ჩადუნელსა და „გეთაყვას“ შევცქეროდით.

→ საწყობში აუარებელი მასალაა, — თქვა ჩადუნელმა.

— ახლა იქ შესვლა არ შეიძლება, — უპასუხა „გეთაყვამ“, — სახურავი ყველ წუთს შეიძლება ჩამოწვეს.

— ჩამქოლეთ, ხალხო, მომკალით, ხალხო! მომკალით მე უბედური! — აღრიოდდა ვიღაც. ყველამ იქით გავიხედეთ. ხალხმა გზა დაუთმო და კარისაკენ გაფიჭრებული ჩარექიშვილი წამოვიდა, სახეზე ხელები აფთარებინა და ბლაოდა.

— რა მოხდა? რას ღრიალებ? — მკრად იკითხა ჩადუნელმა.

ჩარექიშვილი შეჩერდა, ჩასისხლებული ბული თვალები ხალხს მოავლო და ისევ აღრიალდა.

— ცოტნე, შვილო, ცოტნე! — მერე ჩადუნელი და „გეთაყვა“ ხელისკვრით ჩამოიცილა და საწყობის კარს ეძგერა. მუცლით კარს მიეკრა, ფიცარზე მუშტები ააბრაახუნა. — ხმა გამე, შე უბედურო, ბიჭო! — ყვიროდა ჩარექიშვილი.

ჩადუნელმა შეხედა „გეთაყვას“ და მხრები აიჩეჩა. „გეთაყვამ“ ხელები გაასავსავეა.

— ცოტნე იქაა, — ათრთოლებული ხმით ვთქვი მე და თითი კარისკენ გავიშვირე.

— იქ საიდან გაჩნდა? — იკითხა გოცებულმა და შეშინებულმა „გეთაყვამ“.

— იქაა, — დაბეჯითებით ვთქვი მე, — იქნებ ცოცხალიც აღარაა.

— იქ საიდან მოხვდა? — ისევ იკითხა „გეთაყვამ“.

— უშველეთ რამე! — ვიყვირე ბოლოს.

საწყობის გამგე მოვარდა და კარი გახსნეს. ხალხი კარს მოაწყდა. „გეთაყვა“ კარში ჩადგა:

— შეჩერდით, ხალხო, შესვლა არ შეიძლება!

მისი ხმა ხალხის გუგუნმა და ქარის ზმუილმა გაიტაცა. ხალხი კვლავ კარისკენ მიიწვედა. გრუხუნის გაისმა და კარიდან კვამლივით გამოვარდა კორიანტელი.

— ისევ ჩაინგრა, ეს ოხერი! — თქვა ვიღაცამ.

ხალხმა უკან დაიხია. „გეთაყვა“ ისევ კარში იდგა, ფეხები გაეჩაჩხა და ორივე ხელით კარის ჩარჩოს ჩასტიდებოდა. დათა მივიდა, მკლავში ხელი ჩავლო და კარს მოაცილა.

— იქ აღამიანია, გესმის! — თქვა დათამ.

— თვითონ შევალ, გეთაყვა, მე თვითონ შევალ.

— მოიცადე, იჩეინერო! — ძია ვასო

წინ წამოდგა და ტუხაშვილს შეხედა. ძია ნიკო კარს მიუახლოვდა. დანარჩენი თავისთავად მოხდა. ძია ვასო, ტუხაშვილი, დათა და „გეთაყვა“ საწყობში თავად შევიდნენ. ჩადუნელი კართან დარჩა, ძლივს იგერიებდა მოზღვავებულ ხალხს.

წინა რიგში ვიდექი. ჩადუნელმა უკან დამწია, მაგრამ არც ისე ადვილი იყო ამდენი ხალხის შეკავება. ვცდილობდი ხალხი ზურგით შემეჩერებინა, მაგრამ სულ წინ და წინ მივიწვედი. ჩადუნელი ხან ერთს უტევდა და ხან მეორეს, თან თავს უსაშველოდ აცანცარებდა, ნერვიულობდა. იქნებ ამის გამოც ხალხს ჩვეული მორიდება დაეკარგა, არ ებუებოდა და კარს ასკდებოდა. ჩარექიშვილი კარის გვერდით კედელს აჰყუდებოდა, შემოიღწა ჰგავდა, თვალებს უაზროდ აცეცებდა და ხანგამომგებით თავში ხელს იცემდა. საწყობში ხმაური, ვიშივიში და შეძახილები გაისმა. ჩარექიშვილი ხარხარით ჯიქურ გამოქანდა და ისე დაეტაკა ჩადუნელს, რომ წააბარბაცა და საწყობში შევარდა. ჩადუნელი წუთით დაიბნა, ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ კარს მიესკდომოდით. საცობივით გავიჭედეთ კარში. მე წინა რიგში ვიყავი და ვცდილობდი როგორმე შიგნით შემეღწია. მოვახერხე კიდევ წამში ათიოდე კაცი კედლის იქით აღმოვჩნდით, მაგრამ ვახტანგი მოვიდა და ბიჭების დახმარებით ხალხი გარეთ გარეკა.

საწყობს მხოლოდ ორი ვიწრო სარკმელი ჰქონდა და შიგ სიბნელე იდგა, მაგრამ ის ადვილი, სადაც ძია ვასო, ტუხაშვილი, დათა, „გეთაყვა“ და ჩარექიშვილი ფუსფუსებდნენ, განათებული იყო ჩანგრეული სახურავიდან სინათლე ჩამოდიოდა. ლარტყულიდან აგლეჯილი კრამიტი ლაწა-ლუწით ცვიოდა საწყობში.

ძია ვასო, ტუხაშვილი, დათა, „გეთაყვა“ და ჩარექიშვილი ჩამოზავებულ ნივნივებს ქვეშ მოქცეულ ბიჭს წრედ შემორტყმოდნენ და, ასე მეგონა, მთელ საუკუნეს იდგნენ გაქვავებულივით, უმოძრაოდ, უმოქმედოდ. ნერვიულმა კანკალმა ამიტანა. ასე დამემართა მაშინაც,

სულთმობრძავი მამის სარეცელთან რომ ვიდექი.

— ვაი, ვაი, ვაი, შე უბედურად ჩემო თავო! — ავიშივიშა ჩარექიშვილი.

— გაიწი იქით! — შეუტია დათამ.

— ცოცხალია, — თქვა ძია ვასომ.

— მაგ ნივნივას წაავლე ხელი, ფრთხილად ასწი! — ეს ძია ნიკო იყო.

რაღაც ახმაურდა, ალაწუნდა, აგრუხუნდა, ბოძი გვერდით გადაიხარა და თავზე ჩამოიხნიქა. ლაწალუწით წამოვიდა დაბლა კრამიტები. დათა და „გეთაყვა“ გვერდით გახტნენ. ძია ვასო ბოძს ზურგით მიაწვა, ტუხაშვილი ძია ვასოს მიეშველა. ჩარექიშვილი ადგილიდან არ დაძრულა, ნივნივს ჩაბლაუჭებოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ზევით ეწეოდა, ქშინავდა. რამდენი ასწევდა მალა, იმდენი რაღაც დაიდჭრიალუბდა და ბოძი გვერდით იწვედა.

— გაჩერდი, შე ბედოვლათო, ზედ არ ჩამოგვანგრეო სახურავი, — დაუღრიალა ჩარექიშვილს ძია ნიკომ. თან მთელი ძალით ბოძის შეკავებას ცდილობდა. ძია ვასომ დაყვავებით უთხრა ჩარექიშვილს, ეგრე გეჭიროს, ნულარ ასწევო.

დათამ საიდანდაც გრძელი ფიცარი მოიტანა და თავხეს შეუყენა.

— შენ ეი, რომელი ხარ მანდ! მოდი, ეს ფიცარი დაიჭი! — დაიძახა დათამ.

ტყვიასავით გავვარდი და გვერდით ამოვუდექი.

— შენ აქ საიდან გაჩნდი? — გაბრაზდა დათა.

— შენ არ დამიძახე?

— რა ჭირმა შემოგათარია აქ!

— გაუშვი, დავიჭერ, — ვუთხარი მე.

„გეთაყვამ“ მეორე ფიცარი მონახა და რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ისიც თავხეს შეუყენა. იმ ფიცარს ძია ნიკო მიუდგა. ნანგრევებქვეშ მოყოლილი ცოტნე პირქვე იწვა, თავი გვერდით ჰქონდა შებრუნებული და ხელები წინ გაეშვირა, თითქოს რაღაცის მიწვდომას ცდილობს და ვერა სწვდებოდა. ტანი, თავი და ხელები თავისუფალი ჰქონდა, წელს ქვევით კი ნანგრევებში იყო ჩამალული. სახეზე ზაფრანის ფერი ედო, ცხვირიდან

სისხლი სდიოდა. სისხლი შედედებოდა და გამუქებოდა. ჩარექიშვილი ქვისგან გამოთლილ ქანდაკებასავით ადგა თავს და შეშლილივით დასჩერებოდა.

ძია ვასო, დათა და „გეთაყვა“ ისევ ცოტნეს გარშემო ტრიალებდნენ. ფრთხილად ეწეოდნენ ნივნივებს და მის გათავისუფლებას ცდილობდნენ.

თავხესა და ზედა ბოძს შორის შეყენებულ ფიცარს ორივე ხელით ჩავეჭიდე, ვგრძნობდი, როგორ ქანაობდა თავხე: ხან მარცხნივ გადაიწეოდა, ხან — მარჯვნივ. ნივნივები ჭრატუნობდნენ და კრამიტი წარა-მარა-ბანტასავით ცვიოდა; ხან დათას უკან იმსხვრეოდა, ხან ძია ვასოსა და „გეთაყვას“ ჩაუვლიდა გვერდით. ვიგრძენი, როგორ გამოიზნიქა ბოძი, თავზე ბოძს წამოჰყვა და ფიცარი, ხელში რომ მეჭირა, გაიღუნა. სიმწრის ოფლმა დამასხა. იატაკზე ფიცარს ძირი რომ არ ასხლტომოდა, ფეხი მივაჭირე და მთელი ძალით მივაწეე. ძია ნიკოს გაუხედე, მასაც ფიცრის ძირისთვის ფეხი მიედგა და ისიც მთელი ძალით აწეებოდა. სახეზე ფერი არ ედო, გაფითრებულიყო და ისეთი საშინელი შესახედი იყო, შიშის ზარი დამეცა. ახალა მივხვდი, ეს ამხელა შენობა ამ ორ ფიცარს ეჭირა.

ამას მხოლოდ მე და ძია ნიკო ვგრძნობდით. სხვები ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ. მინდოდა, მეყვირა, ყველასათვის გამეგებინებინა, რა უბედურება გველოდა, მაგრამ ძია ნიკო ტუჩმოკუმული აწეებოდა ფიცარს და მეც ტუჩები მოვკუმე.

როგორც იყო, გაათავისუფლეს ცოტნე, ფრთხილად აიყვანეს ხელში და კარისკენ წავიდნენ. ჩვენთვის არც შემოუხედავთ, თითქოს იქ არც ვყოფილიყავით.

— ოთარ, — დამიძახა ძია ნიკომ, როცა ცოტნე საწყობიდან გაიყვანეს, — ოთარ, უცბად შეეშვი ფიცარს და კარისკენ გაიქეცი, რაც შეგიძლია, სწრაფად გაიქეცი, — ძლივს ლაპარაკობდა, ქშინავდა, ალბათ მას უფრო მეტი ძალა ედ-

გა. მე არცთუ ისე მაწუხებდა ფიცარი, თუმცა მაგრად კი გაღუნულიყო
— ერთად გავიქეცით!

— გაიქეცი-მეთქი! — მიყვირა ძია ნიკომ.

— თქვენც გამოიქეცით.

— წადი, შე მამაძაღლო! — დაიღრიალა და მე მივხვდი, რომ ფიცრის შეკავება აღარ შეეძლო.

— ერთად გავიქეცთ, — ჭიუტად გავიმეორე.

— კარგი, — თქვა ძია ნიკომ და უცნაური ხმით მოჰყვა თვლას: — ერთი, ორი... სამი...

რაც ძალი და ღონე მქონდა მოვკურცხლე, კარს რომ მოვცილდი, უკან მოვიხედე. ძია ნიკო ისევ იქ იდგა. მერე ისიც გაიქცა, მაგრამ კარისკენ კი არა, მოპირდაპირე მიმართულეებით. რაღაც ძალამ ამიტაცა და რამდენიმე ნაბიჯზე გადამაგდო. საშინელმა გრუხუნმა გააყრუა იქაურობა. თვალი რომ გავახილე, ქარხნის ეზო კორიანტელს დაეფარა. მერე კორიანტელი ქარმა გაფანტა და ჩაზვავებული საწყობი დავინახე.

აქეთ-იქიდან მომცვივდნენ და ფეხზე წამომავყენეს.

— ხომ არაფერი იტყინე? — მკითხა ვილაცამ.

— ძია ნიკო მოჰყვა იქ, საწყობში, — დავიძახე მე.

— ძია ნიკო?

— ძია ნიკო იქაა, ნიკო ტუხაშვილი!

— ტუხაშვილი ნანგრევებში მოყოლილა!

— ჩქარა, ნიკო ყოფილა იქ!

— რომელი ნიკო?

— ჩქარა, ჩქარა! — აყვირდნენ აქეთ-იქიდან.

პირველი მაინც მე გავიქეცი, სხვები უკან მომყვნენ. საწყობის დანგრეულ შენობას შემოვუარე და უკანა მხრიდან, კედლებშორის დარჩენილ სივრცეში შევედი. ფეხდაფეხ მომდევდნენ სხვებიც. ნანგრევებზე ძლივს გავიკვლიეთ გზა. წელში მოღუნული ძია ნიკო კოჭლობით მოდიოდა.

— ძია ნიკო!

შეჩერდა და გაშიღისა, მხრებში ამო-
ვულექით და ეზოში გამოვიყვანეთ.

— ყოჩაღი ყოფილხარ, — მითხრა ძია
ნიკომ, — მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდ-
ვილი ვაჟკაცი ყოფილხარ, — უცბად
მუხლები მოეკვეთა და ჩაიჩოქა.

— ძია ნიკო, რა გემართებათ?!

ფეხზე ვეღარ დგებოდა. ფრთხილად
ავწიეთ და წითელ კუთხეში შევიყვანეთ.
ღვიანზე მივაწვინეთ. თვალები დახუჭა,
ღრმად და ხამუშ-ხამუშ სუნთქავდა.

13.

ძია ნიკო საავადმყოფოდან ერთ კვი-
რაში გამოეწერა და ისევ ძველებური
სიმკვირცხლით დატრიალდა ვახურე-
ბულ ბოვთან. ცოტნეს კი გაუმიზეზდა
მოტეხილობა, — მთელი თვე თაბაშირში
იწვა. ჩარექიშვილი თითქმის ყოველდღე
დადიოდა სანახავად. ორჯერ-სამჯერ მეც
ვიყავი ჩარექიშვილთან და მერაბთან ერ-
თად საავადმყოფოში და, მართალი გით-
ხრათ, ამ კაცის საქციელით გაოცებულა
დავრჩი. მამა შვილს არ მოელოლიაგება
ისე, როგორც ის ელოლიაგებოდა: სა-
ბანს უსწორებდა, ბუზებს უგერიებდა,
ტბილეულს და ხილს ძალად სჩრიდა
პირში. ცოტნეს ვეხუმრებოდი — აქე-
დან იმიტომ არ ეწერები, რომ ოსტატის
ძღვენი ვაგიტკბაო. ის იკრიჭებოდა და
ჩარექიშვილის პატივისცემას იფერებდა.
ქარხანაში ამბავი მოიტანეს — ოსტატმა
საკუთარი ხელფასის ნახევარი ცოტ-
ნეს უწილადაო, რაც ჩემს გარდა ყველას
უკვირდა. სასამართლოს რომ მიესაჯა ჩა-
რექიშვილისთვის ამ ფულის გადახდა,
ალბათ უმაღლეს ინსტანციამდე გაასაჩი-
ვრებდა, ახლა კი სინდისმა შეაწუხა.

ცოტნე რომ გამოჯანმრთელდა და ქა-
რხანაში დაბრუნდა, ერთი კვირის მერე
სასამართლო გაიმართა. პროცესი ქარხ-
ნის ეზოში მოეწყო და ყველა ვესწრე-
ბოდი. ამისთანა საკვირველი არაფერი
მინახავს, თითქოს გამოცვალესო, ყველა
სხვანაირი მეჩვენა. ახლა ნამდვილად
მჯერა, რომ ადამიანის გაცნობა თუ გინ-
და, სამსჯავროზე უნდა გაიყვანო და,

ღმერთმანი, მთელი მისი ბუნება ხელის-
გულზე გადაგეშლება.

მოსამართლეთათვის მაგიდას ^{საქონლის}
ნის საამქროს კედელთან დადგეს. ამ კე-
დელს ფანჯრები არა ჰქონდა და ზედ სა-
ხანძრო ინვენტარით გაწყობილი უშვე-
ლებელი დაფა ეკიდა. მაგიდას წითელი
ტილო გადააფარეს. ტილო აქა-იქ ამომ-
წვარი იყო და რომ დაეფარათ, ზედ კან-
ტორიდან გამოტანილი თიხის საყვავი-
ლე ქოთნები დაალაგეს.

ჩვენ ისედაც ფეხზე ვიდექით, მაგრამ
სასამართლო რომ გამოვიდა, ისინიც,
ვინც ძველ დაზგებსა თუ საყალიბო ყუ-
თებზე ისხდნენ, ფეხზე წამოდგნენ. ჩა-
დუნელი ისე ლაპარაკობდა, გეგონებო-
დათ ბრალმდებელიაო. ყველაფერი ამბ-
როსი სოხაძეს და „გეთაყვას“ გადააბ-
რალა, უფრო კი „გეთაყვას“. მე არავი-
თარი ლუქი არ ამიგლეჯიაო, მაგრამ ამ-
ისთანა სიცრუიდან რომ არა გამოვიდა
რა, ნათქვამი შეატრიალა, ისე გამოიყვა-
ნა, ვითომ „გეთაყვასთვის“ იმიტომ დაე-
შალოს საწყობის დალუქვა, რომ შიგ მა-
სალა და ინსტრუმენტები დარჩა. საწყო-
ბში თუ მასალა იქნებოდა, ფანჯრიდან
ვიდაც გადაძვრებოდა და უბედურება
დატრიალდებოდაო. ჰოდა, ასეც მოხ-
დაო, თქვა ჩადუნელმა. საწყობს ბოქ-
ლომი ედო, მაგრამ ბიჭი ფანჯრიდან მა-
ინც შეიპარა და აკი კინალამ დიღუპა
კიდევაცო. მე ღირექტორისგან საწყო-
ბის გათავისუფლებას და ახალი საწყო-
ბის აგებას მოვითხოვდიო.

— ახალი საწყობის მშენებლობისათ-
ვის თუ ზრუნავდით მაინც? — ჰკითხა
მოსამართლემ „გეთაყვას“.

„გეთაყვამ“ სოხაძეს შეხედა და მცი-
რე ყოყმანის შემდეგ უპასუხა:

— ჯერჯერობით ქარხანას საამისო სა-
ხსრები არ გააჩნდა.

— ღირექციას თუ მოსთხოვეთ, გამო-
ეძებნა მშენებლობისათვის საჭირო სახს-
რები? — ისევ შეეკითხა მოსამართლე.

— ღირექციას სახსრები არა ჰქონ-
და, — თქვა „გეთაყვამ“.

სოხაძემ ადგილიდან დაიძახა:

— კასრადე მოითხოვდა საწყობის მშე-

ნებლობის დაწყებამს, რამდენჯერმე დაა-
ყენა კიდეც ეს საკითხი.

— მართალია, რასაც ღირქეტიანი ამ
ბობს?

— სახსრების გამონახვა უფრო ჩემი
მოვალეობა იყო, — თქვა „გეთაყვამ“.

მე მომჩვენა, თითქოს იქ, მსჯავრდე-
ბულთა მაგიდასთან, სხვა „გეთაყვა“ იდ-
გა, — მისი თვალებიდან ნათელი და თბი-
ლი შუქი იფრქვეოდა.

პროკურორი რომ მივიძალა, ჩადუნელ-
მა ისევ უარი თქვა, ლუქი არ ამიგლე-
ჯიაო. გაოცებული შევცქეროდი, თით-
ქოს წინ სულ სხვა კაცი შედგა. ასეთი
ფერისცვალება თუ შეიძლებოდა, არ მე-
გონა. წინათ რომ თავს აქნევდა და თვა-
ლებს წამდაუწუმ აფახულებდა, მომ-
წონდა კიდეც, როგორც მომწონდა „კრა-
ზანას“ ნაჭრილობევი ლოყა და მოგრე-
ხილი მკლავი. ახლა სულმდაბლობის გა-
ნსახიერება იყო. თავის ვადასარჩენად
არაფერს ერიდებოდა. ჩარეკიშვილმაც
კი უთხრა — კაცი არა ყოფილხარო. თვი-
თონ ჩარეკიშვილი ძალიან სასაცილო
რამ იყო. ჯერა თქვა, ყველაფერში დამ-
ნაშავე მე ვარო, ბიჭი საწყობში რომ არ
შემეგზავნა, არაფერი არ მოხდებოდაო,
მერე ხალხს თვალი მოავლო და გულსა-
წყლად დაიძახა: — ღმერთი, რჯული,
არც ისეთი წუწურაქი ვარ, როგორიცა
გგონივართო. ასე თქვა: ხარბი კი არა,
შურიანი ვარო, გულზე ვსკდები ჩემზე
მეტს თუ ვინმე აკეთებსო.

— ახლა თუ მაინც მიხვდით თქვენს
შეცდომას? — შეეკითხა მოსამართლე
ჩარეკიშვილს.

— შეცდომას?! — გაიმეორა ჩარეკი-
შვილმა, თითქოს ვერ მიუხვდა კითხვას.

— დიახ, თუ მიხვდით, რომ ერთი ყვე-
ლასათვის უნდა იყოს და ყველა ერთი-
სათვის?

— მიხვდით, პატივცემულო მოსამარ-
თლევ, ნამდვილად მიხვდით, — თქვა ჩა-
რეკიშვილმა.

— სტყუი, ვერაფერსაც ვერ მიხვდით.
ისეთივე წუწუკი ხარ, როგორიც იყავი, —
გასძახა ჩარეკიშვილს ტუხაშვილმა და
ძია ვასოს გადახედა.

— კუზიანს რა გაასწორებს და, სპე-
რეო, — თქვა ძია ვასომ, — მაგასა პეო-
ნია, აქაო და ცოტნეს ორიოდ ვერც
მიუვადე, დარდიმანდის სახელი დამი-
ვარდაო.

ჩარეკიშვილი ვაშრა, საცოდავად შე-
იშმუშნა, მიხედ-მოიხედა და ხელები
გაასავსავა. მერე ისევ ძია ვასოს მიაჩე-
რდა, ტუჩები მოილოკა და რაღაც უცნა-
ური, მთრთოლვარე ხმით თქვა:

— მაგას რად ამბობ, ვასო, ან შენ
რად ამბობ მაგას, ნიკოჯან? განა მე
ბრმა ვარ, განა მკერდში ლოდი მიდევს,
იმისთანა ღრძო როგორა ვარ... მაშ, კა-
ცი არა ვყოფილვარ... მაშ... — ჩარეკი-
შვილი ტიროდა, თუმცა ცრემლი არა
სდიოდა და არც ცხვირსახოცი მიუფა-
რებია თვალებზე.

სასამართლო დამთავრდა. „გეთაყვას“
სასჯელის ადგილზე მოხდით ერთი წლით
იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს, ჩადუ-
ნელს — ექვსი თვით. ხალხი უქმაყოფი-
ლო დარჩა. მეც უქმაყოფილო ვიყავი.
„გეთაყვა“ რა შუაშია-მეთქი, მიკვირდა.
ასე ამბობდნენ, პასუხისმგებელი უსაფ-
რთხოების ტექნიკაზე ეგაა და ჯონიც მა-
გაზე გადატყვადო. განაჩენის გამოტანის
შემდეგ ხალხი მოსამართლეს გარს შე-
მოეხვია და... ეკამათებოდა.

— „გეთაყვა“ დამნაშავე არაა, — ამ-
ბობდნენ აქეთ-იქიდან.

— შეიძლება, — თქვა მოსამართლემ.

— შენც ასე მოიქცეოდი, — უთხრა
მას ჩარეკიშვილმა.

— ალბათ, — დათანხმდა მოსამართლე.

— მერე?! — გაოცდა ყველა.

— მეც ერთი წლით იძულებითს მო-
მწაჯიდნენ.

— ჩადუნელიც ცოდოა, — ჩაილაპა-
რაკა ვილაკამ.

— ექვსი თვე არაა ცოტა, — გამოეხ-
მაურა სხვა.

— ექვსი თვე არაფერია?! — გაიო-
ცა ძია ვასომ, — ჰმ. მართალია... თქვენ
ექვს თვესა ჩივით, მე — კაცსა.

ყველამ ძია ვასოს შეხედა. ის იდგა და
ცხვირზე ჩამოწეულ სათვალეს ზევიდან
მოგვიჩერებოდა.

საწყობის ზვარიის დროს გამოჩენილი გულადობისათვის ჯიბის საათით დამა-
ჯილდოვეს. ეს იყო ვერცხლისსახურა-
ვიანი, ძველებური დიდი საათი, რომელ-
საც დასაქოქად ვერცხლისავე უშველე-
ბელი დაღარული ღილი ჰქონდა. ღილს
თითს თუ დააჭერდი, სახურავი თავისით
აიხდებოდა, დახურავი სახურავს და,
იმისთანა ტკაცანს გაიღებდა, მეორედაც
მოგინდებოდა დახურვა, სანამ ვილაც არ
დაგცინებდა ან გულდასაწყვეტ რამეს
არ გეტყოდა. ზოგიერთს ამდაგვარი რამ
ჩვეულებად აქვს. ვითომდა ენამახვი-
ლობს, ხუმრობს, — ხასიათს კი ვიშხა-
მავს. ასეთ ხალხში საათს სათამაშოდ კი
არა, დროის გასაგებადაც ვერ ამოიღებ.
ქარხანაში საათს ვინ ამოგაღებინებდა, —
მამინვე ერთ ამბავს ატეხდნენ. სამაგიე-
როდ, შინ ვიჯერებდი ხოლმე გულს. დე-
და მხოლოდ იღიმებოდა, მაგრამ, აი,
ერთ დღეს თავზე წამომაღვა და მითხრა:

— შეილო, რა ბავშვივით ათამაშებ მაგ
საათს, არ მოგებურდა?
სულაც არ ვათამაშებდი. წამმზომის
ისარს დავეჭეროდი და უცნაურ რამეს
ვფიქრობდი. არ ვიცი, რას ფიქრობენ
სხვები, როდესაც წამმზომს დასცქერენ,
მე კი...

— დედა, ამ საათს რომ დავეჭერი, ასე
მგონია, აწმყო არ არსებობს—მეთქი.

— ნუ სულელობ, — გაჯავრდა დედა.

— ნამდვილად არ არსებობს, — გავი-
მეორე მე, — აბა, დახედე წამმზომს, წინ
მომავალია, უკან — წარსული. ისარი
მომავალში მიდის, წარსული კი უკან
რჩება, აწმყო სადღაა?

— საათის დიღხანს ცქერა არ შეიძ-
ლება, — თქვა დედამ, — შემთხვევა ყო-
ფილა, როცა საათზე ცქერით კაცი გავი-
ყებულა... შეინახე, შეილო, შეინახე, გე-
ნაცვალოს დედა.

მე მაშინ საათს იმიტომ დავჩერებო-
დი, რომ პაემანი მქონდა დანიშნული,
დრო კი კუს ნაბიჯით მიხიზავდა. ეს ჩე-
მი პირველი პაემანი იყო, და ის ვისთან-
აც პაემანი მქონდა დანიშნული — მე-
რი ვახლდათ.

შვიდ საათზე სიონის ეკლესიასთან

უნდა შევხვედროდი. ეს ადგილი იმიტომ
დავთქვით, გუშინ სწორედ იქ ვნახეთ
ერთმანეთი შემთხვევით და, რადგან ერთ-
ივესთვის პირველი პაემანი იყო, არც
გვიფიქრია, სხვა ადგილის არჩევა თუ
შეიძლებოდა.

ეს ასე მოხდა:

გუშინ დილიდანვე სიცხე დაიჭირა.
მერაბთან თითქმის შუადღემდე ვიმეცა-
დინე. მერე სასეირნოდ წავედი. მაჩაბ-
ლის ქუჩაზე კარგი ჩრდილი იცის და
კოჯრის ნიავი ქრის. დიღხანს დავდიოდი
წინ და უკან ბაზალტის ქვაფენილზე, სა-
ნამ ცა არ მოიქუშა და კოჯრის მხრიდან
გაზაფხულის შხაპუნა წვიმა არ წამოვი-
და. დილიდანვე მზე ისე იკბინებოდა,
უნდა გაავდრებულიყო და, აკი გაავდრ-
და კიდევ. თავქუდმოგლეჯილმა გადაე-
ჭერი მოედანი და კოოპერაციის ქუჩაზე
დავეშვი. სოლოლაკიდან წამოსული ნი-
აღვარი ფეხდაფეხ მომდევდა.

ვიდრე სიონის ეკლესიამდე მივალწვე-
დი, კარგა ლაზათიანად დავსველდი და...
წვიმამაც გადაიღო. მზემ გამოიხედა, ჰა-
ერში თითქოს ურიცხვი ნაპერწყალი
აკიაფდა, განათდა, გაბრწყინდა ზეცა და
ირგვლივ თბილისური შემოდგომის თავ-
ბრუდამხვევი სუნი დატრიალდა.

ზედ სიონის ეკლესიის შესასვლელთან
შევხვდით ერთმანეთს. მან კუთხიდან გა-
მოუხვია და პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა-
მუყაოს სანოტეს მოაქნევდა. მოდიოდა
და მოთამაშებდა: გაჰკრავდა ხოლმე
მუხლს და მალა შეაგდებდა სანოტეს.
ანლა მეორე მუხლს გაჰკრავდა და ისევ
მალა შეაგდებდა. თუმცა შორიდანვე
ვიცანი, გვერდით ისე ჩავუარე, ზედაც
არ შემინედავს, არც მას შემოუხედავს
ჩემთვის. ათიოდე ნაბიჯით რომ გავცდი.
მაშინდა გავიხედე უკან. იმანაც გამომ-
ხედა. ორივემ გავიცინეთ და ერთმანე-
თისაკენ წავედით.

— გამარჯობათ, ოთარ, სად დაიკარ-
გეთ, რომ აღარ ჩანხართ?

— გამარჯობათ, — მივესალმე და თა-
ვი ჩავლუნე.

— მე და მამა ხშირად გიგონებთ ხო-
ლმე.



„მამა არა ჰყავს და ცხოვრების ორომ-
ტრიალში თავისით მიიკვლევს გზას. დე-
დას არჩენს... ქარხანაში მუშაობს და კი-
დევატ სწავლობს“, — ასე წარმოვიდგი-
ნე მათი ლაპარაკი და, თუმცა კარგის მე-
ტი აქ არა იყო რა, არ მომეწონა ასეთი
საუბარი. არ ვიცი, რა არ მომეწონა, მაგ-
რამ ცუდ გუნებაზე კი დაგდექი.

— ჩემზე რას ლაპარაკობთ? — ვკით-
ხე.

მერიმ გაიცინა.
— კეთილ მეგობრებს კეთილად ვიგო-
ნებთ ხოლმე.

ისევ ჩავლუნე თავი, მერე ძლივს წა-
მოვილულულე:

— მე სადაური მეგობარი ვარ!
— მამას ძალიან მოეწონეთ.
— მხოლოდ ერთხელ მნახა.
— მამაჩემი ოლონდ ერთხელ გაესა-
უბროს კაცს და საკმარისია, უკვე იც-
ნობს.

— თქვენც ხომ არა გაქვთ ეგ თვისე-
ბა? — ძლივს გავხსენი შუბლი.

— აბა, როგორ გეგონათ! — ისევ გაი-
ცინა მან, თავით ფეხებამდე ჩამათვალი-
ერა და მკაცრად მითხრა: — თავი ვერ-
სად შეაფარეთ, მთლად გალუმპულხართ!
— წვიმდა, — ვთქვი მე.
— მართლა!

ორივემ გავიცინეთ.
— წამოდით ჩვენთან, უცებ გაგიშ-
რობთ პერანგს, — შემომთავაზა მერიმ.
ყურებამდე გავწითლდი.

— მზეზედაც კარგად გაშრება.
— გაგოთოვბდით კიდევ.
— ვიცი, რომ საოჯახო საქმე გეხერ-
ხებათ.

თვალეები ეშმაკურად შეათამაშა, მე-
რე უცებ მკითხა:

— „სპარტაკში“ „დაფლეთილი იალქ-
ნები“ ვადის, ნახეთ? ამერიკული ფილ-
მია.

— არა.
— გინდათ ვნახოთ?
— ახლა?! — თვალეები გამიბრწყინ-
და.

— ასე კინოში ვინ შეგიშვებთ!

— უკვე გაშრა.
— მაინც არ შეიძლება.
— წავიდეთ! — მუდარით წამოვიდა
ხე მე.

— დღეს არ შემიძლია.
მოვილუმე.

— დღეს მე და მამა მივდივართ მამი-
დის სანახავად. ავადაა. აუცილებლად
უნდა წავიდე, შევბირდი.

— მაშინ ხვალ, კარგი?

— კარგი. აქ შევხვდეთ შვიდ საათზე,
მხოლოდ არ დაავიანო.

მან ხელი გამომიწოდა.

— ნახვამდის.
— ნახვამდის.

სანოტე მხარზე გადაიკიდა და ისე გა-
იქცა, თითქოს ასკინკილას თამაშობსო.

გულში აუწერელი სიხარული დატრი-
აღდა. დატრიალდა და შიგ რომ ვერ და-
ეტია, გარეთ გადმოიქცა. მოედო ქუჩას,
სახლებს, მთებს, ზეცას და გააბრწყინა
ისინი, გააცოცხლა, აახშიანა.

მოწმენდილი ცა ლურჯად ლივლი-
ვებდა. შხაპუნა წვიმით გაბანილი ხეე-
ბი წყალში დასველებული ჩიტებივით
ფრთხილებდნენ და ცვარს იცილებდ-
ნენ, ხოლო ფოთლებით დაბურთულ ტო-
ტებში შემალული ჩიტები ჟღერტულით
იკლებდნენ იქაურობას. წვიმით გაგრი-
ლებული ბაზალტის ქვის ოღრო-ჩოღრო
ტროტუარიც კი სიხარულს აორთქლებ-
და და ამ სიხარულით სუნთქავდა ძველი
ქარვასლის ჩაყამებული კედლები. ბორ-
გავდა, ხმაურობდა, ვნიასობდა ბამბის
რიგის ვიწრო, დაკვლანჩხული და ბნელი
ქუჩები. ირგვლივ ყურწამლები ჟრიამუ-
ლი იღვა.

მივაბიჯებდი ოკრობოკრო ქვაფენილ-
ზე და თითქოს ჭოგრიტით ვუმხერდი
თვალწინ გადაშლილ სურათს, ისე ახლო
მოსულიყო სამყარო. კედლის ძირას მიმ-
ჯდარი თეთრწვერა ბერიკაცო ხის გობში
ჩალაგებულ კიტრის მწნილს ისე ნაზად
უსვამდა მყავე წვეწმში დასველებულ ოხ-
რაბუშის კონას, გეგონებოდათ, ეალერ-
სებაო. ოხშივარი ასდიოდა თაბახზე და-
ხვავებულ მოხარულ წაბლს. თეთრად

ელავდა ფიფქვით გადაშლილი ბატი-
ბუტი.

დასლებს იქით ჩამწკრივებული მეწვ-
რილმანები, დაბლები, ჭონები, სიარაჯები
და ხარაზები ხელების ტრიალით აწონე-
ბდნენ მუშტარს საქონელს. ფუსფუსებ-
დნენ, ჩალიჩობდნენ...

ხიდიდან მეთევზეს წყალში ბადე გა-
დაეგდო. ვაჭერდი და იმ ადგილს დავა-
ჩერდი, სადაც ბადე ჩამალულიყო. მე-
თევზე ბადის ამოღებას არ ჩქარობდა. მე
გული გამალებით მიცემდა. „ამოჰყვება
თუ არა... ამოჰყვება თუ არა?“ მეთევ-
ზემ შემომხედა და გამიღიმა. მერე ბადე
ამოწია. ბადე ცარიელი იყო. მეთევზემ
რალაცა წაბურტყუნა, ბადე ისევ წყა-
ლში გადააგდო და უკმაყოფილოდ გად-
მომხედა. „თარსი ფეხი მქონია“, — გა-
ვიფიქრე და იქაურობას გავეცალე.

14.

შვიდის ნახევარზე სიონის ეკლესიის
კარი უკვე დაკეტილი იყო; მათხოვრები
კარისკაცებივით აყუდებულიყვნენ კი-
ბის ორთავ მხარეს.

ცივი ქარი ქროდა. რვის ნახევარზე
ისე ჩამობნელდა, რომ მერის მოსვლის
იმედი სულ დავკარგე. ქარი უფრო და
უფრო ძლიერდებოდა. ქუჩა თითქმის
დაცარიელდა. ქარვასლის რკინის კარ-
თან კურტინიანი მუშები ფუსფუსებდ-
ნენ. ისინი ტროტუარზე გაწყობილი
შტაბელებიდან უშველებელ ფუთებს
ეზიდებოდნენ ქარვასლის საწყობებში.
მერე შტაბელი დაიღია და ვიღაც კაცმა
საწყობის რკინის კარს კლიტე დაადო.

მერი არ მოვიდა. ასეთი ბედი მაქვს.
ას, რაც ძალიან მინდა, არასოდეს არ ამ-
ისრულდება. ახლა, როდესაც საბოლოო-
დ დავრწმუნდი, რომ აღარ მოვიდოდა,
სიმშვიდე დამეუფლა. ვის უნდა ეგ ფე-
თიანი გოგო-მეთქი, — ვფიქრობდი. „მე
თუ მკითხავთ, ასეთ მეტიჩარასთან ერ-
თად კინოში წასვლა სულაც არ უნდა გე-
პიტნავებოდეს კაცს. გაწიბლება არ მიყ-
ვარს თორემ, გულზე დიდად არ მახატია
ეგ თქვენი მერი“.

სიონის ეკლესიის კიბის თავზე გიჯე-
ქი და მუხლებზე იდაყვდაყრდნობის
სახე თითებში მქონდა ჩამალულიყმერე
საათი ამოვიღე და ბინდბუნდში გავარ-
ჩიე — მეათე დაწყებულიყო. სახურავი
ტკაცანით დავხურე და საათი ყურთან
მივიტანე. თანაბარმა და მშვიდმა ტიკტი-
ქმა კიდევ უფრო დამაწყნარა. ერთი კა-
რავი ჩვეულება დამჩნედა — გულზე რომ
შემომეყრება, ამ გულყრის მიზეზზე შე-
მიძლია სულაც არ ვიფიქრო. მერზე
ყოველ წუთს შემეძლო შემეწყვიტა ფი-
ქრი, სულ ამომეგდო გონებიდან და სულ
სხვა რამეზე, მაგალითად, საათის წამ-
მზომზე მეფიქრა.

ფეხზე წამოვდექი და წელში გასწო-
რებას რომ ვაპირებდი, ვიღაცამ გვერდი
გამკრა, კინაღამ კიბეზე დავგორდი. სამ-
ხედრო ფორმა ეცვა და ხელში რალაც
შეხვეული ეჭირა. სწრაფი ნაბიჯით მი-
დიოდა. თუმცა საკმაოდ ბნელოდა, კარ-
გად ვარჩევდი მის კრიალა ჩექმებს, ხა-
კის ხალათს, ფართო ქაშარს. ახლაც არ
ვიცი, დაჯანების დროს შევეხდე თუ არა
სახეში. ეს კია, მის ზურგს რომ მივჩე-
რებოდი, ვიცოდი ტლოყაშვილი იყო. ნა-
მდვილად ის იყო, თუმცა არც მეშის უყ-
ულო მესტები ეცვა და არც თუშური
ქუდი ეხურა.

ტლოყაშვილმა რიყისკენ გაუხვია,
ჩვენი ქარხნის მიმართულებით წავიდა.
მთავარ შესასვლელს გაუარა და მესერს
გაჰყვა. მერე შეჩერდა. წუმწუმა გაჰკრა.
ისევ გაჰკრა წუმწუმა, — ქარი ცეცხლს
აქრობდა. უცებ შეტრიალდა, ქუჩა გა-
დაჭრა და მოპირდაპირე ტროტუარზე
სააფიშე ბოძთან დადგა. მე ტელეგრა-
ფის ბოძს ვიყავი მოფარებული. ბოძი
ქარხნის მესრამდე იდგა, მეპაპიროსის
ჯისურის გვერდით. აქედან სააფიშე ბო-
ძამდე ორმოციოდე ნაბიჯი იქნებოდა.
მთელი საუკუნე გავიდა დაძაბულ ლო-
დინში. გარშემო ჩამიჩუმი არ ისმოდა,
მხოლოდ ქარი წიოდა და ტელეგრაფის
მავთულები ზუოდნენ. დანამდვილებით
არც ვიცოდი, ტლოყაშვილი ისევ იქ იდ-
გა თუ არა. გაფართოებული თვალებით
მივჩერებოდი სიბნელეში ოდნავ გამო-

სახულ სააფიშე ბოძის სილუეტს. ქარხნის მხრიდან რალაც ხმაური მოისმა. მესერთან ფიცარმა დაიჭრაჭუნა, მერე ის ფიცარი გვერდით გაიწია და ღრიჭოდან ჭერ კაცის თავი გამოჩნდა, მერე მხარი. ვილაც გამოძვრა ღრიჭოდან. წელში რომ გასწორდა, ვაკვირვებისაგან პირი დავალე — ქიტესა! ქიტესამ მიიხედ-მოიხედა, მერე მესერთან მივიდა და ფიცარი თავის ადგილზე დააყენა, მოპირდაპირე ტროტუარზე ვადავიდა. სააფიშე ბოძისკენ წავიდა და ისიც, როგორც ტლოყაშვილი, იმ ბოძს მოეფარა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკან გამობრუნდა. ხელში რალაც ეჭირა. აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს უკან მისდევნო. მესერთან მივიდა და გაუჩინარდა.

ქიტესას გამოჩენამ დამაბნია, მაგრამ გამაბნევა კიდეც. ტლოყაშვილი ახლა ისე საშიშად აღარ მეჩვენებოდა. ისიც კი ვიფიქრე, წინ გადავუდგები და გავაჩერებ-მეთქი, მაგრამ იმის მაგივრად, რომ უკან დაბრუნებულიყო, პირდაპირ წავიდა. იქით ვიწრო, ბნელი და ოღროჩოღრო ქუჩები იყო. მესმოდა ნალაკრული ჩექმების ბაკა-ბუკი და, შორს, საღდაც, მბუჭტავი ელნათურის ბინდბუნდში სწრაფი ნაბიჯით მიმავალი ტლოყაშვილის ფეხურასაც ვხედავდი. „ცოტაც და გაუჩინარდება, მერე ეშმაკიც ვეღარ მონახავს“. გული წყლიდან ამოვარდნილი თევზივით ფართხალებდა, საფეთქლებში თითქოს უროეშს მირტყამდნენ. საფარს მოცილდი და ფეხაკრავით ვადავედი ქუჩის იქითა მხარეს. ცოტა გავიარე და ვიწრო ჩასახვევით მეორე ქუჩაზე გავუხვეე. მერე ისევ პირველ ქუჩაზე გამოვედი. ყველაფერ ამას, ჩემდა უნებურად; რალაც შინაგანი ძალის კარნახით ვაკეთებდი. რომ გეკითხათ, რას ვაპირებდი, ვერაფერს გიპასუხებდით. პირველ ქუჩაზე ვავედი და ტლოყაშვილს პირისპირ შევეჯახე.

— ფუ ეშმაკს!—დაიფრუტუნა ტლოყაშვილმა და გვერდზე გადავა.

— გაჩერდი! — დავუყვირე მე.

ტლოყაშვილმა ვაკვირვებით შებრა-ხელა.

— გაჩერდი-მეთქი! — ისევ დაუწყობარე და დევივით კაცს მკერდზე შევასკდი: მან ხელი მოიქნია და კედელს მიმახეთქა.

— კარგად გამტყვარალხარ, ძმობილო, — მშვიდად მითხრა მან.

— მე მთვრალი არა ვარ.

— არ დამეხსნები! — დანა გახსნა და კლდესავით აღიმართა ჩემს წინ.

— შენი ბებუთის ვის ეშინია, ვის ეშინია შენი ბებუთის, ვის ეშინია! — აგღრიალდი და კალისავით მივახტი. ერთ ხელზე თბილი, ძალიან თბილი რალაც ვიგრძენი. ნელ-ნელა ჩამოდიოდა და სულ ქვევით-ქვევით მიეონავდა. ხელი მოვისვი მკლავზე, მერე ფერდზე. მერე თითი ცხვირთან მივიტანე და ძალაგამოცილილი ჩავიკეცე. სისხლისაგან ვიცლებოდი. ტლოყაშვილის ნალდაკრული ჩექმების აჩქარებული ბაკი-ბუკილა მესმოდა.

— მთვრალი ხარ, შვილო? — ვილაცა თავშალიანი დედაკაცი დამცქეროდა.

— დაჭრილი ვარ, — ძლივს ამოვიღე ხმა.

— უი, მომიკვდეს თავი!—აწრიალდა.

ეზოდან ხალხი გამოვიდა. ფრთხილად ამწივს და ეზოში შემიყვანეს. სინათლე აინთო. გარშემო მოფუსფუსე ხალხს ვუმხერდი და სულ უფრო და უფრო მეცლებოდა ღონე. ვილაც თმაგაბურძენულმა ნამძინარევმა ქალმა პერანგი გამხადა, ჭრილობა მომბანა, შემიხვია და თქვა:

— ძალი კოჭლობით არ მოკვდება.

— მე კი გული გამიხეთქე და... — თქვა თავშალიანმა.

— უბრალოდაა ვაკაწრული, — ხელი ჩაიქნია თმაგაბურძენულმა.

— საშიში არაა? — ვიკითხე ხმის კანკალით.

— ასე თუ გეშინოდა, შინ უნდა გდებულოყავი. რას დაწრიალებ ქუჩა-ქუჩა ამ შუალამისას!

მე ხმა არ ვავეცი.

— ჯა, ასე მეწვეს აქა? — შეშფოთდა ტანტის პატრონი.

— დილაზე საავადმყოფოში გავაგზავნით, — თქვა ვილაცამ.

წამოვიწიე და თვალეზი დავაჭყიტე.

— ვინ ვიწყალობა? — შემეკითხა შახალათიანი ბიჭი და ეშვებივით კბილები გამოაჩინა.

— იყო ერთი, — ვთქვი აგდებულად.

— ძან კი გადარჩენილხარ!

— გოგო იქნება მიზეზი, — დარწმუნებით თქვა მეორე ბიჭმა.

— წყალი! — ამოვიკენესე.

რამდენიმე ბიჭი ერთად გაიქცა წყლის მოსატანად. წყალი რომ მოგსვია, ცოტათი სული მოვიტყვი და წამოვიწიე კიდევ:

— უნდა წავიდე!

— როგორ შეიძლება! — გაიოცეს აქეთ-იქიდან.

საავადმყოფოს გახსენება გულს მიხეობდა.

— უნდა წავიდე! — გავიმეორე ჰითუტად და ფეხზე წამოვდექი. მოხუცი დედაკაცი და სხვებიც აღერსიანად შემოპყრობდნენ. მალეობა გადავუხადე და წამოვდედი.

— ფრთხილად იარე, შვილო, — ლოცვასავით გამომაყოლა დედაბერმა. ბიჭებმა ანთებული შხერით გამომაცილეს. მათთვის დიდი ვინმე ვიყავი. დაჭრილ მკლავზე ხელს ვიცაცუნებდი. „ბევრი სისხლი კი დავკარგე, — ვამბობდი ჩემთვის, — ის დანა ოდნავ გვერდზე რომ მომხვედროდა, იქნებ ახლა ცოცხალიც აღარ ვყოფილიყავი“. დედა გამახსენდა. შემეცოდა დედა და ტირილი მომინდა. ფეხს ავუჩქარე. მკლავი მიინცდამაინც არ მაწუნებდა, ოდნავ მეწვოდა მხოლოდ. მერე მერი გამახსენდა: „ალბათ იტირებდა ჩემს დასაფლავებაზე“, — გავიფიქრე და გული დამწყდა, რომ დანა შიგ გულში არ მომხვდა.

ღამის სამი საათი იყო, შინ რომ მივედი. მთელი ეზო აფორიაქებული დამხვდა: ერთი სჯა-ბასი გაემართათ ჩემი დაკარგვის თაობაზე. გამოეჩნდი თუ არა, ყოყინა დასცეს.

დედას ავძახე, ახლავე ამოვალ-მეთქი და თეთრაძეების აივანზე ავედით. სამივე თეთრაძე ჩემი დაკარგვით შეშფოთებული დამხვდა.

— ცუდად დაიწყე დამოუკიდებელი ცხოვრება, — გაბრაზებით თქვა ვახტანგმა.

— ეს რაა, ბიჭო! — გასისხლიანებულ პერანგზე მეცა დათა.

— დამჭრეს!

— დაგჭრეს! სად?! — სამივე გაოცებული მათვალეობდა.

— ტლოყაშვილმა დამჭრა.

— გაგიღო?

— ტლოყაშვილმა დამჭრა ბებუთით, — გავიმეორე და შევეცადე, დალაგებით ვადამეცა ის, რაც თავს ვადამხვდა. რასაკვირველია, მერისთან დანიშნულ პეიშანზე არაფერი მითქვამს. ეგ კი არა, ისიც კი არ მითქვამს, სიონის ეკლესიის კიბეზე რომ ვიჯექი, ისე, ვაკვრით ვახსენე, სიონის ქუჩაზე შევეფეთე ტლოყაშვილს-მეთქი. დანარჩენი თითქმის ისე მოვყევი, როგორც სინამდვილეში იყო.

— ქიტესა! — იყვირა დათამ, — მე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა.

— დასკვნის გამოტანა ჯერ ადრეა, — მშვიდად თქვა ძია გიორგიმ.

— ორგანიზებული ბანდაა!

— მოიცა! — ძია გიორგიმ შეაჩერა დათა.

— ტლოყაშვილმა გიციო? — მკითხა ვახტანგმა.

— ვერა, ვილაც მთვრალი ვეგონე.

— არც ქიტესას დაუნახიხარ? — ისევე შემეკითხა ვახტანგი.

— არა.

— ახლავე უნდა წავიდეთ, — გადაჭრით თქვა დათამ.

— მოიცადე, — ისევე შეაჩერა ძია გიორგიმ.

— რაღაც მოხდება! — ლელავდა დათა, — შენ უნდა წამოხვიდე! — მიუბრუნდა ის ვახტანგს. — შენც წამოდი, დაჭრილი კი ხარ, მაგრამ უნდა წამოხვიდე! კარგი იყო, რამდენიმე ბიჭი კიდევ გვენახა...

— მერაბს ღვიძავს, ალბათ ცოტნესაც ღვიძავს, — ვუთხარი მე.

— ჰა, პერანგი გამოიცვალე, — ვახტანგმა თავისი პერანგი გადმომიგდო. დათა გასისხლიანებული პერანგის ვახტანგში მესხარებოდა.

— თქვენ ახლა არსად არ წახვალთ, — თქვა ძია გიორგიმ მშვიდად.

— მამა! — დაიძახა ვახტანგმა.

— აჩქარებით საქმეს მთლად გააფუქვებთ, ახლა იქ მისვლა სისულელეა, — ძია გიორგი ბოლთას სცემდა, მერე ჩემთან შეჩერდა, — მაშ უბრალოდაა გაფხაჭნილი? — შემეკითხა.

— დიახ, ასე თქვა იმ ქალმა.

— წადი, დაიძინე, დედა ისედაც შეწუხებულია.

მე დათას შევხედე.

— წადი, დაიძინე, — მითხრა დათამაც, — იცოლო, ამ ამბავზე კრინტი არ უნდა დაძრა...

ლოგინში ჩავწექი, მაგრამ ძილი არ მომეკარა. აფორიაქებული ვიყავი, ვბორავდი და ვთრთოდი. ტლოყაშვილთან შეხვედრით გამოწვეული მღელვარება ახლა ისე შედებოდა, როგორც მოტენილობით გამოწვეული ტკივილი, რომელსაც მაშინვე ვერ გრძნობ და შემდეგ უფრო და უფრო მწვავე ხდება...

იმ დამეს არ მძინებია. ირაყრაჟა თუ არა, ლოგინიდან წამოვვარდი, ჰაიპარად ვისაუზნე და ქარხანაში წავედი. საამქროებში დილის ზანტი სიწყნარე იდგა. დაზვებს ჯერ ისევე ეძინათ, მხოლოდ სამსხმელო გუგუნებდა, ისიც ისე, გეგონებოდათ, ძილში ხვრინავსო. ეზოში რამდენიმე მუშა ფუსფუსებდა. ისინი საყალიბო მიწას ეზიდებოდნენ. სამსხმელოში მზიდავები შეცვლილიყვნენ, მუშაობას ახალი ბრიგადა შესდგამოდა. ქიტესა წასულიყო.

ძია ვასო ჩვეულებრივ სხვებზე აღრე მოვიდა.

— ხეზე გეძინა, ბიჭო! — დამიძახა კარიდანვე.

— გამარჯობა, ძია ვასო!

— უძილობა ხომ არ დაგჩემდა? შეყვარებული ხარ? — კარადისაკენ წავიდა,

სადაც ტყავის წინსაფარს ინახავდა წილმე. მთელ ქარხანაში ტყავის წინსაფარი მარტო მას ჰქონდა და ძალიან ცუდ მართხილდებოდა. ყოველ სადამოს, მუშაობის დამთავრებისას, ბუკითად წმენდდა, გულდასმით კეცავდა და ინახავდა. — ჰა, შეყვარებული ხომ არა ხარ? — წინსაფარი გამოიღო და წამოვიდა.

კრავივით დაგდევი უკან, კარამდე მივეყვი და, ახლა უკან რომ წამოვიდა, ფეხდაფეხ გამოვყევი.

— ძია ვასო, აი ნახეთ, — ვუთხარი და პერანგის სახელო ავიწიე, ბანდლახვეული მკლავი გამოვაჩინე.

— ეგ რა არის, ბიჭო?! — აღელდა ძია ვასო.

— იქით წავიდეთ, ყველაფერს გეტყვი, — თუმცა საამქროში ჩვენს მეტი არავინ იყო, მოშორებით გავიყვანე და წუხანდელი ამბავი დაწვრილებით ვუამბე. ისიც კი არ დამიშალავს, მერისთან პაემანი რომ მქონდა დაინიშნული; არც ის, შიშით თავგზააბნეული ტლოყაშვილის ბეჭუთზე თვითონვე რომ წამოვეგე.

— არა, ეგ შიში არაა, პირიქით, ყოჩაღი ყოფილხარ, არც მეგონა ასეთი თუ იყავი, — თავზე ხელი დამადო, მერე დაამატა, — ეგაა, აღამიანს გმირად რომ გახდის ხოლმე.

მუშები თანდათან მოგროვდნენ. საყვირიც აბლავდა და საქმეს ისე შევუდექით, ძია ვასოსთან ლაპარაკი ვერ მოვთავსე. დათამ რამდენჯერმე ჩაიარა და ზედაც არ შემოუხედავს, როგორც სხვებს მიესალმა, ისევე მომესალმა მეც. ვახტანგიც რამდენჯერმე იყო ძია ვასოსთან და ისიც ჩვეულებრივ მოვიდა და წავიდა.

ძია ვასო ახლა პარტუჯრედის მდივანი იყო და პარტიულ საქმეებს დაზვასთან წყვეტდა. ჩადუნელი, რაც იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს, ყველა თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ჩარექიშვილის ბრიგადაში ზეინკლად დანიშნეს. ჩარექიშვილსაც დაუდოსტდა და ცოტნესაც. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ბოლოს და ბოლოს „გეთაყვაც“ ამ ბრიგადაში აღმოჩნდა. ისინი გვერდით-

გვერდ მუშაობდნენ და ერთმანეთს როგორც კატა და ძაღლი, ისე შესცქეროდნენ. „გეთაყვა“ ბეჭითობდა, ისე იქცეოდა, თითქოს მისი მდგომარეობა გაუზიარებეს ბუღალერს. სადმე რამე უწყობას რომ შენიშნავდა, ძველებურად აბუზღუნდებოდა და სანამ არ გამოასწორებდნენ, თავისი ემართებოდა. სამსხმელოში ხშირად დადიოდა, ძია ნიკოს ათას რჩევას აძლევდა. ახალ შეკვეთას რომ მივიღებდით, რთული ნახაზების გარჩევაში გვეხმარებოდა.

ჩაღუნელიც გამოიცვალა, კაცის ასე გამოცვლა სად გავიწყობოდა, მიკვობოდა. ასეთი რამ მარტო ზღაპარში გავიწყობოდა: ერთი კაცი იყო და იმის მომრევე არავინ გამოჩნდა. მთელი ძალა ერთ ღერ თმაში ჰქონდა თურმე. ის თმა ამოჰკლიჯეს და დევით კაცი ფალასივით მოღუნდა... გარეგნულადაც შეიცვალა ჩაღუნელი, აჩაჩულ-დაჩაჩული დადიოდა. რაღაც წვრილმანზე აბუზღუნდებოდა და რაკი ხედავდა, მისი აღარავის ეშინოდა, მწარედ იკბინებოდა. ახლაც, მოვიდა თუ არა, ღრენა დაიწყო, ქლიბი ვიღაცამ მომპარო. ჯერ უმისამართოდ დუღუნებდა, მერე „გეთაყვას“ მოსდგა, ჩემი ქლიბი შენ გადამაღე სადღაცაო. „გეთაყვა“ ყურადღებას არ აქცევდა, ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდა და...

— მოწყალეო ხელმწიფევე, მე თქვენ ქლიბთან რა ხელი მაქვს! — თქვა „გეთაყვამ“.

ცოტნემ ხმამაღლა გადაიხარხარა.

— რატომ იციანი, გეთაყვა, განა მე მქონდა მაგის ქლიბი?

ჩარქეიშვილი შუბლშეკრული შრომობდა, ხმას არ იღებდა. დროგამოშვებით ხან ჩაღუნელს გახედავდა უკმაყოფილოდ, ხან—„გეთაყვას“ და ისევ თავჩაღუნული განაგრძობდა მუშაობას. ჩაღუნელი ბუზღუნს არ ათავებდა. ძია ვასოს თავისი ქლიბი აიღო და ჩაღუნელი-სკენ წავიდა. ის იყო ამ ქლიბის მიცემას აპირებდა, რომ ჩაღუნელის დაზგის ქვეშ რაღაც შენიშნა.

— ეს ვისია? — ძია ვასომ ფეხით გამოათრია დაზგის ქვეშიდან ქლიბი.

— სად იყო? — გავცდა ჩაღუნელი. ძია ვასომ ქლიბი აიღო და ჩაღუნელს მიაწოდა.

— აღარაფრად აღარ ვარგა, — თქვა ჩაღუნელმა.

— აჰა, აი, მეორე, ასეთი ქლიბი საამქროში არაა, — ძია ვასომ თავისი ჩაღუნელის დაზგაზე დადო და წავიდა.

როგორც იქნა, დამთავრდა სამუშაოდღე. გასავლელ ჯიხურთან დათა დამხვდა.

— სად მიდიხარ? — კაკვირვებულმა მკითხა.

— შინ, — ვუპასუხე წყენით.

— დაბრუნდი და მუშაობა განაგრძე, ვასოს არ მოსცილდე, — მითხრა მან, — გასაგებია?

— გასაგებია, — ვთქვი და სირბილით წამოვედი უკან.

ძია ვასოსთან ამბროსი სოხაძე და ვახტანგ თეთრაძე მოვიდნენ, თან ტრაქტორცენტრის ორი წარმომადგენელი მოიყვანეს. საყალიბოდან და სამსხმელოდან ორივე ცვლის მუშები შეკრიბეს და აქვე, ძია ვასოს დაზგასთან, თათბირი გაიმართა.

ტრაქტორცენტრის წარმომადგენლებმა ხისგან გამოთლილი მოდელები დააწვეს.

— სასწრაფო დავალებაა, — თქვა სოხაძემ, — სასწრაფო და ძალიან პასუხსაგები.

— ამ მოდელებიდან ათ-ათი ყალიბი უნდა დამზადდეს, მერე ჩამოსხმას შევუდგებით. განსაკუთრებული სიბეჭითე და ყურადღებაა საჭირო.

— კიდევაც უნდა გაიჩარხოს? — იკითხა ჩარქეიშვილმა.

— უნდა გაიჩარხოს.

— ძნელი არ არის, — თქვა ჩარქეიშვილმა, — ოღონდ სხმული იყოს ხარისხიანი.

— სხმულზე ტუხაშვილი იზრუნებს. რას იტყვი, ნიკო?

ძია ნიკომ მხრები აიჩეჩა.

კიდევ დიდხანს ითათბირეს. დასასრულს სოხაძემ ძია ვასოს უთხრა:

— შენი ბრიგადით ჩამომსხმელებს მივხმარე, ცოტანი არიან, გაუჭირდებათ.

— ჩვენც მივეხმარებით, — თქვა ჩარეკიშვილმა.

— როგორც გინდა, — დათანხმდა სოხაძე, მერე დაამატა, — მიხმარება შვს სამუშაოზე დასჭირდებათ.

— არც ჩვენა გვაქვს თეთრი ხელები, — თქვა ჩარეკიშვილმა.

თითქმის ყველანი დავრჩით. მარტო ჩაღუნელი წავიდა. საბოლოოდ კი არაფერი უთქვამს, არაფერი მოუმიზეზებია. აიკრა გულანაბადი და წავიდა.

ქიტესას ჩემს დაზვასთან შევეფეთე, იდგა და რაღაცას ლიღინებდა. უცნაური გრძობა მქონდა, ასე მეგონა, ქიტესა კი არა, ქიტესად გადაქცეული ეშმაკია-მეთქი. კანი ამებურძგლა. ის კი იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. სულ ეკალს მაყრიდა და მაქრუოლებდა. „აღარ წავა, ეს ოხერი“, — ვფიქრობდი და მილაგ-მოლაგებას ვაჭიანურებდი. მერაბი მოვიდა. მაშინდა ამოვისუნთქე თავისუფლად.

ქიტესას სათუთუნე ამოედო და თუთუნს ახვევდა.

— ახალია? — ჰკითხა მერაბმა. მართლაც ახალი სათუთუნე ჰქონდა. წინათ შინააქსოვი ქისით ატარებდა თუთუნს. მერაბმა სათუთუნე გამოართვა და სინჯვა დაუწყო. მსხლის ხისაგან გამოთლილი კოლოფი იყო. შიგ მთელი ფუთი თუთუნის ჩავიდოდა.

— წავიდეთ? — მკითხა მერაბმა.

— წავიდეთ, — ვუბასუხე მე. ზეთიან ჩვარზე ხელები გავიწმინდე, მერე ჩვარი შევინახე და მერაბს გავყევი. ქიტესა უკან გამოგვყვა.

— სად იმუშავებთ? — გვკითხა მან.

— სადაც დაგვაყენებენ.

როგორც იყო, გავცილდი. მერაბს ხელი გადავხვიე. გაკვირვებით შემომხედა. ასე მხარზე ხელგადახვეული მივყვებოდი. დათამ თქვა, მერაბი ამ საქმეში არ გამოდგებაო, მეც ვთქვი — არ გამოდგება-მეთქი. რატომ ვთქვი?! მაშინ დარწმუნებული ვიყავი. ახლა? ახლა მინდოდა მერაბისთვის გამენდო ჩვენი ექვი,

მაგრამ... არც ქიტესაზე ვუთხარი რამე/ და არც მკლავი ვაჩვენე.

მეყალიბე თედოს მიგვამაგრეს. ყალიბე ყუთებს ვწმენდდით, საყალიბო მიწას ვეზიდებოდით და ბეკვენაში ვეხმარებოდით. ტრაქტორცენტრის წარმომადგენლები თავს დაგვტრიალებდნენ, გვაქებდნენ. დრო სწრაფად და შეუმჩნევლად მიდიოდა. დამე მუშაობა კარგია, თავი გაბრუნებული გაქვს და ვერც კი ამჩნევ, როგორ გადის დრო. დამე ადამიანები უფრო ჩუმად მუშაობენ, ვიდრე დღისით და მათაც იღუმალების ელფერი ადევთ.

— ცოტნეს შეხედე, რა სასაცილოა! — თქვა მერაბმა.

ცოტნე საყალიბო ყუთში მიწას ასწორებდა. სილით მოთამაშე ბავშვს ჰგავდა. მართლაც სასაცილო იყო, რადგან ბუტბუტებდა და ბუტბუტს ხელებსაც აყოლებდა. გეგონებოდათ, ვინმეს ეკამათებოთ.

— ყველანი სასაცილონი ვართ, როცა საკუთარ თავთან მარტონი ვრჩებით, — თქვა თედომ.

— ამდენ ხალხში მარტო როგორ არი? — გაიცინა მერაბმა.

— კაცი შეიძლება ათასეულის მწყობრში იდგე და მაინც მარტო იყო, — თედო მოდელს სწმენდდა და დაფიქრებული ლაპარაკობდა. ის თვითონ იყო ასეთი, გულჩაეკტილი და უკარება, ნამდვილი ბაიყუში. ლაპარაკი არ უყვარდა. ხალხს ერიდებოდა.

— აბა, ქიტესას შეხედეთ, განა სასაცილო არაა, — გვითხრა მან.

ქიტესას ხსენებამ შემაკრთო. სასწრაფოდ გავიხედე იქით, სადაც ის მეგულებოდა, მერე ისევ თედოს შევხედე. ასე მეგონა, თედომ რაღაც იცის და გადაკრულად მელაპარაკება-მეთქი. ქიტესა მართლაც სასაცილოდ გამოიყურებოდა, ამწის ჩარჩოს მიჰყუდებოდა, ცალ ხელში სათუთუნე კოლოფი და თუთუნის გასახვევი ქაღალდი ეჭირა, მეორე ხელით კოლოფიდან თუთუნს იღებდა და იმის მაგივრად, რომ ქაღალდზე დაეყარა, ამწის ჩამჩაში ყრიდა.

— მაშ სულელი არ არის?! — გაიცინა

თედომ და ხელი ჩაიქნია, ვითომდა ეს ჩვენი ქიტესა მთლად ხელიდან წასულაო.

— მიწა მოიტანე, — უთხრა თედომ მერაბს. მერაბი ქიტესას გასცქეროდა. მიწა მე მოვიტანე და საყალიბე ყუთის გვერდით დავყარე. თედო ყუთში მოდელს ამავრებდა. მერაბი ისევ ქიტესას მისჩერებოდა. მეც ქიტესას გავცქეროდი, თან ყალიბში მიწას ვყრიდი.

ქიტესა უცბად შეკრთა, უკან მიიხედა. ძია ნიკო საკუჭნაოდან გამოსულიყო და მისკენ მოდიოდა. ქიტესამ თუთუნნი ჩამჩას დააბლერტა და კოლოფი პაიპარად ჯიბეში ჩაიღო.

ძია ნიკო ბოვთან მივიდა, საჭვრეტელიდან თუჯი შეათვალიერა და ქიტესას უთხრა:

— ჯერ იყოს, როცა ჩაყრის დრო დადგება, თვითონ გეტყვი.

ქიტესამ ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო და სიგარეტის შეხვევას შეუდგა.

ძია ნიკო ისევ საკუჭნაოსკენ წავიდა.

— აი „ფოქსნიკი“, — თქვა მერაბმა, — კოლოფი ერთ ჯიბეში ჩაიღო და მეორედან ამოიღო.

მერაბი ქიტესასთან მივიდა, ჩამჩას დახედა.

— შაშხავ?

— რა?! — გაიოცა ქიტესამ.

— შაშხავ-მეთქი ამ ჯართს, მარილს რომ აყრი.

— გაგიჟდი, რა მარილს?

— რა ვიცი, მარილს კი აყრი და.

— ხომ არ ვადაირიე, რა მარილს ვაყრი!

— აბა რა ვიცი, ვნახოთ, რა მარილია, — მერაბი ჩამჩაზე დაიხარა.

— მომცილდი თუ ძმა ხარ, შენ გუნებაზე არა ვარ!

— რამ გაგიფუჭა გუნება?

— აბა, რა იქნება, დღედაღამე ამ ოხერ ქარხანაში თუ ეგდე.

— არ მოგწონს?

— დავიღალე.

— ჰოო, — მერაბი ისევ დაიხარა და ჩამჩაში ჯართს სინჯვა დაუწყო.

— გამეცალე, — თქვა ქიტესამ, — უნდა ჩავყარო.

— მოიცადეო, ხომ გითხრავს? — ლმა?

— გამეცალე-მეთქი!

— ხელი გააჩერე!

— გამეცალე, უნდა ჩავყარო!

— დაიცა!

— შენ ვინ გკითხავს? გიჟია, ეს ოხერი!

— ძია ნიკო! — დაიძახა მერაბმა.

— დამეხსნები თუ არა! — ქიტესამ მერაბი ხელისკვრით მოიცილა და ამწის ჩამრაზი ჩართო. თითქოს ჩიტს კატა ეპარებო, მძიმე-მძიმედ აცურდა მიმმართველზე ჩამჩა. ქიტესა გაფითრებული იდგა და ჩამრავს ხელს არ უშვებდა.

— გააჩერე! — იყვირა მერაბმა და მკლავში ჩაეჭიდა.

ქიტესას ჩამრავის სახელური ჩაებლუჯა და მერაბს ისე შესცქეროდა, გეგონებოდათ, ხახადლებული აფთარი უდგას წინო. მერაბმა ქიტესა დაითრია და ჩამრავი ვადმოწია. ჩამჩა საკერძესთან შეჩერდა. ახლა ქიტესა დაეჭიდა მერაბს. მე მერაბის საშველად გავიქეცი. ორი ნაბიჯიც არა მქონდა ვადაღმული, რომ ქიტესამ ჯიბიდან დანა ამოიღო, გახსნა და ის იყო მოიქნია კიდევ, რომ თითქოს მიწიდან ამოძვარო, ტრაქტორცენტრის წარმომადგენელი გაჩნდა მასთან, მკლავი ვადაუგრახა და დანა ხელიდან გაავლებინა. მალე მეორე წარმომადგენელიც მოვიდა. ჩამჩა დაბლა დაუშვეს, გაგვაფრთხილეს, ხელი არ ახლოთო და ქიტესა საამქროდან გაიყვანეს.

მთელი ქარხნის მუშები ბოვთან შეგროვდნენ. არავინ იცოდა, რა მოხდა. მერაბს ეკითხებოდნენ, რაზე წაიკიდენითო. მერაბი ხმას არ იღებდა.

მცირე ხნის შემდეგ ტრაქტორცენტრის წარმომადგენლები უკანვე მობრუნდნენ. ჩამჩიდან ჯართის ნაჭრები სათითაოდ ამოალაგეს და მიწაზე დაწყობილ ფურცლებზე ასევე სათითაოდ დაბლერტეს. მერე ჩამჩიდანაც ამოხვეტეს რაღაც ფხვნილი, ისიც ქალაღზე დაყარეს და საგულდაგულოდ შეახვიეს. ამან

რომ მოჩინენ, სამსხმელო სამაქრო ძი-
რითძირობამდე მოათვალიერეს, ყველა-
ფერი გაჩხრიკეს და კოქისის საწყობში,
დამტვრეული ყალიბ-ყუთის ქვეშიდან,
ისეთივე ფხვნილით სავსე თუნუქის პა-
ტარა კოლოფი გამოათრის.

ტრაქტორცენტრის წარმომადგენლები
წავიდნენ და სამაქროში ერთი ყაყანი და
მითქმა-მოთქმა ატყდა. ათას რამეს ვარა-
ულობდნენ, ვინ რას ამბობდა და ვინ
რას. მერე ისევ მერაბს მიადგნენ, მერაბ-
მა თქვა: ჩვენ დავინახეთ, როგორ ჩაყარა
ქიტესამ ჩამჩაში ფხვნილიო.

ენას ნუ ატარტარებ-მეთქი, შევუტიე
მერაბს. აქეთ-იქიდან მეცნენ:

— შენ რა, ჩვენიც აღარ გვენდობი!

— საჭირო არაა, — ვთქვი მე.

— ჯანდიერი და ვირსალაძე დირექ-
ტორთან! — დაიძახა ამ დროს ვილაცამ.
მერაბს ვანიშნე წავიდეთ-მეთქი. ფერ-
წასული იდგა და თვალგაშტერებით შე-
მომცქეროდა, თითქოს ვერ მხედავდა.
მივედი და მკლავში წავავლე ხელი-
თრთოდა. მკლავის კუნთი უთრთოდა და
თვითონაც თრთოდა. დერეფანში რომ
გავედი, სახელო ავიწიე და შეხვეული
მკლავი ვაჩვენე.

— შეხედე! ტლოყაშვილმა დამჭრა
წუხელ.

— ვინა?!

— ტლოყაშვილმა. იმიტომ დავიგ-
ვიანე.

მერაბი გოაცეხული მომჩერებოდა.

— ქიტესა ტლოყაშვილის ძმაკაცია.
ტლოყაშვილმა მისცა ეს ფხვნილი, წუ-
ხელ გადასცა. ჩემი თვალით ვნახე. იქ-
ნებ, სხვაც იყო, დინამიტი ან სხვა ამგვა-
რი რამ, ქარხნის ასაფეთქებლად?

მერაბი შეჩერდა. ალბათ ფიქრობდა,
ეს ბიჭი ხომ არ გაგიჟდაო.

— მართლა, განა ვხუმრობ!

სოსაძის კაბინეტში გარდა ტრაქტორ-
ცენტრის იმ ორი წარმომადგენლისა,
სხვებიც იყვნენ — ძია ვასო, დათა, ვახ-
ტანგი.

— შენ ცოტა ხანს გარეთ მოიციადე, —
უთხრა მერაბს ტრაქტორცენტრის წარ-
მომადგენელმა, მაღალმა და სათვალთან-

მა, რომელმაც ქიტესას დანა გაადგებ-
ნა. პატარა ტანის იყო, სუსტი. სხვას რომ
ეთქვა, არც დავიჯერებდი, ის თუ ქიტე-
სას მოერეოდა.

— ნამდვილად ტლოყაშვილი იყო?
ხომ არ გეშლება? — შემეკითხა სათვა-
ლიანი.

— ნამდვილად! — ვთქვი დარწმუნე-
ბით.

— მესერიდან რომ გამოძვრა, ისიც
ნამდვილად ქიტესა იყო?

— დიახ.

— იქნებ, სხვა იყო ვინმე?

— არა, — გავიმეორე მტკიცედ.

— სიბნელეში როგორ იცანი?

— ქიტესას ყოველთვის ვიცნობ, —
ვთქვი მე, — ეგეც არ იყოს, დანაც ზომ
ისეთია? ტლოყაშვილსაც ასეთი დანა
აქვს, ზუსტად ასეთი.

სათვალთანმა მაგიდიდან ქიტესას და-
ნა აიღო და ხელში შეათამაშა. დაკეცა,
მერე ისევ გახსნა და ისევ დაკეცა.

— დანით კაცის ცნობა არ შეიძლე-
ბა, — გაიცინა მან.

— ნამდვილად ქიტესა იყო, — წყე-
ნით წამოვიძახე;

— კარგი, — დამიყვავა სათვალთან-
მა, — მე მჯერა შენი. მერე ისევ შემეკი-
თხა: — ვირსალაძემ თუ იცოდა შენი
წუხანდელი თავგადასავალი, თუნდაც
ის, ქიტესა რომ ტლოყაშვილს შეხვდა?
— არ იცოდა.

— სულ არაფერი იცოდა?

— არ იცოდა, — ვთქვი და ყურებამ-
დე გავწითლდი. ჯერ დათას შევხედე;
მერე ვახტანგს, მერე ისევ სათვალთანს,
თავი ჩავლუნე და წავილულულდე: —
მერაბს ახლა ვუთხარი.

— როდის ახლა?

— ახლა, აქ რომ მოვდიოდიო.

— შემოვიდეს ვირსალაძე, — თქვა
სათვალთანმა.

მერაბს შუბლი შეეკრა, ისე გვიბდვე-
რდა, გეგონებოდათ, ჩვენ ყველანი მო-
სისხლე მტრები ვყოფილიყავით.

სათვალთანმა მერაბს მხარზე ხელი მო-
ხვია და შეაქო, ყოჩაღი ბიჭი ყოფილ-
ხარო...

სამაქროში მუშები ისევ ქიტესაზე ლაპარაკობდნენ. ყველა შემფოთებული იყო. ათას რამეს ამბობდნენ: ზოგი ძიანიკოს უსაყვედურებდა, შენ გვერდით მუშაობდა და როგორ ვერ მიხვდი, რა შვილიცა ბრძანდებოდაო. ბოლოს ისეთი ხმაც დაირხა, თითქოს ქიტესას ეთქვას, ეს ფხენილი ტუხაშვილმა მომცა და დამიბარა, ჯართში გაურიეო. ეს უკვე გვიან ღამით გავიგეთ, რომ ტრაქტორცენტრის წარმომადგენლები წავიდნენ და ქიტესაც წაიყვანეს. ქარხანაში მხოლოდ ამ ამბავზე ლაპარაკობდნენ.

მეორე დღეს ძიანიკო ქარხანაში არ მოსულა.

15.

იმ წელში დასაწყისი უცებ დადგა. წინა დღით ღრუბლიანი და თბილი ამინდი იყო. ღამით კი იმდენი ითოვა, რომ დღით სასურავეებზე მტკაველი თოვლი იდო. აკაციებს სიმძიმისაგან ტოტები დაეხარათ. გათეთრებული მიდამო თვალისმომკრელად ელვარებდა. ქუჩებში რცხილით დატვირთული ურმები მიჭრიალებდნენ. დაკონკილ ფარაჯებში გახვეული მხერხავები ჭირისუფლებივით მისდევდნენ ტატით მიმავალ ურმებს. ნავთის დუქანთან თუნუქის ბიდონების გრძელი რიგი იდგა. კედელთან ატუზული, პალტოს საყელოში ცხვირჩაყოფილი ადამიანები ბაკუნით ითბობდნენ გათოვილ ფეხებს. საკვამურებიდან თხელი, ცისფერი კვამლი ზევით-ზევით მიიწვედა და ნისლივით იფანტებოდა. სკოლისაკენ მიმავალი გოგო-ბიჭები ყიყინით დასდევდნენ ერთმანეთს, თოვლში იჯანგლებოდნენ და ჩანთებს მალა ისროდნენ. მათ გზაზე გადათელილ თოვლს იისფერი ლაქები აჩნდა. მელანი სისხლივით იღვრებოდა გზაზე.

მე და მერაბი ფიოლეტოვის ქუჩაზე მივდიოდით. ჩვენც ჩანთები ამოგვეიღო და გული გვეფანცქალებდა. თუმცა ახლა, ჩემი სკოლის გზაზე თოვლში მიმავალს, სულ სხვა ფიქრები მიტრიალებდა. აქ ყველაფერი მტკივნეულად

ნაცნობი იყო, ნაცნობი და მტკიცე წასული. მთელი საუკუნე მაცდობდა აქაურობას, ამ ქუჩას და იმ დღეებშიცა მეც ჩანთას ვისროდი და ქუჩის ქრამულს ყიყინით ვაძლევდი ბანს. უცხოც იყო და ახლობელიც აქაურობა. სადღაც შიგნით, გულის სიღრმეში ჩაბუდებული უსიამო გრძობა კი ხან მიიფერვლებოდა, ხან ვაღვივებოდა და, როცა ვაღვივებოდა, ელდასავით მეცემოდა.

აღრეც ვედავებოდი ძია ვასოს და ამ დავაში მისივე სიტყვებს ვიშველებდი. ტუხაშვილი დარიშხანი არააო, ბრახით მომძახებდა ხოლმე, მერე ოხვრით დაამატებდა — ცის ნამივით კაციოაო. ჩვენში რომ ვთქვათ, ტუხაშვილის დანაშაულში არც მე ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ ფაქტს სად გაეჭიკვირო? როგორ შეიძლება ქიტესას საქმე ტუხაშვილს არა სკოდნოდა-მეთქი, ვფიქრობდი.

— ქიტესამ ხომ დაადო ხელი! — შევხასხენე.

— გველის წიწილს ვენდო და ჩემს გულს არა? — ვაცეცხლდა ძია ვასო. მერე თქვა: — ჭირშიც და ლხინშიც ერთად გვივლია. როგორ, მე ნიკოზე ეკვი მივიტანო!

— ეგ საბუთი არაა, — თქვა დათამ, — იქ გაარკვევენ.

ძიანიკოს დაჭერის შემდეგ ქარხანაში დღენიდავ ამისთანა ლაპარაკი იყო. ზოგს სჯეროდა მისი დანაშაული, ზოგს — არა. უმეტესობას არა სჯეროდა. უფრო სწორედ მე, დათა, ჩადუნელი და კიდევ რამდენიმე მუშა ვიდექით ერთ მხარეს, მეორე მხარეს მთელი ქარხანა იდგა. მეც უფრო იმიტომ ავუბი მხარი დათას, რომ ძია ვასოს საქციელი არ მეჭანჭიკა. ხან ასე მსჯელობს, ხან ისე-მეთქი, ვფიქრობდი.

ტუხაშვილის პარტიიდან გარიცხვის საკითხი პარტუჯრედის კრებაზე გაიტანეს.

პირველად დათამ ილაპარაკა: ტუხაშვილი მანებელია თუ არა, ამას გამოძიება გაარკვევსო, ჩვენ სხვა ანგარიშები გვაქვს ტუხაშვილთანო — სიფხიზლე რომ დაკარგა და ნახევარი წელიწადი ნი-

ქაროვანი ნამზადი გვაჩარხვინა, ამაზე უნდა ვაგებინოთ პასუხიო. დათამ ისე ილაპარაკა, უხარისხო სხმულისაგან მოყენებული მთელი ჩვენი ტანჯვა-წვალე-ბა გაგვახსენა. ბოლმა მოგვაწვა ყელში. ჩოჩქოლი ატყდა. ხალხი ყვიროდა, ილან-ძღობოდა. დათამ წინადადება შეიტანა, ტუხაშვილი პარტიიდან გავრიცხოთო. ვილაცამ დაიძახა, სასამართლოს გადაწყვეტილებას მოვუტადოთო.

— ვერც განაჩენი მოვუტადით და ვერც გამოძიების დასრულებას. — თქვა ძია ვასომ, — ჩვენი სიტყვა ახლავე უნდა ვთქვათ. გამოძიებელი ტუხაშვილს ახლახან გაეცნო, მოსამართლეს კი ჯერ თვალთაც არ უნახავს ნიკო ტუხაშვილი. მათ რა იციან? ჩვენი ამქრის წევრია ნიკო და განაჩენი ჩვენვე უნდა გამოვუტანოთ. ჩვენზე უკეთესად ვინ იცნობს! გამოდით და თქვით, ვისაც ეჭვი გეპარებათ მის პატიოსნებაში, აქ გამოდით და თქვით!

ძია ვასო ღელავდა. სათვალეს ხან გაიკეთებდა, ხან მოიხსნიდა. მერე სათვალე მაგიდაზე დააგდო და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხი გაინაბა. ისეთი სიჩუმე იდგა, საკუთარი გულის ბავა-ბუგი მესმოდა. მერე თითქოს ყურთან თოფი დამიცალესო, ისე მომესმა ჩემი ხმა:

— ქიტესაც პატიოსანს ჰგავდა.

გვრგვინეასავით გადაიარა ძახილმა და ისევ სიჩუმე დადგა. არ ვიცი, სიჩუმე იყო, თუ მე აღარაფერი მესმოდა.

ძია ვასო ხელებით მაგიდას დაჰყრდნობოდა. სათვალე ცხვირზე ჩამოეწია, ხშირი წარბები მალლა აეზნიქა. მთელი საუკუნე გავიდა, სანამ ხმას ამოიღებდა. მე მეგონა გაჯავრდება, რაღაც მწარენ და გულმოსაკლავს მეტყვის-მეთქი. მან კი უბრალოდ თქვა:

— ტუხაშვილი მთელი თავისი სიცოცხლე ბოვთან იდგა, იატაკქვეშ ჩვენთან აყო და მერეც ჩვენთან დარჩა. განა შეიძლება მისი და ვილაც კულაკის ნაშიერის ერთ ფიცარზე დაყენება!

გამოვედი და ვთქვი:

— ძია ვასოს ტუხაშვილის ძველი გობრობა უდუნებს სიფხიზლეს. ყველა მაგრადაა, როცა საქმე სხვას ეხება. ციცი-ცა საქმე შენიანისკენ მობრუნდება, მაშინ გულჩვილობას ვიჩინებ ხოლმე.

ჩემს შემდეგ ჩადუნელი გამოვიდა, ჯერ მე შემაქო, მერე ტუხაშვილს მოსდგა და სულ ტალახში მოსვარა, იმდენი რამ თქვა, რომ ვინანე, ნეტავი ღმერთი გამწყრომოდა და ხმა არ ამომეღო-მეთქი.

სხვებმა ტუხაშვილი დაიცვეს. ამბობდნენ: ყველაფერი ქიტესას ოინებიაო, ნიკოს ცილი დასწამა და ესეც მავნებლობით გააკეთათო.

— ეს უარესი მავნებლობაა. იქ თუჯი გააფუჭეს, აქ კაცის გაფუჭება უნდათ, — თქვა ვახტანგმა.

ვახტანგის სიტყვებს ხალხი ტანით უხვდა. კიდევ ბევრი ილაპარაკეს. მერე დაადგინეს — პარტიული კრება ტუხაშვილს თავდებად დაუდგეს და მოითხოვოს მისი გათავისუფლებაო. ყველამ უყარა ამ დადგენილებას კენჭი. მარტო ჩადუნელი წავიდა წინააღმდეგი. დათამ თავი შეიკავა.

— ოთარ!

— ჰა, — თითქოს მძინარეს მკრეს ხელი. მოვიხედე, მერაბი შემომცქეროდა.

— ისევ დამავიწყდა იმისი გვარი.

— გვარი?! ვისი გვარი? გაგიჟდი?!

— კვანტური თეორიის ფუძემდებლის.

— ჰოო.

— რა გვარია?

— პლანკი.

— პლანკი, პლანკი, პლანკი, — იმეორებდა მერაბი.

— მე სულ სხვაზე ვფიქრობდი.

— შენ ფიზიკა უკეთესად იცი.

— ახლა, თუ დამიჯერებ, მაღამ ბოვიზაყის გაკვეთილზე ჯდომა მენატრება. თუნდაც, გაბრაზებული იყოს და თითებზე სახანავს მირტყამდეს. ასე მეგონია, ეს ქუჩა დავიწროებულა-მეთქი, სახლებიც თითქოს დაპატარავებულა. აბა მიი-

ხედ-მოხედვე, ორი წლის წინათ უფრო განიერი არ იყო? — ვკითხე მერაბს.

— ჩვენ გავიზარდეთ. ორ წელიწადში მთლად გამოვიცვალეთ, ვერ ატყობ? —

— გუშინდელი კრება ბოღმას მგერის. „გუშინ მართალი არ ვიყავი-მეთქი“, — მინდოდა მეთქვა, მაგრამ...

საღებავდამსკდარი ძველი კარი მოღრეცილი ეკიდა ჩარჩოზე. კარამდე სამსაფეხურიანი კიბე იყო. პირველი საფეხური ზედ შუა ტროტუარზე იწყებოდა, დანარჩენი ოღრო-ჩოღროდ მისდევდა ერთმანეთს. აყალო მიწაზე ნაშენი ბრტყელი აგურის კედელიც ჩასაქცევად გამზადებულს ჰგავდა. ავდარს აყალო გამოერეცხა და წიბოგაცვეთილი, ჩაშავებული აგურები ჰაერში გამოკიდულიყო. კედელზე ჩამოშვებულ მუხლმომტვრეულ წყალსაწრეტ მილს ყინულის წვრილი ლოლუები ჩურჩხელებივით ეკიდა. საფეხურებიდან ბეჯითად გადმოხვეტილი თოვლი კედელთან მოეგროვებინათ.

უცებ, თითქოს ჯანღში მზეს გამოეხედოს, იქაურობა განათდა და გაბრწყინდა. ჩანთა საფეხურზე დავდე და ზედ დავჯექი.

— ვიკოჭაოთ? — გავუცინე მერაბს.

— სულელი ხარ!

— მენატრება ის დრო, — ვთქვი მე, — აი, ამ საფეხურზე ჯდომაც მენატრება.

— პლანკი, პლანკი, პლანკი... — იმეორებდა მერაბი.

— გახსოვს, აქლემამ რომ გცემოა, თაღლითობთო? აქლემა გიყი იყო. როგორ გამოიცივალა აქლემა?! ჩვენც გამოვიცივალეთ.

— კვანტური თეორიის თანახმად, ნივთიერების ატომები და მოლეკულები სინათლეს ასხივებენ...

— მოდი, მენახშირე ვანუა მოვიწახულოთ.

— რა დროს ვანუა?!

ჯიბიდან საათი ამოვიღე.

— ორი საათი დრო გვაქვს, რა უნდა ვაკეთოთ!

— თითქოს გამოცდაზე არც მივდიოდეთ!

— გახსოვს, როგორ გვეკონტროლი ვანუას დუქანი? ღია თუ დაგვხვდებოდა, ფრიადი არ აგვცდებოდა.

— დუქანი მუდამ ღია იყო.

— შენ მაინც სულ ფრიადებს იღებდი.

— დუქნის წყალობით? — გაიცინა.

— მე ნამდვილად დაცილილი მქონდა, ერთი წუთით მაინც რომ არ შემეველო, ჩემი საქმე წასული იყო.

მერაბმა ისევ გაიცინა.

ჩანთას ხელი დავავლე და გავიქეცი. თოვლი დაბეკნილი და გასიბული იყო, ფეხი მისხლტებოდა. გავბროდი და მივსრიალებდი, თითქოს ციგურებზე ვყოფილიყავი შემდგარი.

მენახშირე ვანუას დარაბა თითქმის ყოველთვის ნახევრადმიხურული იყო. სულ ასე იცოდა: დარაბას მიხურავდა და წავიდოდა. მუშტრებმა იცოდნენ მისი ჩვეულება, დუქანში შევიდოდნენ და მაყალს მიუჯდებოდნენ. ზაფხულობით მაყალი ქუჩაში იდგა, — მზეზე ალი უჩინარდებოდა, მხოლოდ დამწვარი ნახშირის სუნი ტრიალებდა ჰაერში. დუქანში ყველაფერი ისეთი ნაცნობი და საყვარელი იყო, რომ მის გახსენებაზე გულმა თრთოლვა დამიწყო. კარგი კაცი იყო ვანუა, ყოველთვის მიხაროდა მისი ნახვა.

— წავსულიყავით და გვემეცადინა, — უკმაყოფილოდ წაიბურღლუნა მერაბმა.

მონატრებულებით ვათვალიერებდი ბოლმე იქაურობას. კუთხეში ნახშირა ეყარა; იქვე ეწყო თუნუქის ჭურჭელი — სხვადასხვა ზომის ყურინანი საწყაოები და პირგაცვეთილი აქანდახები. ვანუა კუთხეში მხოლოდ ორიოდ ტომარა ნახშირს დაცილიდა, დანარჩენს საკუჭნაოში ინახავდა. საკუჭნაო ბნელი და უჰაერო ჰქონდა, მუდამ შავი კორიანტელი იდგა შიგ.

— დაბერდებოდა ვანუა, — ჩემთვის ჩავილაპარაკე.

— რა დარდი აწუხებს, არის თავისთვის.

— ბედნიერი კაცია.

— ერთი შენც, ბედი ვინატრო და ვანუსი?!

ელდა მეცა. შორიდანვე დავინახე: ნახევრადგადღებულ დარაბასთან ტლოყაშვილი გაჩერდა. ძველი, დაკონკილი, სალდათური ფარაჯა ეცვა. ქამრის მაგივრად წელზე მსხვილად დაგრეხილი თოკი შემოეკრა და ფარაჯის კალთები ამ თოკში აეკეცა. ცალ ილიაში შეშის ღერები ამოედო, მკლავზე პირშებრუნებულა ხერხი ეკიდა. თავზე თუშური ქუდი ეხურა.

— ვანუა! — დაიძახა ტლოყაშვილმა.

ფეხს ავუჩქარე, კიდევ უფრო მივუახლოვდი და კედელს მოვეფარე.

— ტლოყაშვილია, — წავჩურჩულე მერაბს.

— ვინა? — თვალეები დააჭყიტა მერაბმა.

— ტლოყაშვილი.

— გაგიჟდი!

— ისაა.

— ვანუა! — ისევ დაიძახა ტლოყაშვილმა.

ღუქნის კარი გაიღო, იქიდან შუბლშეკრული ვანუა გამოვიდა და უხალისოდ უთხრა:

— შემოდი.

ტლოყაშვილი ღუქანში შევიდა. კიდევ უფრო გავეკარი კედელს. მერე მერაბს ვუყვირე, წადი, მილიციას შეატყობინე-მეთქი.

მერაბი მაშინვე გაიქცა.

მთელი ტანით ვთრთოდი. სუნთქვა ქოშინად გადამექცა და თავს ძლივს ვიკავებდი, ფეხებს ვაბაკუნებდი. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი ასე. მერე... მერაბი გამოჩნდა, მერაბი და მილიციელები. მერაბი ილიმებოდა, მერე კარი გამოაღო და... მაშინვე ღუქანში სამი მილიციელი შევიდა. ორი კართან გაჩერდა, ერთი პირდაპირ ტლოყაშვილს მიადგა:

— თქვენი საბუთი!

— არყის სმა არ შეიძლება? — იხუმრა ტლოყაშვილმა.

— საბუთი მაჩვენეთ! — მილიციელებმა.

ტლოყაშვილმა უბის ჯიბიდან ქალაღი ამოიღო და მიაწოდა. მილიციელმა ქალაღი გასინჯა, მერე თქვა:

— ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ.

— სად თქვენთან?!

— მილიციაში.

— მე არაფერი დამიშავებია!

— იქ გააკრევენ, — დინჯად თქვა მილიციელმა.

— უმიზეზოდ კაცის დაჭერა სად გაგონილა!

— ვინაობას გავარკვევთ, ესაა და ეს.

— ვინაობა საბუთებშია აღნიშნული.

— ჩუმად!

— კაცს უმიზეზოდ აპატიმრებთ და ხმაც არ ამოვიღო!

— ამხანაგო, მე უკვე გითხარით, არავის არ ვაპატიმრებთ-მეთქი. მხოლოდ ვინაობას გავარკვევთ. წავიდეთ! — მიუბრუნდა ტლოყაშვილს მილიციელი.

ტლოყაშვილმა მაზარა გადაიკვია, ხერხი და საჯოჯგინე შეშის ღერები ილიაში ამოიჩარა და კარისაკენ წამოვიდა.

ვანუა იღვა და აქეთ-იქით დაბნეული იხედებოდა.

ტლოყაშვილი თავჩალუნული მიდიოდა.

16.

იმ წლის უკანასკნელი დღე იმით დაიწყო, რომ დილაუთენია უჩა ჩამოვიდა რაჭიდან და საახალწლოდ ბევრი რამე-რუმე ჩამოგვიტანა. მერე ქარხნის შესასვლელთან მერი დამხვდა და ჭიქურ მომანახლა:

— მამამ გთხოვა, ახალ წელს ჩვენთან შეგხვდეთო, მამამ გთხოვა და მეც გთხოვ.

— კომკავშირელი რომ ვარ!

— ახალი წელია, აღდგომა ხომ არ არი?!

— სულ ერთია.

— სულ ერთი არ არის, ახალ წელს ყველა ხვდება.

— ვინ ყველა?

— ყველა, ვისაც სურს თუ არ სურს.

მერის ახალი კაბა ეცვა. კაბა გრძელი იყო და პალტოს ქვევით თითქმის ერთ მტკაველზე ჩანდა. სიცივისაგან სახე ასწითლებოდა და ისეთი ლამაზი მეჩვენა, ისეთი, რომ...

— დღეს მე და მერაბი კინოში ვაბირებდით წასვლას!

— მერაბიც წამოიყვანე, მერაბი ძალიან მომწონს.

— მართლა? — გამეზარდა.

— მომწონს, მგონი მასაც მოეწონვარ, — დაამატა ბოლოს და თვალები ცუღლულტად აათამაშა.

გავწითლდი და თავი ჩავლუნე.

— და მაინც მინდა, სწორედ შენ იყო ახალწლის ღამეს ჩვენთან. გაიგე? მე მინდა, რომ შენ იყო, — ფეხები ჭირვეული ბავშვივით დაბაკუნა.

— კარგი, მოვალ, — წამოვილულულული.

— მერაბიც წამოიყვანე.

— წამოვიყვან.

— აუცილებლად წამოიყვანე, — თქვა და წავიდა, სირბილით გადასჭრა თოვლიანი ქუჩა.

ქარხანაში კი არ მივდიოდი, მივფრინავდი.

— ძია ვასო, ხომ შეიძლება კაცი ახალ წელს შეხედეს?

— უნდა შეხვდეს, მაშ, ისე როგორ იქნება?!

— მერიმ დამპატიყა.

— აი, შე ეშმაკო, შენა!

— მერაბიც დამპატიყა.

— კარგი ახალი წელი დგება.

— ხომ დგება კარგი ახალი წელი, ძია ვასო?

— ნიკო გაამართლეს.

— მართლა! — სიხარულით შეეყვირა და ძია ვასოს მოვეხვით.

— გაამართლეს, მაშა! — ამაყად თქვა მან.

ძია ნიკო რომ მოვიდა, ქარხანაში ერთი ორომტრიალი ატყდა, ეხვეოდნენ,

ულოცავდნენ, ჰკოცნიდნენ. მე მორჩაბლოს ვიდრე და, თუმცა ძალგან მიჩაროდა მისი დაბრუნება, თვალბზმეშე დვა ვერ გამებედნა.

— ტლოყაშვილი რომ არ დაეჭირათ, ალბათ სიმართლეს ვერ დავამტკიცებდი, — თქვა ძია ნიკომ.

— როგორ შეიძლება კაცმა სიმართლე ვერ დამტკიცო! — გაიკვირვა აქლემამ.

— ამ ბიჭებს უნდა უმადლოდე, — ჩარეჭიშვილმა ჩემზე და მერაბზე აჩვენა.

— მე ყველაფერი ვიცი, — ძია ნიკო ჩვენთან მოვიდა, — მადლობელი ვარ, — გვითხრა მან, — დაიხარდენით, ბიჭებო... ჩემო ბიჭებო, — თვალიდან ცრემლი ხელისგულით ამოწმინდა, მერე მთვრალივით დაბარბაცდა და, თავი რომ ვერ შეიკავა, ფურცლოვანი რკინის დასტაზე ჩამოჯდა. სახე ხელეშში ჩამალა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— აბა, აბა, ბებერო, თავი ნუ ჩაჰკიდე, — ჩარეჭიშვილმა ძია ნიკოს მხარზე ხელი დაჰკრა, — ჭირმა გაიარა და სადარდებელი რაღა გაქვს?

— სხმული როგორი გამოდის?

— შეგირდები გვყავს რო! აი, როგორი შეგირდები გვყავს! — ჩარეჭიშვილმა გაშლილი ცერი ძია ნიკოს ცხვირთან მოუტანა.

— აქ არხეინად ხარ, — თქვა ძია ნიკომ, — ცა ქუდად არ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნად. იქიდან სხვანაირად ჩანს ქვეყანა...

სამუშაოს დაწყების საყვირი ჯერ კიდევ არ მიეცათ. ძია ვასომ ტყავის წინსაფარი აიფარა და ჩარხთან გაჩერდა.

სამშედლოდან უკვე ისმოდა გუგუნის ბრახუნობდა ურო, ღვედები ზუზუნებდნენ... თუჩსადნობი ღუმელები გველესაპებევით ხვნეშოდნენ და ცეცხლს აფრქვევდნენ.

აქლემამ რაღაც უთხრა ცოტნეს და ორივემ ხმამალა გაიცინა. ბიჭები შეგროვდნენ და ღლაბუცობდნენ.

— აბა, აბა, მორჩით ღაზღანდარობას, საცაა საყვირი შემოსძახებს, — უთხრა ბიჭებს ჩარეჭიშვილმა.

— ქურციკებივით ღალობენ, — თქვა

ძია ნიკომ, წამოდგა და სამსხმელოსკენ წავიდა.

უკან გავყევი, ვკითხე:

— ისევ გაწუხებთ წელი, ძია ნიკო?

— ხანდახან გამიხსენებს ხოლმე. — შენი საქმე როგორაა? ვასომ მითხრა, გამოცდა დაიჭირესო.

— ჩავაბარე, მოწმობაც ავიღე, ათწლეულის დამთავრების მოწმობა. ცოტნე-მაც აიღო, მერაბმაც. ამ ზაფხულს უმალ-ლესში შევალთ.

— ისწავლეთ, შვილო, ისწავლეთ, სწავლა ყველაფერია. — ძია ნიკომ წელზე ხელი მოიჭირა, სახე მომანჭა, თითქოს გაიზმორაო და თქვა: — ვინ იცის, იქნებ სიბერის ბრალიცაა, იცის ხოლმე სიბერეში.

შუადღის შესვენებაზე საამქროში ხმა გავარდა, რაიკომის ახალი მდივანი მოვიდაო. ორ საათზე პარტუჯრედის კრება იყო დანიშნული. ალბათ, კრებაზე დასასწრებად მოვიდა რაიკომის მდივანი. ძია ვასოს სასწრაფო შეკვეთა ჰქონდა და დაზვას არ მოსცილებია. რაიკომის მდივანი თვითონ ეახლა ძია ვასოს. ჩემს გაკვირებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ მდივანში ის სათვალისანი, მაღალი კაცი ვიცანი, ქიტესას დაპატიმრების დღეს ყველას ტრაქტორცენტრის წარმომადგენელი რომ გვეგონა.

შემოგვხვდა თუ არა მდივანმა, მაშინვე გვიცნო. მეც მიცნო და მერაბიც. მოგვიახლოვდა, ხელი ჩამოგვართვა და ღიმილით გვითხრა:

— თქვენ მართლა გმირები ყოფილხართ, — მერე რატომღაც დათა თეთრატის მიუბრუნდა, — ამ ბიჭებმა დიდი საქმე გააკეთეს.

„გეთაყვას“ ვილაღ ჩასუქებული, სახელაქლაყა კაცი ელაპარაკებოდა. „გეთაყვა“ იმ კაცს ყურს უგდებდა და თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

მდივანმა საამქროები დაათვალიერა, მერე ისევ ჩვენთან მობრუნდა და ძია ვასოს უთხრა, დროა შევუდგეთო.

კრება რომ დაიწყო და პარტიის წევ-

რები საამქროდან გაიკრიფნენ, ცოტნე ჩურჩულით გვითხრა:

— აუ, რა ბურთაობა იქნება! ^{გაგვირგვინი} გაკვირვებით შევხედე.

— ამბროსისაც აბურთავებენ, ვასოსაც, სხვებსაც, — თქვა მან.

— საიდან იცი?

— ვიცი, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაგვიკრა თვალი, გაიღრჩია, — გადახრები, ძმაო!

ცოტნეს მონაქორი გულზე ეკალივით მომხვდა. ცალკე გავიხმე და ვკითხე, მითხარი, რა იცი-მეთქი.

— ძია ვასოს პარტუჯრედის მდივანიდან გაათავისუფლებენ. ბარამიძე იქნება მდივანი.

— ვინა?

— სევერიან ბარამიძე.

— რა იცი?

— ბიძაჩემმა თქვა, თვითონ გავიგონესა ხლში ლაპარაკობდა ამხანაგთან. რა ვიცი, არ მოსწონებიათ პარტუჯრედის დადგენილება ტუხაშვილის თაობაზე.

— როგორ თუ არ მოსწონებიათ!

— რა ვიცი, არ მოეწონათო, ასე თქვა.

— ტუხაშვილი მართალი იყო და გაამართლეს კიდევ?

— რა ვიცი, ასე კი თქვა და...

იმ დღეს არაფერი გამიკეთებია. გულისფანცქალით ველოდი კრების დამთავრებას. უმიზნოდ დაეწვრიალებდი: ხან კანტორაში გავიდოდი, ხან პარტუჯრედის მიხუროულ კართან ვიდექი. კარი მჭიდროდ იყო მიხურული, იქიდან ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. დრო მძიმედ მიიზღაზნებოდა. მერე ისევ საამქროში მივბრუნდი და ჩარჩვას შევუდექი..

საყვირი მისცეს, მაგრამ ქარხნიდან არავინ წასულა. ყველა კრების დამთავრებას უცდიდა. მუშები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ჩურჩულებდნენ. საამქროებში რალაც შინაგანი, დაფარული მღელვარება იგრძნობოდა.

დრო მძიმედ, ძალიან მძიმედ მიიზღაზნებოდა.

კრება დამთავრდა. ხალხი გამოიშალა და საამქროებს მოედო. სახეაღწილი ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და

შეთქმულეზივით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

უცებ გავარდა ხმა — ძია ვასო პარტუჯრედის მდივნობიდან გაათავისუფლეს და სევერიან ბარამიძე აირჩიესო. სევერიანი ერთი დაბნეული და ცერცეტი კაცი იყო, ქარბკომად მუშაობდა და მოლაზავით ორივე მომიჯივანის გამართლება იცოდა: ერთი მხრით რომ ასეა, მეორე მხრით ისეაო, — იტყოდა ხოლმე.

ახლა ამბობდნენ, სევერიან ბარამიძე ერთხმად ავირჩიეთ პარტუჯრედის მდივნადო. ამას რომ ამბობდნენ, თან უხერხულად იშმუშნებოდნენ. მათ რომ ვუსმენდი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს რაღაც დანაშაული ჩაიდინეს და თავის მართლებას ცდილობდნენ.

— სევერიანსაც არა უშავს რა, — ამბობდა ერთი, — გამოცდილი კაცია და მუშაობაც იცის.

— კი, კი, იცის, — ნაჩქარევად უკრავდა კვერს მეორე.

— ძია ვასო? ძია ვასო არ ვარგოდა?

— ძია ვასო?

— ხო, ძია ვასო.

— ძია ვასო როგორ არ ვარგოდა, მაგრამ...

ქარხნიდან მე და მერაბი ერთად გამოვედით. გზაში დათასა და ვახტანგს წამოვეწიეთ. ისინი გვერდივევრდ მიდიოდნენ და ხმას არ იღებდნენ.

— დათა, — მკლავში წავატანე ხელი, — რატომ გაათავისუფლეს ძია ვასო?

დათამ შემომხედა და პასუხი არ გამცა.

— მართალია, თითქოს ტუხაშვილის საქმეზე გამოტანილი დადგენილებისათვის გაათავისუფლესო?

— რა სისულელეს ამბობ, ტუხაშვილი აქ არაფერ შუაშია...

თოვლის მსხვილი, ფარფატა ფიფქები პეპლებივით ირეოდა ჰაერში; ყველაფერი ქათქათა თოვლით იყო დაფარული. ფიფქები სახეზე მეცემოდა,

წამწამებზე მებლანდებოდა, ძლივს მკვიკვლევდი გზას. მერაბი უკან მომდევნდა, — მერისთან მივიჩქაროდით. ჩვეუ სასიამოვნოდ შრიალებდა თოვლი. წყნარი ღამე იყო, თბილოდა. უამრავი თეთრი ფანტელი დაუსრულებლად ბრუნავდა, ქანაობდა. ასეთი ზღაპრული სანახაობა არასოდეს მოგწყინდება: უნდა იდგე შუა ქუჩაში, თვალი დახუჭო და არაფერზე იფიქრო. დეე, ირეოდნენ თოვლის თეთრი ფიფქები, წამწამებზეც გეცემოდნენ, ლოყაზეც, შუბლზეც, ტუჩებზეც...

მერაბი წამომეწია, ორი ნაბიჯით გამისწრო, მერე შეჩერდა და შემომხედა.

— მე იქ არავის ვიცნობ, რა მინდა იქ?!

— მერიმ დაგვაბიჯა.

— კარგად არც მერის ვიცნობ.

— მან თქვა, მერაბი მომწონსო.

— ერთი შენც.

— ასე მგონია, მერაბსაც მოგწონვარო.

— უცხო ხალხი იქნება, მთელი ღამე გამოთაყვანებული უნდა ვიჯდე და ვილაცქეების სულელურ სადღეგრძელოებს უფსმინო.

— არ გინდა და ნუ მოუხმენ.

— სჯობდა, კინოში წავსულიყავით.

— მერი?

— რა მერი?

— მერისთან ერთად მინდა შევხვედეთ ახალ წელს.

— კინოში წავიდე, უკანასკნელ სეანსს მივუსწრებთ.

— ჰალსტუხები? ხომ ხედავ, არტისტებს ვგავართ.

— შენი ბრაღია, რაღაცას აიჩემებ და მორჩა!

ჩემზე არ ამბობენ ეშმაკი ბიჭიაო, მაგრამ ეშმაკობა მეც მაქვს.

— მერის მამას რაღაც წინადადება ჰქონია ინსტიტუტის შესახებ.

აუ, რა დარტყმა იყო!

— რა წინადადებააო?

— დანამდვილებით არ ვიცი. ფაქტია, ბევრი რამ შეუძლია.

— მაინც?

— კათედრის გამგეა, მე მგონი, მიმღები კომისიის თავმჯდომარეც გახლავს. გათავდა. ახლა რამდენიც გინდა დაითვალე, ნამდვილი ნოკაუტია, — გონზე არც მოსულა, ისე გაათრიეს რინგიდან. ისეც თოვდა, თოვდა დაუსრულებლად.

ზარს თითი რომ დავაჭირე, გული საგულეში ვედარ ეტეოდა. მარმარილოს საფეხებზება იცის ასე, სუნთქვას შეგიკრავს.

კარი მაშინვე გაიღო; კართან მერი იდგა. სახე ასტეკოდა, ლოყები ალისფრად უღვივოდა, — პირდაპირ დახატული იყო.

— მადლობა ღმერთს! — დაიძახა მერიმ და ხელები გაშალა, — შემოდით.

ჯერ მე შევედი, მერაბი უკან მომყვა. პალტოები გავიხადეთ და... მერი სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა. ოთახი ხალხით იყო სავსე, თეატრის ფოიე გეგონებოდათ. გაჩახჩახებული ჭადის სინათლეზე ძვირფასი სამკაულით გაწყობილი აბრეშუმის გრძელი კაბები თვალისმომჭრელად ეღვარებდნენ. მამაკაცებს მოკლე პიჯაკები და განიერი შარვლები ეცვათ. პაპიროსს აბოლებდნენ, მასლაათობდნენ.

მერის ერთ ხელში ჩემი ხელი ეჭირა, მეორეში — მერაბის ხელი.

— ბატონებო! ბატონებო! — დაიძახა მან, — იცნობდეთ, ოთარ ჯანდიერი და მერაბ ვირსალაძე!

ყველამ ჩვენ შემოგვხედა. „ბატონებო“ ეკალივით მომხვდა, მაგრამ ფეხი ფეხს მაინც მივარტყი და წელში გაჯგიმულმა თავი სხარტად დავხარე, როგორც ეს „ბატონებს“ შეეფერებოდათ.

პროფესორმა ლალიძემ მაგრად ჩამოგვართვა ხელი, დიდის ამბით მოგვიკითხა. მერე დავგეტოვა და ისევე სტუმრებს მიუბრუნდა. მერი სამზარეულოში გავიდა. მე და მერაბი კუთხეში მოვიკუნჭვით და გავინაბეთ.

ჩვენს გვერდით ერთი ახალგაზრდა ორ ხანშიშესულ კაცს ხელების ქნევით ელაპარაკებოდა:

— ისეთ სოფლებსაც კი, როგორც ახმეტა, ოყით, ლალისყური და ქესტანურია, სასაქონლო პურიც რომ არასოდეს ჰქონიათ, დამზადების საკონტროლო ციფრებს აძლევდნენ და ძალით ართმევდნენ პურს. ახმეტის კომუჩრედის მდივნმა შუალამისას გაადვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და წინადადება მისცა დილამდე ჩაებარებინა პური. თითქმის არც ერთი სოფელი არ დარჩენილა, რომ ღარიბი და საშუალო გლეხებისათვის მტკიცე დავალება არ მიეცათ. ისე ვატყობ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებდნენ გლეხობას. ვინ არის თავდები, რომ განგებ არ აკეთებენ ამას?

— მათ შორის შეიძლება მართლაც ვიღაც განგებ მოქმედებდა, ეს გამორიცხული არაა, — უპასუხა ერთმა ხნიერთაგანმა, რომელიც პატარა, შორიშორ ჩამაღარ შავ თვალებს ახალგაზრდული სიმკვირცხლით ატრიალებდა, — მაგრამ ეა ოოდი ვიშნავს, რომ ყველა ასეთია. ხელალებით ნიჩბის მოსმა თავისთავად დანაშაულია. ჯერ უნდა გაირკვეს, ვინაა ოპორტუნისტი და ვინ — ინერციის მსხვერპლი.

— ვინც ზიანს გვაყენებს, ყველა მტერია, — შეედავა ახალგაზრდა, — მტერი კი უნდა მოვიცილოთ. პროლეტარიატის დიქტატურა და ლმობიერება შეუთავსებელია.

— ხმალი საჭიროა, — უპასუხა იმ კაცმა, — მაგრამ უფრო საჭიროა, იცოდე მისი მოქნევა ისე, რომ მტერს ჩეხდეს და მოყვარეს არა. ჩვენი საქმე ყველაზე სამართლიანი და ადამიანური.

— წყნარად მუშაობას გადავეჩვიეთ, — ახლა მეორე ჩაერია, — ოპორტუნისში ხელწამოსაკრავ სიტყვად იქცა. როცა ჩამორჩენის გეშინია, ზედმეტ გულმოდგინებას იჩენ. — ამ კაცს წვერულვაში გაპარსული ჰქონდა ქუთუთოები პატარა ტომრებივით ეკიდა.

— აი, აი, სწორედ ესაა! — ამოდრავდა წვერიანი, თვალები აუციმციმდა, ხელები ფრთებივით გაშალა, — სულ იმაზე თუ ფიქრობ, სწორად ვიაროო, ფეხი

უქმველად გადაგიცდება. ხომ გივლიათ ლიანდაგზე?

წარმოდგინეთ, წვერიანი კაცი ლიანდაგზე მიდის: გადადგამს ფეხს და ხელებს ფრთხილად შლის. კიდევ გადადგამს ფეხს და ისევ გაშლის ხელებს. პიჯაკის აწეული სახელოების ქვეშ თეთრი გასამბული მანუეტები მოუჩანს... ასე მიდის და... ხან მარცხნივ გადაიხრება, ხან მარჯვნივ. მზე აელვარებს ლიანდაგს. შალეების კლავიატურა სადღაც შორს იკარგება. ირგვლივ მარტოის და ბალახის სუნი ტრიალებს.

— ზომიერება ყველაზე ძნელი მისაგნებია.

— და ყველაზე მეტად საჭირო.

— ზომიერება! — გაიცინა ახალგაზრდა კაცმა.

— დიახ, საჭირო რამაა, — თქვა წვერიანმა, — ნუ აღელდებით, ნამდვილად ასეა, — ხელები გამოლა, — ის, ვინც საშუალო გლენს კულაკს უტოლებდა, დანაშაულს სჩადიოდა, მაგრამ ზოგი ამას განგებ აკეთებდა, ზოგი უნებლიეთ. თქვენ ყველას ერთ ქვაბში ჰყრიან...

მერი შემოცქრილა. ჯერ ერთთან მივიდა, მერე მეორესთან, ყველასგან ქათინაურს ისმენდა და თვითონაც ქათინაურის მსგავს რაღაცას ამბობდა, თან ლერწამივით ირხეოდა.

— მეტიჩარა გოგოა ეს შენი მერი, — გადმომილაპარაკა მერაბმა.

— მერაბი მომწონსო.

— ზოდა, მეტიჩარაა.

— პეპელას ჰგავს.

— დაიწყე შენებური! სულელი ხარ და მეც გამასულელებ ხოლმე.

მერი ჩვენთან მოვიდა.

— მოიწყინეთ? ვიცი მოიწყინდით, მაგრამ მალე გავშლით სუფრას და სულ თქვენთან ვიქნები. მერაბი არ მოაწყინო, — გამიცინა მე, — გაიგე?.. არ მოიწყინო, მერაბ, — ხელი დაგვიქნია და წავიდა.

ფანჯარასთან სამი კაცი და ერთი ქალი ხმამაღლა ლაპარაკობდა. შუა ოთახში ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი. უფრო აქეთ ორი ახალგაზრდა ნარდს თამაშობ-

და. მათ გარშემო წრე შეკრულიყო და იქაც ხმაურობდნენ. ამ ხმაურისაგან თუ ეშმაკმა იცის, კიდევ რისგანაც შეწყვედი და ყურამდე მოღწეულ ფრაზეებს თუ სიტყვებს ისე აღვიქვამდი, თითქოს წისქვილთან ღელის ერთ მხარეს მე ვიდექი, და მეორე მხარეს — ეს ხალხი.

— თქვენ გინდათ თქვეა, რომ შეცდომები არ იყო და განგამის ატეხვაც არ ღირდაო?! — ახალგაზრდა კაცი შესამჩნევად ნერვიულობდა.

— მე ის მინდა ვთქვა, რასაც ვამბობ, — წვერიანი დინჯად და აულელეველად ლაპარაკობდა, — უბედურება ისაა, როცა მოწინააღმდეგის გამტყუნება გვინდა, იმას ვაწეროთ, რაც მას აზრად არ მოსვლია. უკიდურესობაში გადავარდნა ყველაზე ცუდი რამაა. ამ შეცდომებმა თქვენზე მეტად მატკინა გული და თქვენზე მეტად მესმის მათი გამოსწორების აუცილებლობაც. შეცდომას შეცდომა არ უნდა მივყავოთ. ჭიანჭველი კბილი უნდა ამოიძროთ, მოსარჩენს — უმკურნალოთ; თქვენ კი ერთი გაფუჭებული კბილისათვის ყველა კბილის დაძრობას აპირებთ.

— ზომიერება ყველაზე საჭირო რამაა, — თქვა წვერულვანგაპარულმა — ერთმა სისულელე თქვა და ილიას სოციალისტობა მიაწერა, მეორემ, იმისათვის, რომ ის სისულელე გაებათილებინა, ყასაბი იყო, — წამოროშა.

მერის თვალს არ ვაცილებდი: სტუდენტები შემოხვეოდნენ, მის ნახატებს ათვალიერებდნენ და კამათობდნენ. „მამაჩემის სტუდენტებს თითქმის ყველას ვუყვარვარ“, — მითხრა ერთხელ მერიმ. მაშინ რატომღაც გაბუტული დავცილდი მერის. კულაბზიკობით მოსდისო, მითხრა მერაბმა, თავგასული ვინმეა ეგ შენი მერიო. მერაბსაც წავეჩხუბე... ვერ ვიტანდი, მერიზე ცუდს რომ იტყოდნენ.

მაღალი, თმახუტუტა ბიჭი მერის ისე შესცივინებდა, გეგონებოდათ, სცენაზეა და შეყვარებულის როლს თამაშობსო.

— მუქი ფერიდან ნათელზე გადასვლით სკულპტურულად გამოკვეთილ კომპოზიციას აღწევთ, — უთხრა მერის იმ

ბიჭმა, თან თვალეში შესციცინებდა.

— მაშ მოგწონთ! — ვაიხარა მერიმ. ბიჭს გაბრწყინებული თვალეები შეანათა. ვიცოდი, აღფრთოვანება ისეე უცბად გაუვლიდა, როგორც მოედო. კარგად ვიცნობდი მერის და მაინც გული დამიძიძი-მდა.

— ბატონებო, სუფრასთან ვთხოვთ! — ხმამალა დაიძახა მერიმ.

მერი ისე იქცეოდა, თითქოს გამოცდილი დიასახლისი ყოფილიყო. მართალია, სამზარეულოში მამიდები და დეიდები ტრიალებდნენ და სუფრაც იმათ გააწყვეს, მაგრამ ნამდვილი დიასახლისა მაინც მერი იყო.

მერი ჩვენთან მოვიდა.

— ბოდიშს ვიხდი, ბავშვებო, ველარ მოვიცალე, — მოიბოდიშა მან.

— რომ გვცოდნოდა, ბებებებს გავიკეთებდით.

მერიმ თმახუტუჭა ბიჭს გახედა, მერე მომიბრუნდა:

— ეს ჰალსტუხი ჩემი ხატრით გაიკეთე? — ჰალსტუხი შემისწორა. პატარა თითები სხარტად და ლამაზად მოძრაობდნენ, ნიკაპზე მეხებოდნენ. ჭარხალივით გაეწითლდი. ერთხელ მერიმ მითხრა, მომწონს, ბიჭები ჰალსტუხს რომ ატარებენო. მერაბს გადავეკიდე, ჰალსტუხები გავიკეთოთ და ისე წავიდეთ მერისთან-მეთქი. მერაბს ჭირივით სძულს ჰალსტუხი. ხატრი არ გამიტეხა და... ახლა მგელივით მიყურებს.

სტუდენტები ისეე ნახატებს ათვალის-ერებდნენ. ჩვენ მათთან მივედით.

— გაიცანით, ყმაწვილებო, ჩემი მეგობრები: მერაბ ვირსალაძე და ოთარ ჯანდიერი!

ბაფთიანმა მხოლოდ თავი დაგვიქნია. სწევბმა მაგრად ჩამოგვართვეს ხელი. ბაფთიანს ჩვენი ქარხნის სურათი ეჭირა, აი ის, მერიმ სახელოსნოში რომ და-ზატა.

— პლასტიკური ფორმის მონუმენტური სიმკაცრე მასალის ხასიათით და წარმოების თავისებურებითაა ნაკარნახევი. აბა, ამ კაცს შეხედეთ, რამდენი ენერჯია, შინაგანი ძალა და ნებისყოფა აღ-

ბეჭდია ცეცხლისგან გარუჯულ-ზე, — თქვა მან.

— ეს ქიტესაა, ერთი გაიძვე-იმ ბიჭმა ჩემს სიტყვებს ყურად არ ათხოვა, თავისას აბრაზუნებდა, გეგონებოდათ, ცუდად გაზებირებულ ლექსს იმეორებს და ეშინია, მეხსიერების ძაფე არ გაუწყდესო.

— კოლორიტის ემოციურობა, შინაგანი რიტმი, წერის არტიტულობა და შრომის სიხარულის ენერჯული აქცენტირება სურათს მთლიანობას აძლევს და თანამედროვეობის განწყობილებას ჰქმნის.

— აუ, რა გაუტია! სიტყვებს ისე ისროდა, რომელი ვოგო არ წამოეგებოდა ანკესზე. მერის ის ნახატი ცუდი იყო-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ არც ისეთი იყო, რომ ბაფთიანს ამდენი ლაქლაქის საბაბი-ჰქონოდა. ცხადია, მერის აწონებდა თავს.

— სულაც არ ჰქმნის განწყობილებას, — ვთქვი მე, — უჭმური დასწო-ლია... არც სიხარული ჩანს, არც...

— ფერწერის გესმით რამე? — მალერსა ბაფთიანმა ყურადღება.

— თქვენ ქარხნის ახლოც არ გავივლიათ.

— ოთარი ამ სახელოსნოში მუშაობს, — განმარტა მერიმ, — მერაბიც.

— ეს არაფერს ნიშნავს, — მიუგო ბაფთიანმა, — ფოტო რომ ყოფილიყო, იქნებ ეცნო.

— სოციალიზმს ლაყობით ვერ ააშენებ, — განვაცხადე რიხიანად, — სოციალიზმი დაზგაზე შენდება.

— ხელოვნება?! — გაიოცა მერიმ.

— ხელოვნებაც დაზგაზე შენდება... ყველაფერი დაზგასთან იქნება, — ვიმეორებდი ჯოტად.

— ნადსონი? ესენინი?! ბლოკი?! — მკითხა ბაფთიანმა.

ნადსონის რა მოგახსენოთ და ესენინზე შეყვარებული ვიყავი, ბლოკი კი არ ვიცოდი, ვინ იყო.

პასუხის გასაცემად მოვემზადე, მაგრამ მერიმ მკლავში ხელი წამავლო და

სასადილო ოთახში გამოყვანა. მერაბი უკან გამომყვანა სხვებიც წამოვიდნენ.

ვაშლილ მაგიდაზე საქსონური ფაიფური და ფრანგული ბროლის ათასნაირი ლარნაკი და ჭიქა ვაბდრღვიალებული ჭაღის სინათლეზე თვალისმომჭრელად ეღვარებდა. მაგიდაზე ელაგა ტკბილეული, ხილი, სასმელები. სტუმრები მაგიდას შემოხვეოდნენ, თუმცა სკამზე ჯერ არავინ იჯდა.

პროფესორი ლაღიძე, მერის მამა, ანუ „ამხანაგი ავთანდილი“, ვიღაც დაეღაჟა, მელოტ კაცს ელაპარაკებოდა; დამინახათუ არა, ის კაცი ჩემთან მოიყვანა და დიდის ამბით გამაცნო.

— თქვენ უნდა ერთმანეთს იცნობდეთ, — მითხრა მან, — ორივე ერთი გამოგონების ავტორები ხართ. ოღონდ პრიორიტეტი ამ ყმაწვილს ეკუთვნის, — მიუბრუნდა დაეღაჟა კაცს.

— ოო, მე ეს უკვე ვაღიარე, — თქვა დაეღაჟმ სიცილით, ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა: — მამ თქვენ ხართ ის დიდი იმედის მომცემი ყმაწვილი, რომელზედაც პროფესორი ამდენს მელაპარაკებოდა?

გვერდზე მივიხედე და, რაკი დავრწმუნდი, რომ პროფესორის და იმ კაცის სიტყვები თმასტუტუა ბიჭმაც გაიგონა, სირცხვილისაგან ვავწითლდი.

თორმეტ საათზე ღვინით სავსე ჭიქები ავწიეთ და ახალი წლის მობრძანება დავლოცეთ. მერე სუფრას მივუსხედით. მერი მოვიდა და მითხრა:

— მე შენს გვერდით უნდა დავჯდე. ჩემს გვერდით მხოლოდ ერთი სკამი იყო თავისუფალი.

— მერაბი? მერაბი უჩემოდ მოკვდება.

მერიმ ვიღაც ყმაწვილს სთხოვა გადამჯდარიყო და ჩემსა და მერაბს შორის მოთავსდა.

— მერაბი ძალიან კარგი ბიჭია, — ჩამჩურჩულა მერიმ.

— მერაბი მე მჯობია, — ვულწრფელად ვუთხარა.

— რაო? — იკითხა მერაბმა.

— ეს არაფერს არ ნიშნავს, — გაციუნა მერიმ.

— მერი ამბობს, მერაბი კარგია. —

— დღეს მეათედ მეუბნები ამას, — მისაყვედურა მერაბმა.

— ალბათ, მერიმაც ათჯერ თქვა და იმიტომ; ჰა, მერი, ხომ ათჯერ თქვი, მერაბი კარგი ბიჭიაო?

მერიმ გაიცინა, შემომხედა და ისევ გაიცინა.

მე მეგონა პროფესორების ქეიფი განსაკუთრებული რამ იქნებოდა, ნამდვილად კი, ჩვეულებრივი ქეიფი იყო, მაგრამ, აი, „ბატონო“, „ქალბატონო“ ისმოდა და ხშირად.

— მოგილოცავთ ახალ წელს!
— ახალ წელს მოგილოცავთ, ბატონებო!

— იბედნიერეთ!
— ბატონო ქაინოსრო, მრავალ ახალ წელს დაეწარით თქვენი ლამაზი ცოლშვილით.

— შენც იცოცხლე, ჩემო ვიქტორ. მრავალ ახალ წელს სულ ბედნიერად ყოფილიყავი! იცოცხლეთ, ბატონებო!

— გაუმარჯოს 1932 წელს.
— გაუმარჯოს ახალ წელს!

ვაიფური წკრიალებდა, დანა-ჩანგალი ეღარუნებდა, ზარივით რეკდა ბროლი. ფრთავაშლილი იმედი ოთახში შემოფრენილი მერცხალივით ევლებოდა სუფრას: ხან ჭერს მისაკდებოდა, ხან კედლებს, ხან ფანჯრებს.

მერის მამიდები და დეიდები მწკრივში ჩამდგარნი შემოლაგდნენ ოთახში. ათასნაირი საკმელო შემოიიტანეს: ხახვი და ზეთში მოხრაკული ლობიო, შემწვარი კარტოფილი და ჭარხლით დამზადებული ვინეგრეტი... ხორციანი კერძიც იყო, მაგრამ წვრილად დაჭრილი ხორცი ისე ჩაძირულიყო საწებელაში, რომ ძლივს ჩანდა. სუფრაზე თხლად დაჭრილი შაშხი და ძეხვი სტუმრებს უკვე მოესუფთავებინათ. მე პირი არაფრისთვის დამიკარებია, ახალი წლის სადღეგრძელო კი სამჯერ შევსვი. მერის ჭიქაზე ვაწკარუნებდი ჩემს ჭიქას და ისევ ვსვამდი

ახალი წლის სადღეგრძელოს. მერე მერის სადღეგრძელოც დავლიე. მერის მამასაც ვუსურვე ბედნიერება, ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა. ვთქვი: ძალიან კარგი კაცია-მეთქი, ასეთი ხალხი უნდა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას-მეთქი. ამას ყველაფერს მერის ვეუბნებოდი. თამადასულ სხვა სადღეგრძელოებს სვამდა. არც მერაბი დამვიწყებია, ისიც ვადღეგრძელებ.

ღელის წყალი სულ ახლო ჩხრიალებდა, ფრთებიანი ბორბალი ხრჭიალით ბრუნავდა, დოლაბები გუგუნებდნენ და სარეკელა რაქუნობდა და რაქუნობდა. მთელი სუფრა ღელის იქითა მხარეს დარჩა, მე და მერი ვიყავით აქეთ, მე, მერი და მერაბი. ჩვენთან იყვნენ ძია ვასო, ძია გიორგი, ძია ნიკო, დათა და ვახტანგი, ჩვენი ბიჭებიც. ყველანი ჩვენთან იყვნენ და ჩვენ ღელის აქეთა მხარეს ვიყავით. ღვინოს ვსვამდით და ახალ წელს გვგდებოდით. ღელის იქითა მხრიდან ცალკეული სიტყვები თულა აღწევდა ჩვენამდე.

მერიმ თქვა, ახლა თუ გინდა გავიზაროთო, ეზოში ჩავიდეთ და ვიგუნდავოთო. როგორ არ მინდა-მეთქი, გამეხარდა. მაშინვე ეზოში ჩავცვივდით. ეზოში მთელი ახალგაზრდობა წამოვიდა. ბაფთიანი ბიჭიც იქ დაგვხვდა და, შენ ისა თქვი, ვინ აღარ დაგვხვედრია.

ერთი ორომტრიალი და ყიყინა ატყდა. დავრბოდით და ერთმანეთს გუნდებს ვესროდით. ხან ხელით ახვეტილ თოვლს ვაყრიდით ერთმანეთს სახეში, ვიცინოდით და ვკიოდით. ეზოში ყველა ფანჯარა განათებული იყო და იქიდან სიმღერა და გუგუნე, როგორც მთიდან მთაზე გადაძახილი, ისე ისმოდა.

ბაფთიანმა ბიჭმა ვილაც ვოგოსთვის ნასროლი გუნდა შიგ თვალში მომარტყა. შეტბუნდა, მოვიდა და ბოლიში მომიხა-

და, ლალის ვესროლე და თქვენ მოგსწავათო.

ვ. ჩვენსული
გველმობა

—თვალი ხომ არ დაგილურჯდა? —
მკითხა მერიმ.

— არა. მშვენიერი თოვლია.

— შენ ძალიან კარგი ხარ, ოთარ, —
მითხრა მერიმ.

— აუტანელი ვინმე ვარ.

— კარგი ხარ.

კიბეზე ჩამოვჯექი. მერი გვერდით მომიჯდა: ვისხედით და ვდუმდით. თოვლში ამოგანგლოული გოგო-ბიჭები მეწისქვილეებს ჰვადნენ და ფეთიანებივით დარბოდნენ ეზოში: კიოდნენ და კისკისებდნენ. ახლა მხოლოდ თოვლის წვრილი ფიფქებილა ცვიოდა. თითო-თითოდ ცვიოდა, მეჩხერად, თითქოს რამდენჯერმე დაბლერტილ ტომარას ხელახლა ბლერტავდა ზეცა.

— მერი, მე არც ისეთი ცუდი ბიჭი ვარ, როგორც ვჩანვარ, — წამომცდა უნებურად.

— ვიცი.

— არა, მე მინდა, რომ კარგი ვიყო.

— შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ.

— ნამდვილად კარგი ბიჭი ვარ, მერი, დამიჯერე.

— ვიცი ოთარ, ვიცი.

ხელათმანი გაიძრო და ცივი, ძალიან ცივი და თოვლისაგან სველი ხელი სახეზე მომითათუნა. მერის პატარა და ლამაზი თითები ჰჭონდა. ახლა ეს თითები ცივი იყო და მე მსიამოვნებდა მათი შეხება. ძალიან მსიამოვნებდა. თავი დაუხარე და ტუჩებით შევეხე ამ თითებს. მერი მერის ხელი მივიდე ტუჩებზე.

უცებ ვიგრძენი, რომ მართლა კარგად ბიჭი ვიყავი. მერის თითებს რომ ვკოცნიდი, ვიცოდი რომ ნამდვილად, ნამდვილად კარგი ბიჭი ვიყავი.





დიდარ იპაჩევს

რ წ მ ე ნ ა

მჯერა შენი გზის, ნათელი აზრის
და... შენი გულის სიღრმეში ვწევარ, —
როგორც შრიალი გაფოთლილ ვაზის,
ისე მახარებ, დიადო რწმენავ!

შენ ადამის ძეს სჭირდები ისე,
როგორც აფრენას სჭირდება ფრთები,
როცა შენს ხმაურს იმედად ვისმენ,
ლამის ხელებზე დაგიფშვნა მთები.

სიცხადე შენი დღეს საჭიროა,
როგორც სინათლე თვალთა და... სმენა,
შენ განმიკურნავ ყველა ჭრილობას,
ყველა სატკივარს, მაღალო რწმენავ!

ადრე მამების მძიმე ცხოვრებას
თვალს უსწორებდა წყვილი მწველი,
და... უსათუოდ გემახსოვრება,
მონობა როგორ დაამხეს რწმენით.

ცხოვრების გზაზე შევხვდებით ეკლებს:
ჭირ-ვარამს ათასს, დარდსა და წყენას.
არაფერია! თუკი გყავთ მეკვლედ
ყველაფრის შემძლე მომაგლის რწმენა!

მიწავ, ძლიერი!

მიწავ! ფესვთა და ფერების დედავ,
გუგუნებს შენი ძლიერი ძარღვი.
მიწავ! ფესვთა და ფერების დედავ,
შენს ხმიერ სხეულს ვერავინ დალღის.

ხარ შემოქმედი, როგორც არავინ,
და ჩვენი ბედი გიპყრია ხელთა;

და სუნთქვა შენი დაუფარავი,
არის შრიალი მალალთა ხეთა;

ამოგხეთქია ლორთქო ბალახი,
მწვანე ბალახი — ჩუმი სიმღერა...
და გვეედრები — გული მანახე,
სადაც მარადი სისხლი გიღელავს.

მიწავ დიადო, ფესვების დედავ!
გუგუნებს შენი ხმიერი ძარღვი.
მიწავ, სიცოცხლის უკვდავო დედავ,
შენს ძლიერ სხეულს ვერავინ დაღლის.

მზე და ლილე

ოიდა, ლილე — მზე გვინდა ბევრი!
სულს უნდა მზე და აქარიშხლება!
აგვიშრიალე სიცოცხლის ტვერი
და... ჩვენი ფუძე არ დაიშლება.

ოიდა, მზეო, — გული შენა ხარ!
ჩვენი ღიმილი და ჩვენი სევდა, —
ჩვენი ცრემლი და ჩვენი ვენახი,
რომელიც ყველგან იმედად გვსდევდა.

რა ვიქნებოდით უშენოდ ახლა,
არც საქართველო, არცა ქართველი! —
დღეს ჩვენი სახლის ერდოზე დგახარ
და გვეფინება სულში ნათელი.

მზეო, უშენოდ ჩვენ ვართ დაისი,
და ამ სიცოცხლის დასალიერი,
მაგრამ შენი ხმა მტკიცედ გაისმის,
ასე შეკრული, ასე ძლიერი.

და ახლა გვინდა აქარიშხლება,
ოიდა, ლილე, ლილეო, ლილე!
პანგო ძლიერო, მარად იქნები,
რადგან სჭირდები შენს ამაყ შვილებს.

ოფში დაცემულები—სამშობლოს

ტკივილებს ჩვენსას აღარ ძალუძს უკვე ტკივილი
და... ახლა ვამბობთ რაც ვაგვაჩნდა სხივთა მთოვარი:
სიცოცხლე ჩვენი. თუ გონება შეკრულ ტკივივით,
მამულის მიწავ, შენ მოგართვით, ვით სახსოვარი!

და დღეს ნუ გკერათ ჩვენი წასვლის, ჩვენი დაკარგვის,
ჩვენ ისევ ის ვართ... გარდვისახეთ მხოლოდ, ეს არი!
ისევ გვაწუხებს და გვაღელვებს შენი ავ-კარგი
და სული ჩვენი დაგკაშკაშებს მაღალ მზესავით.

შენ ღამეული ფერებისთვის არ გიმეტებდით,
ჩვენ კი გვაცოცხლებ და ნედლი გვაქვს ახლა ფესვები, —
სული ხმაურობს დიდი რწმენით და იმედებით —
შენს ყოველ ზეიმს ჩვენც სხივს ვმატებთ, — მუდამ ვესწრებით..

ჩვენი ოცნება შენს ვარსკვლავებს ეთამაშება,
ხან ვართ ღრუბლები, ხან ტალღები, ხანაც წვიმები...
და ამ ხმაურის ოკეანე აღარ დაშრება,
უშენოდ რა ვართ, ჩვენ უშენოდ გავიწირებით.

ჩვენ გვიხარია: აღვსილი ხარ, ვით საწყაული,
ისევ გუგუნებს შენი „ლილე“, — სუნთქავს ვენახი, —
ჩვენ რა გვინდოდა? — არ მოგშლოდა დღესასწაული,
ჩვენ რა გვინდოდა? — უბერებელ მუხად გვენახე.

შენ გაბარია ჩვენი ხსოვნა, ჩვენი უფლება,
ჩვენი სახლ-კარი, მომავალი, შვილთა ნამუსი, —
დედა-ბუნებავ! ნუ ამყოფებ ჩვენს ფიქრს უფრთებოდ,
მამულს სიკეთის საწყაული მუდამ აღუვსე!

და მიეც ძალა, რაც მას უნდა, რაიც სჭირდება
დღეს შვილთა მისთა ნიჭი, ლტოლვა, მზიანი დღენი,
ისევე ომით მზე ნურასდროს დაუბინდებათ, —
ეს დაკარგული საფლავები აკმარე ჩვენი!



ირაკლი აკაბუდი

ამბავი ოპიზარისა

სხეულს სენი ჩაუსახლდა,
სენი ავი და მზაკვარი, —
ოპიზარის ფიცრულ ტახტთან
ზის მდუმარე დასტაქარი.

ავადმყოფი შეკრთა უცებ,
თითქოს იგრძნო ბრუნვა მიწის,
რომ შეეხო მხურვალ გულზე
თბილი ხელი თურმანიძის.

— კაცო, მკლავი დაგელოცოს,
დაგელოცოს ხელის მადლი! —
დადუმებულ სახელოსნოს
გაანათებს შუქი სანთლის.

ჩასდგომია თვალში ნისლი,
ვაგლახ, ველარ იხედება!
და სანთელი — ფიქრი მისი, —
იატაკზე იღვენთება.

შეეჩვია ავი სენი
ბექას, როგორც მათხოვარი;
— ოღონდ ახლა დამისხენი,
თუ ხარ მართლა მაცხოვარი!

ოღონდ ახლა დამიფარე, —
ხმა გაისმის ღალადისად:
— მე თვალეები დავითხარე
შენი სახის დახატვისას!

ვით ძვირფასი სახსოვარი,
დგას ხატება სარეცელთან.


ხედავს: ტირის მაცხოვარი,
ცრემლი მიწას დაეწვეთა.

— ცოცხალს ველარ მოგისწარი, —
თქვა და ღვარა ცხარე ცრემლი...
მღუმარებდა ობიზარის
ცარიელი სარეცელი...

და მაცხოვრის დიდი ლანდი —
საოცარი რამ ხატება
იდგა, იდგა დიდოსტატის
უკვდავების ლაღაღებად.

მისთა თვალთა ნაკვესართ
ოსტატს გული დაეკოდა...
აი, თითქოს დაჰკრეს ზარი
ანჩისხატის სამრეკლოდან.

დასტაქარი ჰგავდა შეშლილს,
შუბლზე ასხდა ოფლის ცვარი
და მაცხოვრის მკრთალ სახეში
ცოცხლდებოდა ობიზარი.



ნორა პეიშვილი

* * *

როდის მოხვალ და როდის ამავესებ
შენი ცით, ქარით, მზით და სინათლით.
როდის ექნება ამ სილამაზეს
ის ფერი, ახლა მე რომ ვინატრე.
მეგონა, ვიყავ უფრო ამტანი,
მაგრამ გამტეხა დღეს უშენობამ.
ბევრი სურვილი ქარს გავატანე.
ბევრი დარჩა და უსაშველოა.
მგონია, სადღაც ბალახში ვწევარ, —
შენზე ვფიქრობ და შენ ხარ მაღალი,
თვალეში ლურჯი ზეცა ირწევა
და... იბადება მთვარე ახალი,
ის ანათებს და დაუსრულებლივ
მიამბობს თავის საოცარ სიზმრებს...
და გარს მეხვევა თეთრი ღრუბლები,
ბალახში ვწევარ და ასე გიმზერ.

* * *

მე ვფიქრობ შენზე, მე ვფიქრობ შენზე
და, როგორც თვლელმა, ფიქრი მერევა...
და მეფინება სახეზე, მხრებზე
პირველი თოვლის მშვენეიერება.

მე ვფიქრობ შენზე და თოვლს ხვავრიელს
აჩნდება კვალი ჩემი და სხვისი.
და მიხარია, და მიხარია,
რომ სადღაც შენი ფეხის ხმა ისმის.



სე სიკეთისა და სე ბოროტებისა

პიესა-ლეგენდა

მოქმედი პირნი:

დარისპანი — ადამიანი-ბოროტება, უსასაკო, კოზლი და ცალთვალა, **ხალიბა** — ბრძენი ზაზუკი, **ავთო** — ზაზუკი. 20-21 წლისა, **მეფონა** — 16-17 წლის ქალიშვილი, **დუნიაღარი** — ავთოს დედა, **ვაჟი** — ფიზიკოსი, **ქალი** — ფიზიკოსის საცოლე, **გლეხი**, **გლეხის ცოლი**, **მეთაური** (მელურთა), **ბოროტისანი** (პიროკოსი), **გამომთვლელი** (გამომთვლელი მანქანების მძღონიკოსი), **ხალხი**.

პირველი სურათი

მთების ფონზე მოჩანს ვაზის რტობით დატვირთული ორი ხე. ერთს აწერია „ხე სიკეთისა“, მეორეს „ხე ბოროტებისა“. ორი უკაცრიელი ბილიკი, მესამეზე მოდის გლეხი, თან მეთულე მოჰყვება.

გლეხი — ამ ბილიკს გამოჰყვები, იქეთ ნუ გადაბიჯებ, დარისპანისაა.

ცოლი — (სიცილით). ჩემო კაცო, ნუ იცი ასე ლაპარაკი. დარისპანი ვიღაა?!

გლეხი — ეჰ, იმ ხის პატრონია (უჩვენებს „ბოროტების ხეს“). იმ ხეს რომ ახარებს, ის კაცია.

ცოლი — უიმე, ცოდვიანი ყოფილა!

გლეხი — რა გაყვირებს, წიგნში წერია, იმ ხის გაზრდაში ქალებსაც წილი უდევთო.

ცოლი — (უჩვენებს შორეულ ნათელ ბილიკს). აბა, იმ ბილიკზე გადავა!

გლეხი — იმ ბილიკზე გავლა ძნელია, ხალხი ამბობს, ამირანისააო.

ცოლი — აბა რა მეშველება?

გლეხი — ჩემს გვერდით იარე. ქალმა მამაკაცის გვერდით უნდა იაროს, თორემ თვითონაც დაიღუპება და ქვეყანაც აირევა.

ცოლი — ნუ იცი ასე ლაპარაკი, კაცო!

გლეხი — ადამიანის სიცოცხლე ასეა. აქეთ სიკეთის წმინდა წყარო მოწანწყარებს, იქეთ ბოროტების მორთევია. ბოროტებას უნდა ერიდო, სიკეთისკენ იარო შეუსვენებლივ.

ცოლი — ეჰ, რამდენი ხანია შენი ცოლი ვარ და შენი მაინც ვერაფერი გაგოგნებდა?
გლეხი — ის მეორე ხე (უჩვენებს „სიკეთის ხეს“). ამირან ღვეკაცმა გაახარა, ადამიანი
მის შემდეგ ის უფლიდა და სწორედ იმ ხის ქვეშა ბედნიერების ჩრდილში
მოკალათებულა.

ცოლი — ნუ სწუხარ, ჩემო კაცო, ნუ სწუხარ!
გლეხი — ცეცხლი ამირანმა გვიშოვა, პირველი გუთანი ამირანმა გაგვიჰედა,
ძალდი რომ ძალდია, ესეც იმან მოაშინაურა.

ცოლი — ძალდი ვითომ რად უნდოდა?
გლეხი — ადამიანის ერთგულება შეატყო.
ცოლი — ძალდი მაინც ძალდია.
გლეხი — რატომ! ადამიანის მეგობარია, კეთილი, თვინიერი.
ცოლი — თვინიერი ცხვარია.
გლეხი — კი, ცხვარი თვინიერია, მაგრამ სუსტია, მეგობრობა არ შეუძლია.
ცოლი — უცნაური ლაპარაკი იცი, ჩემო ქმარი.
გლეხი — ცხვარი ჩერჩეტია, ჩერჩეტს კი მეგობრობის თავი არა აქვს.
ცოლი — (უყურებს „ბოროტების ხეს“). ლამაზი ხე კი არის.
გლეხი — თვალსაც იტაცებს და გულსაც. ევას ხესაც ეძახიან. ქალივით ლამაზი
და მაცოტუნებელია.

ცოლი — მე მაცოტუნებელი ვარ, ჩემო კაცო?
გლეხი — ქალი როცა დედაა, მაშინ სხვაა. მაშინ იგი ქვეყნის სიკეთე და სილა-
მაზეა. შენ დედა ხარ.

ცოლი — რა ვქნა, კაცო, ახლა იმ დარისპანის მეშინია.
გლეხი — კი, საშიშია, შეილებსათვის საშიშია.
ცოლი — შენ რატომ არ გეშინია?
გლეხი — მე გლეხიკაცი ვარ, ყველასი თუ შემეშინდა, არ ივარგებს.
ცოლი — ვითომდა რატომაო?
გლეხი — მაშინ ქვეყანა დაიღუპება. ცის ქვეშ გლეხს არც ეშმაკის უნდა ეშინ-
ოდეს და არც ანგელოზის ერიდებოდეს.

ცოლი — (მივა და მოეფერება). ვიცი, არავისი არ გეშინია, ამიტომ ხარ ჩემი ქმარი.
გლეხი — მაინცადამაინც არც სხვებს ეშინიათ.
ცოლი — ტყუილი, ეშინიათ. გუშინწინ ჩვენმა მეზობლებმა ერთ მგელს ზურგი
უჩვენეს.

გლეხი — მხეცის ყველას ეშინია.
ცოლი — დარისპანს არ ეშინია?
გლეხი — გამიგონენ, ქალო, ამქვეყნად იგი შიშით დაიარება, კანკალებს, იმი-
ტომ ელოლიავენ იმ ხეს.

ცოლი — რატომ იცი ასეთი ლაპარაკი, ჩემო კაცო, ვერც კი მივხვდი, რას ამ-
ბობ!

გლეხი — ყოველი ბოროტება შიშის შეილობილია.
ცოლი — გული ნუ გამიწყალე, მაინც რა ქნა იმ დარისპანმა, მითხარი ერთი.
გლეხი — ვერ მიხვდი?
ცოლი — ვერ მივხვდი, ვერა!
გლეხი — მართლა ვერ მიხვდი?
ცოლი — რატომ იცი, ჩემო კაცო, ასე ლაპარაკი?
გლეხი — ქალო, ცხვარს ხომ ვპარსავთ ჩვენ?
ცოლი — მერე?
გლეხი — მიწის გაჩენიდან დარისპანი ასე პარსავს ქვეყანას.

ცოლი — რაო? მერე კაცები გაწყდით?

გლეხი — იმსაც თავისი ხალხი ჰყავს.

ცოლი — ამირანი?!

გლეხი — ამირანი დაჯაჭვეს, იალბუზზე მიაკრეს.

ცოლი — უიმე, რა მეშველება!

გლეხი — რა ვიცი, შვილებმა იციან, მათი ვაჟკაცობის საქმეა.

ცოლი — შორიდან მაინც მანახე ეს დარისპანი, კაცო.

გლეხი — დაიყინებ და დაიყინებ, რა სანახავი ის არის! მის ნახვას თავით რომ
ნიორი ნაყო, ისა ჯობია.

ცოლი — მე დედა ვარ და მინდა მისი შეხედვა.

გლეხი — ვითომდა რათაო?

ცოლი — აბა არ ვიცოდე, ვინ არის ჩემი ოჯახის მტერი? ჩემი ბავშვების ბედს
ვინ ემუქრება?

გლეხი — იცოდე, მერე არ წამეჩხუბო, რატომ მანახეო!

ცოლი — რატომ იცი, კაცო, ასეთი ლაპარაკი?

გლეხი — ნახე, ნახე, მისღ ნამოქმედარიც ნახე, იცოდე, ცრემლი კი არ დამანა-
ხო, არ დამანახო, თორემ...

მეორე სურათი

ნელა იხსნება ფარდა და ნისლით დაბურული, თოვლიანი მწვერვალები გა-
მოჩნდება. ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ყინულოვანი მწვერვალის ქვეშ, გამოქვაბუ-
ლში, მიჯაჭვული დევგშირი ამირანი იღანდება. ყვავ-ყორნები ესევინ და გულს
უფლუთენ.

უფრო შორს, ღრუბლებში, მოჩანს აინშტაინის სილუეტი. ისმის გამაყრუებე-
ლი, ბოროტი ხარხარი. გამოჩნდება დარისპანი, წვერი ტრუმენს მიუგავს.

დარისპანი — ვინ მეძახდა მე?

პირველი ხმა — არავინ, ბოროტებას განა ვინმე მოუხმობს?

მეორე ხმა — შენ არავინ გიხმობს, ნეტავი თვით არ ეძალეობოდე ხალხს.

მესამე ხმა — შენ ყველას სძაგხარ, შენი ყველას ეშინია.

დარისპანი — სტყუით! ადამიანებს მე ვჭირდები.

პირველი ხმა — ასეთი ადამიანები სახრჩობელაზე უნდა ეკიდონ.

დარისპანი — აი ხომ ხედავთ, თქვენც სახრჩობელა ახსენეთ. ვინც სახრჩო-
ბელა ახსენა, მე მას ვჭირდები.

მეორე ხმა — არ იფიქრო. ჩვენ ადამიანთა სიკეთე გვინდა.

დარისპანი — აი ამ ვაჟბატონს, ამ დეკაკაცსაც ეს უნდოდა (ამირანზე მიუთი-
ებს). აგერ რამდენი საუკუნეა აქ არის და თავისი თვალით ხედავს ადამიან-
ების ბოროტებას. ქვეყნად სიკეთე არ არსებობს — სულ ომები, სულ
ერთმანეთის ხოცვა და ჟლეტაა.

მესამე ხმა — ეს ადამიანების ბრალი როდია. ეს შენი ბოროტების თესლია.

დარისპანი — ჩემი თესლია, დიახ, ჩემი თესლია. ისინი მე მგვანან, ჩემიანრე-
ბი არიან. ადამიანი ყველა ბოროტია. კაცმა კაცი ისე უნდა შეჭამოს, რო-
გორც ირემმა — ბალახი, ვეფხვმა — შვლის ნუკრი, მგელმა — ცხვარი და
თიკანი. ასე იყო და ასე იქნება.

პირველი ხმა — ტყუილია, ცილისწამებაა ადამიანთა მოდგმაზე.

დარისპანი — ასე ეგონა ამირან ლომკაცსაც, ადამიანის კეთილშობილებით

მოხიბლული იყო. ძმამ ძმის ჰირო უნდა გაიყოსო, თავისი ღვინო შეგობ-
რებს, მოყვასს გაუზიაროსო, ხალხის სიყვარულს შეეწიროსო.

მეორე ხმა — დიდ არს სახელი მისი.

დარისპანი — სისულელეა, სიგიჟეა. ადამიანი ბუნების შვილია. ბუნება კი
ვერაგია, დაუნდობელი. მზის შუქი ფიტავს და ამსხვრევს კლდეს და
მტვრად აქცევს მის ძარღვიან ქიმს. წვიმის წვეთი ცხელ ქვიშას ეპკურება
და კიდევ უფრო წვრილად შლის მას. რკინა დაუნდობლად ხლეჩს ხის ვეება
ტანს. რკინას კი ჟანგი ჭამს და აძაბუნებს. ასე იყო და ასე იქნება.

პირველი ხმა — მზე ათბობს და ამოძრავებს ქვეყნიერებას.

მეორე ხმა — წყალი აწყურებს ყველა მწყურვალს და ჰაერთან, მზესთან ერთ-
თად სიცოცხლეს ბადებს.

მესამე ხმა — ადამიანები აკეთილშობილებენ ბუნებას.

დარისპანი — ასე ეგონა ამირან ლომჯაცასაც. ბუნებას აღუდგა, განგებას
ცეცხლი მოსტაცა და ადამიანს გაღასცა. რკინას თვალი დაადგა, ცეცხლის
ღახმარებით ხმლის და ისრის წვერის მაგივრად, სახნის-საჭრეთელი გააკე-
თებინა.

ხალხი — დიდ არს სახელი მისი.

დარისპანი — სისულელეა, სიგიჟეა. ეს ხომ ბუნების წინააღმდეგობაა, ერთ-
მა მეორე უნდა ჭამოს, ერთმა მეორე ანადგუროს. ძლიერმა სუსტი უნდა
გადაყლაპოს. წერო ბაყაყთა მოდგმით იკვებება, ბაყაყები კი ჰილუთათ
ცხოვრობენ.

ხალხი — ადამიანები აკეთილშობილებენ ბუნებას.

დარისპანი — ტყუილია. გაჩენის დღიდან ისინი ერთმანეთს ხოცავენ და ანა-
დგურებენ.

ხალხი — ეს შენი თესლია.

დარისპანი — კი, ჩემი თესლია. ადამიანები მე მგვანან.

სამივე ხმა — დიდ არს ამირანის სახელი.

დარისპანი — ამირანი ერთია, ადამიანები მილიონებია. ისინი ათას რამეს
იგონებენ ურთიერთის მოსასპობად, ერთმანეთის გასაყლელად. აბა მაჩვენ-
ნეთ ადამიანთა გონების ისეთი ნაყოფი, რაც მათ ამრავლებდეს და არ ხო-
ცავდეს. ყველაფერს იმიტომ იგონებენ, ერთმანეთი გაანადგურონ.

სამივე ხმა — ტყუილია. ადამიანთა მიზანი სიკეთეა.

დარისპანი — ამირანმა კეთილი მიზნით მათ ცეცხლი და რკინა მისცა, სწო-
რედ ამ ცეცხლით და რკინით ულეტენ ისინი ერთმანეთს.

სამივე ხმა — ეს მხოლოდ შენი თესლია.

დარისპანი — კი, ჩემია, ჩემი თესლია. ადამიანები მე მგვანან ახლაც.

პირველი ხმა — სტყუი, მსახვრალო!

დარისპანი — ასე იყო, ასე არის და ასე იქნება.

სამივე — არა და არა! აღარ იქნება.

დარისპანი — მე ცოცხალი ვარ. ადამიანები ცოცხალნი არიან. ჩემი თესლი
კვლავ აღმოცენდება.

პირველი ხმა — შენი თესლი გამოიფიტა, ძარღვი დაკარგა, საწყაოფო ნატა-
მალი გამოუშრა. შენი თესლი მოიხსობა.

მეორე ხმა — დააკვირდი დედამიწას, ახალი ხალხი მოვიდა, ამირანის თეს-
ლის ნაყოფი.

დარისპანი — ისინიც ადამიანებია, მაშასადამე, ჩემი თესლი არ მოსპობილა.

მესამე ხმა — მათი აზრი სულ სხვაა, მათი ფიქრი სულ სხვაა, მათი მოქმედება სიკეთეა და ბედნიერება.

დარისპანი — ასე ეგონა ამირან დეკაცასაც. მისი ცეცხლი და რკინა ასეთული საუკუნეებია ჟღერს ხალხს.

სამივე — ეს შენი ბრალია, შენ ხოცავ ხალხს.

პირველი ხმა — გაიხსენე შენი ნამოქმედარი!

მესამე ხმა — კაენის შემდეგ ხალიბას მკვლელობა შენი ხელით მომხდარი პირველი კაცთა კვლაა.

პირველი ხმა — შენ მოჰკალი ჭაბუკი ხალიბა!

დარისპანი — მე არ მომიკლავს, თვითონ შემომაკლა თავი.

მეორე ხმა — სტყუი! შენ იგი მოჰკალი, როგორც ხვალინდელი დღის სიკეთის თესლი. შენ გეშინოდა მისი.

პირველი ხმა — მისი დავაჟაკება შენ დალუპვას გიქადდა.

მეორე ხმა. — შენ დალუპე ამირანი.

დარისპანი — ბრალი არ მაქვს, თვითონ გამოუტანეს თავიანთ თავს განაჩენი.

მეორე ხმა — სტყუი, ბოროტო კაცო.

მესამე ხმა — დიდ არს ამირანის სახელი!

პირველი ხმა — შენ კი პირველი მკვლელთაგანი ხარ ადამიანთა შორის.

მესამე ხმა — ხომ გახსოვს ხალიბა?

მეორე ხმა — გაგახსენებთ, თუმცა არც შენ დაგვიწყნია. დე ამ ხალხმა ნახოს შენი ნამოქმედარი.

მესამე სურათი

ნელა იწმინდება ნისლი. თანდათან გამოჩნდება კავკასიონი. ხანდახან გაილეგებს და მაშინ ფერღობზე მოჩანს ვეება წაბლისა და თხმელის ხეები, ზედ ველური ყურძნის მტევენებია დაბარდნული. გარეთ ქარიშხალია. ხის წვეროებთან ერთად თითქოს მწვერვალებიც იზნიქებიან. ხეებში ამღვრეული, აღიდებული მდინარეები მოქშუიან. ცაზე შავი ღრუბლები ერთმანეთში ირევა. ყოველ წუთს ელავს და მუხი გრგვინით ეხლება კავკასიონს. ერთ-ერთი გამოქვაბულის წინ ავთო დგას, გამოქვაბულში დედამისი დუნიადარი მოჩანს. ავთოს გვერდით კლდის ქიმზე მშვილდ-ისარია მიყუდებული. გამოქვაბულის წინ, უფსკრულის პირას ვეება ძელქვაა, მისი ერთი ფესვი გაღმა ნაპირამდე წვდება. ეს ფესვი ხილიც არის.

დუნიადარი — შიგნით შემოდი, ბიჭო, ხომ ხედავ, ქვეყანა იქცევა, გაცივდები, ავად გახდები, შემოდი-მეთქი!

ავთო — მაცალე, დედი. ცოტა კიდევ მინდა ვუყურო ქვეყნის სიდიადეს. შეხედე, როგორ გაიელვა! თითქოს ორი ცეცხლის გველეშაპი გადაეჭდო ერთიმეორეს! დედიკო, შეხედე, მეხი გავარდა და სწორედ იმ კლდის წვერს დაჰკრა, მე რომ ტახი შემომეფეთა. ჰო, ჰო, ჰო, იმხელა მთა როგორ დაამსხვრია?! ნახე, ნახე, მდინარესავით მოქუხს ქვემოთ. აი ძალა ამას ჰქვია! ნეტავი ამირანს რომ დაეცეს, რას უზამს, ჰა? ნუთუ დღეს არ გამოჩენილა ჩემი ძმობილი?

დუნიადარი — არა, შვილო, არ ყოფილა. იმის გზაკვალს ვინ გაიგებს! დღეს რომ აქ არის, ხვალ ქვეყნის მეორე კიდეზე გადაინაცვლებს. რაც ის ყურმა ძალლი ჰყავს, სხვა კაცად იქცა, გაუჩინარდა, უხილავი გახდა.

ავთო — კარგი კაცია ჩემი დიდი ძმობილი. ხალხი უყვარს. მის ჭირვარამს უღობა.

დუნიადარი — მერე რა, რა გავციკეთა მისმა გულკეთილობამ. ჩვენ მაინც სიცივით ვკანკალებთ, ამ ცივ მთებში სხეული ვერ გავცივობთ.

ავთო — ეს რამ გათქმევინა?! განა ეს მთები ცივია?! ხომ ხედავ, ქვემოთ ყურძენი ხარობს, დაფნის სურნელოვანი ფოთლები იკრიფება ზაფხულშიც და ზამთარშიც (ამ დროს ისევ გაიფლავა და მეხი გავარდა). ჩვენს ძველ სამყოფელოში ცუდი აღამიანები მომრავლდნენ. ამირანმა აქეთ წამოსვლა გვირჩია. სიცივე შენ ამ მთების გადაღმა ნახე!

დუნიადარი — განა აქ ცოტაა ცუდი აღამიანი?! ვინ ჯანდაბაა ეს დარისპანი! აქეთ რად წამოიყვანა, ხომ იცოდა, რომ ბოროტებით სავსეა მისი გული?!

ავთო — თვითონ გამოგვეკიდა. ამირანს დასდევს: სადაც სიკეთეა, იქ ბოროტებაც უნდა იყოსო.

დუნიადარი — ჰოდა, ბოროტმა რომ სძლიოს კეთილს?
ავთო — ეს რა თქვი, დედი?! ამირანს დარისპანი მოერევა?

დუნიადარი — ბოროტება, შვილო, ყოველთვის ორპირია და გაუტანელი, სიკეთე კი — პატიოსანი და გულმართალი.

ავთო — ამირანის დანები სულ კაჟის მთლიანი ძარღვისგანაა. ესეც მისი ნაჩუქარია. ერთის დარტყმით გავათავე ვეება ტახტი (ანვენებს ქვის დანას).

დუნიადარი — დარისპანი მკერდი-მკერდ როდი მივა ამირანთან, ზურგიდან მოუვლის, დანას ზურგში ჩასცემს (ამ დროს ისევ იფლავა, მეხი გავარდა).

დუნიადარი — ვაიმე, შვილო, ხომ არაფერი მოგწვია ამ ღვთის ლახვარმა!
ავთო — მე რას მერჩის, რას დამაკლებს.

მზეონა — (გაღმიდან). ჰაუუ, ავთო-ბიჭო, ცოცხალი ხარ?
ავთო — (სიხარულით). ცოცხალი ვარ, ცოცხალი! მოდი, გოგო, მოდი!

(მზეონა მორბის ძელქვის გადაკიდებულ ფესვზე).

მზეონა — ჰო, რა შემცივდა! ნეტავი თუ ოდესმე გავთბები.
ავთო — აქ არა ცივა, ახლოს მოდი.

დუნიადარი — აქეთ მოიწით, გამოქვამულში უფრო თბილა.
(შევლენ გამოქვამულში).

მზეონა — გამათბე, ავთო-ბიჭო, გამათბე. შენს ახლოს ყოველთვის თბილა (ლოყას ლოყაზე მიადებს).

ავთო — მოდი, მზეონა, დღეს მეტად ლამაზი ხარ. მაინც რა პატარა გული გაქვს, ჩიტის გულივით ფეთქავს.

მზეონა — ჩიტის გული?! დარისპანი კი ამბობს, მიკიოტის გული გაქვსო.
ავთო — (ყურს არ უგდებს). შველივით ფეხები და თვალები გაქვს, კალმახივით ტანი. დედი, ხომ მართალი ვარ?!

დუნიადარი — მამაშენიც ასე მეუბნებოდა. ასე იყო და ასე იქნება. სილამაზე მხოლოდ სიჭაბუკეა, ახალგაზრდობაა.

ავთო — რა რბილი თმა აქვს, დედი, მზეონას?! ერთი ხელში ავიყვანო და გარწო.

მზეონა — არ მინდა, ავთო-ბიჭო, ასე მირჩევნია ხმელ ბალახში წოლა (წვიმამ თანდათან გადაიღო. მზეონამ ჰაბუქს წელზე შემორტყმული ქვის სატევარი შეხსნა).

მზეონა — ჩვენი სატევარი!
ავთო — ამან გადაგვარჩინა იმ დღეს.

მზეონა — ჰოდა, მეც იმიტომ მიყვარს.

ავთო — მაგარი ეშვები კი ჰქონდა იმ ტახს. ზურგზე შევასწარი, თორემ გამოვ
თავებდა.

მზეონა — მე კი ხეზე შევხტი. იქედან ვუყურებდი, როგორ ღადრავდი კისერს
ამ სატევრით.

ავთო — სქელი კისერი ჰქონდა. ძლივძლივობით მოვერიე, ბარძახზე მაინც
გამკრა ეშვები.

მზეონა — ოჰ, როგორ შემეშინდა! მეგონა ვერ მოერეოდი, ისე ხროტინებდა,
ტყეს ხანზარი გაჰქონდა.

ავთო — მისი ჯაგარი სავარცხლებად გამომადგა. ერთი შენთვის გავაკეთე.

მზეონა — ერთი დანა ხმელი ტალახივით ჩაგეფშვნა ხელში.

ავთო — კბილი გაჰკრა. სუსტი დანა გამოდგა, ხოროში, უძარღვო.
(უკვე შუალამე გადავიდა. სინათლემ იმატა, ძელქვის ფესვზე ზის ხალიბა-ბიჭი. მისი
თვალები დილის შუქზე გიშერივით ბრწყინავენ).

ავთო — შეხედე, მთელი ღამე ალბათ იქ გაათენა. დაკარგული კაცი მოსულა...

მზეონა — შენი ჭირიმე, ხალიბა, აქეთ მოდი, ძამიკო, აქეთ.
(ხალიბა გამოიქცევა და მზეონას და ავთოს შუა ჩაწვება. თმაბურძენულია, ფეხებზე
ტალახი აქვს შემშრალი).

ავთო — სად დაიკარგე, ხალიბა? ათი დღეა არა ჩანხარ.

ხალიბა — ამირანმა წამიყვანა, იცი, სად ვიყავით? ცეცხლის მთასთან ვიყავით.

მზეონა — ალბათ გარშემო ყველაფერს ათბობს ცეცხლის მთა!

ხალიბა — კი არ ათბობს, წვავს, ყველაფერს წვავს. სული შემეხუთა, ყველა-
ფერს დამწვრის და გოგირდის სუნი ასდიოდა.

მზეონა — ნეტავი მეც წამიყვანა, გავთბები მაინც!

ავთო — იქ რას აკეთებდი, ღმერთმა არ იწყინოს! არ დაგლახვროს!

ხალიბა — ამირანმა თქვა, ღმერთი ჩემი ნათლიააო. ცეცხლს სთხოვს, ადამიან-
ნებს ცივათ, უნდა მივეცეთო.

დუნიადარი — ღმერთო შემეწიე, ეს რა გავიგონე!

ავთო — მერე რა პასუხი მიიღო?

ხალიბა — ღმერთებმა უარი უთხრეს თურმე.

დუნიადარი — უარი უთხრეს?! რაღა გვეშველება!

ხალიბა — უარი უთხრეს. ცეცხლით ადამიანები ერთმანეთს მოსპობენო.

მზეონა — ვითომდა რატომაო?

დუნიადარი — ღმერთიც დარისპანს ეხმარება, ყოველი ადამიანი მასაც ბო-
როტი ჰგონია.

ხალიბა — ყოველ ადამიანში ეშმაკიც ზის და ადამიანიცაო.

მზეონა — (წამობტება). უყურეთ ერთი! მერე ვისი ბრალია? განა თვითონ ღმე-
რთებმა არ დააკურთხეს ეს თვისება ადამიანებს?

დუნიადარი — რაღა გვეშველება, სიცივისაგან გავციინებთ.

ხალიბა — არ გავციინებთ. ამირანმა თქვა, ცეცხლს მაინც მოვტაცებო.

დუნიადარი — რა თქვი შვილო, ღმერთებს ამირანი მოერევა?!

ხალიბა — ცეცხლი კი მოსტაცა და...

ავთო — მერე რა უყო?

ხალიბა — ჩემად იყავით, დარისპანმა არ გამიგოს. ამირანმა მე გამომატანა.
თიხის ჭურჭელში, ცხელ ნაცარში მაქვს გახვეული.

დუნიადარი — მერე რას გაჩუმებულხარ, რად მალავ.

ხალიბა — ავთოსთან და მზეონასთან გამომატანა—ყველას გაუნაწილეთო. თან

დამაბარა: ხელი არ მიაკაროთ, დაგწვავთ, დაგთუთქავთ, მოგკლავთ კრ-
დეცო.

მ ზ ე ო ნ ა — ვაშა, ვაშა, დიდება ამირან დევკაცს!

ა ვ თ ო — აბა, გამოაჩინე შენი ძღვენი.

ხ ა ლ ი ბ ა — (უჩვენებს გაღმა). იმ გამოქვამბულში მაქვს (ავთოს ყურში რაღაცას უჩურ-
ჩულებს. ისიც თავს უჩვენებს).

ა ვ თ ო — კარგი, აქეთ გამოიტანე, ფრთხილად, არ ჩაგიქრეს (ხალიბა გარბის).

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ღმერთები დაგვრისხავენ, დაგვლახვრავენ!

ა ვ თ ო — ამირანმა უკეთ იცის.

მ ზ ე ო ნ ა — გავთბებით, გავთბებით, გავიხალისებთ, ვიცეკვებთ, ვიმხიარულ-
ლებთ!

ა ვ თ ო — დედა, ჩვენს ძელქვას უნდა მოვუკიდოთ ცეცხლი. დე, ყველამ დაინა-
ხოს ამირანის საჩუქარი!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ეს ხე მამაშენის დარგულია.

ა ვ თ ო — მით უკეთესი, დე, მისი ხელით დარგული ხის ნაკვერცხალი იყოს ჩვე-
ნი ხალხის ოჯახებში სითბოს შემტანი.

მ ზ ე ო ნ ა — ნაკვერცხლებს მე დავარიგებ.

ხ ა ლ ი ბ ა — (დიდი ქოთნით ნაკვერცხლები შემოაქვს). აი ამირანის საჩუქარი!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ღმერთო, ნუ შეგვრისხავ, ამას რას ვხედავ!

ა ვ თ ო — დედი, ძონძები მომეცი, ხეს შემოვაფენ, ცეცხლი უკეთ მოეკიდება.

ხ ა ლ ი ბ ა — ხმელი ხის ტოტებიც კარგია. ძლიერი ცეცხლი იცისო, ამირანისგან
გამივონია.

მ ზ ე ო ნ ა — ავთო-ბიჭო, კვერიც გამოვაცხოთ, ხომ გახსოვს, ამირანმა რომ გვას-
წავლა.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ჯერ გავთბეთ, შე ქალო, დაანთეთ, რაღას უცდიო?

ა ვ თ ო — აბა ხალიბა, აქეთ მოდი (ხმელ ჩინჩხვარს ცეცხლს წაუკიდებენ. ალი ნელ-ნელა
მალდება).

მ ზ ე ო ნ ა — ხალხო, ჰეი, გამოიხედეთ, ამირანმა რა გვაჩუქა!!! (ხალხი თანდათან გა-
მოდის გამოქვამბულებიდან. გაცეებით შეჰყურებენ აბრიალებულ ცეცხლს).

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა — ჩვენც ვაგვინაწილეთ!

მ ე ო რ ე ხ მ ა — ჩვენც ვაგვათბეთ!

მ ე ს ა მ ე ხ მ ა — ჩვენც ვაგვაჩაღებთ ცეცხლს!

ა ვ თ ო — უარი ვინ გითხრათ, აქეთ მოიწით (ხტუნვით მოდიან და ცეცხლის ახლოს
გროვდებიან).

ხ ა ლ ი ბ ა — ამირანმა თქვა, გამოქვამბულის შუა ადგილას კერიის ქვა დადეთ,
ცეცხლი უფრო შეინახებაო. იცოდეთ, ახლოს არ მიეკაროთ, დაიწვებით,
დაიხოცებით.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა — კერიის ქვა!

მ ე ო რ ე ხ მ ა — კერიის ქვა!

მ ე ს ა მ ე ხ მ ა — კერიის ქვა!

ხ ა ლ ი ბ ა — ნაკვერცხალი და კერია დედმამას და შვილებს გაათბობს, უფრო
შეაკავშირებს, უფრო დაახლოებს და ოჯახი შეიქმნებაო.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა — ოჯახი!

მ ე ო რ ე ხ მ ა — ოჯახი!

მ ე ს ა მ ე ხ მ ა — ოჯახი!

ხ ა ლ ი ბ ა — ისიც დამაბარა, ვისაც ნაკვერცხალი ჩაუქრება, მეზობელმა უჩხუბ-
რად მისცესო.

ავთო — მეზობლებო, დღეიდან თქვენს ოჯახებში სითბო დაისადგურებს.

ხალხი — დიდ არს ამირანი! დიდ არს!

მზეონა — ხშიადიკ გამოცხვება, ცეცხლი კეცს გაახურებს.

ხალხი — ხშიადი, ხშიადი, ხშიადი!

(ხალხი მღერის ლილეს).

ავთო — ამირანმა შემოთვალა, ცეცხლს ფრთხილად მოუარეთო, ხანძარი არ გააჩინოთ, კერიას იქით არ გაიტანოთ, ბავშვებს არ ანდოთ, ერთმანეთი არ გადაწვათო. ცეცხლი ძლიერია და შეიძლება უცებ მოგკლათ, უფრთხილდითო.

მზეონა — ცეცხლის სითბომ თქვენი გულელებიკ უნდა გაათბოს, ერთმანეთის მტრობა არ იფიქროთო.

(ძელქვა ჩაიქცევა, თანდათან ნაკვერცხლდება. ხალხი სიხარულის ქრამულს ატებს).

ხალიბა — იცეკვე, მზეონა, გეხვეწები, იცეკვე.

მზეონა — ავთო-ბიჭო, ვიცეკვოთ!

ავთო — ვიცეკვოთ, ქალო მზეონა, ვიცეკვოთ!

(იწყებენ ცეკვას. ყველანი ბილებენ ნაკვერცხლებს და ნაკვერცხლიანი ჯამებით ცეკვვენ. შემდეგ ავთო-ბიჭი და მზეონა გამოდიან. მათი ცეკვა ძალიან ჰგავს ცეკვა ქართულს).

დარისპანი — (კოჭლობით მორბის). სალახანებო, ვინ მოგცათ ეს ცეცხლი! (ყველა შეშინდება. ყველანი გაშეშდებიან).

ავთო — შენ რა გესაქმება?

დარისპანი — ვინ მოგცათ-მეთქი?

მზეონა — ამირანმა, ამირან დევკაცმა.

დარისპანი — სულელი, გიჟი, სალახანა.

ხალხი — დიდ არს ამირან, დიდ არს!

დარისპანი — სულელები, გიჟები, ცეცხლი რად გინდათ?

დუნიადარი — ვიყინებით. სიცივემ ძვალ-რბილში გაატანა. ხომ ხედავ, ვიხოცებით!

დარისპანი — იხოცებით? მერედა, რა მოხდება ამით. თქვენ თუ დაიხოცეთ, ხვალ მზე აღარ ამოვა?

დუნიადარი — ენა გაგიხმეს, ბოროტო კაცო! ბავშვებიკ არ გეცოდება.

დარისპანი — დღეს ერთი მოკვდება, ხვალ ორი დაიბადება.

მზეონა — შენისთანა გულქვა კაცი რომ არ დაიბადებოდეს, ისა სჯობია!

დარისპანი — ცეცხლი ამირანმა მოგიტანათ, ხომ?

ხალიბა — ჩვენ თვითონ ვიშოვეთ, ცეცხლის მთაზე ვიყავით.

დარისპანი — უყურეთ ერთი ამ ჭიალუას! შენ ვინ აგიყვანდა ცეცხლის მთაზე?

მზეონა — ამირანმა თავისი მხრით აიყვანა.

დარისპანი — ხომ ვთქვი, ეს მისი ოინია-მეთქი, ახლავ ჩააქრეთ.

დუნიადარი — ენა გაგიხმეს მაგ სიტყვისათვის, წყეულო ადამიანო!

დარისპანი — შენთვისაც მოვიცილი, ენატარტალავ!

ავთო — ენა ჩაიდღე, ბოროტების გუდავ!

ხალიბა — ვინ გაბედავს ცეცხლის ჩაქრობას?

დარისპანი — მე ვბრძანებ, აბა გაბედეთ წინააღმდეგობა?!

მზეონა — შენ ვინა ხარ, ჩვენთან რა ხელი გაქვს?

დარისპანი — სულელო, ვინა ხარო? ვინა და ქვეყნის რჩეული ვარ, ცეცხლი ჩემისთანა ადამიანებს სჭირდებათ.

დუნიადარი — ვითომდა რადაო, შენ უნდა გათბე და ჩვენი ბავშვები დაიყინონ?

დარისპანი — მე დავიბადე ადამიანების მეთაურად, ცეცხლიც მე უნდა მქონდეს. ვისაც მინდა, მას მივცემ.

დუნიადარი — ერთი თვალი მოთხრილი გაქვს, მეორეს კი ამ მუგუზლით ამოგწვავ, ამოგშანთავ, ბოროტო კაცო! ცეცხლი ერთ წუთს დაგფერფლავს, ხომ იცი, ქვასაც კი აღნობს.

დარისპანი — (შეშინდება). არ მომეკარო, წყეულო, მე შენ გაჩვენებ მუგუზალს.

ხალიბა — ამირანმა თქვა, დარისპანი ბოროტებაა, ქვეყნის გაჟლეტაზე უკან არ დაიხვესო.

დარისპანი — ქვეყანა იმდენია საჭირო, რამდენიც მე გამომადგება, თორემ ისე რა აზრი აქვს ჩემთვის ქვეყნის არსებობას.

მზეონა — სწორედ ამიტომ ხარ ბოროტი.

დარისპანი — ახალი ამბავი თქვი შენც. ვინ დაამტკიცა სიკეთე სჯობია ბოროტებასო?

ხალიბა — რას ამბობ, დარისპან? არა გრცხვენია?

დარისპანი — რა არის, ბიჭო, სირცხვილი? მომეცი ერთი მუგუზალი, მე მოვუვლი ამ ცეცხლს კარგად.

ავთო — არ მისცე, ხალიბა, ქვეყანას გადაწვავს!

ხალიბა — ამირანმა თქვა, ცეცხლი ყველას მიეციო, ცოდვა არიან, გათბებიანო.

მზეონა — დაგვლუპავს, ბიჭო, ეს ბოროტი კაცი.

დუნიადარი — (ავთოს, ჩუმად). წაიღოს, იქნებ გაჩუმდეს და სიკეთის გზას დადგეს.

დარისპანი — მომეცი, მე ვიცი, რასაც ვიზამ.

ავთო — არ მისცე, არ დაგვლუპო!

ხალიბა — (თვალს ჩაუკრავს ავთოს). მე ამირანის სიტყვას ვერ გავტეხ, ჰა, წაიდე!

დარისპანი — (მუგუზალს ხელს წააგლებს, დაეწევა და აყვირდება). ვაიმე, მომკლეს, მომკლეს!

ხალიბა — ვინ ვითხრა ხელი წააგლეო, დაგწვა, ხელი დაგითუთქა. ხომ ხედავ, ბოროტ ადამიანებს ერჩის. ჩვენ კი მოთვინიერებული გვყავს. შენ არ მოგყვება, იცის, ცუდი გიდეგს გულში.

დარისპანი — დაწყევლილი ხარო, დაწყევლილი! მაცალეთ, მე მაინც ჩავიგდებ მავას ხელში და მაშინ ნახავთ, მაშინ ნახავთ, ნახავთ.

გიორგი სურათი

მდინარის ნაპირი. ნაპირზე ხარის ტყავის კარგები. პატარა ბიჭები უმი ხორცის ნაჭრებს ღეჭავენ, ძვლებს ხრავენ, მშვილდ-ისარს რაღაცას უმიზნებენ. ეს უცხო ტომია, რომელიც დარისპანს ჩამოუყვანია. გამოჩნდება დარისპანი. ბავშვები დაიკვირებენ. კარგებიდან ხალხი გამოუფინება. წინ გამოდის მეთაური.

დარისპანი — აჰა, გვეშველა, მოვიტანეთ ცეცხლი (ქოთნიდან კვამლი ამოდის). ეშმაკობა და ბრძოლა კი დამჭირდა. თვითონ ამირანს გამოვგლიჯე ხელიდან.

მეთაური — შენ რას წაართმევდი, თვითონ მოგცემდა. გუშინ აქეთ ჩამოიარა და შევეცოდეთ, ბავშვები შევეცოდა.

დარისპანი — აქეთ იყო?! აი ბეჩაო! როგორ თავისუფლად დასეირნობს?!

მეთაური — გაგვიწყრა, რად წამოყვევით დარისპანსო. შენზე თქვა, ცუდი კაცია, ხომ ხედავთ მოგატყუათ, სიცივით დაგყინათო.

დარისპანი — გაჩუმდი! აი ცეცხლი მოგიტანეთ. გინახავთ ცეცხლზე?

მეთაური — არა, არ მინახავს (ბავშვები და ქალები შეფუფუნებთან ერთად გარშემო).

დარისპანი — ეს ადამიანის ბედნიერებაა. ვათბებით, სიცივეს ველარ იგრძნობთ. წელში გაიმართებით, ჭმუნვა გაგზორდებთ.

მეთაური — გვაჩვენე, რაღას უცდი. რაც ამ მხარეს მოგვიყვანე, ბავშვები სიცივით გვეზოცებიან.

დარისპანი — საჭმელი ხომ ბლომად გაქვთ. ტყეში ნადირი უთვალავია, წყალში თევზს ვერ ამოლევთ, მინდორი და ტყე ხილითაა სავსე, მუცლები ხომ ამოიყორეთ. ასეთი მდიდარი მხარე გინახავთ?

მეთაური — მუცლები კი, მაგრამ სიცივე, სიცივე! თევზი და ხორცი იმ მხარეში ცხელი მზის ქვეშ მალე ხმებოდა, ინახებოდა, აქ კი ყოველდღე უნდა ინადირო.

დარისპანი — გეყოფა წუწუნე, ვინ აგირჩია მეთაურად ასეთი ენატარტალა. სწრაფად, ხმელი ხის ტოტები მომიბრუნინეთ.

(ბავშვები და ზოგიერთი მოზრდილი გაიქცევიან, ხმელი ხის ტოტები და ჩინჩხვარი მოაქვთ).

მეთაური — აბა გვაჩვენე ერთი, დაანთე, დარისპან. შენ რაც თქვი, თუ ის გამართლდა, მეთაური დღეიდან შენ იქნები.

დარისპანი — ვიქნები კიდევ. თქვენი კი არა, ქვეყნის მეთაური და პატრონიც გავხდები.

მეთაური — ქვეყნის მეთაური ვერ გახდები. ამირანი ნამდვილი კეთილი დეგაკაცია, არ დაგანებებს.

დარისპანი — უყურეთ ერთი ამ კუხიანს, ამირანი მოსწონებია! მე შენ გიჩვენებ ამირანს! (ცეცხლს ანთებს. ხალხი ვაოცებით ეხვევა, სიამოვნებით ეფიცებიან).

მეთაური — მართლაც სასწაული ყოფილა (ცეცხლთან თბება).

დარისპანი — ახლოს მიიწი, თუ გინდა, ხელიც შეახე. აი იმ ნაკვერცხალს ოღნავ მიაკარე თითი.

მეთაური — ვითომ რა, მაშინებ? შენ ზომ გეჭირა ხელში? (დაავიწყდება, რომ ცეცხლი ქოთანში იყო).

დარისპანი — მე სხვა ვარ, შენ სხვა. ჩემთან მოთვინიერებულია, არ მერჩის. შენ კი შეგჭამს.

მეთაური — ამირანი ხომ არ შეჭამა, ამირანის ხალხი ხომ არ შეჭამა? ვითომ ჩემგან რა უნდა?

დარისპანი — (აძალებს). სინჯე, ხელი მოჰკიდევ, მაშინ ნახავ.

მეთაური — (ხელს წაავლებს ნაკვერცხალს და იყვირებს). ვაიმე, ეშმაკის გაჩენილი ყოფილა. ხალხო, არ მიეკაროთ!

(ყველანი უკან მიაწყდებიან).

დარისპანი — ხა, ხა, ხა. აი ხომ გითხარით! მაშ რა გეგონათ! ჩემს ხელში ძალივითაა მოთვინიერებული, თვალეში მიყურებს, რასაც ვუბრძანებ, იმას გააკეთებს.

მეთაური — აბა მოკიდევ ხელი, თუ არ გეტყინება.

დარისპანი — ხელსაც მოვკიდებ და ჩავაქრობ კიდევ.

მეთაური — ნუ ცხარობ. მე ხელის ტკივილი ახლაც მკლავს.

დარისპანი — აი ნახეთ (ჩუმად წყალში ჩაყოფს ხელს და სველი ხელით მუგუზალს ეხება. ყველანი ვაოცდებიან. მერე მუგუზალს წყალში ამოავლებს. ისიც დაიშინინებს და

ჩაქრება). ხედავთ? აბა მოკიდე ხელი.

მეთაური — არ მატყენს?!

დარისპანი — გეუბნები, ხელი მოკიდე, არ გატყენს.

მეთაური — (შიშით მოჰკიდებს ხელს, მერე ეჩვენა და გაბედულად ხელში აიღებს). გა-
შაგებულა კი... (აკვირდება).

დარისპანი — ჰო, დანახშირებულია. ნახშირის გაღვივება კი ისევ შეიძლება.
ცეცხლზე ლითონის გადاندობასაც ანერხებენ.

მეთაური — აი, ეს მითხრა ამირანმა, ცეცხლზე ლითონის გადნობას გასწავ-
ლიო. ისიც თქვა, ნაკვერცხლებზე ხორცი თუ შეიწვება, რბილი ხდებაო,
პურიც ცხვება თურმე.

დარისპანი — (დაცინვით). ამირანს უნდა შენ სულ მთლად ცეცხლზე დაიწვა,
დაიფერფლო. იცოდე, უჩემოდ ახლო არ მიეკარო. ხომ ნახე, რა გიქნა!

მეთაური — (შიშით). კარგი, უშენოდ ახლო არ მივეკარები.

დარისპანი — მე კი ამ ცეცხლს გამოვიყენებ, ყველაფერს გასწავლით, მხო-
ლოდ იცოდეთ — ჩემი უნებური არ გაბედოთ. რასაც მე გიბრძანებთ, ის
უნდა აკეთოთ.

მეთაური — გემორჩილებით, მხოლოდ ბავშვებს ცეცხლი არ მოაკლო.

დარისპანი — არ მოვაკლებ. აბა კიდევ შევეუქეთოთ ხმელი შეშა, კიდევ (უკა-
თებს. ალი მალღება. ბავშვებს შეუძახებს). აბა, აქეთ მოდიოთ, ნუ გეშინიათ, სადაც
მე ვარ, იქ თქვენ შიში ნუ გაქვთ. (ყველანი ცეცხლს მიეფიცებოიან).

მეთაური — მართლაც ბედნიერებაა. ახლა საკრავები მოიტანეთ, ერთი ძვე-
ლებურად გავმხიარულდეთ.

დარისპანი — მაშინ ჩემი ქოხიდან ყურძნის წვენიც გამოიტანეთ. დავლიოთ,
გავგამხიარულებს.

მეთაური — ჰო, ჰო, ჰო! ეს კი სულ მთლად გავგახარებს. (თვითონ გაიქცევა, ხის
ჭურჭლით ღვინო გამოაქვს. ყველანი ჯამებით სვამენ. შეხურდებიან. ველური მუსიკა უკ-
რავს. ისინიც ცეცხლის აღზე ეკვავენ).

დარისპანი — ასეა, თქვენ ჩემი დაიჯერეთ და სიმხიარულეს არ მოგაკლებთ.
ქვეყნის პატრონი კი მე უნდა გავხდე, მხოლოდ მე.

მეხუთე სურათი


ფერდობზე ტყეა შეფენილი. ხის კენწეროებზე ვაზის მსხმოიარე ტოტებია გა-
ბარდნილი. შიგადაშიგ მუხებთან ერთად ველური ვაშლის, თხმელის, მსხლის და წი-
ფლის ხეები მოჩანს. აქა-იქ გარეული ფუტკრის ოჯახი შესევია ხის ტოტებს. ხალიბა
ხის ერთ ტოტზე ზის და ყურძენს კრავს. ხელში წნელის გიდელი უკავია.

ხალიბა — (მღერის). ასეთი ტკბილი ყურძენი ჯერ არ მომიკრეფია. ამირანი აშ-
ბობს, წლელუს ბევრი მზე იყო და მისი ბრალიაო. (კუმალებს დამარცვლავს და
პირში ჩაიყრის). ოჰ, ოჰ, თაფლზე უფრო ტკბილია. (შორს ტოტების მტვრევის წმა
ისმის). ვილაც დააბოტებს, დარისპანი არ იყოს. (დაჰყურებს). ორნი არიან, ერ-
თის ფეხის ხმა რბილია, მსუბუქი. მაშასადამე, მზეონას ფეხის ხმაა, მეორე
ავთოა. აქეთ მოდიან. მოდი ერთი დავაფეთო! (მიიყუყება ხის ტოტზე).

ავთო — (შემოდის, მზეონა მოსდევს). ამ ადგილებში დიდძალი ყურძენი იცის. წელს
ფუტკარიც მოძალდა. ხედავ, თაფლი როგორ ნაკადულივით გადმოჩქექვს?

მზეონა — ძალიან მიყვარს ყურძენი და თაფლი.

ავთო — წელს ყურძენის წვენი უნდა დავწუროთ. კარგია, ადამიანს ძალას მა-
ტებს და სინარულსაც.



- მ ზ ე ო ნ ა — პირველად ტბილია, გემრიელია, მერე, როცა დაძველება, თავს მიბრუნებს.
- ა ვ თ ო — ბევრი არ უნდა დალიო. ერთი პატარა ხაპი კი სიამოვნებას მოგანიჭებს.
- მ ზ ე ო ნ ა — შეხედე, როგორ დამჭკნარა მტევნები, ფუტკარი დასევია.
- ა ვ თ ო — დედაჩემის მოსვლამდე დავკრიფოთ. (უცებ ხიდან ვაზის მტევნებით სავე ლურწი ჩამოწყდება და მათ წინ დაეცემა. მზეონა შეპკვილებს ავთო სატევარზე გაივლებს ხელს) აბა, გამოდი, ვინ ბრძანდები?!
- ხ ა ლ ი ბ ა — დამნებდი, ვაჟკაცო!
- ა ვ თ ო — შე.მართლა გიყო!
- მ ზ ე ო ნ ა — ხალიბა, ხალიბა! შენი ჭირიმე, ჩემო ძმაო!
- ხ ა ლ ი ბ ა — ამას კი... (ავთოზე მიუთითებს). ეწყინა ჩემი აქ შეხვედრა.
- ა ვ თ ო — გულელები გადაგვიბრუნე, უცხო მეგონე, წუთი და სატევარს გატაკებდი.
- ხ ა ლ ი ბ ა — დარისპანს ყურძნის წვენი დაუწურავს.
- ა ვ თ ო — ჩვენგან გადაიღებდა, ალბათ, გვითვალთვალებდა. კაცი კი არა, ქაჯია.
- მ ზ ე ო ნ ა — თუ დათვრა, იმ წუთში ჩემს ძებნას დაიწყებს.
- ხ ა ლ ი ბ ა — გუშინ უცხოელები დაუთვრია, ღრიალით ქვეყანას იღებდნენ.
- ა ვ თ ო — ამირანს უთხარი?! თუ გააფრთხილე?!
- ხ ა ლ ი ბ ა — არა, არ მითქვამს, არც ვეტყვი.
- მ ზ ე ო ნ ა — მართალი ხარ. ამირანს მისი ხსენებაც კი ეზარება.
- ა ვ თ ო — დარისპანს სულ არ ეშინია ამირანის.
- ხ ა ლ ი ბ ა — იცის, არ ავენებს. ამირანი ხომ სასიკვდილოდ კაცს ვერ გაიმეტებს.
- მ ზ ე ო ნ ა — დარისპანი კი ყველას სიამოვნებით დაგვლადრავს ყელს.
- ხ ა ლ ი ბ ა — (ჩაფიქრებული). ადამიანის სიკვდილი ჯერ არც მინახავს.
- ა ვ თ ო — მამის სიკვდილს რა დამავიწყებს. მდინარიდან ამოყვანილი თევზივით ხუნთქავდა სიკვდილის უამს.
- მ ზ ე ო ნ ა — დედაჩემი კი მოწყვეტილი ყვავილივით ჭკნებოდა ნელ-ნელა.
- ხ ა ლ ი ბ ა — ტყუილია, ადამიანი ადამიანს ვერასდროს მოკლავს.
- მ ზ ე ო ნ ა — დარისპანმა დაიფიცა, თუ არ დამემორჩილებით, დაგხოცავთო.
- ა ვ თ ო — დედაჩემს მართალი ჰგონია.
- ხ ა ლ ი ბ ა — დარისპანი გვაშინებს, ადამიანების დამონება მოისურვა.
- მ ზ ე ო ნ ა — ცეცხლი მოუტანია, მოუპარავს.
- ა ვ თ ო — ო, ეგ ცუდი ამბავია.
- ხ ა ლ ი ბ ა — თუ იცით, ჩვენმა ლითონმა ცეცხლი რომ დაბადა?
- მ ზ ე ო ნ ა — ვერ გავიგე, ხალიბა, რას ამბობ?!
- ა ვ თ ო — ხალიბამ ყოველ დღე ახალ-ახალი რამე უნდა მოიგონოს.
- ხ ა ლ ი ბ ა — (მიდის კაიანი კლდის ცვირთან). აი, ნახეთ! (ლითონის ნაპერს შემოკრავს, ნაპერწყლები დასცვივა). ხომ ნახეთ, კალიებზევით დაფრინავენ ნაპერწყლები. ამ ლითონისა და კაქის შეჯახება ნაპერწყლებს ბადებს.
- ა ვ თ ო — ეს კი საოცარია, ამირანს არც ეს უთხარი?
- ხ ა ლ ი ბ ა — ამირანმა თვითონ მასწავლა.
- მ ზ ე ო ნ ა — აბა აწი ცეცხლი აღარ ჩაგვიქრება.
- ხ ა ლ ი ბ ა — თუთის სოკო მდუღარეში მოვხარშეთ, ისე გაფუედა, მზეონას თმე-ბივით რბილი და ბეწვიანი გახდა.
- ა ვ თ ო — სოკო რა ეშმაკად გინდათ.
- ხ ა ლ ი ბ ა — იმ ლითონის ნაპერწყალს იტაცებს, ორჯერ თვალის დახუჭვაში ვე-ება ნაკვერცხალი გაჩნდება.

- მ ზ ე ო ნ ა — (მოხევევ). ჩემო ხალიბა, შენისთანა ძმა არავისა ჰყავს; რომ გავიზრდები, ამირანს დაემსგავსები.
- ხ ა ლ ი ბ ა — სისულელეს ნუ ამბობ, ამირანი ღმერთების მეგობარია.
- მ ზ ე ო ნ ა — მეგობარია თუ მტერი!
- ა ვ თ ო — ღმერთების ტოლია. ამირანმა მტრობა არ იცის.
- მ ზ ე ო ნ ა — ხალიბა, შენი ჭირიმე, ერთი კიდეც დაკვესე.
- ა ვ თ ო — ისიც გვაჩვენე, სოკო როგორ იტაცებს ნაპერწკალს.
- ხ ა ლ ი ბ ა — (ამოიღებს ტყავში გახვეულ აბებს, გაწეწავს და კლდის ცხვირს ლითოს დაჰკრავს). აი ნახეთ, დააკვირდით! (ცოტა ხნის შემდეგ აბებს მოეკიდება).
- მ ზ ე ო ნ ა — ნაპერწკალს წვიმის არ ეშინია?
- ხ ა ლ ი ბ ა — ამის ნაპერწკალს არ ეშინია. აბედი კი, როცა სველდება, ბუწალი არ ეკიდება.
- ა ვ თ ო — წყალი უფრო ძლიერია ცეცხლზე. თვალის დახამხამებაში კლავს, აქრობს.
- ხ ა ლ ი ბ ა — ამირანმა თქვა, დიდ ცეცხლს წყლის ამოშრობაც შეუძლიაო.
- მ ზ ე ო ნ ა — (მზეს გახედავს). აი, ცეცხლი იმას ექნება.
- ა ვ თ ო — წვიმა ალბათ ვერ მოერევა მზეს, თორემ ამდენ ხანს ჩაქრებოდა.
- ხ ა ლ ი ბ ა — ამირანმა ისიც თქვა, წვიმა მზის ქვემოთ ჩნდება, მზე ძალზე შორს არისო.
- მ ზ ე ო ნ ა — მე კი მეგონა წვიმა მზის მაგრილებელი იყო.
- ა ვ თ ო — მზეონას თოვლი ვარსკვლავეთის თეთრ ყვავილთა ფურცლები ეგონა.
- ხ ა ლ ი ბ ა — ხვალ ამირანი ჩამოივლის აქეთ.
- მ ზ ე ო ნ ა — კარგ ამბავს ყოველთვის ბოლოს იტყვის ხალიბა-ბიჭი.
- ა ვ თ ო — დედას უნდა ვუთხრა, ხშიადს გამოაცხოებს.
- ხ ა ლ ი ბ ა — ახალი ჭურები უნდა დავრეცხოთ, შარშანდელი წვენი გადავიღოთ.
- მ ზ ე ო ნ ა — ჭაშნიკს ჩვენც გავსინჯავთ, ხომ?
- ა ვ თ ო — ჩემი ჭური, აი, იმ პანტის ძირში ჩავფალი, მხოლოდ ქორწილის დღეს მოგხდი.
- ხ ა ლ ი ბ ა — მალე საკლავისთვის ხარები უნდა ჩამოვდენოთ.
- მ ზ ე ო ნ ა — ამირანიც გვაჩქარებს, ბარემ იქორწინეთო.
- ხ ა ლ ი ბ ა — ამირანის მეგობარს დარისპანისა გეშინია?!
- მ ზ ე ო ნ ა — იცი, მე როგორ მოვირთვები? (ფიქრში შესული ხის დაბალ ტოტზე შეხტება). სულ ყვავილებით მოვირთვები, თავზე გვირგვინს დავიდგამ. აი ასეთს... (კრფს ყვავილებს და გვირგვინებს აკეთებს, თავზე იდგამს). ავთოს წელზე ლითონის სატევარი ექნება შემორტყმული. ტანზე ვეფხის ტყავის სამოსს ჩავაცმევ. ორივე ხელში წაბლის ნაყოფით სავსე რტოებს დავიჭერთ. სანთიოზო სახელში შესვლის წინ რტოს სამჯერ დავკრავთ აივნის რიკულს. ნაყოფი ნაყოფიერებისა დაცვივა. დედა დუნიადარი იტყვის, ამდენი ვაჟი, ამდენი ქალიო. „ამინ“! დაიბუხუნებს ამირანი და ხალხიც დაადსტურებს მის სიტყვებს. ასი სული ხარი დაიკვლება, სამასი ცხვრის ტყავი გაიკიდება მზეზე გასაშრობად. თორმეტი ვაჟიშვილი უნდა მყავდეს და ცხრა ასული. მერმე დრო გავა, შვილიშვილები დაგვესევა. ოჯახი გამარავლდება...
- ხ ა ლ ი ბ ა — არა გრცხვენია! მე სულ დაგავიწყდი. ერთხელაც არ მახსენე.
- მ ზ ე ო ნ ა — (შეკრთება). კი, შენ ჩვენი ხელისმომკიდე იქნები! (ისევ ჩაფიქრდება).
- ა ვ თ ო — ჩემი ძმა იქნები. სუფრის თავში ამირანი დაჯდება, შუაში ჩვენ ვისხდებით, მეორე თავში შენ, ხალიბა.

(ამ დროს ხეებში გამოჩნდება დარისპანი. ყელგამოდარული შველი გადაუკურდრ მხარზე. უკან უცხოელები მოყვებიან. წინ მეთაური მოუძღვება. ეტყობათ, ძალზე ნახევარი მები არიან.)

ერყენული
გინგლირთქა

მ ზ ე ო ნ ა — ვაიმე, დარისპანი!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (გაიგონა ავთოს ბოლო სიტყვები). ჩემთვის სუფრაზე ადგილი არც კი დატოვეთ, ხომ?!

ხ ა ლ ი ბ ა — (დააკვირდება). ამათ ჩვენი ჭურისთავები დაუყნოსავეთ.

მ ე თ ა უ რ ი — აი, ყურძნის წვენი ამას ჰქვია.

მ ზ ე ო ნ ა — ავთო, ჩვენი საქორწილო ღვინო დაუღვეიათ!

ავ თ ო — (გააფთრებული). უსინდისო, ეს როგორ გაბედე?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (ბანცალებს). უსინდისოები თქვენ ხართ, საწამლავი დამალევი-ნეთ. ოჰ, თავი მიბრუთს. ყველაფერი ორად მეჩვენება. მაინც კარგია ეს ქვეყანა. ეტყობა, ყველაფერი ადამიანისთვის არის გაჩენილი. უნდა გამოიყენო, უნდა დაიმორჩილო, უნდა დაიმონო (მტევანს აიღებს). ვინ იფიქრებდა, ასე წვიროლ კუმპლებს ასეთი სიტკბო და ძალა ექნებოდა?!

მ ე თ ა უ რ ი — (დარისპანზე უჩვენებს). ამ კაცმა შეგვჭამა, ძვალცი გახრა და სულცი.

ხ ა ლ ი ბ ა — ღვინომ აალაპარაკა. ეტყობა, ყურძნის წვენს ეს ერთი კარგი თვისება ჰქონია, ადამიანს მართალ სიტყვას ათქმევინებს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (ვერ მიხვდა მეთაურის ნათქვამს. ისევ თავისას ვანაგრძობს). კი, ყველაფერი ადამიანისაა, თვითონ ადამიანებიც—ძლიერი ადამიანისაა. ბრბოს საბელი ჩააბი ყელში და საითაც გინდა, იქეთ წაიყვან. ჰე, ჰე, ჰე! კარგი წვენი დაუწურავს ავთო-ბიჭს. საქორწილოდ მინდაო. არა, ერთი ჰკითხეთ, ვისზე აპირებს ქორწინებას. სიკვდილის ანგელოზზე? (შეუბრავს). მე შენ დაგაქორწინებ! ისეთ დღეს დაგაყრით ყველას, ქორწილს პანაშვილად გადაგიქცევთ. უყურე შენ, ქორწილიო. ჰე, ჰე, მეცინება, თითქოს ილიაში მიღიტიინებენ. არა, რა ყოფილა ეს ყურძნის წვენი? (შველს დააფებს). მზეონა, ეს შენთვის მოვკალი.

მ ე თ ა უ რ ი — (აღეშებულია). აკი ამბობდი, შევწვათ და ყველამ ვჭამოთო. ახლა მზეონას უნდა მიართვა, არა? ცუდი კაცი ხარ, სულ შენკენ მიითლი ყველაფერს, ჩვენი არაფერი გწამს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (ისევ თავის ფიქრშია). საღამოთი ცაზე ვარსკვლავები აინთებიან, ისინი მთვარის ახლოს უფრო ფერმკრთალად კიანობენ. ასეა ადამიანიც. ძლიერი კაცის გვერდით სუსტი ადამიანები უფერულნი ჩანან. აბა, ილხინეთ, იცეკვეთ, იმხიარულეთ. (უცხო ხალხი ცეკვას იწყებს, ძალზე მოვრალეები არიან, ღობე-ყორეს ედებიან, ბანცალებენ, ყვირიან, კივიან, გიყვება ჰგვანან).

ხ ა ლ ი ბ ა — ყურძნის წვენს გაგიყება სკოდნია, ეტყობა, არ დაიღვეა.

ავ თ ო — ყურძნის წვენსაც ზომიერება ჰყვარებია.

მ ზ ე ო ნ ა — თაფლიც ასეა, ბევრი მწყენს, გულს მირევს.

მ ე თ ა უ რ ი — (დარისპანს) მე გეკითხები, მთელ ქვეყანას აბუჩად რომ იგდებ, ვინა ხარ-მეთქი შენ? ერთი რომ მკლავებში მომხვდე, წნელივით დაგგრებს, დაგფშვნი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — რას ბურტყუნებ შენ, რაებს როშავ.

მ ე თ ა უ რ ი — მე კი არა, შენ როშავ. სამყაროს პატრონი გგონია შენი თავი.

ხ ა ლ ი ბ ა — გავშორდეთ ამათ. ესენი კარგს არ იზამენ.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — (შემოვარდება). სადა ხართ, ნახეთ ჩვენი ჭურები რომ ამოუღს-რებიათ?

ავ თ ო — რა უნდა ვიღონოთ, ქურდობა იკადრა.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — (დარისპანს). ბოროტების ფესვო, ეს რა მიყავი? წლის ნაშრომი წაგვართვი. სისხლად დაგდინდეს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — აი ასე მოვიქცევ ქვეყანას მუჭში. თქვენ ყველანი ჩემი მონები იქნებით, ამირანიც. არა, ამირანს დავჯავავ, იალბუზის ქვეშ მივაბამ სამუდამოდ. დაე, უყუროს თავის კეთილ ადამიანებს, თუ როგორ დახოცავენ ერთმანეთს მისი მიცემული ცეცხლით, როგორ ჩასცემენ ერთმანეთს გულში ცეცხლში ნაწრთობ სატევრებს. აბრიალდება ხანძრები, დაიწვება სახლები, სოფლები, დაიფერფლებიან ადამიანები.

მ ე თ ა უ რ ი — (დარისპანთან მიდის). შენ მე პასუხის გაცემის ღირსადაც არ მთვლი?!
98

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (სატევარზე ხელს წაივლებს). ჯერ თქვენ ეს არ გინახავთ, ნახეთ! (ხის ვეება ტოტს მოუქნევს. ტოტი მოისხიპება და ჩამოვარდება. ყველას გაოცებისაგან ოხვრა აღმოსდება).

მ ე თ ა უ რ ი — ნუ მაშინებ. ჩემი ხელებით მოგახრჩობ (მოიწევს).

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — (თავისიანებს). აქედან წავიდეთ. აქ ბოროტება დულს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (მეთაურს). აბა მოდი, ახლოს მოდი. ორაგულივით გაგფატრავ.

მ ე თ ა უ რ ი — მე გეუბნები, არ მეშინია შენი. აბა, ჩემიანებო, ერთი ამას ჩვენებურად კომბლებით მოვეფეროთ, აი, მხეცებს რომ ვეფერებით, ისე. (მთვრალეები აბლავლდებიან და მანუვა-გრეხით დარისპანისკენ მიიწევენ).

ხ ა ლ ი ბ ა — დაწყნარდი, დარისპან, ჩხუბი და დავა აბა რა საკადრისია?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — წინ წამოდექით, რომელია ვაჟკაცი.

მ ე თ ა უ რ ი — (კომბლით ხელში). თავს გაგიხეთქავ, გაჩვენებ, როგორ უნდა ხალხის მოტყუება.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — სიკვდილი მოგენატრათ?! ეს ქვის ხომ არ გგონია შენ? (სატევარს უჩვენებს).

მ ე თ ა უ რ ი — თავს გაგიჩეჩქავ!

(ხალხი ღრიალით შემოერტყმება ვარს დარისპანს).

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — მოდი-მეთქი, მოდი! (მეთაური წინ წაიწევს და დარისპანს კომბალს მოუქნევს. დარისპანი სატევარს გადაუსვამს თითებზე, თითები გადაიჭრება, სისხლი თქრიალით მოდის).

მ ე თ ა უ რ ი — (გამოფხიზლდება). მკლავი მომჭრა ამ უნდო კაცმა.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — აბა რა გეგონა. აბა, ვინ მოდის კიდე!

(ყველანი გარბიან).

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ეს კაცი არავის არ დაინდობს. შეხედე, რა ბოროტად უელავს თვალები!

ხ ა ლ ი ბ ა — (გაოცებული უყურებს სისხლს). წითელია, აი რანაირი სითხე ჰქონია ადამიანს (ავთოს). მოკვდება ეს საწყალი.

ავ თ ო — ვინ იცის, მე ჯერ ასეთი არაფერი მინახავს.

მ ზ ე ო ნ ა — (კანკალებს. დარისპანს). ეს რა ჰქენი, შე უბედურო?

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ადამიანებო, მე დედა ვარ და სისხლის დაღვრის მეშინია (მეთაურს). ვაი, შენს დედას, უბედურო!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ვინც არ დამნებდება, ასეთი დღე მოელის.

მ ზ ე ო ნ ა — საზიზღარი ხარ, საზიზღარი.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — (ტირილით). ვაიმე, სისხლი! ნახეთ, როგორი წითელი ფერის ყოფილა. ვაი დედაკაცის ბედს, ამიერიდან ჩვენს შვილებს ფათერაკი არ ასცილდებათ.



მთები და ტყე. ტყის პირას ფერდობზე სამკედლო ქურა მოჩანს. ისმის შებენიანი
 ლები და სიმღერა.

- ხ ა ლ ი ბ ა — ხვალ დილით ზევით ამოვივლიო, ამირანმა დამაბარა.
- ხ ა ლ ხ ი — იდიდოს მისი კაცობა.
- ა ვ თ ო — წყვილი ხარი უღელში გაუხედნავს. რკინის გუთნის წვერი ღრმა ხნულს
 გააულებს, ხარები კარგად, მჩატედ გასწევენო. (ავთო სამკედლოში შედის და
 მუშებს ეხმარება).
- ხ ა ლ ხ ი — იდიდოს ჩვენი ამირანი, იდიდოს მისი სახელი!
- ხ ა ლ ი ბ ა — დარისპანი აღარ ჩანს. ამბობენ, თავისი მომხრეები გაუმრავლებია,
 უცხო მხრიდანაც ბევრი მოუყვანია თურმე. მგონი, ცეცხლი მოუპარავს.
- მ შ ე ო ნ ა — მეუბნება, ავთოს თავი დაანებე, ჩემთან წამოდიო.
- ხ ა ლ ი ბ ა — რა თქვი, მზეონა?!
- მ შ ე ო ნ ა — კი, ასე შემომითვალა, თვითონაც მითხრა პირში.
- ხ ა ლ ი ბ ა — შენ რა უპასუხე?
- მ შ ე ო ნ ა — მანამ ის ცალი თვალი დაგიდგება-მეთქი.
- ხ ა ლ ი ბ ა — ჰაი, ჰაი, კარგად გიპასუხნია.
- მ შ ე ო ნ ა — დედოფლად გამოგაცხადებ, მალე ქვეყნის ბატონ-პატრონი ვიქნე-
 ბიო.
- ხ ა ლ ი ბ ა — რა ვიქნებიო?!
- მ შ ე ო ნ ა — ხომ გითხარი, მეფე ვიქნები, ქვეყნიერება მე დამემორჩილებო.
- ხ ა ლ ი ბ ა — სხვა რა თქვა კიდევ?
- მ შ ე ო ნ ა — ამირანს დაჯაჭვავ, იალბუხის ფესვზე მივაბამო.
- დ უ ნ ი ა დ ა რ ი — (გამოდის ქოხიდან, ყური მოპკრა ნათქვამს). ჰოდა, შეასრულებს კი-
 დეც!
- ხ ა ლ ი ბ ა — ამირანს მოერევა?!
- დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ეშმაკობა მოერევა, დარისპანი კი არა! ხომ ხედავ, რა უთქ-
 ვამს, ჯაჭვს გავექდავ და ამით დავაბამო.
- მ შ ე ო ნ ა — მერე ავთოს და ხალიბას ჭკუას ვასწავლიო.
- დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ავთოს მომიკლავს ის წყეული, ყოველნიერ სიგლახეს ჩაი-
 დენს, რატომ მიეცი ცეცხლი, რატომ?!
- ხ ა ლ ი ბ ა — დუნიადარ დეიდა, ამირანს დარისპანი ვერაფერს დააკლებს,
 იცოდე.
- დ უ ნ ი ა დ ა რ ი — აი ნახავთ, რას დაგვმართებს! ვაი, რომ მთელი სიმწარე დე-
 დის ძუძუმ უნდა გადაიტანოს.
- მ შ ე ო ნ ა — ავთოს რომ რაიმე დამართოს, დარისპანს მე მოვკლავ!
- ხ ა ლ ი ბ ა — ხვალ ამირანს უნდა ვუთხრათ ყველაფერი.
- ა ვ თ ო — (გამოდის). შეხედეთ, თქვენი ჭირიშე, რა სახნის-საკვეთი გამოვიყვანეთ!
 ნაგვალავი მიწაც კი ვერ გაუძლებს, კლდის ძარღვსაც მოხნავს. (ათვლიერებს).
 აი, ადამიანის ბედნიერება! რამდენ მინდორს გადავხნავთ და დავთესავთ
 გაისისთვის!! ნალიებს დავავსებთ ხორბლით, ქორწილის მდიდარი წელი და-
 გვიდგება, მზეონა.
- მ შ ე ო ნ ა — მე ხარებს გავუძღვები. პირველ კვერს კეცზე მე გამოვაცხობ.
- დ უ ნ ი ა დ ა რ ი — იმ ბოროტმა კაცმა თუკი დავვაცალა, მართლა ბედნიერება
 იქნება, შვილებო! ცეცხლიც კერიახე გაბრწყინდება და ხორბალიც თავსაყ-
 რელად გვექნება!
- ხ ა ლ ი ბ ა — ხომ არაფერს ვუშავებთ, ჩვენთვის მოვხნავთ და დავთესავთ.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — შვილო, მაგან მოსვენება არ იცის, მაშინ ხარობს, როცა ადამიანებს უჭირთ.

მ ზ ე ო ნ ა — ავთო-ბიჭო, ქორწილი როდის გვექნება?

ავ თ ო — ამირანს ვკითხვით და გვიჩვენებს.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — საშემოდგომოდ აჯობებს, ნალიაც საესე იქნება და ჭურ-მარანიც.

ავ თ ო — ბიჭები ისეთ სიმღერას ამზადებენ, რომ ღმერთებსაც შეშურდებთ.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — თუკი მშვიდობა გვექნება.

ხ ა ლ ი ბ ა — ვაიმე, შეხედეთ, ესენი ვინ არიან? (მთაზე უცხო ადამიანები გამოჩნდებიან). დარისპანის ხალხია.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — დავიღუპეთ!!!

მ ზ ე ო ნ ა — დარისპანი გველა ჰგავს.

ავ თ ო — რა იყო, რამ შეგაშინათ?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — არ მელოდით, ხომ?! ვინ იცის, მკვდარიც გეგონეთ? (მხრებზე ჯაჭვი აქვს შემოხვეული. სარტყელში სატევარი გაურჭვია. ბეჭზე გადაკიდებულ ხის ქარქაშში ისრები აქვს ჩაწყობილი).

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ხალხი ბედნიერი იქნება, შენ თუ მოგიშორებს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ცოცხალი ვარ. არ მოგვედები, მანამ ამირანს არ მოვიწვებ, სანამ მზეონას არ წავიყვან, არ მოგშორდებით.

მ ზ ე ო ნ ა — მანამდე იკვნეს!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — მე კი არა, ამ ჩია ყმაწვილმა უნდა იკვნესოს (ავთოზე უჩვენებს).

ხ ა ლ ი ბ ა — უყურეთ, ღვინო უსვამს, ალბათ ისევ ჩვენი მარნიდან მოიპარა.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (ავთოს). ყველაფერი, რაც ადამიანების ხელით კეთდება, ჩემია, მე მეკუთვინის!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ხომ გითხარი, შვილო, დაკეტე, მარნის კარებს კეტი გაუყარე-მეთქი!

ავ თ ო — ვინ იცოდა, ჭურდობასაც თუ დაიწყებდა ეს საზიზლარი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ვინ არის ჭურდი და საზიზლარი?

ხ ა ლ ი ბ ა — შეხედეთ, ჩემი ლითონი მოუპარავს, სატევარი გამოუჭედავს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — სატევარიო? ახლა ამას შეხედეთ, ისრის წვერებია, ეს კიდევ შუბის. შორიდან ვტყორცნი ნადირსაც და ჩემს მტერსაც.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ღმერთო, დაგვიფარე ბოროტი კაცისაგან.

ხ ა ლ ი ბ ა — ეს ჩემი ლითონია, ამირანმა ჩემი სახელი — ხალიბაური დაარქვა კიდევ!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ვისიც გინდათ, მისი სახელი დაარქვით, მე კი ამ იარაღით ქვეყანას დავიმონებ.

მ ზ ე ო ნ ა — ეს შენი მონებია?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — მაშ რა გგონია. აბა (უცხოელებს უბრძანებს), ერთი ეს ქალწული დაიჭირეთ და წამოიყვანეთ!

(დარისპანის ხალხი იმ წუთშივე ეცემა მზეონას).

მ ზ ე ო ნ ა — ახლოს არ მომეკაროთ, საზიზლრებო!

ავ თ ო — თავი თუ მოგატულებიათ?! (წინ დაუდგება. მზეონა გარბის, უცხოელები მისდევენ).

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — შენი სიკვდილის დღე დამდგარა და ეგ არის!

ხ ა ლ ი ბ ა — დარისპან, თავი დაგვანებე, იცოდე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ჯერ ამას ვასწავლი ჭკუას და მერე შენთვისაც მოვიცლი! (ჯაჭვს მოიხსნის, ავთოს მარყუჟად ეხერის და მხრებზე ჩამოაცმევს). აბა, ახლა გაინძერი, ვაჟკაცო!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ვაიმე, ხომ ვამბობდი ეს კაცი დაგვლუბავს-მეთქი, რა დღე დაგვიდგა! რა შავი დღე!

(ავთოს ყოველ გატოკებაზე უფრო შავად უჭერს ჯაჭვი).

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (უცხოელებს). თქვენ კი, რაც გიბრძანეთ, ის შეასრულეთ! (ისინი გაქცეულ მზეონას დედევნებია).

ხ ა ლ ი ბ ა — (უცებ დასწვდება და ისარს წაართმევს). აბა დარისპან, ავთო გაანთავისუფლე, თორემ მეორე თვალს ამოგთხრი!!!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (შეშინდება). არ მესროლო! ცალი თვალიდა შემერჩა, ისიც რომ მომთხარო, ხომ იცი, რა დამემართება?!
დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ესროლე, ხალიბა, ესროლე, თორემ არ დაგინდობს ეს ბოროტი კაცი.

ხ ა ლ ი ბ ა — ახლავე გაუშვი ავთო და მზეონას დევნას თავი დაანებე, ჩქარა, თორემ გვიან იქნება!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (მიხვდება, რომ ხალიბა აღარ ხუმრობს. უცხოელებს შეაჩერებს, ავთოს კი ჯაჭვს შემოსხნის). ახლა ასე იყოს, მაინც ჩემი ლუკმა ხარო!

ხ ა ლ ი ბ ა — ვნახოთ, ვნახოთ. ხვალ ამირანი ჩამოვა, ყველაფერს ვეტყვი და მან გადაგიწყვიტოს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (განრისხებული). ამირანს არავინ ჰკითხავს ჩემს საქმეს.

ხ ა ლ ი ბ ა — აბა შენ გკითხოთ ქვეყნის საქმე?
(ამ დროს მზეონას კვილი ისმის).

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (ვახარებული). მოვდივარ, ჩემს მოსვლამდე არ გაუშვათ.

ხ ა ლ ი ბ ა — (ფეხებში გაეჩხირება. დარისპანი წაიქცევა). ავთო-ბიჭო, გაიქციე, ისრები თ გული გაუგმირე უცხოელებს, მზეონა გააშვებინე, ჩქარა გაიქციე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (ხელს სტაცებს ხალიბას და სარტყლიდან სატევარს ამოიღებს). ახლა ხომ ჩემი ტყვე ხარ?

ხ ა ლ ი ბ ა — დამარტყი, რაღას უყურებ?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — დაგარტყამ, იცოდე, არ დაგზოვავ.

(ხალიბა უცებ დაუსხტება, ძელქვის ტოტებზე შეხტება და აქედან აჯვარებს. დარისპანი დედევნება, მოულოდნელად სატევარს დაუმიზნებს და ესვრის, ხალიბა შეჰკიცვლებს და ძირს ზღართანს მოადენს. სატევარი ბეჭქვეშ, ზედ გულის არეში აქვს გაყრილი).

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ვაიმე, შვილო, მიშველეთ, ხალიბა მოგვიკლეს!

მ შ ე ო ნ ა — (შემოვარდებიან ავთო და მზეონა). ვაიმე ძმაო, ვაიმე, ძმაო ხალიბა!

ავ თ ო — რა ჰქენი, დამთხვეულო?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — განგებამ ასე ისურვა.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი — გველო, ბოროტების ბუდევე, რად მოკალი ეს ჩვენი უდედმა-მო ბიჭუნა?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — თვითონ შემომაკლა თავი. ეტყობა, უმსხვერპლოდ არ ხერხდება.

მ შ ე ო ნ ა — ჩემო საყვარელო ხალიბა (ტირის).

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — დღეიდან ყოველ მოსახვევში შიში დაგხვდებათ, ყოველ გზავარედიწზე სიკვდილი ჩავისაფრდებათ. ყოველი სახლის ლაფაროში სატევარისა და ისრის ცივი წვერი დაგელოდებათ. ადამიანო! ცეცხლმა მე სატევარი და ისარი მომცა, ხმალი და შუბი გამომამწროთბინა.

ავ თ ო — ცეცხლმა გუთანი, თოხი და ბარიც დაბადა, რატომ ისინი არ გააკეთე და ეს კაცის მოსაკლავი იარაღები შექმენი, ბოროტო გველო?! თქვი, რატომ ისინი არ გააკეთე?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (დაციწვით). ტყუილს ამბობ. რკინისაგან ცელი მეც გაჰქვედ და თქვენც გამოკვერეთ.

ავთო — ვერ მიხვდა დაცივას). ცელები გაჰქედე!

დარისპანი — კი, ცელი გაჰჰედე.

ავთო — მერე რისთვის გინდა ცელი. განა შენ ოფლს გადმოიდენ?! ბალახს შობაზე!

დარისპანი — ხა-ხა-ხა. ბალახს თავში ვიხლი თუ?! აი მე რისთვის მინდოდა ცელი (გასახებებს). ჰეი, ჩემო ძმაკაცო, აქეთ შემოიარე. ერთი ამათ დაენახვე (შემოდის ადამიანის ჩონჩხი. ხელში ცელი უჭირავს. ყველანი შეშინდებიან. ქალები შეპკვლებენ). რაო, არ მოგეწონათ?! ხა-ხა-ხა...

ავთო — კაიკაცობაც ამას ჰქვია!

დარისპანი — მე ბატონობა მინდა. ბატონობა მხოლოდ იარაღით შეიძლება. შიში უნდა იყოს ბატონსა და ყმას შუა. დღეიდან ჩემი ძმაკაცი შიშია.

დუნიადარი — წყეულიმც იყავ, ადამიანთა შორის ყველაზე წყეულო კაცო!

ხალიბა — (წამოიწევს). მზეონა, ავთო-ბიჭო, ძალიან მიყვარდით. ეჰ, თქვენ ქორწილს როგორ ველოდი! იცოდეთ, თქვენს ბიჭს ხალიბა დაარქვით. არც ჩვენს ლითონს წაართვათ ჩემი სახელი. ამირანმა ხომ ხალიბაური დაარქვა. არ დამიფიწყოთ! დარისპანზე კი შურს ნუ იძიებთ. არ მინდა, არ ივარგებს!

დარისპანი — ვინ იძიებს შურს, ეს ხომ არა (ავთო-ბიჭს ნიკაზე ამოკრავს ხელს). ხა-ხა-ხა-ხა!

დუნიადარი — გვიშველეთ, ადამიანებო, გვიშველეთ! ეს ბოროტი კაცი ყველას დაგვბოცავს, გვიშველეთ!

მეოთხედი სურათი

პირველი ხმა — ათასწლეული ათასწლეულს მისდევდა.

მეორე ხმა — საუკუნე საუკუნეს ცვლიდა.

მესამე ხმა — ადამიანებმა რა არ ნახეს და რა არ გადაიტანეს, რა არ გამოიარეს.

პირველი ხმა — ამირანის ხალხმა ბევრი სიკეთე მოუტანა ადამიანებს.

მეორე ხმა — დარისპანის მიმდევრებმა მრავალჯერ უბედურება დაატენეს თავს კაცობრიობას.

მესამე ხმა — სიკეთე სინათლისკენ ილტვოდა, ბოროტება სიბნელისკენ მიქანებდა ადამიანებს.

მეორე ხმა — მტრობა ანგრევდა, სიყვარული აშენებდა.

მესამე ხმა — აი ჩვენს დროშიც ხომ ასე მოხდა.

პირველი ხმა — ჩვენს თვალწინ, ჩვენი თანდასწრებით.

მეორე ხმა — გაიხსენეთ, დაფიქრდით!

მესამე ხმა — გაიხსენეთ და დაფიქრდით!

სინათლე

მეხუთედი სურათი

გრანდიოზული კაფე-რესტორანი. იქეთ, მოედანზე, ცეკვაა, რომელიც ძალიან ჰგავს ველურების ცეკვას. წყვილ-წყვილად სხედან ქალ-ვაჟნი. ჭარბავი ადამიანებიც საკმაოდაა. განაპირა მაგიდასთან ქალ-ვაჟი ზის. ვაჟების უმრავლესობა ფარაჯებშია, გტყობა, ომია.

ვაჟი — მე ცეკვის უფლებაც კი არა მაქვს.

ქალი — არ მესმის, რატომ?

- ვაჟი — მიბრძანეს, საერთოდ ასეთ ადგილებს თავი ავარიდო. ეშინიათ, რამე არ წამომცდეს ან ნილს ბორივით არ მომიტაცონ.
- ქალი — ნილს ბორი ხომ ჩვენებმა მოიტაცეს?
- ვაჟი — ახლა შეიძლება მოწინააღმდეგემ შენ მოგიტაცოს.
- ქალი — ალბათ, ჩვენთან შეხვედრაც არ შეგიძლია.
- ვაჟი — ფორმალურად კი, ფაქტიურად არა, ასე გამოდის.
- ქალი — ეს შენი ბრალია, ბოროტ ადამიანებს მიჰყვები, ჩემო საყვარელო!
- ვაჟი — ბოროტ ადამიანებს! ვერ ხედავ, ერთი კაცი ქვეყნის დამონებას ცდილობს.
- ქალი — ვერ შეძლებს, ჩემო ვაჟკაცო, ვერ შეძლებს. ხომ ხედავ, ვინ ებრძვის მას.
- ვაჟი — ამ სვებედნიერმა (აინშტაინის სილუეტზე მიუთითებს) დიდი სიკეთე მოუტანა ადამიანებს.
- ქალი — თქვენი იანკები კი მისი სიკეთით ქვეყანას ბოროტების წარღვნას ჰპირდებიან.
- ვაჟი — არა, ჩემო მშვენიერო. მე მხოლოდ ერთ ყუმბარას გავაკეთებ, ერთხელ გავისვრი და გათავდება.
- ქალი — სულელი ხარ, სულელი. მერე ამათ შენ გააჩერებ?
- ვაჟი — ვით ამირანმა ცეცხლი, ისე ჩაგვაბარა ამ დევკაცმა ბედნიერების ატომი. რომ იცოდე, ადამიანები ზღაპრულად გამდიდრდებიან, ყველაფერი იაფი და ხელმისაწვდომი გახდება, ყოველი კაცი მდიდარზე მდიდარი შეიქნება.
- ქალი — მერე, ამას ესენი დაუშვებენ?!
- ვაჟი — ვინ ესენი?!
- ქალი — ვინც შენ ჩემთან მოსვლას ვიკრძალავს, ვინც ცეკვას და ღიმისს გარიდებს, ვისაც ხალხის თვალის ეშინია, ვინც მხოლოდ თავისი დოლარების ჩხრიალზე ფიქრობს!
- ვაჟი — შენ არა ხარ მართალი. ხომ იცი, რა დროში ვცხოვრობთ?
- ქალი — ვიცი, ჩემო სიცოცხლე, და იმიტომ გეუბნები ამას. რამდენი ხანია გელოდები.
- ვაჟი — კი, მართალი ხარ. ჯერჯერობით ჩაკეტილნი ვართ. სულ ცოტა კიდევ და ყუმბარაც მზად იქნება.
- ქალი — რად გინდა, რად! ნუთუ შენი ხელით ნაკეთებმა ადამიანები უნდა იმსხვერპლონ?
- ვაჟი — სულელო! პირიქით, ადამიანები უნდა დაიცვას. ხომ ხედავ, როგორ უღეტენ ხალხს. იმ ერთი ყუმბარის გასროლა და — შიშით ყველა ბოროტება შეწყდება!
- ქალი — სულელი შენ ხარ, შენი ჭირიმე, მთელ კაცობრიობის წარყვანას მოინდომებენ. ეს შენი ნაშრომი თავიანთი გამდიდრებისა და ხალხთა დაშინების წყაროდ გადაიქცევა.
- ვაჟი — კარგი, ვიცეკვოთ. შენ როცა ცეკვავ, სულ სხვანაირი ხარ.
- ქალი — შენც სხვანაირი ხარ, როცა უკრავ, სულ სხვა ხარ, ახლა კი...
- ვაჟი — ახლა კი ცოტა ჩაფიქრებული ვარ. ხანდახან შენ მართალი მგონიხარ და მეშინია. იცი, რა ნიჭიერი ადამიანები შეკრიბეს ჩემს გარშემო!
- ქალი — უბედურებაა, უბედურება. მით უმეტეს, ერთი მეფისტოფელი მთელ ქვეყანას წარყვანის.
- ვაჟი — ვინ არის მეფისტოფელი?
- ქალი — შენ. შენი ამხანაგებიც. სამყარო დაიღუპება. მე ქალი ვარ, მომავალი დედა ვარ და ამას ვგრძნობ. ფხიზლად უნდა ვიყოთ, არ მოგვატყუონ!

- ვაჟი — ვიცეკვოთ, ჩვენც ვიცეკვოთ (ცეკვავენ. ქალი ნაძალადევაღ მიყვება).
- ქალი — (ჩურჩულოთ). სულ რამდენი კაცი იქნება ნიჭიერი?
- ვაჟი — ხუთი, ათი, ოცი!
- ქალი — ღმერთო ჩემო, ხუთი, ათი, ოცი მეფისტოფელი ერთად.
- ვაჟი — ვერ გავიგე, ვინ არის ეს ოცი მეფისტოფელი!
- ქალი — თქვენ ხართ, თქვენ. სამყაროს მოსპობთ ამ იარაღით. ნუთუ ვერ ხვდებით, რის გაკეთებას აპირებთ.
- ვაჟი — ქვეყნის ყველაზე დიდ ბოროტებას დავთრგუნავთ.
- ქალი — ერთს კი დათრგუნავთ, მაგრამ მეორე უფრო საშიშს წარმოშობთ.
- ვაჟი — იცეკვე, ჩემო მშვენიერო...
- ქალი — ნუთუ ყველაფერი იცი და მაინც ამ გზით მიდიხარ?
- ვაჟი — ხედავ, როგორ ცეკვავენ! არ შეუძლიათ არ იცეკვონ! არა, არ შეუძლიათ, მათ ტანში ახლა ცეკვის ეშმაკი ზის. ჩვენც ისე ვართ. ჩვენ ერთი ყუმბარა უნდა გავაკეთოთ, ვისროლოთ, შევაშინოთ.
- ქალი — ერთი შეაშინოთ, მეორე კი... არ სჯობია, სულ უარი თქვათ, არ შექმნათ, არ გააკეთოთ?
- ვაჟი — ეტყობა, არ შეგვიძლია.
- ქალი — მე კი ქალი ვარ. ადამიანთა დედა ვარ და ქვეყნის უბედურების ნაპირებს ვხედავ, ვგრძნობ...
- ვაჟი — ახლა უსაშველო ომია. ხედავ, ბიჭებს ფარაჯები აცვიათ, ორი დღის შეებულება მიუციათ. ისინი კი აქ მოსულან საცეკვაოდ. საოცრებაა, საოცრება! (შემოდან გლეხი და მისი ცოლი. კალათი უკავიათ, თითქოს მაწვნის გაყიდვა უნდათ).
- გლეხი — ხედავთ, ქვეყანა იქცევა, ესენი კი ცეკვავენ.
- ცოლი — გაჩერდი, შენ ვინა გკითხავს, იქნებ მიგტყუებონ კიდეც!
(ქალ-ვაჟი შენიშნავს მათ).
- ქალი — მგონი მაწონი გაქვთ, რას აფასებთ?
- გლეხი — ხომ იცით, ომია და ახლა ყველაფერი ძვირია.
- ქალი — ვიცი, ომია, ადამიანები ხომ გიყვარს, გეცოდება.
- ცოლი — ჩვენ გვიყვარს... აი, შეხედე, როგორ ცეკვავენ!
- გლეხი — ახლა ჩემს ხელებს დახედე, მზეს ავიღებ ხელში და არ დამწვევს. (დაცინვით). ასეთი ჯავშანი ტანკსაც კი არა აქვს.
- ცოლი — მე კი, რომ გავთხოვდი, ავ თვალს არ შევეხედებოდი. ახლა კი, ნახე როგორ დავილიე!
- გლეხი — სამაგიეროდ, სამი ვაჟკაცი გამოზარდე. მათ კი ომში უკრეს თავი დაბრუნდებიან?!
- ცოლი — ეს გამხდარი ძუძუები მეწვის. თქვენ კი მაწვნის ფული გენანებათ!
- გლეხი — თქვენ ცეკვათ და ცეკვათ, არა?!
- ცოლი — ამათი არაფერი ვარგა, ეს ცეკვა სიკვდილის მანქვას უფრო ჰგავს. აბა, ჩემი ბიჭები რას დაუვლიდნენ!
- გლეხი — ჰოდა, იცოდე, ქალიშვილო, გლეხიკაცია ამ მიწაზე ქვეყნის ფესვი.
- ქალი — ვიცი, ძიაკაცო, მე ნამდვილად ვიცი.
- გლეხი — (ჩააშტერდება). იცი? კარგი ქალი ჩანხარ, გეტყობა, ჩვენი ანასხლეტი ხარ. ყველა კეთილი გლეხის ანასხლეტია.
- ცოლი — (იცინის). ასეთი ლაპარაკი უყვარს ჩემს კაცს.
- გლეხი — ექიმიც, ხელმწიფეც, პრეზიდენტიც, ჯარისკაციც — ყველა გლეხის ანასხლეტია, მაგრამ ზოგჯერ თავისი ფესვის სიტკბო ავიწყლებათ. ნამდვილად ასეა, ავიწყლებათ!

ქალი — საოცარი სიტყვები მესმის.

ვაჟი — რა თქვა, ჩემო მშვენიერო?

გლახი — (ქალს). ეს ვინ არის?

ქალი — ჩემი საქმროა, ფიზიკოსია.

გლახი — ეგაც გლახის ანასხლეტია, მხოლოდ თვალეზში სხვა სინათლე აქვს.

ქალი — (შიშით). რა თქვით?

გლახი — კი, სხვანაირად იყურება. მაგას თავისი ფესვების სიტკბო არც ახსოვს და, მგონია, არც სიმწარე აგონდება!

ქალი — ვაიმე, ასე რატომ ფიქრობთ?

ცოლი — (იციხის). ასეთი ლაპარაკი უყვარს ჩემს კაცს.

გლახი — (ცოლს გაუწყურება). გაჩუმდი, შენ არ გესმის. იმ ბიჭის თვალეზში დღის შუქიც ლიცლიცებს და ღამის წკვარამიც იხედება.

ქალი — ღმერთო, მიშველე!

გლახი — ჰოდა, დღის და ღამის საზღვარი რომ წაეშლება კაცის თვალს, ცუდია, ცუდი.

ქალი — რაღა მეშველება!

ვაჟი — რა იყო, ჩემო ლამაზო, შემკრთალი ჩანხარ!

გლახი — ადამიანი შვილია მიწისა.

ქალი — რაო, რა თქვი?

გლახი — კი, მიწის შვილია. მიწას უნდა მოეფეროს, მოუაროს. ესენი კი მიწას ებრძვიან.

ქალი — მეც ამას ვეუბნები!

გლახი — ქვეყანა რომ დაიბადა, პირველად გლახმა ცხვარი მოათვინიერა, მატყლით შეიმოსა, ხორციით ისაზრდოვა.

ცოლი — (იციხის). ჩემი კაცი სულ ასე ლაპარაკობს.

გლახი — ტყუილს ვამბობ თუ?! მერე ცეცხლი იშოვა.

ქალი — ამირანმა მოსტაცა ღმერთებს და ხალხს მისცა.

გლახი — ამირანი ჩვენს ფესვზე ამოვიდა, მჭედელი კაცი იყო.

ვაჟი — მჭედლობა პირველი ფიზიკოსობაა.

გლახი — ჩემი უმცროსი ბიჭი ამბობდა, ფიზიკოსი გამოვალო.

ცოლი — ერთხელ ცხვარი და ძალი სავარცხლით დავარცხნა. ნაპერწკალმა დაკვსა, შემეშინდა კიდევ.

გლახი — იმ ნაპერწკლის მიზეზს ეძებდა. აი ის კაცი უყვარდა, ამირანივით კაციო (აინშტაინზე მიუთითებს).

ქალი — კარგი კაცი დადგებოდა.

ცოლი — არ აცალეს, მკერდზე მომაგლიჯეს.

ვაჟი — ნაპერწკლის მიზეზი თუ მონახა ნეტავი?

გლახი — შენს თვალეზში, ბიძია, შავი ნაპერწკალი მოჩანს.

ქალი — რატომ ამბობ ასეთ სიტყვებს?

ცოლი — (ისევ იციხის). ხომ გითხარი, ქალიშვილო, ჩემი ქმარი სულ ასეთ სიტყვებს ამბობს.

ვაჟი — შავი ნაპერწკალი, შავი ნაპერწკალი.

ქალი — (ცოლს). მე მაწონი გთხოვეთ, მომყიდეთ მაწონი.

ცოლი — ხომ გაიგონე, რა თქვა ჩემმა კაცმა, თვალში შავი ნაპერწკალი აქვსო. ჰოდა, იმ ნაპერწკლით დამწვარს ჩვენი მაწვნით ვერ მოაშუშებ.

ვაჟი — (გლახს). ჩვენ ახლა ისეთი ყუმბარა უნდა გამოვიგონოთ, უცებ ქვეყანა დაანგრიოს (აკვირდება, რას იტყვისო).

გლახი — ტყუილია! არ დაიჯეროთ!

ვ ა ე ი — (გაჭაგრებით). არ არის ტყუილი. დღე-დღეზე მზად იქნება.

გ ლ ე ხ ი — ხომ გითხარი, შავი ნაპერწკალი გიჩანს თვალებში. ქვეყანას მაინც ვერ დაანგრევ. ღმერთო, შემობრალე!

ვ ა ე ი — მე არ მინდა ქვეყნის დანგრევა.

გ ლ ე ხ ი — ვიცი. თქვენ გინდათ დაიპყროთ, დაიმონოთ, თქვენს სურვილზე ათამაშოთ.

ვ ა ე ი — რა თქვით?!

ც ო ლ ი — ასე უყვარს ჩემს ქმარს ლაპარაკი.

გ ლ ე ხ ი — არ მოხერხდება, ტყუილია!

ვ ა ე ი — პირიქით, მე მინდა ხალხი განთავისუფლდეს.

გ ლ ე ხ ი — არც თავისუფლებაა ბიძია ყუმბარის მშობელი და არც ყუმბარა გამოდგება თავისუფლების დედად.

ქ ა ლ ი — აი, ჭეშმარიტება!

გ ლ ე ხ ი — ცხვარი პირველად გლეხმა გაკრიჭა, მოწველა, რქისგან ნივთები გამოთალა.

ვ ა ე ი — მერე?!

გ ლ ე ხ ი — თქვენც ჩვენი ანასხლეტი ხართ, მაგრამ დარისპანმა მოგატყუათ. მის ნაკვალევზე მიდიხართ.

ვ ა ე ი — თქვით სათქმელი.

გ ლ ე ხ ი — მთხოვე და გეუბნები (უჩვენებს ბოროტების ხეს). თქვენ იმ ხის ნაყოფი ხართ.

(შემოდის ევროპულად ჩაცმული დარისპანი, სამკუთხედი წვერი აქვს, ცილინდრი ახურავს).

ვ ა ე ი — დავიღუპე!

გ ლ ე ხ ი — (შიაჩერდება დარისპანს). აი ძველი ნაცნობი.

ქ ა ლ ი — ვინ არის ის კაცი?

გ ლ ე ხ ი — შავი ნაპერწკლის გამჩალებელი, გლეხიკაცის მტერი.

ქ ა ლ ი — ნუთუ ეს ის კაცია?

გ ლ ე ხ ი — დაუკვირდი შენს საქმროს.

ქ ა ლ ი — (ვას). ვინ არის ეს კაცი-მეთქი?

ვ ა ე ი — ჩვენი მზრძანებელია (დარისპანი ათვალეირებს ყველას. ვაჟს თვალს აარიდებს).

გ ლ ე ხ ი — ეს კი ნამდვილად არ არის ჩვენი ანასხლეტი.

ც ო ლ ი — (გულმოსული). ყოველ კაცზე ამბობდა ჩვენი ანასხლეტიაო და მაინცა-დამაინც იმ კაი კაცზე ამბობს უარს?!

გ ლ ე ხ ი — რითია კაი კაცი?

ც ო ლ ი — აცვია, ახურავს, ერთი სიტყვით...

გ ლ ე ხ ი — (გაუწყრება). გაჩუმდი, ისიც ეშმაკისაა და შენც...

ც ო ლ ი — ქურდია?

გ ლ ე ხ ი — გაჩუმდი, ქალო. ასეთები ერთნაირად ართმევენ ადამიანებს ცხვრას ტყავსაც და სიცოცხლესაც. წავიდეთ.

ც ო ლ ი — (ყინიანად). არ წამოვალ, შეიძლება მაგან ჩემი ბიჭების ამბავი იცოდეს.

გ ლ ე ხ ი — (შეკრთება). ეს შეიძლება მართლა იცოდეს, წადმართად მაინც არ იტყვის! (ამ დროს საშუალო ხნის ელეგანტურად ჩაცმული მამაკაცი შემოდის. დარისპანს ვერ ამჩნევს, შემოსვლისთანავე ცეკვას იწყებენ).

ვ ა ე ი — აი ჩემი მეგობრებიც მოვიდნენ.

გ ლ ე ხ ი — (ცოლს). უყურე, უყურე, იმათაც რა სხვანაირი თვალები აქვთ!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (დააჩერდება გლეხს). მე ხომ არ მკითხეთ რაიმე?!

გ ლ ე ხ ი — (თავისთვის). ისევე ეშმაკის ჩლიქები აქვს (დარისპანს). რა თქვით?



დარისპანი — (მბრძანებლურად). მგონი რაღაცის თქმას აპირებდით!

ცოლი — კი ბატონო, ჩემი ბიჭები ომში არიან. თქვენ ხომ არ იცით, მაგთუ არა ბავი?

დარისპანი — მე ამ კაცს ვეკითხები.

გლესი — თქვენც ქალის ნაშობი ბრძანდებით. ჩემი ცოლია და უთხარით, რა დაგიშავდებათ?

დარისპანი — დღეს ყველას ბიჭები ომშია.

ცოლი — (ვაჟზე უჩვენებს). ეს რატომ არ წაბრძანდება?

დარისპანი — (დააჩერდება ვაჟს). თქვენი ადგილი აქ არის?

ვაჟი — (წიშით). წამოვედი, დავიღალე. დასვენებული გონება უფრო იმუშავებს.

დარისპანი — (ანიშნებს ახალმოსულს). იმათაც დაუძახეთ, სასწრაფო საქმეა.

გლესი — ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ბიჭები ამით არ ჰგვანან. ამით ხომ ხალხი-სათვის მხოლოდ უბედურება მოაქვთ.

ცოლი — ჩლიქები არა აქვთ, არც რქები, თორემ ხუთივე ეშმაკის ჯიშისაა.

გლესი — ახლავე წამოდი, ამათი სახლის ლაფაროში ჩვენთვის საჩრდილობელი არ დარჩება.

(ვაჟი სამივეს ეძახის და ისინიც სიცილით მოდიან. შენიშნავენ დარისპანს, შეჩერდებიან).

გამომთვლელი — (ვაჟს). შენ დაგეძებდით!

ჭორფლიანი — სუნით მოგაგენით.

გამომთვლელი — მე გამოვითვალე, რომ აქ იქნებოდით!

დარისპანი — მე კი თქვენმა თვალებმა მამცნო თქვენი სამყოფელი.

ვაჟი — ნანახს ძებნა რად სჭირდება, უნახავის ხილვია ძნელი.

გამომთვლელი — დასრულდა, რასაც ვეძებდით, ვიპოვეთ კიდევ.

ვაჟი — როგორ, უჩემოდ?!

ჭორფლიანი — უშენოდ რატომ, შენი დახმარებით.

გამომთვლელი — ცოტაც და ქვეყანას შევგზავნებთ.

ქალი — (სიკეთის ხესთან დადგება). დავიღუპეთ! სამყაროს დაანგრევენ!

გლესი — (ცოლს წაავლებს ხელს, მიჰყავს). წამოდი, ქალო-მეთქი, არ დაიჯერო, ეს ეშმაკები ქვეყანას ვერ დაანგრევენ, გაწვალებით კი გააწვალებენ.

დარისპანი — ახლა სამიზნე ადგილზე უნდა გადავიტანოთ!

გამომთვლელი — მფრინავები თუ დათანხმდებიან!

გლესი — ჩემი ბიჭები არასოდეს დათანხმდებიან!

ცოლი — რა თქვი?

გლესი — შეხედე იმ ხეს (აჩვენებს ბოროტების ხეს). ამ დილიდანვე გაეზარდა დიდი ტოტი.

ცოლი — კაცო, ჩვენი ბიჭები რატომ ახსენე?

გლესი — ჩემი შვილები ამ ხეს არ გაახარებენ.

გამომთვლელი — ბევრი ვიწვალეთ!

ჭორფლიანი — ბევრი ვიშრომეთ!

გამომთვლელი — მიზანს მივალწიეთ!

დარისპანი — სულელები, გიჟები, სწორედ ახლა იწყება ჩვენი დიდების დღეები.

გლესი — (ვაჟს). შენც მისი მონა იქნები!

ქალი — ვაი ჩემს ბედს!

ვაჟი — (აინშტაინის სურათს შესცქერის). შენი დიდი, კეთილი ფიქრი ამით ვეება ბოროტებად აქციეს.

გლესი — წამოდი, ქალო-მეთქი.

ცოლი — (დარისპანზე მიუთითებს). მაინც ვერ დავაცდენინე სიტყვა.

გლეხი — სიტყვაც ბოროტი აქვს და საქმეც.

ცოლი — ჩემი ბიჭები სად არიან, ჩემი ბიჭები, დედა ენაცვალოთ.

გლეხი — ისინი ბოროტებას ებრძვიან, ესენი კი უფრო დიდ ბოროტებას ამზადებენ.

გაქი — (ნერვებაშლილი). წადით, მომშორდით, თავი დამანებეთ.

ქალი — მიშველეთ, შეიშალა კაცი, მიშველეთ!

დარისპანი — მავრმა თავისი საქმე გააკეთა, ახლა სიგიჟის უფლებაც მოიპოვა.

გამომთვლელი — საცოდავი, მგონი მართლა შეიშალა.

პორფლიანი — კიდევ კარგი, ნაწერები დარჩა.

გამომთვლელი — ჯერ კიდევ გამოსათვლელია ბევრი რამ.

გლეხი — (ქალს). აკი ომი თავდება?

ქალი — ესენი ახლა იწყებენ.

ცოლი — ვაიმე, შვილებო, ვაიმე, ოჯახო!

დარისპანი — დღეიდან ქვეყნის ყოველ კიდეს მისწვდება ჩვენი ხელი, ყოველი სინათლის შუქს ჩააქრობს ჩვენი სიბნელე, ყოველ მიუფალ ორმომში ჩააღწევს ჩვენი ძალ-ღონე! რამდენი ხანია ვეძებდით ასეთ ძალას და ჰა, როგორც იქნა, ხელში ჩავიგდეთ! პატარა, მრგვალი ბურთივით ვაკოტრი-ალებთ ამ დედამიწას. ის, რაც ვერ შეძლო ვერავინ, შევძელი მე. მე დავე-უფლე ამ საოცარ ძალას (აინშტაინის სურათისკენ მიბრუნდება). აი, მეორე ამირანი, მასავით სულელი და გიჟი! სიკვდილი თვითონვე დაიქარა იმ მტანჯავი ფიქრით, მოვიხმარდით თუ არა ჩვენ ხალხის საწინააღმდეგოდ მის ნააზრევს. რა ვუყოთ! არც კი იყო მისი სიცოცხლე საჭირო. ამქვეყნად მან უნდა იცხოვროს, ვინც ძლიერია, ვინც ამ ქვეყანას და ადამიანებს თავისი ბედნიერებისათვის მოიხმარს. ხალხის სიყვარულს სამყარო სიგიჟემდე მიჰყავს, გამოსაფხიზლებლად კრემატორიუმებია საჭირო. არ სჯობია ახლავე დავიწყოთ! ერთი ყუმბარის ანთება და მილიონობით ადამიანი შემცირდება დედამიწა! ლამის გაიზნიქოს დედამიწის ბურთი ადამიანთა სიმრავლით.

გლეხი — ათასეული წლების წინათაც ბოროტი იყო.

ვაქი — ხომ გაიგონეთ, რას ამბობს ეს უბედური.

დარისპანი — (გლესს). თქვენ ამ ადგილს მოშორდით, ყურებზე საცობი დაცავით, სჯობია არაფერი გაიგონოთ.

ვაქი — (გლესს). უთხარით ყველას — მე მკვლელი ვარ. მე შევქმენი სიკვდილის მანქანა!

დარისპანი — არ დაუჯეროთ, გიჟია, ნამდვილი გიჟი.

ქალი — გიჟი გუშინ იყო, დღეს თავის გონებაზეა.

დარისპანი — თქვენც მოგივლით.

გლეხი — ჩემი შვილების ამბავი მითხარით.

ცოლი — გვითხარით, შენ გეცოდინება, როგორ არიან ჩემი ბიჭები!

დარისპანი — (გლესს). დაიხსომე, კრინტი არსად დაგცდეს.

გამომთვლელი — ლალატი დაგბრალდება.

ცოლი — ჩემს უმცროს ბიჭს ფიზიკოსობა უნდოდა.

გლეხი — (ცოლს). გაჩუმდი, ესენი დარისპანის ბნელ გზაზე დადიან.

ცოლი — რა გქნა, ვინ მეტყვის, ჩემი ბიჭები სად არიან ახლა?

დარისპანი — დღეიდან ღმერთიც ვარ და მეფეც.

გლეხი — სტყუის, არ დაუჯეროთ, ამირანს ცეცხლი რომ მოპარა, მაშინაც ასე ტრაბახობდა.



ცოლი — რა ვქნათ, კაცო, ბიჭების ამბავი ვკითხვით ვინმეს.

გლეხი — დაიქინებ ბიჭები, ბიჭებიო, ხომ ხედავ, ქვეყანა რა დღეზეა?

ცოლი — რა ვქნა, ქვეყანა მადარდებს, მაგრამ მე ჩემი ბიჭები, ჩემი შვილები მენატრებიან.

(გამოჩნდება ადამიანის ჩონჩხი, ხელთ ცელი უჭირავს).

გლეხი — ნახეთ ერთი ძველი ნაცნობი მოზრძანებულა. (ცელს სინჯავს). ეს ოხერი, კინადამ გული გამისკდა, ჩემი მეგონა. ვიფიქრე, ხომ არ მომპარეს-მეთქი.

ცოლი — ესლა გვაკლდა, ვინ ეშმაკია, რას ჰგავს?!
გლეხი — აბა, ეს გვაკლდა. ამ ქვეყანაზე ყველა სულდგმულის სასულე მაგის ცელის პირზეა მიკვერილი. ჩვენც ცელი გვიჭირავს და მაგასაც.

ცოლი — რავა ცოცხალივით ემუსაიფები. ვერ ხედავ, გამოფიტული ძვლები რახუნობენ.

გლეხი — კი, ასეა. დარისპანის სიკვდილის ცელი ბრუნავს და ბრუნავს!
ცოლი — როდემდის, როდემდის უნდა ეპრუტუნო ამ საფრთხობელას?!
გლეხი — ასეა, ქალო, როდემდის, როდემდის უნდა ვითმინოთ. აბა, ახლა აქეთ წამოდი, წამოდი-მეთქი. (ძალით მიათრევს).

მეცხრე სურათი

(სასამართლო დარბაზი).

გლეხი — (ნელა შემოდის გლეხი და მისი ცოლი). ამ ოთახში ყველაფერი მოღუშულია და დამწუხრებული.

ცოლი — სად მომიყვანე, კაცო, ამ უბედურ ადგილას.

გლეხი — გლენიკაცი ყველა საქმეში უნდა იყოს ჩახედული.

ცოლი — ამათი საქმე ეშმაკისაა.

გლეხი — შენ გგონია, გლენს ეშმაკი აჯობებს ჭკუით?

ცოლი — დარისპანის ხომ გეშინია?

გლეხი — გლენს არავისი არ ეშინია.

ცოლი — იმ ბიჭს რას უზამენ, მოკლავენ?

გლეხი — იმ ქალის საქმროს? ისიც ჩვენი ანასხლეტია.

ცოლი — ყუმბართით რომ იმდენი უდანაშაულო ზალხი გაწყვიტეს, თურმე მაგ საწყალს გამოუგონებია.

გლეხი — კი, მაგ ბიჭმა გამოიგონა.

ცოლი — ზალხი სულ ამოუქლეტიათ!

გლეხი — კი, ამოწყვიტეს.

ცოლი — მერე, კაცო, ესაა შენი ანასხლეტი!

გლეხი — (დარდით). ჩვენი ანასხლეტია. ნიჭი გლენიკაციისა აქვს, ჭკუა კი სხვისი. დარისპანმა ასესხა.

ცოლი — ამბობენ, გაგიყდაო.

გლეხი — ტყუილია, უგონებენ.

ცოლი — ავადმყოფი თუა, ვერ დასჯიანო.

გლეხი — ვინ იცის?

ცოლი — საწყალი.

გლეხი — აგერ, ამოვეფაროთ იმ ფართო სკამებს.

ცოლი — ის ოხერი ხე კი იზრდება და იზრდება (ბოროტების ხეზე უთითებს). ნახე, რამხელა გამხდარა!

გ ლ ე ხ ი — ნიადაგი გაუპოხიერეს. ამათ ხელში ის ხე ძალიან დიდი გაიზრდება.
 ც ო ლ ი — კი, ნამდვილად სწრაფად იზრდება.

გ ლ ე ხ ი — ნუ სწუხარ, ჩემო ცოლო! ბოლოსდაბოლოს სიკეთე მაინც მოგჩვენდება.
 მაინც წააქცევს მაგ შხამფესვიანს.

ც ო ლ ი — (ყურს უგდებს). ხმაურია, მგონი მოდიან!

გ ლ ე ხ ი — იცოდე, ცხვირი არ დააცემინო, ჩუმად ისუნთქე. იცი, რა ეშმაკები არიან? დარისპანის შვილობილებია.
 (იმალებიან. შემოდიან ჭორფლიანი, გამომთვლელი, დარისპანი და ვაჟი).

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — აბა, დაბრძანდით (იციან). ამბობენ, ჩვენი სასამართლო ქაჯთა სასამართლოაო, დე, იხუმრონ!

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი — ჩვენი ხელობა ხუმრობას ვერ იტანს.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — დავიწყეთ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — დავიწყეთ (ვაჟს). გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ვ ა ჟ ი — მე?! რასაკვირველია! (ყველანი გაოცდებიან, მისკენ მიიწევიან).

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ასე გეტქვა, რას გვაწვალე ამდენ ხანს. რამდენი ხანია შენს თავს გვთხოვენ!

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — თქვენ ვერ გაიგეთ, ეს სხვას ამბობს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (აღგება). გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავედ სახელმწიფო და-ლატში?

ვ ა ჟ ი — სახელმწიფო რა შუაშია, მე ხალხს ვუღალატე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ერთი უყურეთ! ხალხი რა შუაშია!

ვ ა ჟ ი — მე დავხოცე ასი ათასები, მომავალში უფრო მეტიც დაიხოცება. ყველა-ფერი ეს ჩემი ბრალია, ჩემი გამოგონებაა.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — ნუ ყვირით. ჩვენ სულ სხვა რამეში გდებთ ბრალს. თქვენ უღალატეთ სახელმწიფოს, ვიღაც უბირი გლეხის თანდასწრებით გაეციოთ საიღუმლოება, გამოიჩინეთ სისუსტე. ამისათვის პასუხი უნდა აგოთ.

გ ლ ე ხ ი — (ჩუმად). ხედავ, ქალო, ჩვენც გავურევიაართ ამ საქმეში!

ც ო ლ ი — რაღა გვეშველება ახლა?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ავადმყოფობას ნუ იგონებთ, სიმულაცია ჩვენთან არ გავიკათ.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — თქვენ ატომის ყუმბარა შექმენით, უარესის შექმნაზე კი უარი თქვით.

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი — მოიგონეთ სიგიჟე და გლეხის თანდასწრებით სახელმწიფო საიღუმლოება გაეციოთ.

ვ ა ჟ ი — სად არის ჩემი საცოლე?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — დაპატიმრებულია, ის წამლავდა თქვენს გონებას.

ვ ა ჟ ი — (ყვირის). ახლავე გაანთავისუფლეთ! მე ვწამლავდი მას! მე ვატყუებდი, მე ვღალატობდი იმ შესანიშნავ ქალს.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — დაუკვირდით, რა მოუჩმახავს იმ ქალს. ის, ეტყობა, მხო-ლოდ ელექტრონის სკამზე მოისვენებს.

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი — ასეთ სკამზე ძილი სამუდამოა, ამის შემდეგ ვეღარავის შეაც-დენს.

ვ ა ჟ ი — თქვენ ხომ ჩემი მეგობრები იყავით, ერთად ვმუშაობდით, ერთად შეეკ-მენით პირველი ყუმბარა.

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი — ეს პირველი ნაბიჯი იყო. შემდეგ შენ ხალხისაკენ გადაიხარე!

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — გლეხს შესჩივლე და გააგებინე ჩვენი საიღუმლო!

ვ ა ჟ ი — ხალხი ხომ გლეხებისაგან შედგება.

- დარისპანი — ხალხმა არ უნდა იცოდეს ჩვენი ჩანაფიქრი.
ვაჟი — აკი მეუბნებოდით, ეს ყუმბარა ხალხს დაიცავსო.
დარისპანი — ჩვენს ნათქვამს თავი დაანებე, ლენჩო, თორემ...
ვაჟი — მართალი მითხარი, სად არის ჩემი საცოლე?
დარისპანი — შენ კითხვებს უპასუხე.
გამომთვლელო — (სიხარულით). ჩვენ შეეკმენით შენსაზე ასიათასჯერ მეტი ძალის ყუმბარა.
ვაჟი — ის მაინც მითხარით, რამდენი კაცი დაიღუპა ყუმბარის აფეთქების დღეს?
ჭორფლიანი — შენ ისედაც შერყეული ხარ.
ვაჟი — თქვენ არ გაქვთ უფლება დამიმალოთ.
გამომთვლელო — თვითონ დაუკარგე საკუთარ თავს ეგ უფლება.
დარისპანი — უფლება ამქვეყნად ძლიერი კაცისაა. სუსტის უფლება სიკვდილია.
ვაჟი — გახსოვთ ერთი შლეგი, ყველაზე დიდი ომი რომ ატეხა! მასაც ძლიერ კაცად მიაჩნდა თავი.
ჭორფლიანი — ამით რა გინდა თქვა?
გამომთვლელო — ნუთუ ვერ მიხვდი, რისი თქმა უნდა?
ვაჟი — თვითონვე მოიკლა თავი. ძლიერმაც კი არ დაჰკარგა სიკვდილის უფლება.
დარისპანი — (აღელვებით). შენ კითხვებს უპასუხე, მოლალატე!
ვაჟი — ქვეყნის გაჩენის დღიდან შენ მოლალატე ხარ.
გამომთვლელო — შენსავით რბილი ადამიანები ჩვენს დროში ვერ იცხოვრებენ.
ვაჟი — მკვლევლები სჯობია, არა? მერედა, მე ცოტა დავხოცე?
ჭორფლიანი — ხომ გახსოვს, დარისპანთან როგორ იტირე?! (შებრუნდება ხალხისკენ). ამ ვაჟბატონმა დასწყევლა თავისი ტვინი და ხელები, რომელმაც პირველი ყუმბარა გაიაზრა და გააკეთა.
ვაჟი — საწყალი ჩემი საცოლე, როგორ მაფრთხილებდა, როგორ ვუყვარდი, არ დავუჯერე მე სულელმა!
გამომთვლელო — დიახ, დარისპანსაც კი არ მოერიდა, დაწყევლა თავისი გაჩენა, დავწყევლა და შეგვაჩვენა ჩვენც.
დარისპანი — სწორედ ამიტომ უნდა მოიკვეთოს ის ჩვენგან!
გლეხი — (ცოლს). სიკვდილს გადაჩა, რატომღაც ვერ ბედავენ მის მოკვლას.
ცოლი — სიკვდილი კი ურჩევნია. ქვეყნის საწყევარი გახდა.
ვაჟი — ჩემი სახელი ჯოჯოხეთის ეშმაკზე უფრო საზიზღრად მოიხსენიება დღეიდან.
ჭორფლიანი — (დარისპანს). მე არ ვიცი, რატომ გახადეთ ამ გიყის საქმე საკამათოდ.
დარისპანი — საჭირო იყო! ხალხს იგი თავის კაცად მიაჩნდა!
ვაჟი — ნუთუ ჩემი საცოლე მოკლეს? ვინ მეტყვის მართალს?!
ჭორფლიანი — მტრებს პატივისცემით როდი ექცევიან.
ვაჟი — ულამაზესი ქალიშვილი, სულით და გონებით მდიდარი, მხოლოდ მისი თვალები მათბობდა ამქვეყნად, მე კი არ დავუჯერე.
ცოლი — კაცო, ეს ის ქალიშვილია, ჩვენ რომ მოგვეწონა?
გლეხი — ის არის, თავი მოუკლავს საწყალს.
ცოლი — თავი მოუკლავს, აბა, ჩემი ანასხლეტიაო, ჩემი სხეულის ნაწილიაო რომ გამომაყრუე?

გ ლ ე ხ ი — კი, ჩემი ანასხლეტი იყო. ჩვენი სისხლის და ხორცის, გლახის-ნასხ-
ლეთი თავს არ მოიკლავდა. არ მჯერა. ალბათ დაავადმყოფდა, ძალა არ ჰქონდა.
ცოლი — კარგი გოგო იყო.

გ ლ ე ხ ი — ის ვაჟი ჩემს ბიჭს ჩამოჰგავს, მაგრამ ჩემი ბიჭი ასეთ რამეს არ იკად-
რებს.

ვ ა ჟ ი — დარისპანს, როგორც ყოველთვის, დღესაც მკვლევები და ჯალოქრები
სჭირდება. მაგრამ არსებობს კეთილი ძალა! დიადი ძალა!

ჭო რ ფ ლ ი ა ნ ი — ნუთუ თქვენ გგონიათ, ეს სიტყვები შეგვაშინებს?
ვ ა ჟ ი — არც მიფიქრია თქვენი შეშინება. სიკვდილს, ამბობენ, არავისი და არაფ-
რის არ ეშინიაო. თქვენ თვითონ ხართ სიკვდილი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ნუ ილიმებით! თქვენი დრო დასრულდა. ის, რაც დღეს მეცნი-
ერებამ მოგვანიჭა, ნამდვილ ღმერთად გვაქცევს.

ჭო რ ფ ლ ი ა ნ ი — აღამიანი ნამდვილად გახდა სამყაროს გამგებელი.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — ჩემმა მანქანებმა გამოითვალეს ვარსკვლავთა შორის
მანძილები.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ყუმბარებს გავტყორცნით და თითოეულ პლანეტაზე ჩვენს სა-
გუშავოს გავხსნით.

ვ ა ჟ ი — უნდა რამთა სამმართველოს?!

ჭო რ ფ ლ ი ა ნ ი — თუნდაც ასე იყოს!

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — იქიდან დედამიწას ადევნებენ თვალყურს.

ჭო რ ფ ლ ი ა ნ ი — შფოთიან ადამიანებს იქიდანაც დააშოშმინებენ.

ვ ა ჟ ი — ოკეანესავით უძირო თვალები ჰქონდა ჩემს საცოლეს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ჰქონდა. ახლა აღარა აქვს.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — ყოველი ცოცხალი სხეული შეიძლება უსულო გახდეს.

ჭო რ ფ ლ ი ა ნ ი — თუმცა შემადგენლობა ისეთივე რჩება.

ვ ა ჟ ი — დამცინეთ, დამცინეთ!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — სასამართლო უნდა დავიწყოთ.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — დადგენილება დაწერე და გათავდება.

ჭო რ ფ ლ ი ა ნ ი — უსულონიც შეიძლება გაცოცხლდნენ.

ვ ა ჟ ი — ეს ხვალ მოხდება, ჯერ ადრეა.

გ ლ ე ხ ი — (დაცინეთ). მკვდრების გაცოცხლებას ფიქრობენ, ცოცხლებს კი ანად-
გურებენ.

ცო ლ ი — დავიდალე, წამიყვანე აქედან, წამიყვანე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (ვაჟს). დანაშაულს აღიარებ თუ არა?!

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — მე თქვენ მაცოცხლებ, დიდო დარისპან!

ჭო რ ფ ლ ი ა ნ ი — დაადგინეთ, დაწერეთ და ხელი მოგვაწერინეთ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — მაშ ასე (ვაჟს). თქვენი საცოლე...

ვ ა ჟ ი — ვიცი, რისი თქმაც გინდათ. ყუმბარის წინააღმდეგი იყო. ვაი, რომ არ
დავუჯერე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ესე იგი ჩვენი მტერი იყო.

ვ ა ჟ ი — ამქვეყნად მხოლოდ მას ვუყვარდი დიდი, ნათელი სიყვარულით.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — თქვენ დიდი საიდუმლოება გაანდეთ უზირ გლახს.

გ ლ ე ხ ი — (ცოლს). გავალ ახლა და კომბლით თავს გავუჩქჩქავ.

ცო ლ ი — ასეთი ლაპარაკი რატომ იცი, ჩემო ქმარო?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — რისთვის გაჩუმდი? თუმცა გაჩუმება თანხმობაა.

(ამ დროს ჰორიზონტზე გამოჩნდება თეთრი კვამლი და ამ კვამლში ნელა მიცურავენ
კუბოები. კუბოები სხვადასხვა ფერისაა).

ვაჟი — (დააკვირდება). ღმერთო ჩემო! ეს რა არის? ვაი ჩემს თავს, ვაი ჩემს გარე-
ნს.

საქონელი
გინდობითა

დარისპანი — (ყვირის). ეს დემონსტრაცია ვინ მოაწყო, ეს შეთქმულება ვინ
გაბედა?

გამომთვლელი — ეს ხალხმა შემოგვიტია, დასაფლავება.

გლეხი — რატომ არის სხვადასხვა ფერის ეს კუბოები?

ცოლი — ვაიმე შვილებო, ვაითუ თქვენც რაიმე გიჭირთ?

დარისპანი — ნუთუ ვერაფერი მოახერხეს: პოლიცია, ჯარი, ათასნაირი სამ-
მართველოები...

ქორფლიანი — ცაში ავარდნილმა თეთრმა სინათლემ და ტალახიანმა შავმა
წვიმამ თავისი გაიტანა.

ვაჟი — აი, რისი ეშინოდა ჩემს საცოლეს!

ქორფლიანი — (ფიზიკოსს). შენი ყუმბარა ხომ ბევრად უფრო საშიშია?

გამომთვლელი — მან ტალახიანი წვიმა არ იცის, თეთრი თოვლის ფანტე-
ლებივით მოეფინება მიდამოს.

ვაჟი — თქვენ უკვე ისიც გამოგიცდიათ!

გლეხი — ქალო, ხედავ რამდენი ადამიანი დაუხოცავთ?

ცოლი — ჩვენი ბიჭები კი ისევ იქ არიან, შეეხევეწი კაცო, დარისპანს, ამბავი
გვითხრას.

გლეხი — პირველად ხალიბა მოჰკლეს. ახლა ასიათასები, ხვალ მილიონებს არ
დაზოგავენ, ოღონდ დოლარები დააგროვონ!

(კუბოს უკან სივრცეში ვაჟის საცოლე გამოჩნდება).

ვაჟი — შენც მანდ ყოფილხარ. მითხარი, ცოცხალი ხარ?

დარისპანი — (გაოცებული). თითქოს ამ ხემ ზრდა შეაჩერა.

გლეხი — (ცოლს). ქალო, ერთი უკანასკნელად მაინც ცვადოთ და გვითხრით ჩვე-
ნი ბიჭების ბედი.

ცოლი — ჰკითხე, ჩემო კაცო, ჰკითხე.

დარისპანი — (სიკეთის ხეს აკვირდება). ეს კი უფრო გამოცოცხლდა, ტოტებს
მეტი ფერი მოეცათ. უფრო ძალუმად შრიალებენ ფოთლები. რას ნიშნავს
ყოველივე ეს?

გლეხი — (გამოდის საფარიდან). დარისპან, ერთი სიკეთე მაინც ქენი, გვითხარი
ჩვენი ბიჭები სად არიან?

დარისპანი — (გაოცებული). შენ აქ ვინ მოგიყვანა? (გაბრაზებული ყვირის). სასა-
მართლოზე ვინ შემოგიშვა?

ვაჟი — (გლუხს). შენ მაინც მითხარი მართალი, ნუთუ ჩემი საცოლე მოკვდა?

გლეხი — დარისპან, ჩემი ბიჭების სამყოფელი შენს გარდა არავინ იცის, გვით-
ხარი, შე კაცო!

ცოლი — (გამოძვრება). გვითხარი, ბატონო დარისპან, გვითხარი!

დარისპანი — (გახელებული). მთელი ჯალაბი აქ ყოფილა. ამას ჰქვია დახურუ-
ლი სასამართლო!

(უცებ გამოჩნდება სამი ბიჭი, ეტყობათ, ნომარნი არიან, ფარავები ვახსნილი აქვთ).

გლეხი — (ცოლს). ქალო, გაიხედე იქეთ, ვინ არიან ის ახალგაზრდები?!

ცოლი — (შეხედავს). უიმე! ჩვენს ბიჭებს ჰგვანან!!!

დარისპანი — (ბიჭებს უკვირდება). ესენი ვინდა არიან! ცეცხლით უნდა ამოგ-
ბუგოთ ეს ქვეყანა!

გლეხი — (ღინჯად). იცი, რა გაგახსენოთ, სწორედ ასე უთხრა თურმე ღმერთმა

არარატის მთასთან ნოეს: თუ კიდევ ხალხი გაირყვნა, მაშინ ცეცხლით
ნება წარღვნაო!

ერყენული
გინჯი

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (გლეს). რა გაცინებს?

გ ლ ე ხ ი — ხედავ, ჩემი ბიჭები ცოცხალი ყოფილან!

ც ო ლ ი — ენაცვალთ დედა, როგორ დავაყვაცებულან!

ვ ა ე ი — (გლეს). ჰკითხეთ, ჩემი საცოლისა ხომ არაფერი სმენიათ?

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი — ეტყობა, ამ ბიჭებმა ჩვენზე ნაკლებ არ იციან სამყაროს
ნატამალის ამბავი.

ჰ ო რ ფ ლ ი ა ნ ი — ნატამალი იგივე ატომია!

გ ლ ე ხ ი — ჰოო, თქვენ რაც გინდათ ის დაუძახეთ, ჩვენ კი ქვეყნის ნატამალს
დიდი ხანია ვიცნობთ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — (თავისთვის). ყოველგვარი ძალა უნდა ვინმართ ამის მოსა-
თოკავად.

გ ლ ე ხ ი — (გაოგნა). ძნელია, რადგან ეს ბიჭები გამოჩნდნენ, ძნელია. მათ მიწის
გემო იციან, თქვენც გიცნობენ, ხომ იცი, ვისი შვილებია?!

(ბიჭები ნელ-ნელა ჩამოდიან მაღლიდან და დედ-მამას ეხვევიან).

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ათასობით წელი ვებრძვი ამათ და მაინც...

გ ლ ე ხ ი — ხალხნო, აქეთ მომხედეთ, თქვენი შვილები ხომ გიყვართ? ეს ხე მო-
მაჭრევიანეთ, მომათხრევიანეთ. თქვენ გგონიათ, ვერ მოვერევით? აი, ჩემი
ბიჭები აქ არიან: ისინი ყველა ადამიანის მეგობრებია. ქვეყანა მოიარეს,
ყველას იცნობენ, ადამიანებსაც იცნობენ და მათ მეთაურობსაც. შეიკრიბე-
ნით! ხელი ხელს ჩაჰკიდეთ! მხარი მხარს მიეციეთ! გული გულს დაუკავში-
რეთ. მტრობა განდევნეთ, ძმობა დათესეთ. აბა, ბიჭებო, ცული მომაწოდეთ
(აჰლევენ ცულს. შემოკრავს ბოროტების ხეს). აი მე პირველმა შემოვკარი. ხომ
ხედავთ, როგორ ჩამოაბო ცულის პირმა ეს ბოროტების ხე. აკი ამბობდნენ,
ჩვენი ცული ვერ მოჭრისო. ხალხის მკლავი მაგარია, შეუღრეკელია, გაუ-
ტხელია, რა არ გადახდა ამ ბედნიერ ადამიანებს და აქამდე მაინც თავისა
ბეჭებით მოიტანეს ეს მრგვალი დედამიწა. აბა, თქვენც შემოჭკარით და საქ-
მეც ყუაზე მივა.

ც ო ლ ი — ჩემი ქმარი სულ ასე უცნაურად ლაპარაკობს!

გ ლ ე ხ ი — უცნაური აქ არაფერია, ენა დაიმოკლე, ქალო, ენა!

ც ო ლ ი — ისინი რა იქნენ, კაცო, ამირანის პირველი ადამიანები, მისი მეგობრე-
ბი, ძმობილები და დობილები?!

გ ლ ე ხ ი — ხალიბა-ბიჭი უკვდავებაშია გადასული. რა ხნისაც იყო, ახლაც იმ
ხნისაა.

ც ო ლ ი — სხვები, სხვები რა იქნენ?

გ ლ ე ხ ი — ვინ სხვები, ქალო?

ც ო ლ ი — უმადური ხარ, უმადური. რა უყავი იმ ბიჭს, იმ გოგოს, იმ მოხუც
ქალს, აი, დუნიადარს?

გ ლ ე ხ ი — ჰოო, ისინიც ამ წუთში მოვლენ. იმათ ჩვენზე უწინ შემოჭკრეს ამ
ბოროტებას ცული. აი ისინიც. ათასეული წლების მანძილზე ვებრძოდით
ბოროტების ხეს და ჰაა, როგორც იქნა მოსაჭრელად მივუღვეით... დღეი-
დან ეს ხალხის საქმეა! საბოლოო გამარჯვებაც შორს არ არის! აბა, დას-
ცხეთ ბიჭებო!

დასასრული.





პრიგოლ ჯალუსიძე

მ რ ი ს უ რ ა თ ი

* * *

გზაო, რა დიდი ხმაური გახლავს,
გზაო, სად მიხვალ, არავის ვკითხავ...
რადგან ყოველი იწყება ახლა,
რასაც ველოდი ძალიან დიდხანს.

ეს გზა სად მიდის, არავის ვეტყვი,
ცაზე ანთია აპრილი ფერთა...
მე გზას ვენდობი და უფრო მეტიც,
ეს გზა უთუოდ მომიყვანს შენთან!

დღეს მხოლოდ შენი ღიმილი მინდა,
თენდება დილა საოცრად თბილი...
და მე ვუცქერი ძალიან მშვიდად,
როგორ ირხევა ხეების ჩრდილი.

* * *


ენთო ნათელი, ველარ იყურე,
სული აგვესო ზეცის ფერებით...
მერე შემოგხვდა ღამის სიჩუმე
წაუკითხავი მშვენიერებით.

თითქოს სიჩუმე იყო სხვაგვარი,
შენ იგრძენი და თავი მიანდე,
ტყემ გაგამხნევა, რადგან მაღალი
ხეები ჰგავდნენ ადამიანებს.

დაუკითხავად მოვარდა უცებ,
განმარტოების ჟამი, ზღვაური...
თითქოს გაკრთობდა შენივე სუნთქვა
და საკუთარი გულის ხმაური.


საბედნიეროდ ხშირად ასეა,
სულ უმიზეზოდ გვითრთის ხელები,
რადგან ცხოვრება მუდამ სავსეა
წაუკითხავი მშვენიერებით.





ღევიან გოთუა

ტელეკომის კახეთი



მოთხრობა

შოთა რუსთველს — ჩვენი ერის სულიერ სა-
ზომს 800 წლისთავის ზეიმზე მოკრძალებით.

ქვა ზედ ვიწროფერდა გადასავალთან
მოწყდა ფრიალოს და გელიყარის ღრმა
ხეობაში ჩაიტანა გრიალი. ბილიკი თით-
ქოს დანისპირს მისდევდა. მარჯვნივაც
თავბრუნდამხვევი გადასავარდნი იყო და
მარცხნივაც. მალა, უეცარ კეხად აღ-
მართულ კლდეზე, წვერის ციხის ნანგ-
რევი გაბზარული თითისტარივით იდგა.
ქვა იჭიდანაც დაგორდა.

ცხენოსნები შედგნენ.

— ლალატი არ იყოს რამე! ახლა ცო-
ტა როდი შედგა უკუღმართ გზაზე! —
მეწინავემ მზვერავეები გაუშვა, დანარჩე-
ნი სათქნელი ფიქრით დაიტოვა. „ახლა
ყველგან ასეა ჩვენში — აქეთ-იქით გა-
დასაჩეხი, შუაში კი დანგრეული ციხე
და ნასოფლარი!“

ნაადრევ გაზაფხულს კლდის სავალი
შეთქორა, გამოვლბო და ახლა მცირე-
მცირე შეავებად სუნთქავდა გელიყარის
კლდე.

ქვევით ტყე ცვროდენა კვირტებით
იყო შეფეთქილი. შინდი და ტყემალი კი
უკვე დაღანით ჰყვოდა. ახალ ნასოფ-
ლარებს, ნასაყდრალებსა და სხვა ნანგ-
რეგებს უკვე ბალახი შეჰპარვოდა... ის
იყო უპატრონოთა ჭირისუფალი.

დიდგორიდან სხალდიდამდე ფერსავ-
სე ცისარტყელა ოდრიკალად გადასული-
ყო. მშვიდობა იყო ცათა შინა, ხოლო
ქვეყნად, მტრის გარდა, ყვავ-ყორნობა
ბორილობდა. არც გაზაფხულისა და
არც მარცხის ძღვევის მერცხლები ჯერ
არსად ჩანდნენ.

საყვავეთი კი მართლაც ზეიმობდა ირ-
გვლივ. წვერის ნაციხარზეც, სულ ახლა-
ხან დანგრეულ და გადამწვარ სოფელ-
შიაც...

თავისი ხატობით — გელიყრობითა და
ბერიკაობით განთქმული სოფელი გელი-
ყარი ახლა უკუტრნებელ იარად ედო გე-
რე-სკვირეთის სავალს. მას, სხვა ნასოფ-
ლარეობით, ჯერ ბალახიც არ მოსდე-
ბოდა.

შენ, გაზაფხულო — ნანატრო, არ იცი
გლოვა-ზარია.
ქვეყანა გატყდა, ჩაენინდა, შენ კი კვლავ
გაგინარია!

საჩინო ბართაშვილი სპასპეტი რომ
არ ყოფილიყო, ალბათ მგოსანი იქნე-
ბოდა.

ზარადაწყულს ნესტოები ებერებოდა.
ხარბად ისუნთქავდა მის მიერვე შერ-
ქმეულ „სამშობლოს სურნელს“ და ახლა

„ტყვედ გაჭრილი და დევნილი“ საჩინო უფრო აგოსნურად, ვიდრე სპასპეტურად, გრძნობდა „ნასოფლარების ძახილს“.

ფარცხისის მარცხის შემდეგ, ბუნების სიყვარულის გარდა, ორი რამ, ფრიად შორი-შორისი, დარჩა საჩინოს — შური-სგება და ძველი წიგნების კითხვა. მაინც „ვეფხისტყაოსნისა“. თავს ვერ უმხელდა, თორემ საღვთო წერილზე უფრო სწამდა.

მაგრამ ამჯერად ტანზე შერჩენილ აზრისა და ხელშეშლისნად ნაბრძოლი ხმლის მტეხი არა გააჩნდა რა. ყველაზე უფრო კი მაინც აკლდა „წიგნი იგი პატიოსანი!“ რომელსაც „ერის სულიერ საზომად“ რაცხდა.

მკვეთრად ხატოვანი ფიქრები იცოდა საჩინო ბარათაშვილმა, გვარში მოსდგამდა. ახლა კი ფიქრებში თავად მოძვრებოდა „უმსგავსი ხატოვანება“. როდესაც „ბევრს ზნეობა შეელახა, ახლა უცხოურ ქუდსა და ოქროს დაედო ფასი!“ და მაინც „ისეთ ქუდს, რომელიც შუბლის ძარღვს ჰფარავს!“ ახლა, საერთოდ „ლალატის გზასა და ქუდს აქვს გასავალი და გასაქანი!“

...ყოზილბაშთა მიერ სვიმონ მეფის ტყვედ ჩაგდებაც ხომ ლალატის მზაკვრობა იყო. მერმე მთელი ქვემო ქართლის აკლება ჯერ შემოსეული მტრისგან, მერმე შინაზარდი ლალატის ხალხის მიერ!

თბილისიცა და საბარათიანოც გამაჰმადიანებულ დაუდ-ხანს ჩაუვარდა ხელში.

საჩინო, მეწინავე ლაშქრის სპასპეტი, არ დამარცხებულა ფარცხისს. თავისი ფრთით ეკვეთა, გადათქერა. მდევრად გაჰყვა ლტოლვილ მტერს და მხოლოდ მეფის მოულოდნელმა ტყვედ ჩავარდნამ შეაჩერა, გამოაბრუნა. მერმე კი ტყეში, მიუღვამელ ციხეებში თავის შეფარება არჩია, მტრებსა და მოლაღატეებს არ მიუვიდა.

ახლა საკუთარ ქვეყანაში ხიზნად და შურისძიებად დაჰქრის. ამას ყოველ ნა-

სოფლარს, ყოველ ახალ სასაფლაოს ეტყვის, თავს ყოველი ბუხრის ნაგვედ და დამწვარი დედა-ბოძის წინაშე მარათლებს. ხმაღს დააკვესებს და გაბზარული ხმა არ ექნება!

მარცხი ცუდია, მაგრამ ასატანი. ლალატია უბედურება, ერის რაინდული სულისკვეთების გამოშკედილი! ლალატია მონობის ნიშანი უპირველესი!

მანგლისს აქეთ რბევისა და ბრძოლის გზა უპატრონო საფლავებით იყო ნაწინი. ფიჩხისი უკვე სულ აღგვილი იყო პირისაგან მიწისა. საჩინო თავისი გუნდით ახლა კოჟორ-გელიყარ-ბეთანიას ფრთებიდან უტრიალებდა თბილისს. ქალაქიდან გამოსულ მტერსა და მოლაღატეებს აქ უგებდა ხაფანგს.

გელიყარზე წვერის ციხის გატეხისა და განადგურების შემდეგ მარბიელს ვერუს ხეობით გზა ხსნილი ჰქონდა თრიალეთისაკენ, საბარათიანოსაკენ, ხოლო კოჟრის შემოვლით — ქვემო ქართლისაკენაც.

მწვერავები მობრუნდნენ. კაცის ჭაჭანება არსად იყო.

საჩინომ ზარადი ჩამოიშვა. რკინა მის კეხიან ცხვირს რომ დაედო, ისევ ქვეყნის სადარდებელში ჩასვა.

— თუ მტერია სადმე — ჩასაფრებულ იყოფილა! ფრთხილად ვიაროთ!

სამზავისთან, გელიყარის ქვახეთქილში, სულ მოულოდნელად ვიღაც შოოსანმა დედაბერმა წინ გადაუბრინა. არც ცხენს შეეპუა, არც შეაბჯრეს, აღვირზე უტაცა ხელი...

— შენ ხარ!? რას იფარავ სახეს? დამენახვე! მოლაღატე ხარ?

საჩინომ ჯერ აზხედ-დაზხედა. მის წინ მაღალი, გამხდარი დედაბერი იდგა. გაწამებული, სულ დამშკნარი, ჭიღარაშიაც ჩარჩენილი წყობილ სახითა. მაგრამ თვალები, დიდრონი, საყვედურა, დარდილილი, თითქოს სიკვდილის მიღმა მზირალი თვალები შეუპოვრად მისჩერებოდნენ და მუზარადის გაჭრევტას ლამობდნენ.

— დამენახვე თუ მოლაღატე არ ხარ! ქვეყანა ამბობს, მე კი არ მჯერა!

— არა... სწორედ მოლაღატეებს ვეფარვი და ჩუმად ვეძებ! — საჩინომ სულ გადაიძრო მუზარადი, — დედი, ვინც არ უნდა იყო, პირნათლადა ვარ!

— შენ არ ყოფილხარ! — უკან დადრკა შოსანი, — იმას გამსგავსე! ასევე მხარბეჭიანს! ნუ გეწყინება და შენზე პირკეთილს... სულ ავირე! ეს მუზარადი კი დედაკაცების ჭირად არის გაჩენილი — გამზრდელი ვეღარ სცნობს თავის გამზრდილს! ხალხი კი... — უეცრად შემობრუნდა, შავი თავსაფარი ხელჩვეულად შეისწორა, მაგრამ უმტყუნა ძალამ, ხელიც ჩამოეშალა, თავსაფარიც და ჭადარაც. მაგრამ არ შეიმჩნია, თავსაფარი ჰაერში ააფრიალა და მაღალი ხმით აყვირდა: — მიშველეთ, ეს ყვავები გადამარკენეთ სასაფლაოდან!

გადასავლის მახლობლად შეფენილი მცირე სასაფლაოს ჯვრებზე ყვავები ისხდნენ, ირგვლივ ირეოდნენ. ყვავებს ჰქონდათ ჩაგდებული მთელი მიდამო.

— მიწა იქნება მისაყრელი! — საჩინო დაქვეითდა და გუნებაამღვრეული გაწინაურებულ დედაბერს გაჰყვა, — შენ კი ვინხარ ან ყვავების დარაჯად ვინ დაგაყენა?... ან ამდენ მამაკაცთან რად იშლი თავსაფარს? განა ყველაფერი მოიშალა ჩვენში?

ქალმა არც მოჰხედა. თავსაფარი ყვავებს აუქშია. სული მოიბრუნა.

— იმად რომ მე ყველგან მხოლოდ ყვავებს ვხედავ! სირცხვილი სადღა არის საქართველოში? მეც ახლა ერთი ხიზანა, სახელდაკარგული ნადეღარა ვარ, ნასოფლარისა და ნასაყდრალის გვერდით გამოჩენილი. აი, როგორც ეს უპატრონო სასაფლაო! ეჰ, ვინ რა იცის, ვის რა თონე უნთია გულში?

საჩინომ უფრო დაიდინჯა ფიქრი და სიტყვა:

— შენ ყველას ჰკითხავ, აქ ავლილსა და ჩამოვლილს, მოლაღატე ხომ არა ხარო?

„ნადეღარა“ შემოტრიალდა და თავისი ამოსევდილი მზერა დიდხანს არ მოაშორა ტყის სპასპეტს.

— ყველას... ერთს კი მაინცად მაინც!
— ჩამოიარა?

— ჯერ არა, მაგრამ ჩამოვიღებ...
დე არ მოვეკვდები! ნამდვილს გავიგებ!

— ნუთუ შენ ფიქრობ, ვინმე გეტყვის, დიახ, მოლაღატე ვარო! ერის ჯალათი გახლავარო! ჩემი ხელობა და მოწოდება გამცემლობაა და რა გნებავთო? თავს ნუ იტყუებ, დედი!

— თავი შეიძლება მოტყუედეს, გულიც... მაგრამ ძუძუ არ მოტყუედება!

შოსანი ერთიც შემობრუნდა, თვალღებში თითქოს ელვამ გადაურბინა, აცალა, ვიდრე დაქვეითებული აბჯროსნები სასაფლაოზე ავიდოდნენ და საჩინოს შემოთვებულად შეეკითხა:

— ყველაზე დიდი მოლაღატე ახლა ჩვენში ვინ არის?

— ორია — დაუდ-ხანი, სვიმონ მეფის მაჰმადიანი ძმა და კახაბერ ყორღანაშვილი, მეფისა და ერის გამცემი.

ყვავები დიდ გუნდად აიშალნენ სასაფლაოდან... მწყრალი ჩხავილი და შავი კორიანტელი ააყენეს ჰაერში. შოსანიც თავსაფრის ბორიალითა და ჰაიოს ძახილით აედევნა მათ. საჩინომ მგოსნური გუმანით იგრძნო, რომ დედაბერი საუბარს გაეორდა. სპასპეტის თვალს სხვა ენიშნა — ნაჩქარევად, სატევრებით მოთხრილი საფლავები იყო გარშემო... ალბათ აღარც სატევრის სიგრძეზე უღრმესი.

— დაესეოდნენ ყვავები, აბა რა იქნებოდა! — გარს უვლიდა და განცვიფრებით შეჰყურებდა სახელდახელოდ ჩარჭობილ ჯვრებს — გაუთლელთ, ცუდად გასხეპილთ, ჯვარედინად ტოტებჩაწულთ. შორიახლოდან ისინი აწოწილ ჩონჩხებს უფრო ამსგავსა.

აბჯროსნები გულმოდგინედ ეზიდებოდნენ ქვებსა და ლოდებს, ამალღებდნენ საფლავებს. ქალი კი გაბოროტებით სდევნიდა აბეზარ ყვავებს.

— „ომ ჰქონდა გამწარებული — შოსანსა და ყვაოსანს!“

შოსანმა იძალა. მაგრამ ვაი ასეთ „გამარჯვებას“. აქოშინებული ძლივს იდგა

ფეხზე. ერთ-ერთ ჯვარს მიეყრდნო და წაქცევისგან თავი იხსნა. ყვაეები კი არცთუ შორს გაფრინდნენ კლდის თავზე, ციხის ნანგრევებზე შემოსხდნენ და თვალს არ აშორებდნენ გელიყარს. ქალმა სული მოიბრუნა და ძლიერ გასაგონად ამოსიტყვა:

— იციან თქვენი ბუნება! შეაბჯრულეებს რომ დაგინახავენ, სადღა წაელენ, მათი კერძი უსათუოდ იქნება რამე!

საჩინომ ინიშნა და თავი ჩახარა. ქალმა კი, თითქოს დაეწვაო, ჯვარს ხელი უშვა და ზმიანად აკვივლა:

— წმიდაო ღვთისმშობელო! ნუთუ ყველაფერი წახდა, უკუღმა შემობრუნდა ჩვენში და გაზაფხულიც სასაფლაოდან შემოდის საქართველოში?!

— რას იწყებლები! — ახლა კი გაწყერა საჩინო, — მთელი ერი ასე გამწარებულ ხიზნობაში ვართ! განა მარტო შენ! მოვა დრო და კვლავ გავიმარჯვებთ! ყველამ უნდა ჩვენი წვლილი გავიღოთ! გაზაფხულისა და გამარჯვების მერცხლები აქაც მოფრინდებიან! განა მარტო საყვავეთია! გელიყარი დავისვით მოწმედ!

— დამიხედე, ჯვარს დამიხედე! — დაწვეებზე ხელი შემოიკრა გულშემოყრილმა...

საჩინომ ფეხი წარსდგა... და შეძრწუნდა ყოვლად გულმტკიცე და უშინარი. შორიდან აწოწილ ჩონჩხებს მიმსგავსებული ჯვრები ჰყვოდნენ. ცეროდენა კვირტები ამოეყარათ და ქმუნვის თვალთ დანახული უპატრონო სასაფლაო ტირიფის ჯვრების სანერგეს უფრო მოგაგონებდათ.

— ეს რა ვნახე! — შეშფოთებული სპასპეტი შავ-ხიზანას გაეცალა, მუხარადი დაიხურა, ცხენს მოახტა, ლაშქარს ნიშანი სცა, გელიყარის ვიწრო ფერდი გადავლო და ქვევით ვერეს ხეობისაკენ დაეშვა. ყვაეების გუნდიც წამოიშალა.

ქვევით უფრო დათბა, მაგრამ აბჯრებში ვეღარ შეაღწია გაზაფხულის სული-სკვეთებამ. ყველას ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს უკან მოსდევდათ არა მტერი — ამად იყვნენ მოწოდებულნი, არა

ყვაეები — არც ეს იყო უჩვეულო, არამედ კვირტებზე ამოზრდილი, ყვევებზელი ჯვრების გაზაფხული. გინელოგია

ვერისპირა, ახლო-მახლო სოფლები — შამთა, კვესეთი, წყდულეთი, ქვემო-წვეერი — შეფარებულნი იყვნენ სხალდილის ხეობებში. მათი სახიზრებიდან ლასტის ციხემდე აღარც თუ დიდი მანძილი იყო და ხევ-ხევ ამოღწეული ვიწ-ვიწის ზმა შუბის ძგერასავით ხვდებოდა მიუდგომელ ციხეში შეფარებულ სპასპეტს.

საჩინოს ჩუმი მაცნეები ჰყავდა გაგზავნილი თბილისს და მცხეთას, გორს, ლიხს იქითაც... ქვემო ქართლი ხომ თავად მთავრო. გარეჯსა და უჯარმასაც ზმა აწვდინა. ხალხშიაც გაუშვა ნახევრად შეფარული ძახილი:

ვეფხებო, თქვენთვის ვებუბუნებ, არავინ
დაიმუხლოსა.
ფუფუნა წვიმა მოსულა — კიდევაც
დაიქუხოსა!

...მაგრამ ახლა, აქ, ცხვირწინ, სახიზრებშიაც, რაღაც ამბავია. მაინცადამაინც სახიფათო არაფერი ჩანს, მაგრამ მგოსანს იქნებ ეპატიოს დაუდევრობა, სპასპეტი კი არა. ბოლოსდაბოლოს ამ სახიზრებიდან უნდა მოვიდეს დიდი მაშველი!

— ჩადით ერთი, გაიგეთ რა ამბავია? დარჩა კიდევ რაიმე უბედურება ჩვენ რომ არ გვპირდეს?

მხვერავი რომ არ დაბრუნდა, საჩინომ შეაბჯრული მაცნე გაგზავნა. მაცნემაც რომ დაიგვიანა, სპასპეტი კოშკის თავანზე ავიდა, შევარდნის თვალთ გაახედა მიდამოს.

აქედან ბეთანიაც ხელის გულზე იყო. გელიყარზე წვერის ციხის ნანგრევებიც თვალგასწვრივ ჩანდა. უკვამლო, განაბული და გახიზნული სოფლებიც დახეული ხალთებივით ეყარნენ აქა-იქ.

არც მტერი ჩანდა, არც მოყვარე. თუმცა საჩინოს ხატოვანი ფიქრით — მტერი ყოველთვის მტრობდა, მაშინაც კი. როდესაც არ ჩანდა. მოყვარე კი სულ ვეღარ მოყვრობდა. მართალია, დაუდ-

ხანი თბილის-გალაფნიდან ვერ გამოდიოდა, მაგრამ „რბულ ქვეყანაში“ ღალატის გველი ადვილად იჩენდა ბუდეს, იმრავლებდა წიწილებს და ვისაც ვერ გესლავდა — უნდობლობის პერანგს მაინც უტოვებდა.

ეს აფიქრებდა საჩინო სპასპეტს, თავდადებულ მამულშივე, რომ „საერთო ხმალი“ აღარ იყო საქართველოში. საერთო მტერი იყო, საერთო საშველის გზაც, ხმალი კი ყველას სათაფისო ჰქონდა და ყოველთვის არც იყო გარკვეული — ვინ, ვის და რად ებრძოდა! ამის გამო ღალატის ლანდი ყველგან დაძრწოდა და როგორც ყოველ არეულ დროში, ღალატის ქუდსაც ყველაზე დიდი ძალა ჰქონდა.

საჩინომ ტანზე შეზრდილი ხმალ-აბჯარი შეისწორა და კარიბჭესთან ჩავიდა. ოდესღაც მენაპირეთა, ახლა კი ტყის გუნდი უკვე მზად იყო.

გაგზავნილებიც ერთად მობრუნდნენ.

— არა, მტერი არ არის, ბატონო! ძლივსღა გავიგეთ ნამდვილი! ამან დაგვაყოვნა, გელიყარზე უფრო დაბნეული ამბავია! დედაბრები და მოხუცები ქვემო-წვერში წავიდნენ! ჩვენც იქ ვიყავით!

— ისევ შავ-ხიზანა დედაბერია, სასაფლაოზე რომ იყო! საშინელი სანახავია! საჩინომ ყური გაიმახვილა.

— ამბობს რასმე?

— მოთქვამს! ვერც ჩვენ გავიგეთ, ვერც სოფელმა! სულ ახალი ხიზანი ყოფილა! იქ ყველა სხვადასხვა მზრის ხიზანია! მკვიდრი კი სხვაგან ჩიხნობს.

საჩინომ ხუთიოდ მოლაშქრე იახლა. დანარჩენთ ციხე ჩააბარა და გარეთ გამოსვლა აუკრძალა.

ტყეში ნაცად ცხენებს მოკლზე ჩააჭრევინეს.

სოფლის დაღარულ ჩასაველშივე ნატისუსალი იგრძნეს. შუა სოფელში მამაკაცები გაკერპებულად იდგნენ. სამოცდაათზე ნაკლები წლისა არც ერთი აღარ იყო. კომბლები, ორთითები, კეტები დაეზვიანათ. ხმა ჯიუტად გაეკმინდათ.

უფრო წინ დედაკაცები უხმოდ ^{შელოცეს} ნებდნენ. ისინიც ადამისა და ეგვსს ^{გველმთხეა} სანი იყვნენ.

შავ-ხიზანა გიზგიზა თონესთან ტრიალებდა, საწვავს უმატებდა. აქედან მოდიოდა ხრჩოლვაც და უამური მცხუნვარებაც.

საჩინომ მისვლისთანავე შენიშნა, თონეში არა ფიჩხს — ფარდაგს ეკიდა ცეცხლი და ხან შებრიალებით, ხან ამოგუდვით იწოდა. ფარდაგს კეთილნარეუქი ხალათი მიჰყვა, მერმე — ნატის ჭვინტიანი მესტები... ბოლოს — ხავერდის მოქარგული ყურბალიში. ცეცხლმა იბრიალა და აღმოდებული ბუმბული თონედან მალლა ამოფეთქა... ცეცხლიან თოვლად გაედო სოფელს.

— დედილო, რასა სჩადი, გაგვაგებინე მაინც? — შეეკითხა სპასპეტი, — აბა, ჭირიანია ეგ სამოს-საგებელი? მაგრამ ამ აღრეულ გაზაფხულს?

შავ-ხიზანა ერთ წამს შედგა, მობრუნდა:

— ჭირიანი! არა, უარესი! გველცოფიანი! ამოიშრიტოს ამოსაშრეტი! — შავ-ხიზანამ ახლა მიწურის წინ ჩამომთელი ქარგული ფიჩვი ჩამოგლიჯა და თონეში ჩაავდო. ალი წითელი ძაღლივით შეახტა ფიჩვს და ჩაბუნხა...

შაოსანი ისევ მიწურს მიუბრუნდა. ახლა იქ კარგად გაწყობილი და შემკული აკვანი ჩანდა. ქალი ხელუკულმა მოესიყვარულა აკვანს...

— დედობაში და ძიძობაში ეს იყო და ეს! კვეთი სულისა! მერმე ნაშთი ოჯახისა. ხიზნობაშიაც... ნუზლი დავტოვე და ეს კი ჩემი ზურგით ვატარე... განა მართო შეჭრელებული ხე იყო... და ახლა... — აღარ დაამთავრა, მალლა აიტაცა, მიწაზე დაანარცხა და გატეხა... თითქოს მიწა იძრა სოფელში. ყველა შეტორტმანდა. მამაკაცები გმინვით წინ წამოდგნენ, ქალები აკივლდნენ. აყვირდა სპასპეტიც:

— რას სჩადი არნახულს! იავნანას ქვეყანაში — აკვნის გატეხა?

მაგრამ როდესაც შავ-ხიზანამ არც ეს

აკმარა აკვანს და ნამსხვრევებს თონეში დაუწყო ჩაყრა, მაშინ კი სოფლის ქალებს დასჭყვილა საჩინომ:

— თქვენ რაღამ გაგაშეშათ, ქალებო! მიდით, გააცალეთ! ჭკუაზე გადავიდა და რა სეირს უყურებთ ახლა? აღარც ცოდო-ბრაღია ჩვენში?

ქალებმა ერთობლივ ზღუქუნს უმატეს, მაგრამ არვინ დაძრულა. მხოლოდ ბერიკაცები მუხლებგაუხრელად, უფრო თავჩაქინდრულად შემოადგნენ და კბილ-ჩიფჩიფად გააგებინეს:

— დააცალე, ბატონო! მაგასა... თავისი ბოღმა ეყოფა!

— ამ ქვეყნისა მაინც აღარ არის.

— ისე კი სრულ ჭკუაზეა და არც აქვს რამე საშველი!

— როდესაც ყველა მაგის ჭკუაზე მოვალთ, მაშინ თუ გვეშველება რამე!

საჩინოს ეს ანციფტრებდა, აბნევედა კიდევ... ცალ-ცალკე თითქმის არაფერს არ ნიშნავდა მათი ნათქვამი, ერთად კი — ადამიანური ტკივილის ბრძნული ჭკრეტა-განსჯა გამოდიოდა!

თონეში კი თითქოს ღუღუნით, ნაპერწკლიანად იწვოდა აკვანი. ტყის სპასპეტს ზემო ქართლში ჰყავდა დახიზნული ცოლ-შვილი. კარგა ხანია მათგან არაფერი სმენოდა. ამ ნაპერწკლებს მისი აბჯარი აზა რას გაუძღებდა.

— ცეცხლის დედავ! მაგ თონეს მაშინ ექნება მადლი და ნუგეში, როდესაც ჩვენც გავიგებთ, მის სიკეთესა და იგავს! მითხრა, სადაური ხარ?

— ნუ მკითხავ... აღარავის აღარ ვენდობი!

— მე საჩინო სპასპეტი ვარ, ვერ მიცანი? იქ არ შეგხვდი გელიყარზე!

— იქ სხვაც შემხვდა! იმას უკეთესი სახელი ჰქონდა... მერმე დახე?! — ჰირვეულად აკივლდა ქალი. საჩინოს შეეცოდა კიდევაც. რას ჩააცვიდა ამ უბედურ ქალს!? მაგრამ მოსანმა რაღაც იგრძნო და დაფიქრდა — „მაშ შეხვედრია იმას, ვისაც ეძებდა!“

— უბედურო! რომ დასწვი, შიგ რამდენი შვილი გაგიზრდია?

გაწამებულ ქალს უეცრად ხმის წაერთვა, ძლივს გასაგონი ჩვენი მკვლევარი უთხრა:

— ჩემი — შვიდი! ომის გველუშაპმა შემიჭამა ყველა! ფარცხისმა — უკანასკნელი! მათი მამაც ომის მსხვერპლია, გარისს!

საჩინო მიხვდა, რომ სადღაც აქ არის ამოცანის ამოსახსნელი.

— მე მერვეს, ამ აკვნიცულს ვძიობ! თონე გიზგიზებდა. შავ-ხიზანა უეცრად კუტი პურისოდენა გახდა. მერმე კვლავ აღიმართა, ვგონებ ყველას გადააჭარბა სიმადლეში და სულ მოულოდნელად გულისპირი გადაიხსნა. მიღუწული მკერდი გამოაშიშველა:

— ახლა დამძრახეთ! მე ვაწოვე! ძიძვიყავი მისი! ამ აკვანში გავზარდე ის გვოლსისინა! საზარელი მოლალატე გამომიზრდია!

საჩინო უკან დადრკა. სხვებიც. ისედაც მიმჭკნარი ძუძუს კერტები მუგუზულით ჰქონდა ახალმიმწვარი.

— ვინ? ვინ? ახლა იმდენი მოლალატეა საქართველოში! რას გამოიცნობ!? — მიამახეს აქეთ-იქიდან. საჩინომ თავისი ხმაც კი იცნო მათ შორის. თუმცა უკვე მიმხვდარია. უკვე ვარაუდებს ათანაბრებს. დამწვარი მკერდის ანარეკლსაც ვერ იშორებს თვალის გუგოდან, — „ეს რა მკაცრი განსჯის სული ყოფილა!“

„შოსანმა კი დამწვარი მკერდი იღარა და ხან თხრობით, ხან შეტევით წამოიძახა:

— მთავარი ყოფილა წყეულთ შორის! მეფის ტოლი კაცი გავხდით. დამაცადეთ, ჩემს იქით საშველი არ არისო. ის განდგომილი, ტყიურნი დაღუბავენო საქართველოს... მე გადავარჩენო! გელიყარზეც გამოჩნდებო... შენ რა გესმის, მერმე შენც გაიგებ—დამაფასებო! — ქალს თვალებიც თონეებივით გაუხდა, სიტყვაც დამარცვლა, — მესმის! გავიგე! ქუდიც ყიზილბაშური ეხურა, თვალეშიც ველარ მიმწერდა! აქვე დამხვდი, ხელ-

ნაწერი დამახვედრე, შორიდანვე დამა-
ნახვეო!

— ხელნაწერი?!

— იმაზე დაგიფიცებო! ძუძუს ნუ მა-
მადლი, ახლა სულ ბაჯდლო ოქროს ამ-
ოტიგანო! მე გავზარდე, მე! უდედო ჩემს
შვილებში არ მერჩეოდა. და ეს ვინ გა-
მიზრდია! ახლა ჩამქოლეთ!

ქალი მოწყდა, ჩაქრა, თონის წინ, სო-
ფლის წინაშე ჩაიჩოქა და სახე იფარა.

— მოიცადე, დედი! შენი ჩაქოლვა
აღვილია! — თავს წაადგა საჩინო, —
დაგრჩა კიდევ რამე ყორღანასეული? ახ-
ლა სხვა საქმეცა მაქვს!

შავ-ხიზანამ გამეშებულად ზე აპხენდა
აპროსანს:

— უთქმელადაც ცნობილია მისი შავი
სახელი?

— აბა ვისლა არ სმენია დაწყველილი
კახაბერ ყორღანაშვილის საძრახავი? მან
უმეგზურა მტრის ლაშქარს, სამშობლო-
ში შემოიოყვანა. მან მიუსია ბრძოლაში
დაწინაურებულ სვიმონ მეფეს გასაქცე-
ვად მიდრეკილი ყოზილბაშები! ახლაც
იგია ღალატის გზის მბლანდავი ჩვენში!
აქ დაძრწის სადღაც! მაგრამ ერის ხელი
გრძელია მაშინაც კი, როდესაც დამარ-
ცებულა!

სპასპეტი თავისებურმა ხმამ შეეკართო
და შემოაბრუნა. ეს არც თანხმობის ყრუ
შეძახილი იყო და არც იარაღის ჩუმ
ქლარუნა. ვერც მიხვდებოდა, მაგრამ თა-
ვადაც აუვარდა იგივე მოგუბული ხმა.
ღიან, ქალები და უკბილო ბერიკაცები
აღრჭიალებდნენ კბილებს.

ამდენ აუგს ერთბაშად ძიძის გაკერპე-
ბულმა გულმაც ვეღარ გაუძლო:

— სულ გამომჩა — მისეული კიდევ
მაქვს და ვერ დავიტოვებ! — მიწურში
შეგარდა, მოზრდილი გრაგნილი და ვერ-
ცხლის ზანზალაკებიანი თასმა გამოიტა-
ნა. თონის თავზე რომ ასწია თასმა, ცი-
ცქნა ჯვარიც გამოკაფდა. სოფელმა შე-
სძახა, მაგრამ არავის შეეგუა.

— მოღალატის ჯვარ-ხატიც დასაწვა-
ვია! შემინდეთ, მამა-პაპათ სალოცავე-
ბო! — ბეთანიისკენ მიბრუნდა, ჯვარა

ისახა და ზანზალაკები ჰაერში ააწი-
ლილა.

ყველა ისე შეიშინა, თითქოს ამ-
დამწვარ დედებერს ერთ მუშტში ეკავა
მთელი სოფელი. მერმე თითქოს ყველამ
ხმა და სული ამ წკრიალს თონეში გადა-
აყოლა.

— ჰოი, ცოდვილო! — თონეს წამოად-
გა სოფელი. ცეცხლიდან ჯერ კიდევ ის-
მოდა ზანზალაკის ხმა. თითქოს გელიყა-
რისაკენ მიდიოდა, სოფელს შორდებო-
და ცეცხლმოღებული ქარავანი. მთელი
სოფელი კი დამწვარი აკვანავით ირწყე-
ოდა.

— ჯვრის სამართალში ნუ ჩაერევით.
მე ვიცი და ჩემმა ღმერთმა! — ისევ და-
ბორილადა შაოსანი, — ქვეყნის სამარ-
თალში კი რასაც ვამჩინებ, თქვენზეა!
და რაც უფრო დიდი მოღალატე გამიზრ-
დია, მით უფრო მკაცრი სასჯელი მეკუ-
თვნის!

— ეს დიდი ნუსხაც მისია? ამ ხელნა-
წერს გთხოვდა? — ცეცხლი მოიკიდა სა-
ჩინომაც.

— არა, ეს „წიგნი პატიოსანი“ ჩემი
კაცისეულია, ესლა დამრჩა მისგან!

საჩინომ გამოართვა და ჩაფურცლა
ხელი ვეღარ მოაშორა.

— „ვეფხისტყაოსანი“? — ეს ვაჟიციო-
ბისა და ძმადნაფიცობის წიგნი მოღალა-
ტეს რა სინდისის სარკედ სწადს?

— მიხვდარი ვარ! შიშნაკრავია! ბავშ-
ვობაში ჩემი კაცი მაინცადამაინც ერთ
ადგილს უკითხავდა... ის უნდა ნახოს!
ალბათ იმასაც აქვს თავისი თონე!

ქალმა გაღუშალა დანიშნული ადგი-
ლი, საჩინომ ჩაიკითხა.

— „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლა-
ხერთა დასაქრელად!“

— ხამს! — ხმლის ვადა აბჯარს შემო-
ჰკრა სპასპეტმა.

— ჰაი-ჰაი! — ორთითები, კომბლები,
კეტები დაჰკრეს, დედამიწა დაიმოწმეს
ბერიკაცებმა. ქალებმაც ფეხი დაჰკრეს
მიწას და გაინაბნენ. ალბათ საკრულავს
მოაყოლებდნენ, მაგრამ ნაძიძარი ისევ
წამოღდა.

— მოღალატის სასჯელი გარკვეულია.

მეც ვიმოწმებ მიწასა და თონის ნაცარს. მაგრამ მოლაღატის ძიძასა და გამზრდელს?!

ყველამ თვალი ააჩრია. ხმა დაიხშო. ახლა თონის სიმბურვალე დადგა ირგვლივ. თითქოს მთელი ქვეყანა დუმდა და ისე იწოდა ციციქნა ჯვრებითა და გადამდნარი ზანზალაკებით.

— ჯერ დახვდი! — იძალა საჩინომ, — უნდა შეძლო შეუძლებელი!

— წინ სიკვდილი დახვედრია, უკან — ყვავ-ყორანი!

— დახვდება!... მაგრამ, ვიცნობ მას — ეშმაკი ტურა-მგელია, მაშინ არ ამოივლის! გზახსნილობის ნიშნად გიყენებს შენი გაზრდილი! უნდა დახვდე!

ქალს ახალი ელდა ეცა. დამწვარ მკერდზე ხელი იტაცა.

— მე უბედურმა, ყველაზე ბოლოს უნდა მივხვდე! რა აკენის ცეცხლმა და-მაბეცა! აკი მითხრა — თუ გზაზე მშვიდობაა, არვინ ტყუილი და შეუგნებელი არსად არ წანწალებსო! ქართული სისხლი ჩემგან ან სხვა ქართველისგან რატომ უნდა დაიდგაროსო! გელიყარზე გადმოიდექი წვერის ციხის ნანგრევებზეო, ის ხელნაწერი მომიტანე, გამიშალეო! სახელი ვერ თქვა! ახლა მახსოვს, მაშინ გული წამერთვა! განზე გამიყვანა! მაშინ ყველაფერს გიამბობ და თუ გამამტყუნე — შენი ხელით მომკალიო!

— ვცნობ გაიძვერას! ბევრი ახლდა!?

— მე მას ვხედავდი მხოლოდ და მის ზურგს უკან ქმარ-შვილი და კვირტნაყარი ჯვრები მელანდებოდა. ისინიც მეჩუჩულეობდნენ! საშინელს მეტყობდნენ ერთად. „მაგან და მაგისტანებმა... მაგან და მაგისტანებმა!“

— მაგან და მაგისტანებმა! — ფარხმალი შეაზრიალეს სპასპეტმა და სხვა აბჯროსნებმა. გუგუნი ჩავარდა სოფელში, გაზაფხულის წყალდიდობის წინამობრბედი.

— მაგან და მაგისტანებმა! მაგან და მაგისტანებმა! მაგან და მაგისტანებმა! — წამოდგნენ დედაბრები, წამომართნენ ბერიკაცები, აღმართეს თითისტრები, ორთითები, ხერხემლები, ერთობლივი

ხმა და ნალარა. თითქოს მიწის წიაღიდან წამოდგა თონე!

— შენ აკვანს და ზანზალაკს უწყევტის კი — სამშობლოსა და შვილებს! რაღა გვიჭირს! მოლაღატეს კეთილძიძობა გვეუწიოთ, სამშობლოსა და შვილებს ავდედინაცვლობა. ესა ყოფილა ჩვენი ბუნება! — თონისა და აბჯრის ცეცხლისა ჩამოჰკვესა გაგულისებულმა სპასპეტმა.

შავ-ხიზანამ ძალა იკრიფა, ძლივს წამოდგა, მერმე კი დელის რიყეზე გავარდა, ერთი კალთა ქვები მოხვეტა, ხალს ჩამოუტრია, ერთი საჩინოსაც მისცა ხელში.

— აჰა, ჩამქოლეთ! — და ძალამილუფლი მუხლებზე დაეცა.

— წამოდი! — ხელი გელიყარისაკენ გაიქნია საჩინომ.

— ჩამქოლეთ! გულს მეტი ძალა აღარ აქვს! აღარც მუხლებს! — შავ-ხიზანამ ღრმად ამოილო სული და თვალი მოავლო ახლო შემომდგარ მამაკაცებს. ქვა აღარც ერთს აღარ ჰქონდა ხელში.

— დედაკაცებო! თქვენ ჩამქოლეთ! ამათ კი რა იციან!? — ახლა მათ შეემუდარა დაღლილი, არაქათგაცილი შათსანი, — ხმლის ქნევა ამათ უმადლესი სამართალი ჰგონიათ!

დედაკაცები კი სულ ჩუმად იყვნენ, მაგრამ ქვა ყველას ხელში ჰქონდა შეტოვებული. მერმე ყველაზე უხნესმა, პირნაყენკა დედაბერმა ძლივს ამოიხვალა:

— წადი ძუძუცოდვილო! წაჰყე... თულა ააღწევ! მოლაღატეს ქვეყნის სამართალი გამოუთავე. მერმე ჩამოდი და...

— წადი და მერმე! წადი! წადი! — ერთობლივ შესძახეს ქალებმა.

— მერმე ჩამქოლავთ!?

— მერმე! მერმე!

— წავიდეთ, დროა! ავადწევ! თუ ვერ ჩამოვალწვი, იქვე დამტოვებ, უპატრონო სასაფლაოზე! — ძლივს წამოდგა, ვრავნილი დაახვია და ერთიც ჩაიხედა თონეში. იქ მხოლოდ ღველფი და ღაღარი იყო. გული კი ზანზალაკის ხმაზე რეკდა. ქალი მოტრიალდა და ბილიკს გაჰყვა. მთელი სოფელი ორთითებითა და

ქებებით უკან აედევნა. მაგრამ საჩინოპ გამოაბრუნა. მხოლოდ ხუთიოდ თავისი აბჯროსანი წაიყვანა. ცხენების მოსაყვანად აფრინა მებაჯრე.

შოსანი კი ბორძიკით, კანკალით, ძლივს მიდიოდა, ხან სად წაიკრავდა ფეხს და ხან სად.

ცხენები რომ მოაწიეს, საჩინოპ თავის ტახტას ჩამოხსნა ნაბადი და ქალს მოახვია. შავ-ხიზანას სულ ჩაეკეცა მუხლები.

— სულის ამოსვლის დროა! გელიყარამდე მიმასწრებინეთ!

სპასპეტმა მუზარადი დაიხურა და ცხენს მოახტა. ცხენზე შესვეს ნაბდოსანიც.

აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, ხელი შესტაცეს.

— როგორ ხარ, დედი?
— თონეში! მაგან და მაგისტანებმა! მაგან და მაგისტანებმა! — უკვე ბოდვის საზღვარზე იყო გატანჯული ძიძა და დედა.

ბეთანიის ტყეში კარგა მოზრდილი ვუნდი ზღაზენით ვიდოდა. თბილისიდანვე ცოტა რამ თქორი აედევნა, მერმე იდარა... დანამულ ბილიკზე ცხენებს ფეხი უსხლტებოდათ, მაგრამ ეს არ იყო სიფრთხილის მთავარი მიზეზი. წამდა-უწუმ მზვერავებს აწინაურებდნენ. ბზელი ხეობიდან რომ გაჰხედეს, შორს, გელიყარზე, რაღაც შავი შეამჩნიეს. მაშინვე შედგნენ. მეწინავენი ჩაქვეითდნენ და ძველ ნაბუნაგარში ჩაჯდნენ. ერთშანეთს არ უმზერდნენ, ისე უმისამართოდ ბუზღუნებდნენ...

— ყორღანაშვილი სადღა არის? ხომ არ დაბრუნდა?

— რით ვერ გაიგე, რომ გაყიზილბაშა წარჩინებული! ახლა ჩვენა გვცემს პატივს — გვაყიზილბაშებს!

— ვერ გაიგე, ვერა! ყურს მაკლია! იმან თავისი იცის, ჩვენ — ჩვენი! ყოველ თავს თავისი ქუდი ახურავს!

— მაგას ისეთი ქუდი ახურავს, რომ თავი სულ არ სჭირდება! არც გულ-ღვი-

ძლი... ძმების სისხლში არ გავგროოს! თავის ქუდს არ მიგვაბას!

— ხუთუ საქართველოში კაცობრიობა დარჩა ფარცხისის შემდეგ.

— ხმა ჩაიკმინდე! ენა ყველას გვაქვს! გრძელი ენა! ქუდოსანსაც, მტერსაც ჰყოფნის და მოყვარესაც, მერმე ყველა სჭრის!

— კაცი არ არის! შუბლის ძარღვი არ გააჩნია!

— აბა მხეციის ღალატი ვის გაუგია!? შუბლის ძარღვი შენ თუ გავქვს, ვერ მალავ ჩრდილში!?

— კაციც ეგ არის და ქუდიც მაგას ჰხურავს! მისი თავის გახეთქამა, ჩვენც ხომ თავ-ქუდ-ქართველები მისი ერთგულები ვართ!

წინა გუნდს მეორეც წამოეწია. მათთან იყო კახაბერ ყორღანაშვილიც. იგი სვიმონ მეფის ბედაურზე იჯდა, შაჰის ნაბოძები ბეწვმოვლებული, კუშტულწითელა ქუდი ეხურა. ყველაფერი ღალატის წყალობა იყო. გზაში აბჯარ-ჩაჩქანს უფრო ენდობოდა, მაგრამ ქუდი შვენიოდა და შეიტოვა. თუ გელიყარზე მშვიდობის მალეწილებელი ძიძა არ დახვდება, მაშინ კი ან დაბრუნდება, ან მუზარადს დაიხურავს. ახლა დაუდ-ხანისაგან ბოძებულაც ბლომად მოჰქონდა. არ ეკუთვნის თუ? დაუდ-ხანის თბილისს, ტახტზე მორქვა, შაჰის ნებაზე უფრო მისი — აზნაურ ყორღანაშვილის წყალობა იყო... არ ჩაეგდო მას ტყვედ სვიმონ მეფე!?

დაწვევითანავე მიიძახა მზვერავებს:

— რა ნახეთ? რა შეამჩნიეთ? არაფერი დაგრჩეთ უთქმელი!

— საკვირველება, ბატონო! გელიყარზე ქალია შავკაბიანი!

— ქალი? გარკვევით დაინახეთ? ხელში რა ჰქონდა? — შეთამამდა ყორღანა.

— გარკვევით, ბატონო! ხელში სიგელ-გუჯარი უპყრია! თითქოს მთელ ქვეყანას სასჯელსა სდებს!

— რეებს ზღანდავთ, რის სიგელი, რა სასჯელი? — სიტყვის უნებური ნასხლეტი სულ არ ემაა ღალატის ჯილდოს პატრონს, — სხვა ხომ არაფერი ჩანს!?

— ცოლ-შვილს ვფიცავ, კაი კლდის სიგრძეზეა ჩამოშლილი სიგელი და ქარიც აფრიალებს! — ახლა მეორემ დაუდეს ტურა, — სხვა კი არაფერია, გარდა ყვავებისა!

— რა სულ ქალები და ყვავები გელანდებათ, თქვე გლახაქებო! თქვენი ცოლ-შვილი ხომ სამშვიდობოს არის! გალავანში ვისტუმრე ყველა!

— ჰო, სამშვიდობოს! — აღმოხდა მოლაშქრეთ. ყველამ ჩაპხარა თავი.

სახე გაუმკაცრდა ყორღანას, სწორ ნაკეთებს ყბის ირიბად დრეკამ მისცა ავი იერი. აღარ შეიფერა და ცხენი დაძრა.

— მშინორები ხართ და ის არის! ნეტა ვიცოდე, სად დაქარგეთ ეს ვაქაცობა?

— ჰო, სამშვიდობოს!

ჩანს სხვას ფიქრობდნენ, ყორღანაც მისხვდა. ან ისიც სხვას ფიქრობდა.

— რაო... რაო? ფარცხისს?

მაგრამ ყველა სწორედ ფარცხისის ცხენმა იხსნა, უეცრად გაწინაურდა.

რალა უნდათ ამ შეჩვენებულთ — მეფის ცხენზე ზის, შაჰის ქული ახურავს და კიდევ არ უდებენ თავს. არც ერთი არ უსწორებს თვალს. მათი ცოლ-შვილი გალავანში რომ არ ჰყავდეს, ტყე აიკვირტა და მაგათ გააჩერებდა? იქნებ უფრო დიდი რამეც უდევთ გულში, მაგრამ იცის „ქუდოსანმა და ცხენოსანმა“, სად დაბას, როგორ დაბას. მეფე და ძიძა დაბა, ესენი კი რა ბედენა ჭილ-ყვავებია? მაგრამ როდემდე უნდა ჰყავდეს ასე დაბმული? ვიდრე ყველას არ გარევეს „უქან დაუხევა“ საქმეში. ერთი-ორჯერ ასე ატარებს, ვიდრე არ გადააწყდებიან ვისმე, თავს დაიცავენ, აბა რა ჭირს იზამენ. მერმე მათაც დაახურავს თავის თარგზე აჭრილ ქუდს, შებლის ძარღვს რომ დაუფარავს...

უქან მოიხედა. შეაკრთო დაწინაურებამ. ასეთი ქული რომ გახურავს, სიფრთხილეს თავი უფრო არა სტკივს! ბედაური მოიოკა, ადგილზე აცეკვა.

როდესაც მოსწვდნენ, ისე უბრად და ღრუბლად ვიდოდნენ, ხმა აღარ გასცა და

ისეც დაწინაურდა. მათ შორის წარდილი იყო ჩაწოლილი!

სავალი ვერეს ვიწრო ხეობაში ვხედვდა. ხან გაღმა, ხან გამოღმა, ხან პირდაპირ წყალ-წყალ. ფარულობისათვის მეტად მოხერხებული იყო. ამ გზის გასაღები, გელიყარზე წამოდგმული წვერის ციხე, ამიტომ ააღებინა და დაანგრევენა ყოზილბაშებს, მაგრამ უშინორებს მანაც ვერ მიაღწია და სწორედ ეს უმღვრევედა გულს „ქუდოსანს“. მეფის წინააღმდეგ ამკარად გამოვიდა და გაიმარჯვა, ახლა იმაზე უფრო დიდი ვიღა არის საქართველოში, რომ მალევით და კრძალვით მიიპარება?

დიდ აღმართს რომ აეკიდა, სულ მალა, ფრიალოდ წამოშინვლებული კლდეების თავზე შაოსანი ჩანდა, ყველაზე მაღალ, გამოსაჩენ ადგილზე მდგარი.

არა, არ ცდებოდა ყორღანა, ძიძის კალთას ფეხის ადგმისთან ერთად ცნობს. მხოლოდ ეს აფორიაქებს — ალბათ გამოლილი გრაგნილისა თუ გელიყარის ფრიალოს სიმაღლის გამო, შავ-კეთილა ძიძა ვეებერთელა ჩანს, თითქოს მთელ გელიყარს ავებს. ციხის ნანგრევი, მის ზურგს უქან რომ შეყუყულა, ახლა გატეხილ აკვანს უფრო აგონებს გაზრდილს. არა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ოდესმე იგი — ქუდოსანი, მეფის ცხენით გადაივლიდა გელიყარს... ძიძაც იქ უახლებოდა, იმ ხელნაწერს მოართმევდა! „ფარცხისი ხომ ჩემი იყო, გელიყარიც ჩემი ყოფილა!“

...ნიაცმა ფიქრი შეუბზარა. ქარი „სიგელ-გუჯარს“ აფრიალებდა. ბედაურზე შეწრიალებული, ძიძას თვალს ველარ ამორებდა. ასე მონუსხულივით ვიდოდა, ვიდრე კლდის კიდემ არ მოათარა გელიყარის ზედა ნაწილი.

კარგად ველარ გაერკვია ქუდოსანს — რა აკრთობდა? ძიძასთან მეორედ „ყველაფრის გასარკვევად“ შეყრა თუ ხელნაწერი? ბოლოსდაბოლოს, რა კლდეზე მიჯაჭვული ამირანი ეგ არის, პირამთქმელია, მაგრამ მოხუცი და კეთილი. ფრიალებს, მაგრამ უსულოა! ორივე აკრთობს

ერთობლივ! ცოტაც და ხელში ჩაიგდებს, თავის ქუდს დაადებს და მორჩა!

ქარაფებს რომ შეუდგენენ, ცალმხრივ ფრიალო იყო, ცალმხრივ — მოსხლეტილო კლდე. ყველა დაქვეითდა, გარდა ქუდოსანისა. მის ბედაურს აბა რა გაუჭირდება!

ახლა უფრო გაბედულად გაწინაურდა. ძიძასთან ცალკე შეყრა სწადდა. არა, ძიძას აღარ ერიდება, კვლავ მოხიბლავს. მისი „საწყალი გულის“ ამბავი ზებირად იცის. ტკბილად მოიკითხავს, სანობათო თავშალს მოახვევს, გულ-მკერდს დაუკოცნის, ოქროთი აუფსებს უბეს... კეთილი გული, თორემ მისთვის რაღა ფასი აქვს იმ დედისმაგიერა ძუძუს რძეს, რომელიც ოცდაათი წლის წინათ უწოვია და მოუწლებია?

...ხელნაწერი კი აკრთობს ყორღანას. ბავშვობიდან ჩარჩენილი მრავალი სიტყვა და ბუკარი... ერთი მაინცადამაინც... არა, როგორ სთქვა მზევრავმა? „თითქოს მთელ ქვეყანას სასჯელსა სდებსო!“ რა ცუდია კარგი მესხიერება!

...და მართლა, რამდენი ყვაფია!

გელიყარის უვიწროეს მოსაბრუნებში უეცრად შედგა. წინ ხუთიოდ შეაბჯრული, ზარადდაშვებული, გულხელდაკრეფილი კაცი იდგა.

— ვინ ხართ? — შესძახა და თავისიანებს ჩქარა მოსვლის ნიშანი სცა. დამხედურნი სდუმდნენ. არც იძროდნენ. თითქოს კაცები კი არა — ქვაკაცები იყვნენ.

არც ყორღანა იყო მშისარა. ფარცხისის შემდეგ გული ზედმეტად უცემდა ხოლმე, თორემ ღონეც ერჩოდა, ხერხიც მოსდევდა და ილეთიც... ახლა, ამ ვიწროში კი ბარე ორმოცდაათნი არიან... ესენი კი სულ მცირედნი ჩანან... არ ეფიქრება, ეს მათი სიჩუმე აჯავრებს და აფიქრინებს!

— ვინა ხართ-მეთქი?

თან ვარაუდს უკან იჭერს. მოდიან, მაგრამ ზღაზვნით, ჭიანჭურით. რა გელიყარი შეეყარათ!? ისინიც ჩუმად, უხმოდ მოდიან. ცაზეც ყვავები უხმოდ ბორიანლობენ. ესენი კვლავ ენაჩავარდნილად დგანან. ხმა ხომ არ დაჰკარგა ქვეყანამ?

...აი ცხენები დატოვეს მისიანებმა ახლა კი კედლად არიან უკან. არ ხედე! —
ბა, მაგრამ გრძნობს.

ახლა მარტო ქუდოსანია ბედაურზე. ბედს ლაგამი ამოსდო და ახლა რა ვუყოთ, რომ ყოველ გელიყარზე ცოტათუნდავ ღელავს?

ირგვლივ კი ყველა სდუმს. ეს რა ფიქრიანი და დუმილიანი ადგილი ყოფილა გელიყარი. მარტო ბედაური ჭიხინებს და ტოკავს.

...არა, ერთი ქვაც მოსწყდა კლდეს და ქვევით ჩაიტანა გრიალი. ყველამ თვალი ჩააყოლა. ამ ქვამ აალაპარაკა ადამიანებიც:

— ხმას ამოიღებთ თუ არა?!

— ჩვენ... აი იქ სასაფლაოზე, ჯვრების ქვეშ რომ წვანან უსახელონი და მიწაც აკლიათ... იმათი ძმები და ბიძაშვილები ვართ!

— მერმე რა ქელესში მიწვევთ? ვერა ხედავთ, მეფის ტოლი კაცი მოვდივარ! წადით თქვენი გზა და ტოლი ნახეთ!

— ჩვენი გზა ვნახეთ! ახლა სხვას უნდა მოეუნახოთ!

— მამ წადით და გვერდში მოუწეჭით თქვენს ძმეს! — გაწყრა მხედარი, — მებრძოლად ცოტანი ხართ, შესარიგებლად — მეტად გაიჭებულნი!

— თუ დაგვჭირდა, მივუწევებით! — გულხელდაკრეფილი წინ წამოდგნენ, — ჩამობრძანდი, ბატონო, ერთი-ორი სიტყვა გვაქვს!

— გზა-მეთქი!

— მაშინ ჩამობრძანდი. ცხენს გავატარებთ, სხვათაც! ეგენიც ჩვენი ძმები არიან! ძალა აღმართს ხნავს, თორემ ძმობას კი ვერ შლის!

— ვინა ხართ? სულ ეგა ხართ? თქვით მაინც, თორემ გაუათავებთ და არც გვეცოდინება ვისა!

— ჩამობრძანდი ცხენიდან. ზარადს ავიხნდი!

ვიწროში ცხენის მობრუნებაც არ ნერხდებოდა. ვერც გაცლას მოასწრებდა, ვერც გარღვევას. საბრძოლოდაც უხერხო იყო. ისევ ჩამოქვეითება სჯობდა, მა-

გრამ თავის დაუმცირებლად... არც დაა-
ყოვნა.

— აბა ერთი ვნახოთ, ვინ ხარ გელი-
ყარელი ტარიელი? — ზურგით კლდეს
მიეყრდნო, მეტი აღარც იყო გასაქანი.
ნაბდის თასმაც შეიხსნა. ფეხზე მომტ-
კიცდა.

მაგრამ ნიადაგი კვლავ ცხენის ზურგი-
ვით უტოკავდა, თითქოს გამოცლას ლა-
მობდა.

მეწინავე დამხვდურმა ზარადი აიწია.
ყორანას სახე დაეცრინა:

— საჩინო ბარათაშვილო! — კრიჭაში
გასტრა, ცხენს უკან ამოფარა, თავის
ამალას წასჩურჩულა.

— არ მოლალატოთ! გაგაყეთებთ! შე-
ემზადენით!

ბელაურმა თავისუფლება იგრძნო, ჭი-
ხვინით დაიძრა, აღვირი ათირია და წინ
წავიდა. დამხვდურებმა გზა მისცეს. სა-
ჩინო და ყორანა პირისპირ დარჩნენ.

— ახლა დამხვდი! მოვიდა დღე სამა-
რთალისა! თუმცა მოლალატის ბრძოლის
ფზა გატეხილი გაქვს. შენ მუდამ სხვისი
იმედით იყავ! ახლა მარტო შენ და შენი
ქუდი ხართ, დანარჩენი — გელიყარია!

— შეუტყუეთ! წინ წამოადექით! — უც-
ბათ შესძახა ყორანამ თავისიანებს, მა-
გრამ არავინ დაძრულა. თითქოს მა-
რთლაც ყველა გელიყარის კლდიდან
იყო ნაკვეთი. მათაც გულზე დაიკრიფეს
ხელები. სახეზეც კლდის შეუვალობა აღ-
ებეჭდათ, მაშინ ყორანამ მათ შორის
სცადა გასსლექა, უკნიდან რომ შემოუ-
ძახებეს, იბრძოლებენ, მაშ რალას იზა-
მენ! მაგრამ ამ ვიწრო სავალზე ისე მიჯ-
რით და მხარდამხარ მჭიდროდ მიდგნენ
კლდეში ნაკვეთნი, რომ გასვლის საშვე-
ლი აღარ მისცეს... ირგვლივ კლდე, უფ-
სკრული და გულხელდაკრეფილობა ცო-
ცხალი კედელი იყო...

...მაშინ კი ჩაჩხულ ფოცხვერავით
შემობრუნდა ყორანა, გამყივანად შეს-
ძახა ტყის სპასპეტს:

— შენ რა ჩემი მსაჯული ხარ!? მე შე-
ნი ხმლისა არ მეშინია! მაგრამ ყველა
ყველას მსაჯული რომ არის, ამიტომ
აირია ჩვენი ქვეყანა!

— ხმა ჩაიკმინდე! „შენი ქვეყანა“ არც
არსებობს დედამიწაზე... შენ არცაა ქარ-
თველი ხარ, არც ყიზილბაშმა შენ მხ-
ლალატე ხარ და მორჩა! ყოველი პატიო-
სანი კაცი შენი მსაჯულია. აქ არც დიდ-
სირთულეა: ყველა დროის მოლალატე-
ნი ერთ თარგზე ხართ გამოჯოკნილი!

ყორანამ ენა ჩაიგდო და ხმალი იშ-
იშვლა, მაგრამ ფეხის წადემას ვეღარ
ბედავდა. კლდოვან ნიადაგს ვერ გრძნო-
ბდა ფერხთით. ხან თონე იყო, ხან ყი-
ნული.

საჩინომ კი ზევიდან ახლა ჩამოსულ
აბჯროსანს ნუსხა გამოართვა და დინჯად
გაშალა, ქუდოსანს მეხად და სეტყვად
მოუვლინა ხვეულ-გრაგნილი.

— იცანი!

— ძიძისეული! — ქვადარტყმული გვე-
ლივით წელში გატყდა და ასისინდა ყო-
რანა, თვალეები აქეთ-იქით აცეცა, ახ-
ლალა მოაგონდა: — იმანაც გამწირა!

— მან დაიწვა ძუძუები, შენ რომ გა-
წოვა!

— რა ეჩქარებოდა. რძის საფასოს ღი-
რსიეულს ვუმზადებდი. ამოვუტანე კი-
დევაც!

— რძის საფასო პატიოსნებაა გაზრ-
დილისა და არა ღალატში ნაშოვნო ოქ-
რო!

— ოქრო ბევრი მაქვს. ერთ გელიყარს
ვიყიდი სულაც. ერთ ხელნაწერსაც, ერთ
ძიძასაც შემოვირიგებ! ტყის ლაშქარსაც.

— ქვეყნად ყველაფერი არ იყიდება!
არც ყველაფრის პატიება შეიძლება! შე-
ნი აქვანი თონემი დასწვა შენმა გამოზრ-
დელმა, შენი ნაქონი ყველაფერი, მათ
შორის ზანზალაქმებმული ჯვარიც!

— ამიტომ მეწოდა მიწა! — უკვე აზრ-
დაბნეულად აყვირდა მოლალატე, მაგ-
რამ ხეობამ ხმა რომ უბრუნა და ქვევი-
დან ყვავების ჩხავილიც ამოაყოლა, მი-
წის მუქარად შემოესმა და ენა ჩაუვა-
რდა.

— ახლა ამასაც წაიგვიტხავ და მორ-
ჩა! — ტყის სპასპეტმა ხელდინჯად გა-
შლა დაუწყო „ვეფხისტყაოსანს“. ყო-
რანა, რომ არ წაქცეულიყო, ხმალს და-

ყარნო. ბეწვის ქუდს შეფარებული და შეხამებული თვალები ხელნაწერს მონუსხულივით მიაჯაჭვა. აი უკვე ხმლის სიგრძეს გადააჭარბა ნუსხამ, უკვე კლდეზე გადასცდა. თითქოს ქარაფს იქით გადაიხედა გაშმაგებულმა ვეფხვმა. გული დაილია და ხელნაწერი კი არა! იქნებ ხრამის სიღრმე უნდა დაზომოს? იქნებ სულ ადგებს ხელნაწერს? მაშინ აიღებს ოქროს! იქნებ იმ ადგილს ვერ მოაგნო, ბავშვობიდან გულში რომ ჩარჩენია და ახლა ყველაზე უფრო აფრთხობს! აკვანთან ეს სულის ამოსვლასავით გრძელი ფარატინიც დაეწვა ბარემ! იპოვა! მანცადამაინც იმ ადგილს მიაღვა! გაჩერდა! აღარ შლის! აღარ!

— არ მინდა! ნუ წაიკითხავ! — ჭირვეულად წამოიძახა და წამოფეთდა.

— მორჩა შენი მინდა-არმინდა! ესეც დასაწვავად გინდოდა ალბათ! მე შენი ძაძამოსილი ძიძა კი არა ვარ! ახლა ამ პატროსანი წიგნის სახელით მოვედ!

— წაიკითხე! — ერთად აღმოხდა ყველას: აქეთ-იქით აბჯროსნებს, ჯვრებს, კლდეს, გელიყარს...

— წაიკითხე! წაიკითხე! წაიკითხე! — ხეობაში აღმა-დაღმა წავიდა ნამრავლი ძახილი.

— „კაცი ცრუ და მოღალატე, ხამს ლახვრითა დასაჭრელად!“

ყველა სდუმდა, უსმენდა, ხეობაში გაღალღებულ და გამორავლებულ რუსთველურ ნათქვამს. მშობლიური მიწის სასჯელად და მუქარად გამოესმოდა იგი გელიყარზე გასმულ ნაკაცარს. ხელი ხმალს შეუშვა და ჯერ ყურებზე იტაცა, მერმე ქუდზე. ნიადავი ეწვის, გარემო ზარავს, ახლა ქუდია ყველაფერი!

ხმალი კი ქვას დაეცა ზრიალით, ერთი შეჟღერდა, გველივით ქვეშს გადაუსრიალა, კლდეზე გადახტა. საღდაც ქვევით გაიღო გაბზარული ხმა. მალღა მსხდარი ყვავები ჩაჰყვნენ, მაგრამ მალღევე გაწბილებული ჩხავილით ამობრუნდნენ.

— შენ უკეთ გესმის ყვავების ენა! კაცურ კაცების ენაზე კი აქ წერია!

საჩინო დინჯად ახვევდა გრაგნილს.

ნაკაცარი ოფლში იწურებოდა. ახლა გრაგნილის სიგრძეს ნატრობდა. ირგვლივ გულხელდაკრეფილნი იდგნენ. მა თუ დაღმა. ყვავებსაც ფრთები დაეკრითვით და ელოდნენ. არსად გელიყარზე არ იყო არც ერთი სორო. მოღალატე კი ელოდა ქუდის სასწაულს...

— რა ღროა?

— მოღალატეთა გაწყვეტისა! — მიაძახა საჩინომ და ზედ მიაღვა, — შენგან ვიწყებთ, ილოცე, თუკი შეგჩა რაიმე წმინდა!

მაგრამ ყორღანა თავის ამალას ჩაუვარდა ფერხით:

— რას ჩაღიხართ! დაბარებული მაქვს, არ შეგიშვებენ ვალავანში! შორიდანვე ამ ქუდით მცნობენ! გაწყვეტენ ყველა მიძევალს! თქვენი ცოლ-შვილი შეიცოდეთ!

— ეგ მართალია! — ქუდი გადააძრო საჩინომ და ყორღანას ამალას გადაუგდო, — მაგის ლალატის ქუდს კუდები ეყოლებოდა, არცინ დაინდოთ! დიდებული ერი დაგვაკინნეს მაგან და მაგისთანებმა!

— მაგან და მაგისთანებმა! მაგან და მაგისთანებმა! — ძახილი ქუხილად გაედო გარემოს, ნანგრევებს, მთას, ცას... გუგუნებდა მთელი საგელიყარო.

უქუდო ყორღანა კი აღარც ისეთი მოსული გამოჩნდა, თავმოტკლუპილიც, უფხოც. უეცრად დაჩუტულ გუდასაც დაემსგავსა და ნიყარიდან გამოვარდნილ ლოკოკინასაც. ერთიც იძალა, აღმა ქვას შეეჭიდა, კლდეზე ახტომა სცადა, მაგრამ ახლა ადგილის ქვამ გადაუხადა სამაგიერო: ჩამოეშალა და ისეც ბილიკზე დასცა.

...რომ წამოვარდა, უკვე გულხელდაკრეფილთა რკალში იყო. მერმე გადასავარდნილსაკენ გაიხსნა რკალი. წუთიც და თავისივე ნაბადი მოახურეს ყორღანას რკალიც თანდათან მიიწურა. ზედაც ომახიანად შემოსძახა საჩინომ. სხვებმაც ბანი და რიზი მისცეს:

— გელიყარზე შეიყარნენ, მოიხადეს ვალი წმინდა. ყორღანაშვილს, ქარაფიდან ხელი ჰკრეს და გარდაღრინდა!

სიმღერა ხეობიდან არც კი იყო ამობრუნებული, რომ ქარაფიდან დიდი ყვავი გადაეშვა.

რისიანმა სიმღერამ თუ სხვა ნიშანმა ლასტის ციხეზედაც ცას ნიშნის კვამლი და ყუიჩა შეუყენა. სახიზრებშიაც ჩავარდა ჩოჩქოლი. ქვემო-წვერიდან დაიძრა მთელი სოფელი.

კლდის თავიდან კი არც ხმა ჩამოდიოდა, არც ნანგრევებთან ჩანდა ვინმე.

შავ-ხიზანა დიდ ლოდზე იყო დამხობილი, თითქოს ახლა მშობლიურ მიწას აწოვებდა დამწვარ ძუძუებს. ალბათ მისი იმედი კი ჰქონდა.

სოფელმა როდესაც მოაღწია გელიყარს — ყველა სასაფლაოზე იყო. უმყუდროეს ადგილზე აბჯროსნები, კვლავ სატევრებით, ნაჩქარევ სამარეს თხრიდნენ. დინჯი გლოვის დრო სადღა იყო საქართველოში. ტყის სპასპეტს უკვე სასწრაფო მაცნენი მოუვიდნენ ლასტის ციხიდან, ზემო-ქართლიდან. ბეთანიაშიც საეკვო ნიშნის ზარი ჩამორეკეს.

— კმარა! შეგეინდობს! ჩემს ნაბადში გაახვიეთ! ახლა ჩაასვენეთ! ერთი დიდი ბრძოლა მოგვაგებინა. სახელი კი არ დავიტოვა! „ძიძისეული“ ხელნაწერი კი ჩვენ დაგვრჩეს მსაჯულად და გულის აბჯრად! — მერმე პირველი მუჭა მიწა მიიყარა და განზე გადგა. სოფლიდან დოქით არაყი წამოედო. ჯამი ჩამოატარეს. საჩინოს მოართვეს.

— ამას შეუნდოს... გელიყარის დედა! იმას კი არამც! მძვინვარე დროა და ჩვენც გვმართებს შეუპოვრობა!

ასევე ჩამოიარა ჯამმა. საჩინომ ცხენები მოაყვანინა. ტყის ლაშქარი დაანაწილა. ბედაური მარქაფად იახლა. ცხენოსნები დაძრა.

ძვე ახალ საფლავს რომ ჩაუარეს, განცვიფრდნენ... ახლა ქალები წამომდგარიყვნენ. საჩინომ ინიშნა — მათ შავ-ხი-

ზანას მიერ ჯერ კიდევ სოფელში ჩამორიგებული რიყის ქვები აქცევილიყვნანათ. მერმე ერთმა, ყველაზე უხნესმა, პირნაყენკმა დედაბერმა, როგორც მაშინ, ძლივს ამოიხავლა. იგი მიცვალებულს ცოცხალივით გაებასა:

— შავ-ხიზანე! ვაჟმრავალო და ერთიანად ამოწყვეტილო! შენთვის სიკვდილი აღდგომა იყო! ჩვენ ნადედრებს უკეთ გვესმის ამებების! აკი ეს ქვებიც აღდგომის კვერცხებივით ჩამოგვირიგეს მამაკაცები კი ბავშვებივით ხალხისა — სიცოცხლე, სინდის-ნამუსი, შვილის გაზრდა მავათ ბუკისკვრა და ერთმანეთის ჩეხვა ჰგონიათ! ძუძუს სამართლისა აბრა ესმით! — ბებრული ხენვით დაიხარა, მარცხენით მიწა მიიყარა. — ქვეყნის სამართალი რომ გაუთავე იმ უხსენებელსა, სოფლის შენდობა და სახსენებელი შენა! მაგრამ ძუძუს სამართალსაც გაგისრულებთ, ბევრ ცოცხალს ენიშნება, შენ კი აღარა გეტკინება რა შენც ასევე მოიქცეოდი! — დედაბერმა ცრემლი იმავე ქვით ამოიმშრალა, შენამული ქვა საფლავში ჩასცხო და გაეცალა.

— შეუნდოს! ენიშნოს! ჩაიქოლოს! — მოთქმითა და ქოლვით მიჰყენენ ქალები.

...გელიყარს იქით მრავალნაკვალვი ბილიკი გრძლად ჩაშვებულ ნუსხას ჰგავდა, სწორედ ისეთს, აბჯრის უბეში რომ ედო და კვლავ გმირობისკენ მოუწოდებდა.

...და მაინც თითქოს ერთი მაცნე აკლდა გარემოს. საჩინოს თვალი და ყური სულ იქით ჰქონდა. ბოლოს ნახა: მერცხლები გადასავალს დასათამაშებდნენ. ცხენს გადაუსვა ფაფარზე ხელი, მოეფერა. იმასაც ზომ მერცხალა ერქვა. მერმე თავქვე მიუშვა... ლაშქარიც იმედინად მიჰყვა. ამჯერად გაზაფხული მერცხლებითა და შურისგებით გელიყარიდან დაიძრა საქართველოს შუაგულისკენ.

სიყვარულე ღვიძლი

მოთხრობა

ბრძოლის ხმაური ისევე უცებ მიყუჩდა, როგორც დაიწყო. აღარ ისმოდა არც ტყვიის ზუზუნნი, არც აფეთქებული ყუმბარების ყრუ ვრუხუნნი, აღარც ნაღმის ხრინწიანი ხავილი, — საშინელი კაკაფონია ერთბაშად მიწყდა. ირგვლივ სპარსებული სიჩუმე ჩამოწვა და ზღვა-სავით გადაეფინა ტრამალსა და ზღვის თვალუწვდენელ სივრცეს.

მძიმე დუმილი დააწვა ყველაფერს. დუმილში შთაინთქა სასოწარკვეთილი ბლავილი გატანჯული მიწისა ცისათვის რომ გადაეხსნა თავისი დამახინჯებული სხეული. გეგონებოდათ, მიწა თავის ტანჯვაზე ჩურჩულებს, იმ საათზე ლოცულობს, როცა ნგრევისა და სიკვდილის შმაგი ცეკვა მიწყდება და ომიც შეწყვეტს რკინის ქუსლებით თარეშო.

ადამიანებს ჯერ კიდევ ელოდათ სისხლიანი ბრძოლებისა და მკაცრი გამოცდის გრძელი გზა. ისინი ამ გზის უშიშრად და უყოყმანოდ გავლისათვის ემზადებოდნენ. ომი მათთვის ყოველდღიურ ამბად იქცა, რომელშიც ბევრი რამ იყო დაფარული, შეუმჩნეველი. ახლა, მინელებული ბრძოლის შემდეგ, ეს ყოველდღიურობა თავის უფლებებს დაუბრუნდა. გაქრა ადამიანების დაძაბული აჩ-

ქარება და მოჩვენებითი გულგრილობა. მათ დაკარგეს სიშკაცრე და ალაპარაკდნენ, ალაპარაკდნენ ისეთ რამეებზე, რასაც სულ ახლახან მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

და მხოლოდ ზემდევისა და მზვერავთა ასეულის პარტორგის — პეტრე ჩერნოვისათვის დადგა ყველაზე ცხარე წუთები: დაჭრილებს გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება, დაღლილ ჯარისკაცებს დროზე უნდა მიაწოდოს სურსათი, დახარჯული საბრძოლო მასალა დროულად შევსებას მოითხოვს...

მას უჩვენებოდა, თითქოს განსაცვიფრებელი უნარი შესწევდა და ერთდროულად რამდენიმე ადგილზე შეეძლო ყოფნა. ჩაფსკენილ ჩერნოვს გაჩერებულს ვერ ნახავდით, მაგრამ აჩქარებასა და ფუსფუსს ვერავინ შეამჩნევდა. მისი დაბალი და ოდნავ მოგუდული ხმა მუდამ წყნარად და გამამხნეველად ისმოდა.

ჩერნოვს გამძლეობა და მხნეობა არასოდეს ღალატობდა, ყველაზე დრამატულ წუთებშიც კი. პარტორგის სწორედ ეს თვისება მოსწონდათ ჯარისკაცებს. მუდამ თბილი ღიმილით ხვდებოდნენ. რაჟი ახლა გრძელი საუბრის დრო არ იყო, ერთმანეთს თითო-ოროლა მოკ-

ლე ფრაზას ესროდნენ, ხან მხიარულს, ხან ნაღვლიანს...

— ამხანაგო ზემდეგო, დღეს მწვერავებმა ხომ არ ჩაგვაგადეს? — ეშმაკურად ჩაუკრავდა თვალს ნაცადი ჯარისკაცი, რომელსაც უცნაური გვარი, კუკურუზა, ჰქონდა, და განაგრძობდა, — ქვეითებსა და ტანკისტებს, ყველას მაგალითს აძლევენ მწვერავები. ამას, თქვენ წარმოიდგინეთ, მფრინავებიც კი ხედავენ მაღლიდან.

— ჩემს ავტომატს ბრძოლის ველიდან ცხვირს ვერ მოაბრუნებინებ, სულ ვარვარი გაუდის; ისე გაცეცხლდება ხოლმე, მგონია, საცაა სიბრაზისაგან სროლას თვითონვე დაიწყებს-მეთქი, — ყვებოდა ათმეთაური ბაისეტოვი და თან ნახად ხელს უსვამდა იარაღს.

მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი ბერეზიანკო, რომელიც არ მალავდა სასოწარკვეთას და ტკივილს, წყნარი, გადაღლილი ხმით ლაპარაკობდა:

— აი, რა, ამხანაგო პარტორო: უკვე ვიომე და... ახლა კი მომიწევს დაზვერვიდან წასვლა. ვიღას უნდა ჩემისთანა მეომარი.

ეს სიტყვები ისე იყო ნათქვამი, რომ ჩანდა, ჯარისკაცები სიყვარულითა და ნდობით იყვნენ გამსჭვალულნი ჩერნოვის მიმართ. ვინც ომში ყოფილა და თავისი მხრებით უზიდავს ომის ყველა სიმძიმე, მან იცის: ასეთი სიყვარული ყოველგვარ ჭილღოზე ძვირფასია. იგი მოპოვებულია არა თანამდებობით და ხარისხით, არამედ კეთილი გულით, ნათელი სულით, ადამიანური უბრალოებით... ჩერნოვს ბრძოლაში გამოწრთობილი, მაგრამ გულქვა ადამიანების გულშიც შეეძლო გზის გაკაფვა. ეს ხდებოდა ძალიან ბუნებრივად და შეუმჩნეველად.

ჩერნოვი ასეულში ახალი მოსული იყო. მტრის მიერ მხეცურად ნაწამები ზემდეგის ადგილზე გამოგზავნეს, რომლის ხსოვნასაც მწვერავები სათუთად და სიყვარულით ინახავდნენ. შეიძლება მიზეზიც ეს იყო, რომ ჩერნოვმა მაშინვე იგრძნო ის ფრთხილი დამოკიდებულება მისდამი, რაც მაშინ წამოიჭრება

ხოლმე, როცა უნდათ, თვითონვე უკანუხონ გულში დასმულ კითხვებზე: „აქვს წარმოადგენს ახალი ზემდეგო? ისეთია, როგორიც გყავდა?“


რასაკვირველია, ჯარისკაცები უსმენდნენ და გარეგნულადაც ყურადღებინები ჩანდნენ. მაგრამ გულახდილი ლაპარაკი საკუთარ დარდსა და სიხარულზე? ამ მხრივ მწვერავებს შორს ეჭირათ თავი... და, როცა ჩერნოვი პარტოვს გახდა, მიხვდა: თუ ვერ შეძლებდა, სულიერად დაეახლოვებია ჯარისკაცები, თუ ვერ შეძლებდა, მათი გულებიდან რიდი და მიუკარებლობა აღმოეფხვრა. იგი მხოლოდ და მხოლოდ ზემდეგად დარჩებოდა მათთვის.

მწვერავების გულწრფელი სიყვარული და სიმბათია მან არა მარტო თავისი პირადი მამაცობითა და ასეულზე თავდადებული ზრუნვით დაიმსახურა, არამედ ამაში ზემდეგს შეიძლება ყველაზე უფრო მეტად პოეზიისა და წიგნების სიყვარული დაეხმარა.

ომამდე ჩერნოვი ლიტერატურას ასწავლიდა სოფლის სკოლაში. დასაწყისში ეჩვენებოდა, რომ ლიტერატურა, პოეზია მისი ცხოვრებიდან დიდი ხანია გადაბარგდა სადღაც, შორეულ წარსულში და მხოლოდ მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ მოუწევდა მასთან შეხვედრა. მაგრამ ეს ასე არ იყო.

ომის ცეცხლში ადამიანები არა მარტო გამკაცრდნენ, დავაყვადნენ კიდევ. მათი აზრი, გრძნობა, განცდა — გაღრმავდა, გამახვილდა. არასდროს ადამიანის სულის ყველა კუნჭული ისე არ ჩანს, როგორც სიკვდილისა და სამიწროების პირისპირ შეხვედრისას. შეიძლება, ეს ქმნიდა ახლა პოეტურ სიტყვას, ასე ახლობელსა და გასაგებს. ის ხშიანობდა და გულში ამაღლეგებელ გამოძახილს პოულობდა.

ერთხელ, უღმობელი ბრძოლის შემდეგ, შესვენებისას ჩერნოვმა ჯარისკაცებს ზეპირად წაუკითხა ლერმონტოვის რამდენიმე ლექსი: „იალქანი“, „სამი პალმა“, „ბოროდინო“. გადაღლილი ჯარისკაცები, რომლებმაც დიდი ხანია არ იც-



ოდნენ რა იყო მუხლის ჩახრა, მოიხიბლნენ ამ საუცხოო ლექსებით. ისე უსმენდნენ, როგორც დიდებულ მუსიკას. „ბოროდინო“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. მებრძოლებს გმირობისაკენ მოუწოდებდა ეს ლექსი. ჩერნოვი ხედავდა, როგორ ინთებოდა მათი თვალები ხან რისხვით, ხანაც სიხარულით. იგი არ მოელოდა, თუ მასაც ასე ააღვლებდა ეს ლექსი. მიხვდა, რომ ახლა ჯარისკაცებს პოეზიაც სჭირდებოდათ.

იმ დღიდან პარტორგი და მზვერავეები კიდევ უფრო დაახლოვდნენ. მათ შორის გაიზარა უხილავი, უწყვეტი ძაფები. მათ დამოკიდებულებაში იყო ის სიბორო, რომელიც ადრე არ იგრძნობოდა. მეომრები ხშირად თხოვდნენ ზემდეგს, ლექსები წაგვიკითხეთ. „პოეზიის საათი“ მზვერავებისათვის თანდათან ძვირფას და აუცილებელ ტრადიციად იქცა.

ჩერნოვის ზურგჩახთანში ყოველთვის იდო პატარა წიგნი. სადაც არ უნდა გადაეგდო ბედს, წიგნი მუდამ თან ჰქონდა. ყველაზე ძვირფას რელიქვიას არ ინახავენ ისეთი სიფრთხილით, როგორც ამ წიგმს ინახავდა ზემდეგი. და ვინ იცის, შეიძლება ახლა სწორედ ის წიგნი წარმოადგენდა მისთვის ასეთსავე რელიქვიას. ეს იყო „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე. სქელ ქაღალდში სუფთად შეხვეული წიგნი პეტრემ ჯარისკაცის ხელთ შეკერილი მუშაობის ფუტლიარში ჩადო. თუმცა ამ მზრუნველობამაც ვერ დაიფარა წიგნი: ვისაც კი ხელში სჭეროდა, ყველას თითის ანაბეჭდი აჩნდა...

ჩერნოვმა რუსთველი პირველად ხუთი წლის წინათ წაიკითხა. იგი აზრის მომხიბვლელობამ და სტრიქონების უბრალოებამ მოაჯადოვა, განაცვიფრა ფილოსოფიურმა სიღრმემ, პოემის არაჩვეულებრივმა შინაარსმა. რუსთველი მისთვის ისეთივე მშობლიური გახდა, როგორც პუშკინი და ლერმონტოვი.

რუსთველს მეორედ უკვე ფრონტზე შეხვდა და ეს შეხვედრა ჩერნოვს სამუდამოდ დაამახსოვრდა. უკრაინაში ერთ-ერთი საოლქო ქალაქისათვის გააფ-

თრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. იგნ/ჯარისკაცებთან ერთად ცეცხლოვანი ბულ, ყუმბარებით დანგრეულ სკოლის შენობაში შეგარდა. გაცხარებულ ბრძოლაში პეტრე სკოლის ბიბლიოთეკაში მოხვდა. გარშემო დამტვრეული კარადები და თაროები ეყარა. მისი ყურადღება რატომღაც იატაკზე დაგდებულმა ერთმა წიგნმა მიიპყრო. ქარი ამრიალებდა წიგნის ფურცლებს, რომლებზედაც პეტრემ მისთვის ასე კარგად ცნობილი რუსთველის სურათი დაინახა. წამით დაავიწყდა, რომ ირგვლივ ბრძოლის და ხანძრის ალი მძვინვარებდა. იგი ისე აფორიაქდა, ისეთმა მღელვარებამ შეიპყრო, როგორიც დიდი ხნის უნახავ მეგობართან შეხვედრამ იცის ხოლმე, უტკბედად მიძიშე მდგომარეობაში ჩავარდნილს რომ წააწყდებოდა.

ამის შემდეგ ეს წიგნი ზემდეგის მუდმივი თანამგზავრი გახდა, მისთვის სიხარულისა და სიმშვიდის მომტანი. მზვერავებმაც მთელი არსებით შეიყვარეს იგი. მზვერავებმა, რომელთაც ბევრჯერ მოესმინათ ჯაღოქრული ლექსები...

„ვეფხისტყაოსანმა“ მათში განსაცვიფრებელი, ღრმა და მთრთოლვარე გამოძახილი ჰპოვა. პოემაში შთამაგონებლად, გატაცებით იყო მოთხრობილი ბრძოლებზე, ადამიანის ბედნიერებაზე, მოვალეობასა და მეგობრობაზე... ყველაფერი ეს ძვირფასი და ახლობელი იყო მებრძოლებისათვის.

ჯარისკაცები თითქოს თავიანთ თავს პოულობდნენ პოემის სტრიქონებში. გრძნობდნენ, როგორი სიყვარულითა და კეთილშობილებით იყო აღვსილი ადამიანის ბუნება. მისი ამაყი, შეუდრეკელი სული, არასოდეს ემორჩილებოდა ბოროტებას, ვერაგობასა და სიცრუეს, — ყველაფერს, რასაც განასახიერებდნენ ფაშისტები.

ზემდეგი რომ საქმეებს მორჩა, უკვე იწურებოდა შემოდგომის დღე. შორს, პორიზონტზე დაკიდულ მზის ცეცხლოვან ბურთს ზღვა და ზეცა ფანტასტიკუ-

რი ფერებით შეედება; გეგონებოდა, წყლის სიღრმეში უხილავი ხანძარი ანთიაო. მზის ირგვლივ ყველაფერი ზღაპრულად მოცუკვავე სინათლის ნაკადებში ჩაძირულიყო — მეწამულ, თვალისმომჭრელად ყვითელ, ხანაც ნაზ, ზურმუხტოვან და მოცისფრო ნაკადებში. მზის დისკო ნელ-ნელა ეშვებოდა დაბლა. ზღვის ოქროსფერი ბილიკი თანდათან წვრილდებოდა. ბოლოს სულ შთაინთქა ტალღებში. ზღვაზე და ტრამაღზე უცებ ჩამოხსნელდა. სიბნელემ ყველაფერი თავის ნახევრადგამჭვირვალე სუღარაში გაახვია. სამყარო სიმშვიდემ და სიჩუმემ მოიცვა, თითქოს არ იყო არც ომი, არც წელანდელი გრგვინვა-ზანზარი, არც სიკვდილისა და ნგრევის საშინელი სურათები...

მიმავალ დღესთან განშორებამ ჯარისკაცები წარსულის ფიქრებს დაუბრუნა, იმ წარსულისას, რომელიც ერთდროულად შორეულადაც ეჩვენებოდათ და ახლოვლავდაც. და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ წუთებში, ყველას უნდოდა მოესმინა განსაკუთრებული, გულში ჩამწვდომი, საზეიმო და ძლიერი სიტყვა რაღაც დიდზე, ამაღლეებელზე, სანუკვარზე...

— ჩვენთან, დონის სტანიცებში, ასეთ საღამოს გოგო-ბიჭები მდინარის პირას მიდიოდნენ და მღეროდნენ, — თქვა ოცნებაში წასულმა ათმეთაურმა დიმიტრი ბოგავესკიმ, — მოდი, ჩვენც ვიმღეროთ.

— როგორ არა, გერმანელები მხოლოდ ჩვენს სიმღერას უცდიან, აკომპანიმენტიც მოამზადეს, — გაისმა ხმა სიბნელიდან. მეტალურგმა სერგეი პარინმა თითქოს მათი სურვილი გამოიცნო: — ახლა ლექსიც კი საკმარისი იქნებოდა ჩვენი ასეთი განწყობისათვის, ისიც ზომ სიმღერასავით აღლევებს გულს, — და ზემდეგს თხოვეს, რამე წავგიკითხეთო.

დიდ სანგარში ოცდაათამდე კაცი შეგროვდა. აქ იყვნენ სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების, სხვადასხვა განათლებისა და პროფესიის ადამიანები. მაგრამ მათ

ჰქონდათ საერთო: ისინი ეკუთვნოდნენ იმ ხალხს, ვინც სამშობლოს დასაცავად აღდგა. ეს განსაზღვრავდა მათი ყოფილ ცუქვას, მოქმედებას და თვით ცხოვრების აზრს. ამაზე მრავალფეროვანი სიტყვები არ თქმულა, არც საზეიმო განცხადება გაუქვებიათ. უკვე დიდი ხანია ყველაფერი თავისთავად იგულისხმებოდა. ჯარისკაცებს გულში სწვდებოდათ ამაღლებული ლექსები მოვალეობასა და გმირობაზე, სიყვარულსა და ტანჯვა-წამებაზე.

...ხალხი მიყუჩდა. ღრმა სიჩუმეში მხოლოდ ჩერნოვის ხმა ისმოდა; თუმცა კი მხატვრული კითხვის ნიჭი მაინცდამაინც არ მოსდგამდა. შინაგანმა შთაგონებამ იგი თითქმის მთლიანად გარდაქმნა. მისმა ხმამ რაღაც ახალი ყლერაღობა შეიძინა: მასში ისმოდა გატაცება და ძალა. გეგონებოდა, საცაა ეს კაცი თავის ყველაზე ღრმა, გულის იღუმალ გრძნობებს გადმოშლისო.

ჯარისკაცები სულგანაბული უსმენდნენ. დროის სიღრმე და მანძილი, რომელიც მათ რუსთველისგან აშორებდა, გაქრა. დაე, საუკუნეების სიღრმიდან გაისმოდეს პოეტის ხმა! სულ ერთია, პოემის უკვდავი შემოქმედი მათ გვერდით იყო. იგი აიძულებდა ეთრთოლათ და ეღელვათ, შეჰყვარებოდათ და სიძულვილით აღვსილიყვნენ...

ერთიმეორეს მისდევდნენ საოცარი სტროფები, რომლებიც ალაფრთოვანებდნენ მსმენელებს. ჩერნოვი კითხულობდა:

ბოლოდ შეყარნეს მიწამან
ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი...

მზვერავები სამშობლოზე ფიქრობდნენ, იგი მათ წინ ისახებოდა, როგორც დედა, რომლის იერში ყველაფერი — ყველაზე უწვრილესი ნაკვთიც კი — ასე ნაცნობი, ახლობელი და ამაღლეებელი იყო. ჯარისკაცების თვალწინ დაუსრულებლად მიცურავდნენ მშობლიური მიწის საყვარელი პეიზაჟები. ისინი ტრიალ მინდვრებს ხედავდნენ. იმ მინდ-



ვრებზე ნიაკი ატალღებდა აბიზინებულ ბალახს. სხვებს მთები ეხატებოდათ, მთები, რომლებსაც ხმაურიანი ნაკადულები ბანდნენ. ზოგი კორომებს ხედავდა, მათობელა ფოთლების სუნსა გრძნობდა და ჩიტების ვალობას ისმენდა. ეს იყო საყვარელი სამშობლოს სურათები: თითოეული მათგანი მზად იყო, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეცვა იგი შემოსეული მტრისაგან.

სისხლიანი და მძიმე ომი ნთქავდა ადამიანთა აზრსა და უნარს. მეტროლოები ახლა ჯანსაყუთრებით მძაფრად გრძნობდნენ, რომ ომი მათთვის გახდა ერთადერთი საზრუნავი, რომლისთვისაც ადამიანმა ყველაფერი უნდა გაიღოს; ყველაფერი, რაც კი გააჩნია.

და ვერავინ გრძნობდა, როგორ გარბოდნენ წუთები. თითქოს შეჩერდა ეამთა სრბოლა. თავშეყრილ მეტროლოთათვის არსებობდა მხოლოდ მშვენიერი პოეტური სამყარო. ეჩვენებოდათ, რომ მათ შეეხო რაღაც მომზიბლავი ძალა და ისინი მაცთურ შორეთში მიჰყავდა. მათ იგრძნეს ადამიანის მისწრაფებათა და გატაცებათა ძალა, დაუსრულებელი სიბრთულე ცხოვრებისა, სადაც ერთადაა სიყვარული და სიძულვილი, სულგრძობა და სულმდაბლობა...

ბროლის წმინდა წვეთებივით ცვიოდნენ სიტყვები:

შენ არ-გატეხა კარგი გჭირს
ზენაარისა, ფიცისა.

ხამს გასრულება მოყვრისა
სიყვარულისა მტკიცისა...

მხვერავებისთვის გასაგები და ძვირფასი იყო ეს მოწოდება: იყენენ ფიცის ერთგულნი, თავი გასწირონ ამხანაგის გულისთვის. ჯარისკაცებს ეჩვენებოდათ, რომ პოეტი მათზე ლაპარაკობდა, მათ ყოველდღიურ სამიშროებასა და ცხოვრების რისკზე. ისინი ხომ ყოველთვის შეიძლებოდა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილიყვნენ, როცა მოვალეობა მოითხოვს ყველაზე დიდი მსხვერპლის გაღებას, როცა სხვის გადასარჩენად საჭიროა უყოყმანოდ გაიღოს საკუთარი სისხლი...

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა
არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის
თამაშად და მიჩანს მღერად...
რა უარეა მამაცსა
ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შედრეკილ შეშინებულსა
და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს
ღიაცსა ქსლისა მზეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა...

მეტროლოებს ეჩვენებოდათ, რომ ამას სწორედ მათ ეუბნებოდა პოეტი... ისინი ძლიერნი არიან რწმენითა და თავიანთი საქმის სამართლიანობით. მათ იციან, რომ ამ ჭიდილში ადგილი არა აქვს სულმდაბლობას ან ორჭოფობას. მათ გულში დღულს და გადმოდის დაუნდობელი მტრის რისხვა და სიძულვილი, თითოეული გრძნობს თავის მოვალეობას დიდ, გამათავისუფლებელ ომში. იციან, რომ მათი ბედი შერწყმულია სამშობლოს ბედთან.

...ჩერნოვმა დაამთავრა კითხვა. სანგარში სიჩუმე იდგა. ყველა მონუსხულივით იყო. ვერავინ ვაბედა დაერღვია ამ წუთების საზეიმო სიმშვენიერე. მერე ადამიანები, რომელთაც თითქოს აღარ შეეძლოთ გრძნობების შეკავება, აღელვებულნი ალაპარაკდნენ, ალაპარაკდნენ მხურვალედ, გატაცებით. მათ ამ ღამეს იპოვეს განსაკუთრებული, სულიდან მომდინარე სიტყვები.

საუბარს არ ჰქონდა რაღაც განსაზღვრული თემა. ის თითქოს უხილავი კავშირით გადადიოდა ერთი საგნიდან მეორეზე. ლაპარაკობდნენ სიბრძნეზე, სილამაზეზე და არავის ახსოვდა, რომ ამ ქვეყნად იყო საფრთხე, სიკვდილი... ჯარისკაცები საუბრობდნენ სიცოცხლის აზრსა და ადამიანის მოწოდებაზე.

— რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, ადამიანები ყოველთვის მიისწრაფიან წინ, — ბოლოს, როგორღაც შეაჯამა თავისი აზრი ომში ნაცადმა ჯარისკაცმა ანდრეი ველოკობიტოვმა და დაუმატა, — სიღია-

დე და სამართლიანობა არასოდეს მიეცემა დაგიწყებას.

— ასეთ რამეს რომ მოისმენ, სიკვდილიც აღარ არის საშიში! — თავისთვის წარმოსთქვა სერჟანტმა დაღამ იბრაძიმოვმა.

— მტერი ყოველთვის მტერია. ის ჩვენ არ დაგვინდობს და არც უნდა მიეცეთ გასაქანი, — ამბობდა ჯარისკაცი ივანე სერგეინი, რომელიც გარეგნულად პირქუში გეჩვენებოდათ.

მხიარული და დაუდგრომელი უკრაინელი პეტრე პოჩივლო, რომელიც ყოველთვის ცდილობდა დასულიყო „ძირამდე“ და ამოეხსნა ის, რაც აღელვებდა, მსგელობდა:

— ლექსი, რომელმაც რვა საუკუნეს გაუძლო, დღესაც გულზე გვხვდება. საოცარია, როგორ არის მოწყობილი ცხოვრება: ყოველთვის იბადება ვიღაც, რომლის ხმა ათასი წლის მერეც კი ისმის. როგორ შეძლო რუსთველმა ამგვარი პოემის დაწერა?! მას ჩვენს დროში უნდა ეცხოვრა!

კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა საუბარი შესანიშნავ სტრიქონებზე, რომლებიც საბრძოლო მოწოდებად ქდებოდნენ. მზვერავებმა დაიძინეს. დაიძინეს, რათა ბრძოლის ხვალინდელ დღეს ახალი ენერჯით შესხედროდნენ. და არც ერთმა კი არ იცოდა, ის ხვალინდელი დღე რა ტრაგიკულ გამოცდას ამზადებდა...

სტებზე ალიონიდანვე დაიბოლქვა ჯანლი, სქელ ლეჩაქად გადაეფარა ზღვისპირეთს, სადაც ჭაობის ლელიანი გადაჭიმულიყო. ქარიანი ამინდისა და ძლიერი მოქცევის დროს ზღვის წყლით დაფარული ლელიანი გაუფალ ლაბირინთს ქმნიდა: ვიწრო ნაკადულებს. დრმა საფლობებს, ტბებს... ჯარისკაცები მღელვარებითა და ეჭვით გაჰყურებდნენ ლელიანს: ლელიანს იქით მტერი იყო, რომელიც წინ მოიწევდა, რათა მოულოდნელად, გველივით გამოიმძვრალიყო და დაერტყა...

მაგრამ მზვერავები ახლა ჩვეულებრი-

ვზე უფრო მშვიდად იყვნენ. გულში მტერი ბრძოლაში მოწინააღმდეგეს დაგვეხატოლი მოუვიდა და ჯარისკაცებმა მტერს დაინდნენ, რომ მტერი ვერ გაბედავდა იერიშზე გადმოსვლას. ამიტომ იმედოვნებდნენ, ეს დღე ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე გაივლისო. მზვერავების დიდ ჯგუფს, რომელშიაც ზემდეგი ჩერნოვიც შედიოდა, დაზვერვაზე მხოლოდ გვიან საღამოს უწევდა წასვლა. საღამომდე კი რამდენიმე საათი იყო დარჩენილი.

მაგრამ ომი სავსეა მოულოდნელობით. შემთხვევითობამ ყველაზე მეტად ომში შეიძლება დაარღვიოს წინასწარდასახული გეგმა. ომში ზოგჯერ მბრძანებლობს ბრმა შემთხვევა, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი ლოგიკა. არავითარი საჭიროება... ასე მოხდა იმ შემოდგომის დღესაც.

...აღრიანმა სხივებმა გაანათეს ზღვის უსაზღვრო სივრცე და ზღვასმერწყმული სტები. სუსტი ნიავიც კი არ არღვევდა ზღვის სიმშვიდეს. გადაბუგული მიწა მხიარულად ხვდებოდა ახლადბადებულ დილას. ბალახის წვრილი ღერებიც კი შემდებოდნენ სინათლისა და სითბოს მოლოდინში. მოთეთრო-რძისფერი ნისლის ღრუბელი, რომელსაც დაეფარა ლელიანი, ახლა კვამლივით, უძრავად იწვა. ჯარისკაცები ომისათვის უჩვეულო წუთებს განიცდიდნენ, წუთებს, როცა ირგვლივ სიმშვიდე და სიწყნარე სუფევს.

მდგომარეობა უცებ შეიცვალა, მკვეთრად და მოულოდნელად. მოწინააღმდეგემ ისარგებლა ჩამოწოლილი ნისლით და მალულად დაიწყო თავდასხმა ლელიანიდან. მისთვის ნაცნობი აღმოჩნდა გაუფალი ჭაობის გასასვლელები. უამრავი მტერი მოიწევდა წინ, რომელსაც არტილერია და ავიაცია უჭერდა მხარს. მზვერავები ცხარე, სასტიკ ბრძოლაში ჩაებნენ. ერთი შეხედვით ძნელი იყო გარკვეულიყავი ამ ბრძოლის პერიპეტეებში. გეგონებოდა, რაღაც ბრმა მრისხანებით აღტკინებულმა უხილავმა ურჩხულმა ველური, უგუნური ცეკვა დაიწყო

საქართველო
განმანათლებელი

და მიწაზე ცეცხლისა და კვამლის ბოლქვებს ანთხევსო. ყველაფერი ხანძარსა და გუგუნში ჩაიძირა. აფეთქებებისაგან ატყორცნილი მიწის ღრუბელი წყლის შადრევნებში აირია და ნაპირი რუხი, ქუჩყიანი ქაფის ნაკადებით დაიფარა.

მამაცურად და შეუბოვრად მებრძოლი მზვერავები მზად იყვნენ დახოცილიყვნენ, ოღონდ მტერი შეეჩერებინათ. მტრის მეწინავე ნაწილი გაანადგურეს, მაგრამ მომწვანო-მოთავისფრო სხეულები ისევ და ისევ მოცოცავდნენ. ასობით მათგანმა ჰპოვა სიკვდილი. ზოგნი წყლის ნაპირთან ეყარნენ, ზოგს ცისკენ მიეპყრო ცარიელი, უსიცოცხლო მზერა და წყნარად ქანაობდა წყლის ზედაპირზე.

მზვერავები ხედავდნენ, მტერი ჭარბობდა. მაგრამ არავინ შემკრთალა, არ დაბნეულა. მათ მხედრული მოვალეობა აღუღაბებდა. ყველაფერი მაღალი და კეთილშობილური, რაც კი რუსთველმა შთააგონა, ახლა მათში დაუთოკებელ ძალად შეჭრილიყო. მტრისადმი სიძულვილი, ამხანაგისათვის თავდადება თითოეულში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლის სურვილად ქცეულიყო. მზვერავებს დაუფლებოდა უჩვეულო ძალა, ბრძოლის დროს რომ ვლინდება ხოლმე, ძალა, როცა აღამიანი იფიწყებს თავის „მეს“ და ხედავს მხოლოდ ერთ მიზანს: იბრძოლოს და გაიმარჯვოს.

მზვერავთა რიგები თანდათან დნებოდა, მოწინააღმდეგე რამდენიმე მხრიდან უტეცდა... მხიარული პოჩივალო დაეცა, სისხლისაგან იცლებოდა და მიინც ხელს არ უშვებდა ავტომატს. მას ღიმილი სახეზე შეეყინა, ღიმილი, რომლითაც სიკვდილს ჩასტეპროდა თვალებში. მიიმედ დაჭრილი ივანე სერგეინი დევგმირივით იბრძოდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მან დაინახა, რომ დატყვევებას უბირებდნენ. გონებაში საოცარი, მიუღწეველი სისწრაფით გაირბინეს წარსულის მოჩვენებებმა და ცხადლივ წარმოუდგა, თუ რა მოელოდა მტრის ხელში. და უცებ გაახსენდა...

როცა გერმანელები მისცივდნენ, სერგეინმა დაიყვირა:

— უყურეთ, ოხრებო, როგორ კვდება საბჭოთა მზვერავი, — შევარდა შეგუფებულ მტრებში და საკუთარი ხელყუმბარით აფეთქდა.

ჩერნოვი და კიდევ ათიორე სხვა მებრძოლი პატარა ღარტაფში ჩამალულიყვნენ და გერმანელებს ავტომატის ჯერით ცელავენენ, ხელყუმბარებს ესროდნენ. ყველა მებრძოლის მკერდში ახლა ერთი გული ძგერდა, ერთი მიზანი ჰქონდათ — განსაცდელს გაუძლონ და არ გატყვენენ.

და მზვერავებმა გააკეთეს ის, რაც შეუძლებელი ვეჩვენებოდათ. გამხეცებულმა მტერმა ვერ შეძლო ერთი მუჭა გმირების შემუსვრა. ისინი კლდესავით იდგნენ, ვიდრე მაშველი საზღვაო ქვეითები არ მოვიდნენ. მათი ომანინი „ვაშა“ უკვე გრვინავდა სტეპზე, როცა უკანასკნელი შეტაკება მიმდინარეობდა.

ასეულის მეთაური მთელი ტანით წამოიმართა და შემდრკალ მტერზე საიერმოლდ წამოშალა ჯარისკაცები: „მზვერავებო, დაღუპული ამხანაგებისათვის — წინ!“ კაპიტანი თავისი ტანისათვის შეუფერებელი სიმსუბუქით მოსწყდა ადგილიდან. გვერდით ჩერნოვი მისდევდა. ისიც რალაცას ყვიროდა.

ცალკეული სიტყვები არ ისმოდა. გაისმოდა მხოლოდ ერთიანი შეძახილი. ზემდეგმა, თითქოს ფრთები შეესხაო, სხეულში სიმსუბუქე იგრძნო. ამავე დროს შინაგანად დაიძაბა და ყურადღება უფრო გაუმახვილდა. იგი მოქმედების ყველა დეტალს ხედავდა და ზუსტად იბეჭდავდა გონებაში ყველაფერს, რაც კი ირგვლივ ხდებოდა. მან შეამჩნია, რომ სიკვდილის საფრთხე იმუჭრებოდა კაპიტანს — გერმანელი ჯარისკაცი ავტომატს უმიზნებდა. ჩერნოვმა თვალისდახამხამებაში მიიღო გადაწყვეტილება: წინ გაიჭრა და გერმანელ მავტომატის შეეგება, რათა დაეფარა მებრძოლი ამხანაგი და მეთაური: იგი ავტომატის ტყვიამ დაცხრილა. სისხლში მოსვრილი ზემდეგი ტრამალის გაყვითლებულ ბა-

ლახზე დაეცა. მაღალი ბალახი რბილად დაეგო მოდუნებულ სხეულს და ნაზად დაიფარა მზის მწვავე სხივებისაგან.

ადამიანმა ადამიანს მისცა ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდა — სიცოცხლე. ნეტა რაზე ფიქრობდა იმ წამებში? ვინ იცის, იქნებ საყვარელ ლექსებს იხსენებდა. ლექსებს ადამიანურ მოვალეობაზე, მარადიულ მეგობრობაზე... იქნებ ბინდ-დაკრული თვალებით მზეს შესცქეროდა და თავისთვის ამბობდა: „დაე, ეს იყო ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთები. მე მოვკვდები, მაგრამ დარჩებიან ადამიანები და მათი შვილები. ისინი მოგვიგონებენ

მათი ბედნიერებისათვის დაღუპულს. მათი მომავლისათვის დაღუპულს.

...ბრძოლა მალე შეწყდა, მტერი ისევ ლელიანში შერეკეს. ასეულიდან გადარჩენილი ერთი მუჭა მზვერავები იმ ადგილას დაბრუნდნენ, სადაც დაიღუპა ზემდეგი, ჩერნოვს თითქოს ეძინა ხშირ ბალახში. მის მახარაზე სისხლი მოჟონავდა.

ვიდრე მიწას მიაბარებდნენ, ვაციებუ-ლი ხელებიდან ავტომატი გამოართვეს და ზურგჩანთა მოხსნეს. ზურგჩანთაში აღმოჩნდა მუშამბაში გახვეული ძვირფასი წიგნი. წიგნის პრიალა ყდაზე სისხლის წვეთები მოჩანდა.





Handwritten signature or name in large, stylized Georgian script.



სქესილის თაყვანისმცემი

ძნელად მოიპოვება ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა პირველი სიყვარულის შეგრძნება, ან დიდი ხნით მიტოვებულ ქალაქში დაბრუნება, ან უფრო მეტი — ნამიან ბალახში ფეხშიშველა სიარბილი. რალაც ამდაგვარი შეგრძნება მქონდა, როდესაც პირველად მივაღეჭე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრს.

ჩაბნელებული კულისები, შეუწყობელი ორკესტრის ხმიანობა, აკურატულად მიწყობილი, მაგრამ მაინც მიმოზნეული დეკორაციები მიმაცვილებდნენ მსახიობის პატარა ოთახისაკენ.

დავაკაკუნე... ვუსვდიდი, ვინ გამიღებდა კარს, გულმართალი საბჭოთა ადამიანი გვირისტინე — „კოლმეურნის ქორწინებიდან“ თუ ვნებააშლილი, მოარშიყე ძიძა — „რომეო და ჯულიეტადან“; ბნელეთის სამყაროს ძუ მგელი აგულალოვა — „უმზითვოდან“ თუ ესპანეთის გოროზი დიდებული — „რუი ბლახიდან“. ვინ, ვინ გამიღებდა კარს, იქნებ საბრალო მთიელი ქალი საბედო — „ზავიდან“ ან მრავალჭირნახული ჩინელი ქალი ში-პინი — „ტაიფუნიდან“, თუ მოსიყვარულე ბებია — ზურიკელას მოსიყვარულე ბებია, რომელიც ისე ჩაიფერფ-

ლა, რომ ვერ ამოხსნა, რატომ უნდა ესწავლა მის შვილიშვილს ყველას მაგივრად.

— მოზრძანდით, — გაისმა მიბატიყება, ჩემს წინ იდგა თმაშევერცხილი, მაგრამ მარად დაუბერებელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სესილია თაყვანიშვილი.

მაგიდაზე მიმოფანტული გრიმი ხელის ერთი მოსმით მიალაგა და მიმიწვია. ოთახს თვალი მოვაგლე, კედლიდან 12-13 წლის გოგონა მიღიმის.

— ჩემი შვილიშვილია... — მიმიხვდა პატივცემული სესილია.

— რომელი უფრო გიყვართ, ზურიკელა თუ...

— ერთმანეთში ვერ ვარჩევ, — ამბობს და თვითონაც 12-13 წლის ბავშვის გულმართალი ღიმილით მიღიმის.

— თქვენ ბოლო დროს კომედიურ ხასიათებს თამაშობთ, ხომ არ ანიჭებთ ამ ქანრს უპირატესობას თქვენს შემოქმედებაში?

ბაუზა... მერე თავი ასწია, თვალი-თვალში გამიყარა და მიბასუსხა:

— მე ყველაფერი მიყვარს, ტრაგედია, დრამა, კომედია და ვოდევილი.

— როგორ უყურებთ მსახიობის როლ-

ზე მუშაობს სტანისლავსკის სისტემით?

— ყველა სისტემას მივესალმები, რომელსაც მიზნად სცენიური სიმართლე აქვს.

— რომელ თანამედროვე ქართველ რეჟისორს თვლით კოტე მარჯანიშვილის სკოლის გამგრძელებლად?

— ვინც დგამს საინტერესო სპექტაკლებს, გამოავლენს მსახიობს...

— რა წინსვლას ამჩნევთ ქართულ საბჭოთა თეატრს მისი შექმნის პირველი წლიდან დღემდე?

— თეატრის საერთო დონის ამაღლებას.

— ნაციონალური თეატრის არსებობისათვის დრამატურგს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა თუ რეჟისორს?

— დრამატურგს.

— შეკითხვა შემთხვევით არ მოგვიცია. კარგი ქართული პიესებით არც კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ყოფილან განებივრებულნი, მაგრამ მათ ბრწყინვალე ნაციონალური თეატრები შექმნეს.

— დრამატურგია თეატრის ლიტერატურული საფუძველია, თვით სასცენო ხელოვნება კი მსახიობისა და რეჟისორის შემოქმედებაა, ნიჭიერი ქართველი რეჟისორი და ნიჭიერი ქართველი მსახიობი ყველა ერის დრამატულ ნაწარმოებს ქართულ სპექტაკლად აქცევს.

— თქვენი დებიუტი თეატრში იყო მარჯანიშვილის პანტომიმა „მზეთა-მზე“. საქართველოში დრამატულ თეატრთა გვერდით პანტომიმის თეატრი რომ ყოფილიყო, რა გზას აირჩევდით?

— დრამატულ თეატრს, ვინაიდან ვერ შეგველევი შემოქმედების ისეთ ძლიერ იარაღს, როგორცაა ცოცხალი სიტყვა.

— რას იტყვით თბილისში ახალგაზრდული თეატრის შექმნაზე?

— რამდენიმე მოხუცი მსახიობი და ვერჩით და გთხოვთ, ჩვენ შეგვიქმნათ თეატრი.

— ხომ არ დაგვისახელებთ თქვენი თეატრის ახალგაზრდა მსახიობებს, რომ-

ლებსაც უნარი შესწევთ, გააგრძელონ თეატრის ტრადიციები.

— ტრადიცია განმეორებას არ ნიშნავს. ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი წარსულიდან საუკეთესოს იძენს და თავისებურად აგრძელებს მას.

— არსებობს თუ არა ამჟამად ჩვენში ეგრეთწოდებული „დედაქალაქური“ და „პროვინციული“ თეატრები?

— დიდსა და პატარა ქალაქებს შორის განსხვავება ისე სწრაფად ქრება, რომ სულ მალე მცნება „პროვინციული თეატრი“ აღარ იქნება.

„თაყაიშვილი სცენაზე!“ — ჩვენს საუბარში უდროოდ ჩაერთო კუთხეში მიღებული რადიომიმლები.

— ტექნიკური რეჟისორია, სცენაზე მიხმობს, — მოიბოდიშა მასპინძელმა. — გვიან ღამით დავბრუნდები, ნუ მომიცდით. ხვალ? ხვალ მთელი დღე დაკავებული ვარ. ზეგ? ზეგ ისევ გენერალური რეპეტიციაა. შინ დამირეკეთ, უთუოდ გამოვნახავ დროს.


კულისები დავტოვე. თეატრის საღაროსთან ფუსფუსია, უბილეთოები ბილეთიანებს ელოდებიან, ბილეთიანები ნაცნობ უბილეთოებს ეძებენ, აფიშა სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატის“ პრემიერას აუწყებს შეკრებილთ.

ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშვილი, ს. თაყაიშვილი და... ა. ხორავა!

— გილოცავთ, თქვენ ბრწყინვალე იყავით ისახარის როლში.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ. — ისევ ბავშვური ღიმილით მიღიმის სესილია. — ჩემი როლი შედარებით ეპიზოდურია, მაგრამ ისახარის სახემ დამინტერესა და მიმიზიდა უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ის ზეინაბივით ბედუკულმართი ქალია. ისახარამაც თავისი შვილის სიცოცხლე მამულს შესწირა და მთელი ცხოვრება გულში ატარებდა ზიზლსა და სიძულვილს დამპყრობ მტარვალთა მიმართ. წარმოდგენის პატრიოტულ ჟღერადობაში მასაც შეაქვს წვლილი.

— ქალბატონო სესილია, შეგახსენებთ სტანისლავსკის ცნობილ გამოთქმას „არ



არსებობს დიდი და პატარა როლი, არსებობს დიდი და პატარა მსახიობი“.

— სტანისლავსკი საესებით მართალია იმაში, რომ მსახიობი ერთნაირი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს დიდსა და მცირე მოცულობის როლს, ვინაიდან ამას ნაწარმოების დედააზრის გამოკვეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— განსახიერებელი როლებიდან რომლის ხელახლად თამაშს ისურვებდით?

— არის როლები, რომლებიც ჩემი ახლანდელი გამოცდილებით, შეიცვლებოდა და გაღრმავდებოდა. დარწმუნებული ვარ, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იმაზე ვიფიქრებ — რატომ სხვანაირად არ ვითამაშე ესა თუ ის როლი.

— თქვენ ასზე მეტი როლი გაქვთ განსახიერებელი. ეს მსახიობისათვის სარეკორდოდ შეიძლება ჩაითვალოს. ხომ არ გრძნობთ შემოქმედებით დაღლას?

— ადამიანი უსაქმობით იღლება...

— სად პოულობთ მეტ შემოქმედებით სიამოვნებას, თეატრში მუშაობისას თუ კინოში?

— კინოში კარგი სცენარის დროს, თეატრში, როცა კარგ პიესაში ვთამაშობ.

— როგორი უნდა იყოს დღევანდელი თეატრალური მხატვრობა?

— ზედმიწევნით თეატრალური, ე. ი. მსახიობისათვის მოსახერხებელი და მაყურებლისთვის სასიამოვნო.

— თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, გვითხარით, რატომ არ მიიღეთ ლენინგრადის დრამატული თეატრის მიწვევა?

— სცენაზე მხოლოდ ქართულ ენაზე შემიძლია ვილაპარაკო.

— რა სურვილები გაქვთ თქვენი ახალგაზრდა კოლეგებისადმი?

— ვულოცავ გზას, ვულოცავ გზას...

ოზარ შეშელიძე.



გუგამ გუგინთილი

დემნა შენგელია

როდესაც დემნა შენგელია ლაპარაკობს, პირადად გესაუბრებათ თუ მწერალთა კავშირის ტრიბუნაიდან, დიდხანს ისე მშვიდად ისმის მისი ხმა, თითქოს თავისთვის ჩუჩებულს, თავისთავთან საუბრობსო. მერე უეცრად აფეთქდება, აღიგზნება, ცეცხლს დააფრქვევს და გიკვირთ: ნუთუ ეს ის კაცია, სულ ცოტა ხნის წინათ ასე დინჯად რომ გესაუბრებოდათ. ეს, ჩემი აზრით, დემნა შენგელიას ორატორული ხერხი კი არ არის, მისი ხასიათის თვისებაა, რაც ერთნაირად მკლავდებდა მის პირადსა თუ შემოქმედებით ცხოვრებაში. ასეთივეა დემნა ახალი ნაწარმოების შექმნისას, იგი მაშინაც დიდხანს ესაუბრება თავის თავს, ჩუმად იწვის და, როდესაც სავსებით მოუწყობილდება აზრი, ერთბაშად აფეთქდება, ნიაღვარივით მოასკდება სათქმელი და ჩვენც, მოლოდინით თითქოს დაღლილი მისი მკითხველები, თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვანი ნაწარმოების დაბადების მოწმენი ვხვდებით. ასეთი შემოქმედებითი წვითა და აფეთქებით დაწერა დემნა შენგელიამ საუკეთესო მოთხრობები და ნოველები: „სანავარდო“, „ბათა ქექია“, „განძი“, ასევე წერს ახალ „ფიროსმანს“. ალბათ, ხასიათის ეს

თავისებულება განსაზღვრავს დემნა შენგელიას სტილსაც, იმასაც, რომ მისი რომანები თუ მოთხრობები ყოველთვის დახვეწილია, თავისუფალი არათუ ზედმეტი მხატვრული სახისა თუ პასაჟისაგან — ზედმეტი ფრაზისაგანაც კი; ამასთანავე, სავსეა ენერგიით. მხატვრულად გამოკვეთილი ღრმა აზრითა და გრძობით.

მწერალი არა მარტო დიდი აზრების ან გრძობების მხატვრული გამოხატვის ოსტატი უნდა იყოს, არამედ მშობლიური ენის დაუღალავი მოამაგეც, მისი მესაიდუმლეცა და ჯადოქარიც. ენის სიმდიდრე ან სიღარიბე ყველაზე თვალნათლივ მწერლის შემოქმედებაში ჩანს და ვერავითარი თანამედროვეობის გრძობა ვერ გაამართლებს მწერალს, რომელიც განზრახ ან უნებლიეთ ამარტოვებს და აღარიბებს მდიდარ ენას. დემნა შენგელიას ნაწარმოებებში ვერცერთ გაბრანჭულ ან ხელოვნურ ფრაზას ვერ იპოვით; სამაგიეროდ, იგრძნობთ და დაინახავთ ძარღვიან, ამოუწურავ და მდიდარ ქართულ ენას მთელი თავისი სიღარიბისლითა და სილამაზით. სიტყვის საოცარი გრძობა, მისი შემოქმედებითად გამოყენება, ბუნების ღრმა ცოდნა უფ-

რო მეტად თანამედროვესა და საინტერესოს ზღის ჩვენთვის მის ნაწარმოებებს. დემნა შენგელაიას შემოქმედება ყოველთვის იქნება ახალი თაობის მწერლებისათვის საინფორმაციო და მისაბაძი.

დემნა შენგელაიას ნაწარმოებები ესაა ქართულ ეროვნულ ლიტერატურაზე თუ მსოფლიო კლასიკურ საგანძურზე დამყნელი და დაფუძნებული უაღრესად თანამედროვე შემოქმედება. მწერალს ეს თანამედროვეობის სული არასოდეს ჩაუქეტავს ვიწრო ჩარჩოებში. პროზაიკოსი ხომ მხოლოდ ნიჭით, დიდი ერუდიციისა და ცხოვრების ღრმად შესწავლის გარეშე, იოლად ვერ გავა ფონს. დემნა შენგელაიას მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც უაღრესად ეროვნულნი არიან, ხშირად ზოგად-საკაცობრიო პრობლემებსაც ეხმარებიან.

დემნა შენგელაია ოციან წლებში მოვიდა ქართულ მწერლობაში და პირველივე რომანით — „სანავარდო“ — ერთბაშად დაიმკვიდრა ჭეშმარიტი პროზაიკოსის სახელი. მას შემდეგ დაუცხრომელი ენერჯითა და ელვარე ნიჭით ემსახურება მწერალი ამ დიდ ეროვნულ საქმეს.

თუმცა ოციან წლებში ქადაგებდნენ ქართველი დეკადენტები პროზის, პირველ რიგში კი რომანის, კვდომის აუცილებლობას, მაგრამ სწორედ ამ ხანებში შეიქმნა პირველი მნიშვნელოვანი რომანები, რომელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო „სანავარდო“ ეს არის მაღალი ოსტატობით დაწერილი ნაწარმოები, სადაც გახსნილია ფეოდალური არისტოკრატის გადაგვარებისა და განადგურების ისტორიული და ბიოლოგიური გარდუვალობა. შემადრწუნებელია ბედი თავად ჭილაძეთა უკანასკნელი შთამომავლების — ბონდოსა და ყარამანისა, რომელნიც თავიანთი წინაპრების უკურნებელი სენით შეპყრობილნი ამთავრებენ თავისი გვარის არსებობას. ეს სოციალურად თუ ისტორიულად მართალი პრობლემა მწერალმა სუფთა რეალისტურ პლანში კი არ გადაწყვიტა, არამედ დატვირთა ავადმყოფური და მისტეკურ

რი ზმანებებით, რამაც კიდევ უფრო ამძაფრა ყარამან ჭილაძის ოდესღაც ძლიერი ფეოდალური ოჯახის განსწორების განცდის და სიკვდილისწინა ტანჯვის შეგრძნება.

იმავე წლებში დაწერა დემნა შენგელაიამ რომანი „თბილისი“, მოთხრობები „გურამ ბარამანდია“, „თებერვალი“, „პორტი“ და სხვა. ამ მოთხრობებში კიდევ უფრო ამკარად და ნათლად გამოჩინდა მწერლის დამოკიდებულება რევოლუციასთან, ახალ ცხოვრებასთან. მაგრამ „სანავარდოს“ შემდეგ მწერლის დიდი შემოქმედებითი ნიჭი ყველაზე ძლიერად გამოამჟღავნა „ბათა ქექიაში“ — ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ კლასიკურ ნაწარმოებში. ამ რომანში მწერალმა ქართული ცხოვრების ფართო ისტორიული პანორამა მოგვცა და მას მეტად საინტერესო კომპოზიცია გამოუნახა. დალხენილი სიბერის ეამს კერიასთან მიმჯდარი მოხუცი მეზორნე იგონებს თავისი ცხოვრების გზას, ნახულისა და განცდილს. ამ ხერხით მწერალი მოგვითხრობს თითქმის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას, რომლის მანძილზეც ბათა ქექია ბევრი დრამატული მოვლენისა თუ ამბის შემსწრე და მონაწილე ყოფილა. ქართველი გლეხის მიძიმე ყოფა აქ ტრიგიკულად მძაფრ სიტუაციებშია წარმოსახული, მაგრამ მისი გაუტეხელი გული და მტკიცე ხასიათიცაა გამოკვეთილი. ბათა ქექია თავის ნაღვლიან ისტორიას იუმორით მოგვითხრობს. ამით კიდევ უფრო ნათლად ჩანს მისი ძლიერი ხასიათი, სიცოცხლის დაუშრეტელი სიყვარული, თავისუფლებისმოყვარე და ამაყი სული. სწორედ ამ თვისებებმა გადატანინა ბათას მრავალი განსაცდელი მიძიმე ცხოვრების გზაზე. ეს რომანი ქართული ყოფისა და ქართული სულის შეხანიშნავი, მაღალმხატვრული გამოხატულებაა.

ამის შემდეგ, სამამულო ომის დაწყებამდე, დემნა შენგელაიამ რამდენიმე მოთხრობა და ორი რომანი — „იომის ნახტომი“ და „შთაგონება“ — გამოაქვეყნა. თუმცა „ბათა ქექიას“ ბრწყინვალე-

ბამ ეს რომანები ერთგვარად დაჩრდი-
ლა, მაგრამ თავისთავად ისინი უთუოდ
საინტერესო ნაწარმოებებია. თუ „ირმის
ნახტომში“ ძველი ქალაქური ყოფაა
თბილად და კოლორიტულად წარმოსა-
ხული; სამაგიეროდ, „შთაგონება“ ახალ
თბილისს ეძღვნება და მწერალი მართ-
ლაც შთაგონებით გვიყვება ქართველ
მუშებისა და ინტელიგენციის შემოქმე-
დებით სახვე ცხოვრებას.

სამამულო ომის თემა ახლაც ძლიე-
რად იზიდავს ქართველ მწერლებს თავი-
სი დიდი დრამატიზმითა და, რაც მთავა-
რია, იმ უტეხი სულის სიდიადით, რო-
მელიც საბჭოთა ხალხმა ამ ომში გამო-
ამჟღავნა. დემნა შენგელიამ ქართველ
მწერალთა შორის ერთ-ერთმა პირველ-
მა უძღვნა საბჭოთა ადამიანების საბრ-
ძოლო ცხოვრებას რომანი — „წითელი
ყაყაჩო“, ამ რომანში ყველაზე ნათლად
გამოჩნდა დემნა შენგელიას, როგორც
ლირიკული პროზის ისტატის ნიჭი. ეს
რომანი არ არის ვრცელი ეპიური ტი-
ლო, რომელიც მიზნად ისახავს სამამუ-
ლო ომის წლებში ჩვენი ცხოვრების ფა-
რთო მხატვრულ წარმოსახვას. მწერალმა
მთელი თავისი ყურადღება საბჭოთა ად-
ამიანების სულიერი სიძლიერის გახსნა-
ზე გადაიტანა. თუმცა აქ მკითხველი ვერ
ნახავს დიდ ბატალურ სცენებს, მნიშვნე-
ლოვან საბრძოლო ეპიზოდებს, რადგან
გმირთა ცხოვრება ძირითადად ჰოსპიტა-
ლში მიმდინარეობს, მაგრამ ეს სულაც
არ უშლის ხელს მწერალს თავისი ჩანა-
ფიქრი განახორციელოს და საბჭოთა ად-
ამიანების პატრიოტული სულისკვეთება
მთელი სიძლიერით გვიჩვენოს. მწერალს
კონტრასტი მშვიდობიან ცხოვრებასა და
ომის მრისხანე დღეებს შორის: იმდენად
ეფექტურად და ძლიერად აქვს გადმო-
ცემული, რომ თავიდანვე ემოციურად
ძაბავს მკითხველს. არჩილ დარაშელიძის
თუ ჭაბუკი ვასიას დაღუპვის ეპიზოდი
ნათლად გვაგონობინებს ომის ტრაგე-
დიას. და მიუხედავად ამისა, ეს ნაწარ-
მოები ნათელი ოპტიმიზმითაა სახვე, რა-
დგან სიკვდილს არ შეუძლია მოდრიკოს
საბჭოთა ადამიანები, ისეთები, როგო-

რებიც არიან ბეჟან დავლადე, სამსონ ბა-
ნტურაძე, პოლკოვნიკი სავგანოვი, ლე-
იტენანტი მატახერია, კაპიტანი ანდრე-
პენკო და სხვები. წითელი ყაყაჩო ამ რო-
მანში მშვიდობისა და სიცოცხლის სიმ-
ბოლოდაა გამოყენებული და დრმა ოპ-
ტიმიზმის გრძნობით ავსებს მკითხვე-
ლებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქარ-
თულ ლიტერატურას აშკარად ეტყობა
ეთიკური პრობლემატიკით გატაცება.
თანამედროვე ადამიანის მორალურ-ეთი-
კური სახის გარკვევას არაერთი მხატვ-
რული ნაწარმოები მიეძღვნა. მათ შო-
რის ამ პრობლემის მხატვრული გადაწყ-
ვეტით გამოირჩევა დემნა შენგელიას
„განძი“. შეიძლება თავდაპირველად ერ-
თგვარი დაუჭვება გამოიწვიოს იმ გარე-
მოებად, რომ ამ მოთხრობას თითქოს ხე-
ლოვნური ან, უფრო სწორად, იშვიათი
და უცნაური შემთხვევა აქვს დადებული
საფუძვლად. კერძოდ ის, რომ საულია,
ერთი უბრალო ქართველი გამრჯე კოლ-
მეურნე გლეხი, განძს იპოვის ყანაში მუ-
შაობის დროს. მაგრამ ასეთი ხასიათის
ნაწარმოებში მთავარი განცდის სიმართ-
ლეა და არა ფაქტის. ამ თვალსაზრისით
კი „განძი“ უადრესად მართალი ნაწარ-
მოებია. „განძი“ უთუოდ გაახსენებს მკი-
თხველს სტეინბეკის ცნობილ მოთხრო-
ბას „მარგალიტს“. ამ ორი ნაწარმოების
შედარება თვალნათლივსა ხდის ორი სა-
მყაროს სრულიად განსხვავებული ცხოვ-
რების წესს, ადამიანთა სრულიად განს-
ხვავებულ განცდებსა და ეთიკურ საფუ-
ძვლებს. სტეინბეკის მოთხრობაში ღა-
რიბ-ღატაკი მარგალიტის მძიებლისათ-
ვის ძვირფასი განძის პოვნა ტრაგიკული
შეიქნა, რადგან იგი მონის მდგომარეო-
ბაშია ჩაყენებული. მისი პროტესტი
საბედისწერო აღმოჩნდა. ეს მოთხრობა
მკვეთრი პროტესტია სოციალური უსა-
მართლობის წინააღმდეგ. დემნა შენგე-
ლიას მოთხრობის გმირი კი სხვა სოცი-
ალურ გარემოში ცხოვრობს, სადაც ოქ-
როს ფეტიში არ არსებობს და მისთვის
განძის პოვნა მხოლოდ საკუთარი ბუნე-
რის ღალატის, ფსიქოლოგიური განც-

დის, ეთიკური საფუძვლების რღვევის გამო ხდება ტრაგიკული. მოთხრობის ასეთი ტრაგიკული ფინალი კიდევ უფრო მძაფრად განგვაცდევინებს იმას, თუ რამდენად მიუტევებელია ადამიანისათვის ზნეობრივი საფუძვლების ღალატი. დემნა შენგელია უაღრესად ამძაფრებს თავისი გმირების განცდებს, თვითონაც სასტიკ მსაჯულად ევლინება მათ, მაგრამ ყოველივეს აკეთებს ერთადერთი განზრახვით: მოთხრობის მიზანდასახულება ემოციურად დაძაბული, ძლიერი და შთამბეჭდავი იყოს მკითხველისათვის.

როგორც ვხედავთ, დემნა შენგელია თავისი სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე მეტად აქტიურ შემოქ-

მედებით მუშაობას ეწეოდა. მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ საბჭოთა პროზას და მას შემდეგ ერთგულად ემსახურება ამ ქანრის განვითარებას. იგი ახლაც ჭაბუკური გატაცებით მუშაობს და ვინც პირადად იცნობს, იცის, რაოდენ დიდი გეგმები აქვს მწერალს და რა მხნედ არის.

ქურნალ „ცისკრის“ რედაქცია და მკითხველები გულითადად ვულოცავთ გამოჩენილ ქართველ მწერალს დაბადების 70 წლისთავს და ვუსურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს, ვუსურვებთ კვლავაც მრავალგზის გაანაროს თავისი მკითხველები ახალი ნაწარმოებებით.

ნორჩი თაობის მოაზრება

მწერალ ლავრენტი ზიზინაძეს შეუსრულდა დაბადების 60 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ და საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექციის ბიურომ მისალმონი დეპეშა გაუგზავნა მწერალს. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექციის ბიუროს მისალმონი დეპეშაში ნათქვამია:

„მკირფასო ლავრენტი! თქვენი მებოგბარი საბავშვო მწერლები გულმხუტავლედ გილოცავენ დაბადების სამოცი წლისთავს.

უინარსინენ და ნაყოფიერი თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება. თქვენ ხომ ოცდაათი წელია თავგადავით და უანგაროდ ემსახურებით ნორჩი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს.

მასწავლებლობა გორის მე-5 საშუალო სკოლაში დაიწყეთ და მას მერე, სადაც კი მუშაობდით, — სკოლაში, საბავშვო ჟურნალებისა თუ გაზეთის რედაქციებში, პირნათლად ემსახურებოდით ამ წმიდათა-წმიდა საქმეს.

პედაგოგიური მართალი ალლო ეტყობა თქვენს წიგნებსაც, რომელთაც მოიკოვმეს ნორჩ მკითხველთა სიყვარული და კატივისცემა.

თქვენი პირველი ლექსი „ღამე გადაიჩი-

ხა“ დაიგებდა 1926 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, ხოლო მოთხრობა „პირველი საღილი“ 1929 წელს ჟურნალ „პირნენოში“. 1934 წელს გამოვიდა თქვენი პირველი წიგნი „ისლიანი სახლები“ და მას შემდეგ ბევრი კარგი მოთხრობით დასაჩუქრეთ მოზარდი მკითხველი. „ჰარმაგი“ „ნარბავი“, ისტორიული მოთხრობების კრებული „ნადირ შაჰის ხმალი“, „თანაკლასელები“, „სთვალე“, „სახსოვარი“, — აი თქვენი წიგნების არასრული სია.

განსაკუთრებული სიყვარულით გაათვით პატარა მკითხველისათვის განსაკუთრებული წიგნები: „თეთრა“, „პატარა ბიჭი“, „ცანცარა“...

თქვენი წიგნები მკითხველს შთაბოძნებენ სამართლიანობას, პატიოსნობას, უღვივებენ პატიოტულ ზრწნობას, აყენებენ ზომბარბობის და სიკეთის გზაზე.

მკირფასო ლავრენტი! დღეს თქვენ მუშაობთ საბავშვო წიგნის სახლში. ვიმოდებნებთ, რომ თქვენი დაუზარალი შრომით ეს ახალი შემანიშნავი დაწმებულება სულ გელე გახდება ქართული საბავშვო ლიტერატურის შემსწავლელი კარა.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღებრბელობას და ახალ-ახალ შემოქმედებით გაგარჯვებას.“



ჩვენი ხალხი

ჩვენი დედაქალაქი

პირი თევზაძე

მიყვარს თბილისი და ვიცი ეს არავის გაუკვირდება. ვის არ უყვარს მშობლიური ქალაქი, მაგრამ თბილისს მაინც სხვა ეშხი და სილამაზე აქვს. „ბევრ ქალაქს არ ჰქვია დედამიწაზე ისე ზუსტი და ზედამოჭრილი სახელი, როგორც თბილისს, — ამბობს პოეტი ირაკლი აბაშიძე, — თბილისში თბილი წყაროებიც რომ არ ყოფილიყო, რის გამოც სინამდვილეში მას ეს სახელი ეწოდა, ჩვენი ქალაქი მაინც იქნებოდა ამ სახელის ღირსი. თბილისს სხვა სიტბო აქვს, თავისებური, თბილისური. ამ სიტბოს მართო ჩვენ, თბილისელები რომ ვგრძნობდეთ, გასაკვირველი არაფერი იქნებოდა — ყველას ქალაქი უყვარს თავისი — მაგრამ ამ სიტბოს სტუმარიც გრძნობს ხოლმე და იგი დიდხანს მიჰყვება მას თავის ქვეყანაში“.

ალექსანდრე პუშკინი წერდა: „თბილისში რამდენიმე დღე დავრჩი თავაზიან და მხიარულ საზოგადოებაში. რამდენიმე საღამო ბაღებში გავატარე მუსიკისა და ქართული სიმღერების მოსმენაში. ქართველები მეომარი ხალხია, მათ გონებრივ ნიჭიერებას დიდი განათლება მოეღის“. ლევ ტოლსტოი კი ამბობდა: „თბილისი ცივილიზებული ქალაქია, დიდი რჩეული საზოგადოება ჰყავს“... „ვით

ამხანაგი, ისე მიყვარხარ, ჩემო ქალაქო“, — მღერის თანამედროვე ცნობილი რუსი მწერალი ნიკოლოზ ტიხონოვი.

ჩვენი თბილისი! კეთილი, თბილად მფეთქავი გული, სტუმართმოყვარე მასპინძელი, თითქოს არასდროს არაფერა სტკენოდეს, თითქოს არასდროს ჰიერი და დარდი არ ენახოს, თითქოს არასდროს კენესა არ ამოხდომოდეს, — მუდამ ტკბილად მოლიმარი, თბილად მოალერსე, როგორც დედა შვილების ზრუნვაში გათეთრებული.

იქნებ ამ სიტბოში იყოს თბილისის უკვდავების საიდუმლოც. ალბათ ყოველთვის ამ სიტბოს ამოჰყავდა მტრის მიერ მრავალჯერ გადათხრილ თბილისის მიწაზე ახალი ნერგი. აბა რატომ არ გაქრა სიცოცხლე თბილისში მურვან ყრუსა და ბულა თურქის შემოსევების შემდეგ, რატომ არ გაქრა სიცოცხლე თბილისში ლენგ-თემურისა და ჯალალედინის, შაჰ-აბასისა და ალა-მაჰმად ხანის თარეშის შემდეგ? ბევრ ქალაქზე არ გადაუვლია იმდენ ქარიშხალს, რამდენსაც თბილისზე! სწორედ ის სიტბო, თბილისური სიტბო, მისთა მკვიდრთა მარად ცოცხალი სულის გაუტეხელობა აღადგენდა ჩვენს დედაქალაქს...

როცა ყურს უვადებ მტკვრის დუღუნს.

გრძნობ, რომ ყველაზე ახლო ხარ მშობ-
ლიური ქალაქის წარსულთან. საუკუნე-
ებს გაუვლია სწორედ ამ გზით როგორც
მდინარის ზვირთებს. ფიქრობ ამაზე, გა-
სცქერი ლამპიონებით გაჩირაღდნებულ
ქალაქს და გიხარია, რომ ყველაფერი.
რაც დღეს შესანიშნავი და კარგია ქალა-
ქში, საბჭოთა ადამიანის მადლიანი მარ-
ჯვენითაა შექმნილი და გაკეთებული.
ათას ხუთას წელს გადააბიჯა თბილისმა.
მაგრამ ჩვენი წინაპრების ღვაწლს
ჩრდილს არ მივაყენებთ თუ ვიტყვი,
რომ ამ 45 წლის მანძილზე უფრო მეტად
აშენდა და დამშვენდა თბილისი, ვიდრე
მთელი 1500 წლის განმავლობაში. საბ-
ჭოთა ხელისუფლების წლებში მეორედ
დაიბადა იგი.

თვითონ თბილისის ქუჩები დაღადე-
ბენ დედაქალაქის მეორედ დაბადებას.
რა დიდებულად გამოიყურება თბილი-
სის მთავარი ძარღვი — რუსთაველის
პროსპექტი, ლენინის მოედანი. თუ თბი-
ლისი საბჭოთა საქართველოს გულია,
ლენინის მოედანი თბილისის გულია. აქ
საბჭოთა ხელისუფლების უძლეველო-
ბის სიმბოლოდ დგას დიდი ლენინის ძე-
გლი, რომელიც ყოველ დღესასწაულზე
ცოცხალი ყვავილების თაიგულებითაა
დამშვენებული.

კარგი და ლამაზია ჩემი მშობლიური
ქალაქი — მეტადრე დილით, როცა იღ-
ვიძებს და სინათლისაკენ მიილტვის, აი-
სი ჯერ არ ანთებულა, თბილისის გარ-
შემო შემოჯარული მთები კი ამაყად წა-
მომართულან, როგორც ამ მიწის ბუმბე-
რაში გუშაგები.

არანაკლებ ლამაზია თბილისი მაშინ,
როცა მთა-გორაკებზე ბინდი წვება და
ქუჩები ელნათურებს ოქროს ღილებად
აისხამს. გასცქერი მშობლიურ ქალაქს
და ასე გგონია, თითქმის ვარსკვლავებით
მოჭედილი ცა ძირს ჩამოსულა.

ნარიყალას მხრიდან გადმოსცქერის
ჩვენს დედაქალაქს ქართველი დედის
ვეება ქანდაკება. მას ერთ ხელში მახვი-
ლი უჭირავს, მეორეში კი — თასი, რაც
სიმბოლოურად გამოხატავს ჩვენი წინაპ-
რების დანაბარებს: მტერს მტრულად

დაუხვდით, მოყვარეს კი — მოყვრულა-
დო... დგას დედა-ქალი და გადმოსცქე-
რის დღევანდელ თბილისს — ასევე მშობ-
სა და მშვენიერს. ქალაქის საუკუნოვან
ბალავარზე მეტეხისა და ნარიყალას გა-
ლავნები, სიონისა და მთაწმინდის ტაძ-
რები აღმართულან, როგორც მისი სიძ-
ველის უტყუარი დადი და ბეჭედი, რო-
გორც წინაპართა დიდი რწმენისა და ვა-
ჟაკაცობის, მრავალჭირთა და ქართველ-
თა უტყვი მოწმე.

მაგრამ ჩემი მშობლიური ქალაქი სიძ-
ველით კი არა, სიახლით, სიჭაბუკით იწ-
ონებს თავს. შემოგლიმიან, შემოგცინიან
ახალი სახლები, ქუჩები, გზატკეცილები,
ბალები, ხეივნები. მიყვარს, საღამოო-
ბით განათებულ ფანჯრებს რომ ვუყუ-
რებ. რამდენ სიხარულს გვანიჭებენ ეს
ფანჯრები. ამ ფანჯრებიდან ვეგებებით
ახალწლის განთიადს და მისის მზის ამ-
ობრწყინებას, აქედან უყრიან ბავშვე-
ბი საკენკს აივანზე შემოფრენილ ბელუ-
რებს, აქედან იწვევენ და ეძახიან მერც-
ხლებს, — საღამე აქ, ახლოს, აივნის კუ-
ნჭულში მიაშენონ ბუდე და დაზარდონ
ბარტყები. ამ ფანჯრებიდან ეხმიანება
მეზობელი მეზობელს, სახლი — სახლს,
ქუჩა — ქუჩას...

ლამპიონებით გაჩირაღდნებული ახა-
ლი პროსპექტი დიდი ქართველი პოეტის
ვაჟა-ფშაველას სახელს ატარებს. მართ-
ლაც, ვაჟასავით ლაღია და მკერდგანიე-
რი, მარადმწვანე მცენარეებითა და ყვა-
ვილნარებით დამშვენებული. დღეს არ-
ის იგი ასეთი, თორემ არც ისე დიდი ხნის
წინათ ქუჩა და პროსპექტი კი არა, ხე
და ბუჩქიც არ ჩანდა თვალსაწიერზე
ტრიალ მინდორში...

სახლი სახლს ემატება, ქუჩა ქუჩას,
თანდათან მიიწვეს ლამპიონების შუქი
აქეთ მახათასა და თაბორის მთებისაკენ,
იქეთ დიღმისა და სამგორის ველ-მინდგ-
რებისაკენ.

ახალმოსახლენი, ახალმოსახლენი...
მისამართის დაწერასაც ვერ ასწრე-
ბენ, რომ უკვე სიცოცხლეს იწყებენ სა-
ხლები. — დიღმის მასივში მიმიყვანე,
ახალ სახლში, — ეუბნება მეზავრი ტაქ-

სის მძღოლს და ამაზე უფრო ზუსტად არ შეუძლია დაუსახელოს საკუთარი სახლის მისამართი. მძღოლი ეძებს სახლს, ბუზღუნებს. ბოლოს მგზავრი იძულებულია, გადმოვიდეს და ქვეითად წავიდეს შინისაკენ.

ნამდვილად შორს გაიწია დედაქალაქის საზღვრებმა — მისწვდა ავჭალასა და გლდანს, სამგორსა და სოღანლულს. მრავალსართულიანი შენობებით დამშვენდა (იქნებ ამ აზრს არც დაეთანხმონ ჩვენი ხუროთმოძღვრები!) წინათ უკაცრიელი ვაკე და საბურთალო, ღრმადლე და ორთაჭალა, დიდმისი, ნავთლუღის, ელშვალმშენებელი და კონიაკის ქარხნების დასახლებები. ჩვენს დედაქალაქს ხომ ამჟამად ორჯერ მეტი ტერიტორია უჭირავს, ვიდრე 1921 წელს. მოსახლეობამ უკვე 800 ათასს მიაღწია. გავა კიდევ ხუთი წელიწადი და იგი 100 ათასამდე კაცით გაიზრდება. სწორედ ამ დროისათვის საცხოვრებელი ფართობი თითო სულზე ორჯერ მეტი იქნება. ათასობით ოჯახი იხეიმებს ახალმოსახლეობა.

სად, რომელ უბნებში ჩაეყრება საძირკველი ახალ სახლებს? ახლა ბევრი არქიტექტორის ყურადღება მიპყრობილია თბილისის ზღვის მიდამოებზე — ბინათმშენებლობის ამ შესანიშნავ უბანზე. მომავალში თბილისის ზღვა და მის ირგვლივ მდებარე ტყე-პარკი ქალაქის შიგნით მოექცევა, შენობები აიგება ზღვის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. მშრომელები მიიღებენ ახალ საცხოვრებელ კვარტალებს, რომელთაც ექნებათ ბუნების ყველა სიკეთე: ზღვა, ულამაზესი პარკი, კულტურისა და დასვენების კერები, მწვანე ზოლი, სუფთა ჰაერი.

მაგრამ ეს მიანიც მომავლის საქმეა. ჯერჯერობით კი მშენებლობა ძირითადად იწარმოებს დიღომში, ელშვალმშენებელი ქარხნის დასახლებაში, ავჭალის გზატკეცილზე, ორთაჭალაში... ამ უბნებს დაამშვენებს ახალ ნაგებობათა მთელი კომპლექსები. აქ აღიმართება თბილისური ცათამბჯენები — ასე ვუწოდოთ იმ სახლებს, რომელთა მშენებ-

ლობას საგზური წლებულს უნდა მიეცეს. სწორედ თბილისის რელოვების თვისებებზე — მთავორიან მშენებლობაზე და ტერიტორიულ მშენებლობაზე წარმოშვა ახალი სახლების მშენებლობის იდეა, თბილისური ცათამბჯენები ყველა უბანს დაამშვენებს. მაღალი კოშკები ამაყად გადახედვენ ქალაქს, სიმაღლეში გაეჯობრებიან მთაწმინდას.

უქანასკნელ წლებში მრავალი საცხოვრებელი სახლი, სამრეწველო ობიექტი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა აიგო. გასულ შვიდ წელიწადში საბინაო ფონდის ნამატმა, კოოპერაციული მშენებლობის ჩათვლით, მილიონ 250 ათასი კვადრატული მეტრი შეადგინა, ეს კი ნიშნავს, რომ აშენდა ახალი რევოლუციამდელი თბილისი...

მშობლიური ქალაქი მარტო ახალი ლამაზი სახლებით როდი იწონებს თავს. აგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრია. დღევანდელი თბილისის ინდუსტრიული მაჯისცემა რომ იგრძნოთ, საკმარისია რამდენიმე ხანს დაპყროთ რკინიგზის სადგურზე. სად არ იგზავნება თბილისური მარკით გამოშვებული პროდუქცია. ყოველი თბილისელისათვის საამაყოა, რომ შორეული ციმბირის ფოლადის მაგისტრალზე მძიმე წონის მატარებლებს დააქროლებენ ჩვენს დედაქალაქში გამოშვებული ელშვალები, რომ თბილისურ ჩარხებზე ახარატებენ დეტალებს იუგოსლავიისა და ინდოეთის საწარმოებში, თბილისური მარკის საქონელი მოწონებით სარგებლობს ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში, უნგრეთსა და რუმინეთში, ბულგარეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქვეყნოდ არის განთქმული თბილისში დამზადებული ქართული ჩაი, კონიაკი, ღვინო.

ნამდვილად, ბევრი რამ აქვს საამაყო ჩვენს დედაქალაქს. განუწყვეტლივ დაჰქრებიან ცისფერი ექსპრესები და ქალაქის ერთი უბნიდან მეორე უბანში გადაჰყავთ მგზავრები. გაავლის კიდევ ერთი წელი და თბილისელები კვლავ ახალ საჩუქარს მიიღებენ — მეტროპოლიტენის ტრასა

ქალაქის პირველ საავადმყოფოში გავრქმელდება.

მეტროპოლიტენის ახალ ტრასაზე სამი სადგური შენდება. ესენია „ლენინის მოედანი“, „26 კომისარის სახელობისა“ და „300 არაგველი“. 1967 წლის პირველ ნახევარში ცისფერი ექსპრესი გაივლის ლენინისა და შაუმიანის მოედნებს, ძველ ისანს და მგზავრს ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან მიიყვანს. ეს იქნება დროს დაზოგვის ყველაზე უკეთესი საშუალება — დიდუბიდან „300 არაგველის“ სადგურამდე მანძილი 15-16 წუთში დაიფარება.

თბილისის მეტროპოლიტენს დიდი მომავალი აქვს. აღარას ვამბობთ ახალ ტრასებსა და სადგურებზე. უკვე შეიქმნა მეტროში დამატებითი შესასვლელების პროექტები. ვისაც ოქტომბრის ქუჩიდან მოხვედრა სურს, ახლა უნდა გადაიაროს რკინიგზის გადასასვლელი ხიდი ან ტრამვით მოუაროს ფიროსმანის ქუჩას, მალე მეტროში შესასვლელი ამ ქუჩაზეც გაიხსნება, ესკალატორი რამდენიმე წუთში ჩაიყვანს მგზავრს, მატარებელი კი ნებისმიერი მიმართულებით გააქროლებს. ასეთივე დამატებითი შესასვლელი ექნება სადგურ „ლენინის მოედანს“ ბუშკინის ქუჩიდან, „26 კომისარის სახელობისას“ კი — გორგასლის ქუჩიდან. ამჟამად გვირამშენებლები ახალი ენერგიით ებრძვიან კლდესა და წყალს; ამავრებენ გვირაბებს, გაყავთ რკინიგზა, აშენებენ სადგურებს.

ზევით კი? ზევით ცის ლაყვარდებს დასერავს ახალი საჰაერო-საბაგირო გზები. საპირველმანისოდ ჩვენს დედაქალაქში გაიხსნა ახალი საჰაერო-საბაგირო გზა, რომელმაც ვაკის პარკი კუს ტბასთან დააკავშირა. ბუნების ეს შესანიშნავი სავანე, რომელიც ზღვის დონიდან 850 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, მშრომელთა დასვენებისა და კულტურული გართობის ერთ-ერთი საუცხოო კერაა. საბაგირო გზაზე სრიალებს ორი ვაგონი.

ლისის ტბა დასვენების შესანიშნავი ადგილია თბილისის მახლობლად. მალე


აქაც დაიწყება მეოთხე საბაგირო გზის მშენებლობა. იგი ვაჟა-ფშაველას პროსპექტიდან ლისის ტბამდე გაიჭიმება. ლისის ტბის შემოგარენს კი ულამაზესი ტყე-პარკი დაამშენებს. შესაძლებელი გახდება ზაფხულის პანანაქება სიცხეში უმოკლესი გზით ეწვიო ლისის ტბას და ბუნების წიაღში დაისვენო...

და არა მარტო ლისის ტბას დაამშენებს მშვენიე სამოსელი. ქალაქის ქუჩებში, მოედნებზე, ფერდობებზე დაირგება ათასობით ხე და ბუჩქი, გაშენდება ახალი ხეივანები, ბაღები, სკვერები, გაზონები. გრძელდება თბილისის ზღვისა და კუს ტბის ტერიტორიების შემდგომი კეთილმოწყობა. ვაკის პარკის ფერდობზე, ბუნებრივი პირობების გამოყენებით, შეიქმნება მეტად საინტერესო და წარმატაცი ნაგებობა — კასკადი (შადრევნებისა და ჩანჩქერების კომპლექსი), რომელიც უფრო მიმზიდველს გახდის პარკს.

ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ვაკისა და საბურთალოს შემაერთებელ გზასთან ახლომდებარე სკვერში დაიწყება მშენებლობა კულტურის სახლისა, რომლის სამსართულიან შენობაში ერთდროულად მოთავსდება 1.200 ადგილიანი თეატრი, 400 ადგილიანი ფართოეკრანიანი კინოთეატრი, საცეკვაო დარბაზი, ესტრადა...

გაგრძელდება მშენებლობა: კინოსაკონცერტო დარბაზისა 2.500 მაყურებლისათვის ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების შესაყარში, 1.100 საწოლიანი რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს შენობათა კომპლექსისა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, რომელშიც ცენტრალურ ადგილს დაიკავებს 12 სართულიანი კლინიკური კორპუსი.

გაგრძელდება მშენებლობა ონკოლოგიის, რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების კორპუსებისა ლისის ტბის მიდამოებში; საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და



ჰემატოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა დილოში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობათა და ნაგებობათა კომპლექსისა საბურთალოზე, 20-სართულიანი „ინტურისტისა“ — ელბაქიდის დაღმართზე; სამსართულიანი ავტოვაგზისა — კიროვის რაიონში, აკვედუკთან, რომელიც ყოველდღიურად გაატარებს 340 ავტობუსს, 600 ტაქსს და მოემსახურება 20 ათას მგზავრს; ქალაქს დაამშვენებს საჰაერაკო-ალბინისტური კლუბი ვაკის პარკში.

წელიწადის ყველა დროს თავისებურად ლამაზი და მიმზიდველია ჩვენი საყვარელი დედაქალაქი. განსაკუთრებით წარმტაცია იგი გაზაფხულზე, როცა ნაზამთრალი მიწა იღვიძებს, ნელნელა თვალს ახელენ ენძელები, იები, იასამნები, მაგრამ წლევუს თბილისი ყველაზე წარმტაცი შემოდგომაზე იქნება, როცა სადღესასწაულოდ მორთული აღნიშნავს გენიალური პოეტისა და ჰუმანისტის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

საგანგებოდ ემზადება თბილისი ამ თარიღისათვის. ახალი ფართო სანაპირო გადაიჭიმება მტკვრის მარჯვენა მხარეს ფიზკულტურელთა პარკიდან საქართველოს სამხედრო გზამდე, დამთავრდება 18 მეტრი სივანისა და 700 მეტრზე მეტი სიგრძის ახალი მაგისტრალის გაყვანა, რომელიც საქართველოს სამხედრო გზას დააკავშირებს კოლხეთის ქუჩასთან, დამთავრდება პეკინის, რაზმაძისა და ბევრი სხვა ქუჩის რეკონსტრუქციით. კიდევ უფრო გალამაზდება რუსთაველის პროსპექტი, ხელახლა მოასფალტდება მისი სამოძრაო ნაწილი, ტროტუარებზე დაიგება ბაზალტის ფილები, განახლდება ბორდიურები და გაზონები, დასახულია განხორციელდეს ისტორიული ძეგლების რესტავრაციისა და განახ-

ლების, ღირსშესანიშნავი ადგილების კეთილმოწყობის მთელი რიგი ღონისძიებანი.

რა შეიძლება ვთქვათ ქალაქის ელექტრო-ტრანსპორტის შესახებ. წელს თბილისს შეემატება მეტროპოლიტენის 7 ახალი ვაგონი, 20 ტროლეიბუსი და ტრამვაის ამდენივე ვაგონი. საგრძნობლად გაფართოვდება და გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება ახალი ობიექტების აშენებითა და მოწყობით, არსებული ქსელის გაფართოებითა და რეკონსტრუქციით.

თბილისი ქართული მეცნიერებისა და აზროვნების ცენტრია. 1941 წლიდან აქ არსებობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ნიკო მუსხელიშვილი ხელმძღვანელობს. ახალი კადრების ნამდვილი სამკვდლოა თბილისის უნივერსიტეტი, სადაც მრავალი გამოჩენილი მეცნიერი მოღვაწეობს. ბევრი მათგანის ნაშრომი ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თბილისის — ხალხთა მეგობრობის ამ უჭკნობი ქალაქის სახელისა და ღირსებისათვის თავდადებით შრომობს აქ მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანი — სახელოვანი მეცნიერები, შრომაში დავაყვავებული ნოვატორები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ექიმები, პედაგოგები, ფიზკულტურისა და სპორტის ოსტატები...

როცა შენს ქალაქზე, მის ხვალისდღელღეზე ფიქრობ და ამ ფიქრს სხვას უზიარებ, მუდამ ეჭვი გაქვს, ქებაში ხომ არ გადააჭარბე. თუნდ ასეც იყოს, მერე განა ეს საძრახისია? სიყვარული ვის მოუზომავს, ყოველი ზედმეტი სიტყვა ხოტბად კი არა, დაე ალერსად მიიღოს ორგზის ლენინის ორდენოსანი რესპუბლიკის დედაქალაქმა — ჩვენმა საყვარელმა თბილისმა.



ნოდარ მგალობლიშვილი

ვის არ სმენია ან არ უთქვამს ასეთი გულისამაჩუყებელი სადღეგრძელო თბილისზე:

— მე მინდა შემოგთავაზოთ ეს ძველებური სასმისი. ვადღეგრძელოთ ჩვენი ლამაზი, საყვარელი და განუშემორებელი ქალაქი, 1500 წლის წინათ მეფე ვახტანგ გორგასალმა რომ ჩაუყარა საფუძველი. მას მერე რამდენჯერ გაუპარტახებია იგი უღმობელ მტერს. მაგრამ, ვითარცა ზღაპრული ფენიქსი, თბილისი ფერფლიდან დგებოდა და უფრო თვალწარმტაცად იფურჩქნებოდა. თბილისი ფიროსმანისა და გალაკტიონისა, თბილისი — ულამაზესი ქალაქი, თბილისი... და ასე შემდეგ.

ვიყოთ ბულწოფილი. მრავალი ჩვენგანი ზოლოდში არ ვისახურობა იმ კეთილშობილურ სამყაროში, რომელმაც ხშირად და ბევრს ვლამაზობდა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი დედაქალაქით, მაგრამ დღესდღეობით მაინც ცოტას ვაკეთებთ მის გასაღამაზებად და კეთილშობილურად. ხანდახან პირიქით, — ვაუშნობთ და ვამახინჯებთ პირველს.

უკანასკნელ წლებში თბილისში ბევრი შესანიშნავი და კეთილი საქმე გაკეთდა: ძველი რაიონების რეკონსტრუქცია; სანაპიროები და ახალი საცხოვრებელი სახლები; ძეგლები და მონუმენტები; ახალი მიღაზიები და კაფეები; საავადმყოფოები, ინსტიტუტები; რასაკვირველია — რესტორნებიც.

ამ ახალ მშენებლობებზე ბევრი დაიწერა და კიდევ უფრო მეტი უნდა დაიწეროს. რა სჯობია კარგსა და კეთილ საქმეზე ლაპარაკსა და წერას — შენც უფრო გეადვილება და სხვებისთვისაც სასიამოვნოა. მხოლოდ ბოროტსა და ღვარძლიანს არ ახარებს სიკეთე და სილამაზე. მაგრამ მხოლოდ ბოროტი და ღვარძლიანი არ გეტყვის პირდაპირ, თუ რაიმე

შეგამჩნია დასაძრახი. გულგრილიც არაფერს გეტყვის, არც კარგსა და არც ავს.

მე ხშირად მიხდება მთაწმინდაზე ასვლა სტუმრებთან ერთად. ყოველთვის მალეღვებს ჩვენს თვალწინ გადამლილი ქალაქის თავისებური და დიდებული სანახაობა. მინდა, სტუმრებმაც იგრძნონ ჩვენი ქალაქის სილამაზე. თბილისის არქიტექტორებმა საგანგებო მარშრუტიც კი გამოვიმუშავეთ ჩამოსულთათვის. გვინდა მათ ვაჩვენოთ მხოლოდ კარგი, მხოლოდ ლამაზი. ხანდახან ეს ძალიან გვიჭირს, განსაკუთრებით, როდესაც ახალ რაიონებში გავდივართ — დიღომში ან ნავთლულში. ცენტრშიც ბევრი რამ არის არასახარბიელო.

სწორედ ხარვეზებზე, გამოუსწორებელ შეცდომებსა და უპასუხისმგებლო მშენებლობებზე მინდა რამდენიმე სიტყვა მოვახსენოთ. მე მხოლოდ თბილისის სიყვარული და მოქალაქეობრივი გულისტკივილი მალაპარაკებს.

ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვინს ახალი საცხოვრებელი რაიონების, ცალკეული შენობების, მოწვიმებისა და ძეგლების მკაცრი კრიტიკა. უმეტეს შემთხვევაში ბრალი არაჩიბაძორებს იდებათ, არ ვიქნები ბულწოფილი და არც არავინ დამიჯიბებს თუ ვიტყვი, რომ არაჩიბაძორები ყველაფერს კარგად აკეთებენ. ჩვენ უარ არ უნდავიძლია ვიამაყოთ თანამედროვე არაჩიბაძორული ნაგებობით ისე, როგორც ვამაყობთ ბალახტიონის პოეზიით, მუსხელიშვილის მიღწევებით მთაბაბიასი, ბერიტაშვილის გამოკვლევებით ფიციოლოგიაში, მაგრამ ყველა ცოდვას არაჩიბაძორებს ნუ გადავხარბავთ.

უპირველეს ყოვლისა, ეს „ცოდვები“ ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული. მე ვლაპარაკობ ძალიან ღრმა შინაგან მიზეზებზე, რომლებიც დაკავშირებულია ობიექტურ წინააღმდეგობასთან, სადაც პროგრესული არქიტექტურის თა-

ნამედროვე მოთხოვნები უპირის-პირდება არსებულ საამშენებლო ბაზას და ეკონომიურ შესაძლებლობებს. ასეთ დროს მომხდარ „შეცდომებს“, რაღაც თქმა უნდა, არქიტექტორს ვერ დავაბრალვებთ.

არქიტექტორის მოვალეობაა მთელი ძალითა და ენერგიით, შემოქმედებითა და პრინციპულად ებრძოლოს არსებულ არანორმალურ მდგომარეობას. ეს არის არქიტექტორის, როგორც ყოველი სინდესიერი ადამიანის, მოქალაქეობრივი ვალი.

არის აგრეთვე სხვა ნაკლიც თბილისის მშენებლობაში. ეს ნაკლი გამოწვეულია არქიტექტორთა უპასუხისმგებლობით ან უცოდინარობით, ან, წარმოიდგინეთ და... არც უამისობაა — უნიჭობით.

ნათლად უნდა გავერკვეთ, რაში ვდებთ ბრალს არქიტექტორებს და მაშინ კრიტიკაც სასარგებლო იქნება.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ არქიტექტურას, გარდა იმიისა, რომ იგი უძველესი და ძალიან დიდი ხელოვნებაა, აქვს თავისი სპეციფიურობა, რაც მკვეთრად ანსხვავებს მას ხელოვნების სხვა დარგებისაგან. თუ მხატვრისთვის საკმარისია ფუნჯი და ტილო, ხოლო მწერლისა და კომპოზიტორისთვის კალამი და ქაღალდი, — არქიტექტურულ ხელოვნებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს თითქოსდა პროზაული ამბები, როგორცაა მკაცრი ეკონომიკა, თანამედროვე საამშენებლო ტექნიკა, მექანიზმები და მასალები, მშენებლობის კულტურა და სხვა... ამიტომ არქიტექტორს გაცილებით უჭირს გამოავლინოს თავისი ინდივიდუალური, შემოქმედებითი სახე არქიტექტურულ ნაწარმოებში, ვიდრე, მაგალითად, პოეტს, მოქანდაკეს, მსახიობს. თუ არ იქნება მშენებლობის მაღალი კულტურა, თუ არ იქნება თანამედროვე საამშენებლო მასალები, თუ არ იქნება საჭირო სახსრები, რა თქმა უნდა, გენიოსიც რომ იყო, ვერ შექმნი მაღალხარისხოვან არქიტექტურულ ნაწარმოებს. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ ნიჭიერ პოეტს შესთავაზეს ისეთი

ლექსის დაწერა, რომელშიც იქნება მხოლოდ ორი ან სამი რითმა და ეს გათვით-მული სიტყვებიც განუსაზღვრებელი ვიღვლია, დიდი ვერაფერი ლექსი გამოუვა ნიჭიერ პოეტს. ვთქვათ და კომპოზიტორმა დაწერა შესანიშნავი სიმფონია, რომლის შესრულება დაავალეს არაპროფესიონალებს. სიმფონია არავის მოეწონება, მაგრამ კომპოზიტორს ვერაფერს ვუსაყვედურებთ.

არქიტექტორების მიმართ კი ასეთი საყვედური, სამწუხაროდ, ხშირად გაისმის. ეგრეთწოდებულ მასივებში — საბურთალოსა თუ ნავთლედში — არქიტექტორს დაავალეს ქალაქის მთელი რაიონის აშენება ერთი ან ორი პროექტის საშუალებით. რასაკვირველია, კარგი შედეგი ვერ მივიღეთ. რაც შეეხება ტიპობრივ მსხვილპანელიან სახლებს, პროექტების ეს სერია ჩრდილოეთის პირობებისათვის იყო დამუშავებული. ასეთ სახლებს მექანიკურად მიაღვეს აივნები და დღემდე ასე აშენებენ მთელ ამიერკავკასიაში. ამ შეცდომებს არქიტექტორებს ვერ დავაბრალვებთ, რადგან ტიპობრივმა სახლებმა გადაჭრეს ან, უკეთ რომ ვთქვათ, უნდა გადაეჭრათ, უფრო ეკონომიური პრობლემა, ვინემ მხატვრული და არქიტექტურული.

მეორე მაგალითი: არქიტექტორმა სკოლა 840 მოსწავლისათვის დააპროექტა. გამოიყენა მთელი თავისი გამოცდილება, შეისწავლა სამამულო და მსოფლიო პრაქტიკა და მეცნიერული მიღწევები. მაგრამ, ვთქვათ, სკოლაში მიიღეს 2400 მოსწავლე. ყოველ კლასში ორმოცის ნაცვლად 50-60 მოსწავლე მოხვდა. რა თქმა უნდა, ვერცერთი სათავსო ნორმალურად ვეღარ ასრულებს თავის დანიშნულებას. საყვედურით კი საყვედურობენ, არქიტექტორმა სკოლა ცუდად დააპროექტაო. რა თქმა უნდა, საყვედური უმართებულოა. არაპროფესიონალურ, დილეტანტურ რჩევებს და რეცეპტებს არავითარი სარგებლობა არ მოუტვთ არქიტექტორებისათვის.

ამ წერილში ჩვენ არ ვაპირებთ ყველა ობიექტური წინააღმდეგობის გამოვლი-

ნებას. ეს დიდი და საგანგებო საკითხია. რომელიც მოითხოვს ვრცელსა და გულ-ლია საუბარს.

ქართულ გაზეთებსა და ყურნალებში ამ უკანასკნელ ხანს ზოგჯერ ხელისწამო-კვრით იხსენიებენ არქიტექტორებს. უნ-და ითქვას, რომ არქიტექტურაში ისევე როგორც ლიტერატურაში, თეატრსა თუ კინოში, მუსიკასა თუ სახვით ხელოვნე-ბაში — მიღწევებიც არის და ჩავარდნე-ბიც. თუ ხანდახან ვემდურით არქიტექ-ტორს ცუდი ნაგებობისათვის, ზუსტად ასევე ვემდურით მწერალსაც და კომპო-ზიტორსაც ცუდი წიგნისა თუ ოპერისა-თვის.

შეიძლება თქვათ, არქიტექტურულ ნა-გებობას მეტი მოეთხოვება, — ცუდ წიგნს არ წაიკითხავს კაცი, ცუდ კინო-სურათს არ ნახავს, ცუდ სახლში კი, გი-ნდა თუ არ გინდა, უნდა იცხოვროო.

მართალია, მაგრამ ლაპარაკია არა უტ-ილიტარულ, ფუნქციონალურ მხარეზე, არამედ ესთეტიურ-შემოქმედებით საწ-ყისებზე. შეიძლება შენობაში ესა თუ ის ტექნოლოგია ზუსტად იყოს დაცული და აკმაყოფილებდეს ყოველნაირ მოთხოვ-ნილებას, მაგრამ ეს შენობა არ იყოს მა-ღალმხატვრული და ჭეშმარიტად არქი-ტექტურული.

ერთი სიტყვით, კიდევ მინდა გავიმე-ორო: ნუ დავდანაშაულებთ არქიტექ-ტორებს იმაში, რაც არ შეიძლება დანა-შაულად წავუყენოთ. მე მგონია, თავიან-თი დანაშაულიც ეყოფათ. სწორედ ამის თაობაზე მინდა ვისაუბროთ.

პასუხისმგებლობა. აკადემიკოსის შემოკ-ვედების შეფასების ერთ-ერთი შემთავრები პრიტიკირებში არის შემოკვედებითი პასუხის-მგებლობა. იმთ შობას, რომ საზოგადო-ების წინაშე აკადემიკოსის პასუხისმგებლო-ბა სცილდება ვიწრო ინფორმაციულ ჩარ-ჩობას.

განა უპასუხისმგებლობა არ არის რომ ძველი თბილისის ძალიან ბევრ შე-უღარებელ ანსამბლს თანდათანობით ვა-ფუქებთ და ვანადგურებთ?

განა თბილისი ღირსი არ არის, ისტო-რიული ძეგლები შევუნარჩუნოთ? ძეგ-ლები, რომლებიც საუკუნეების მანძილ-

ზე მემატრიანენი იყვნენ საქართველოს მრავალტანჯული ისტორიისა? ვამდენი ნაგებობა დაიკარგა ესთა სრბოლომ და რაც დარჩა, იმას მინც უნდა გავუფრთ-ხილდეთ.

უპასუხისმგებლობისა და, თუ გნებავთ, ეროვნული წმინდათაწმინდა გრძობის სრული იგნორირების მაგალითია ამას-წინათ შექმნილი ხიდის პროექტი, რომე-ლიც მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარ-თან უნდა აშენებულყო. ეს ხიდი (საბე-დნიეროდ პროექტი დაიწუნეს) სრული-ად შეცვლიდა საუკუნეების მანძილზე შემონახულ მცხეთის შესანიშნავ სახეს, მტკვრისა და არაგვის შესართავში შექმ-ნილ განუმეორებელ ანსამბლს. არ შეიძ-ლება აქვე არ აღვნიშნოთ არქიტექტო-რების, ისტორიკოსებისა და მხატვრების არაჩვეულებრივი ერთსულოვნება, რა-მაც „გააცამტვერა“ ეს პროექტი. ეს იყო დემონსტრაცია ჭეშმარიტი მოქალაქე-ობრიობისა, სამშობლოს სიყვარულის გულწრფელი და ჯანსაღი გამოვლინება.

ავტორების უპასუხისმგებლობას უნ-და მიეწეროს ის მითქმა-მოთქმა, რაც გამოიწვიეს თბილისში, მთავრობის სა-სახლის წინ დადგმულმა ქანდაკების ჯგუფებმა. მართალია, კომპეტენტურმა საბჭომ დამუშავების პროცესში განიხა-ლა ეს ქანდაკებები და ავტორებსაც მის-ცა რამდენიმე შენიშვნა, მაგრამ განა შე-იძლება საბჭოს წევრებს დავაბრალოთ ის უხეში შეცდომები, რომლებიც დაშ-ვებულია, მაგალითად, მარცხენა ჯგუფ-ში? არა, მხოლოდ ავტორები არიან პა-სუხისმგებელნი. თუკი წარმატებისას ავ-ტორი მედლებსა და პრემიებს იღებს, წა-რუმატებლობისთვისაც მანვე უნდა აგ-ოს პასუხი. ბოლოსდაბოლოს, რა კომ-პეტენტურიც არ უნდა იყოს საბჭო, რა დიდი როლიც არ უნდა ჰქონდეს მის შე-ნიშვნებსა და მითითებებს, მხატვრულ ნაწარმოებს ავტორი ჰქმნის, ავტორი და მისი ნიჭი, ავტორი და მისი პროფესიო-ნალობა...

ამაშია ჭეშმარიტი შემოქმედების კა-ნონი. ამაშია შემოქმედების დიდებუ-ლება და ხანდახან — ტრაგედიაც.

განა შეცდომა არ არის, რომ „დინამოს“ სტადიონის ადგილზე ორჯერ უფრო დიდი სტადიონი უნდა აშენდეს? ისეთი ხალხმრავალი სანახაობა, როგორიცაა ფეხბურთი, თამაშის დღეს რამდენიმე საათით გამოთიშავს ქალაქის დიდ ნაწილს ნორმალური ცხოვრებიდან. ფეხბურთის დღეს შეუძლებელი იქნება ქალაქის ერთი რაიონიდან მეორეში გადასვლა. სადგურში კი კაცი ვერ მივა, რადგან იგი ძლიერ ახლოსაა სტადიონთან. საჭირო გახდება მთელი რიგი საცხოვრებელი სახლების დანერგვა, ახალგაყვანილი მავისტრალების რთული რეკონსტრუქცია და სხვა მრავალი ღონისძიება. განა უფრო გონივრული არ იქნებოდა აგვეშენებინა სტადიონი ქალაქის რომელიმე გარეუბანში, თუნდაც — „ლოკომოტივის“ სტადიონის ბაზაზე?

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არქიტექტორის პასუხისმგებლობასთან ერთად წაართვეს ბევრი უფლებაც. არქიტექტორის საქმეებში იმდენი ხელი ერევა, რომ საბოლოოდ ძნელი ხდება გაერკვე, თუ ვის აეისრია პასუხისმგებლობა. თავდაპირველი პროექტი რომ უკვე აშენებულ ნაგებობას შეადაროთ, ალბათ გაოცდებით კიდევ. არ იფიქროთ, ეს ცვლილება ავტორის ძიების შედეგია. სრულიადაც არა! საქმეში სწორედ ეს „სხვათა ხელი“ ურევია. თვითონ პროექტის ავტორი კი ამ „საერთო საქმის“ მხოლოდ ერთ-ერთ მონაწილედ რჩება და, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის გრძნობაც მდგომარეობის შესაფერისი ხდება; რაღაც არაჩვეულებრივი სულიერი და მორალური სიმტკიცე უნდა გაააჩნდეს, რომ ასეთ სიტუაციაში ერთადერთ ავტორად და ერთადერთ პასუხისმგებელ პირად იგრძნო თავი. ცხადია, არქიტექტორის მეტი უფლებები უნდა ჰქონდეს, იგი სრულ-უფლებიანი ბატონ-პატრონი უნდა იყოს თავისი საქმისა; შესაძლებლობა უნდა მიეცეს, თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს, თავისი პროექტი ბოლომდე განახორციელოს. რა თქმა უნდა, უფლებებთან ერთად არქიტექტორს მოვალეობაც მეტი დაეკისრება.

ავტორის უფლებების გაფართოებამ უნდა შევიდეს ერთგვარი ზედმეტდევლობა არქიტექტურულ ნაგებობაში. ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგაც, ე. ი. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს უავტოროდ ნაგებობის ყოველგვარი გადაკეთება — გადაღებვა, რეკონსტრუქცია და სხვა.

მართლაც პარადოქსალური ამბები ხდება. არქიტექტორი, რომ იტყვიან, თავს იკლავს, ათასნაირ ვარიანტს არჩევს და ასე პოულობს საჭირო ფერს, ფორმას. ბოლოს კი აი რა ხდება: როგორც კი შენობა ჩაბარდება საექსპლოატაციოდ, მოდის ადმინისტრატორი და, თავისი გემოვნებისამებრ, ერთი ხელის დაკვრით ცვლის ყველაფერს. მაგალითად, ასე „გადაკეთდა“ რესტორნის შენობა თბილისის ზღვაზე (ავტორი ლადო მესხიშვილი). ბეტონის ვიტრაჟი, რომელიც ფასადის მთავარი მხატვრული ელემენტი იყო, ჩამოინგრა და არავინ ფიქრობს მის აღდგენაზე. საბანკეტო ოთახები ისე უგემოვნოდ და შეუფერებლად შეუღებავთ, რომ გულს შემოგეყრება. ეს კიდევ არააფერი. შესანიშნავად იყო მოხატული ვესტიბიულისა და დარბაზის კედლები. კედლის სიბრტყეზე, თითქოს შემთხვევით ადგილებზე (სინამდვილეში ეს ადგილები დიდის გულისყურითა და სიზუსტით იყო შერჩეული) ახალგაზრდა მხატვარმა ნიკოლოზ იგნატოვმა გააკეთა რამდენიმე ნახატი — უაღრესად თანამედროვე, ქართული და ლირიული. ეს ნახატები არაჩვეულებრივად უხდებოდა რესტორნის უბრალო, დახვეწილ ფორმებს. ძუნწი ფერები, ნაჩატის ოსტატური სიმარტივე, ზუსტად შერჩეული ადგილები ძალიან კარგ სანახაობას ჰქმნიდნენ. ეს იყო არქიტექტორისა და მხატვრის ნამდვილი ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობის მაგალითი. მაგრამ... მოვიდა უცნობი ავტორიტეტი და დაიწუნა ეს მოხატულობა. მორჩა და გათავდა — არავის აღარ ჰკითხეს — არც ავტორებს, არც არქიტექტორებისა და მხატვრების საზოგადოებას და... ნახატები შელესეს. დაუჩერებელი ამბავია, მა-

გრამ ფაქტია. და აჰა, სამმა წელიწადმა განვლო და ვერა და ვერ აღადგინეს შესანიშნავი ნახატები.

თვითონ ჩვენც, თბილისის მოსახლეობასაც, მიგვიძღვის ბევრ რამეში ბრალი. ხშირია შემთხვევა: როგორც კი ვინმე შესახლდება ახალ ბინაში, პირველ რიგში აივანს შემინავს, შემდეგ მყვირალა ფერით შეღებავს და აუცილებლად მეზობლისაგან განსხვავებულად, მერე გრძელ ძელებს ჩაამაგრებს კედელში და გამოფენს ჰრელ-ჰრელ სარეცხს, საბნებს და სხვა. კიდევ კარგი თუ ეს ფასადი ეზოში გადის. სამწუხაროდ, არც მთავარ ქუჩას და მაგისტრალებს ინდობენ.

მოსკოვსა და ლენინგრადში, მაგალითად, ბინის შიდა ტიხრის გადატანასაც კი საგანგებო ნებართვა უნდა. თბილისში კი, მეტწილად თვითნებურად, ყოველგვარი ნორმების დარღვევით, საცხოვრებელ სახლებს ორ და ხანდახან სამფენა აივანებს, ანუ როგორც თბილისში უწოდებენ — „ლოჯებს“ უშენებენ. ეს აივნები აბნელებენ ოთახებს, მობინადრეებს აკლებენ მზესა და ჰაერს და, რა თქმა უნდა, ქალაქის საერთო სახეს. უსაშველოდ ამახინჯებენ.

დადგა დრო, კატეგორიულად აიკრძალოს საცხოვრებელი სახლების ფასადებზე ნებადაურთველად ლურსმნის ჩაჭედებაც კი. უნდა აიკრძალოს პროექტით გაუთვალისწინებელი გადაკეთება და გადაღება. დამნაშავენი უნდა გავკიცხოთ, დავაჯარიმოთ და უკიდურეს შემთხვევაში ბინიდანაც კი გავასახლოთ. ასეა სხვა ქალაქებში — ვილინუსში, ტალინში, ლენინგრადში... ასე უნდა იყოს ჩვენთანაც.

ყოველ ძალაჲს აჰვს თავისი სახი, ფირი, ზუნაზრივი თავისაზრებაანი. ზუნაზას არც თბილისისათვის მოუპოვია ეს მაღლი.

მსოფლიოში ალბათ ცოტა თუ იქნება ასეთი ლამაზი ბუნებრივი მდებარეობის ქალაქი. მთაწმინდა, რომელიც ფაქტიურად ქალაქის ცენტრშია, მართლაც წარუშლელ, განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ჰქმნის. ჩვენ მივეჩვიეთ ამ სუ-

რათს და ახლა იგი ჩვეულებრივად გვეჩვენება, მაგრამ მოვუსმინოთ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ შრავალრიცხოვან სტუმრებს, რომლებიც ალტაცებულნი არიან თბილისის მდებარეობით. დაათვალიერეთ მთავორიანი ქალაქები: კიევი, პრაღა, პარიზი, რომი, სოფია. ვერსად ნახავთ თბილისისებურ პანორამებს. თბილისი განუმეორებელია. მთაწმინდა, მეტეხი, ნარიყალა, მტკვრის ხეობის ვიწრო ყელი, საიდანაც დაიწყო თბილისი... რამდენი შესანიშნავი ხედია, რა მოულოდნელი და თვალწარმტაცი პერსპექტივები! საოცარია, როგორი ტაქტით, რელიეფის როგორი ზუსტი აღქმით მუშაობდნენ ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები!

უსამართლობა იქნება, ჩვენი დროის არქიტექტორებს თბილისის რელიეფის უგულვებლყოფა დავაბრალოთ. რელიეფის სწორად გამოყენება ყოველთვის იყო და არის ქართველი ხუროთმოძღვრების პირველი ამოცანა. შენობის დაკავშირება ლანდშაფტთან ბევრ რამეში განსაზღვრავს ავტორის პროფესიონალობას. მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება:

რუსტორანი თბილისის ზღვაზე, რომელზედაც უპვე გვექონდა ლაპარაკი, ზუსტად ჩახატა ლადო მესხიშვილიმა გარემომცველ ლანდშაფტში. პროფესიონალური ოსტატობით შეარჩია ოთარ კალანდარიშვილიმა ადგილი სასტუმრო „ინტურისტისათვის“, რომელიც შენდება რუსთაველის პროსპექტზე და მტკვარს გადაჰყურებს. სასტუმროს მშენებლობის დამთავრების შემდეგ რუსთაველის პროსპექტიდან გადაიშლება მტკვრის მარცხენა სანაპიროს ხედი. ხოლო სანაპიროდან გამოჩნდება რელიეფზე შესანიშნავად მორგებული მოცულობა, რომელსაც ოთხივე მხრით მთავარი ფასადი აქვს. რუსთაველის გამზირს, მიუხედავად აღიარებული სილამაზისა, სწორედ ამგვარი ხედები აკლდა. დიდი ტაქტით შეარჩია ადგილი და ძველი თბილისის უზომოდ რთულ პანორამას შეუფარდა ბალნეოლოგიური კურორტის ახალი კორპუსი.

სისოსო ზაალიშვილმა. ძალიან საინტერესოდ გამოიყენა რელიეფი არქიტექტორმა სვეტროვმა საცხოვრებელი სახლის აშენების დროს ლეო ქიაჩელის ქუჩაზე. კარგად მოერგო მთას კუხ ტბაზე გაყვანილი საბაგირო გზის ზედა სადგურის შენობა (ავტორები კ. ჩხეიძე, ბ. ინაშვილი, გ. ხატიაშვილი). კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ თანამედროვე არქიტექტორები სათუთად ინახავენ ბუნებასთან ნაგებობების ორგანულად შერწყმის დიდებულ ტრადიციას.

მაგრამ გვაქვს შეცდომებიც და ამაზე საჭიროა მკაცრი და გულღია ლაპარაკი. მით უმეტეს, რომ შეცდომების დაშვება ადვილია, გამოსწორება კი ძალიან ძნელი, ხანდახან შეუძლებელიც კი.

მაგალითად: კიბურნეტიკის ინსტიტუტი, რომელიც შენდება ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, ეფარება მთების შესანიშნავ ხედს. და ეს მაშინ, როდესაც თითქმის მთელი ვაჟა-ფშაველას პროსპექტი განაშენიანებულია ერთნაირი სახლებით, რომელთა სვედისმომგვრელი მსგავსება ჰქმნის საოცრად მონოტონურ და მოსაწყენ საურათს. იმის მაგივრად, რომ როგორმე დავარდვიოთ ეს მონოტონურობა, შემოვიყვანოთ ანსამბლში ახლოს მდებარე ბუნებრივი მთები და ხეები, — ქუჩას ფარდის ვაფარებთ. მე მგონია, ეს უხეში შეცდომაა. იგივე შეიძლება ითქვას მელიქიშვილის ქუჩისა და ვარაზისხევის გადაკვეთაზე აღმართულ საცხოვრებელ სახლზე (ავტორი გ. ჩიგოვიძე). ამ სახლმა სრულიად დაფარა მთაწმინდის ხედი.

კიდევ ერთი მაგალითი: აღმინისტრაციულ სახლში რუსთაველის მოედანზე (ავტორები კ. ჩხეიძე და მ. ჩხიკვაძე) ქვედა სართული სრულიად გახსნილია. რუსთაველის პროსპექტიდან გახსნილ გალერეაში მთაწმინდის ლამაზი ხედი იშლებოდა. მაგრამ რაღა გამოვიდა — ბუნების ეს უშესანიშნავესი საჩუქარია არქიტექტორებმა (აბა ხევას ვის დავაბრალოთ!) საბაგირო გზის ქვედა პავილიონის შენობით დაფარეს და გახსნილია

გალერეამაც დაკარგა თავისი მთავარი ფუნქცია. უნებლიეთ მაგონდება სიმინი არქიტექტორები. ისინი ყოველთვის ალუბას იყენებენ, რომ არარატის ხედი გამოაჩინონ. ერევანში ამ მიზნით მთავარ მოედანზე საგანგებო თალიც კი გააკეთეს... ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ არარატი თურქეთის საზღვრებშია, ჩვენი მთაწმინდა კი შუა ქალაქში დგას. და რა უხეიროდ ვიყენებთ ხანდახან მის ხედებს.

რელიეფის არასწორად გამოყენება გარდა იმისა, რომ აუშნოებს ქალაქსა თუ მის ცალკეულ ნაგებობას, ხშირად დიდსა და ზედმეტ ხარჯებთანაც არის დაკავშირებული. მაგალითად, ვაკის სასაფლაოსთან ტურბაზის მშენებლობაზე (არქიტექტორი ი. კაპრაძე) სრულიად გაუმართლებელი მიწის სამუშაოების ჩატარება გახდა საჭირო. სასტუმროს უქან რესტორნის ასაშენებლად გადმოიტანეს დიდძალი მიწა. ხელში კი შეგვრჩა დამახინჯებული რელიეფი, ორმოში ჩამჯდარი რესტორანი, უშნო ათმეტრიანი საყრდენი კედელი და ზედმეტი ხარჯები. უფრო სწორი გადაწყვეტა იქნებოდა, რესტორნის შენობა სასტუმროს პარალელურად რომ განელაგებინა ავტორს, რელიეფის ხელშეუხებლად. ორ შენობას შორის კავშირი კი მსუბუქი გადასასვლელით განეხორციელებინა...

ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია თბილისის ცირკისა და ამ ცირკში მისასვლელი კიბის დამოკიდებულება (ავტორები ნ. ნეპრინცევი, ს. სატუნცი, ვ. ურუშაძე). თვითონ ცირკის შენობა კარგად დგას ბორცვზე, მისი პორტალი სწორად არის ორიენტირებული გმირთა მოედანზე. ქალაქის ყველა წერტილიდან შენობა სასიამოვნო შესახედავია. მაგრამ რატომ მოექცა გვერდზე სრულიად სიმეტრიული კიბე, ალბათ გამოუცნობ რებუსად დარჩება. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს დალაგებულ ნორმალურ სახეს ყბა გვერდზე აქვს მოქცეული. ეს შემთხვევა, მე მგონია, უბრალო შეცდომა კი არა, წმინდა წყლის ლაფსუსია, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

რელიეფის უგულვებელყოფა საშუა-
ლებას არ მოგვცემს სრულყოფილად გა-
მოიყენოთ არქიტექტურის მრავალფე-
როვანი შესაძლებლობანი და თავისებუ-
ლება. თუკი რელიეფი არ არის ერთ-ერთ-
თი უმთავრესი კომპონენტი შენობის სა-
ხის შექმნაში, შეიძლება ითქვას, მხატვ-
რული ამოცანა ვერ გადაწყდება. და გა-
ნა მართო რელიეფი? ბუნებრივი პირო-
ბები, ჰავა, ადგილობრივი მასალები;
პროგრესული ტრადიციები და ჩვევები.

მონუმენტურ-დეკორატიული კვალიანი.
შალხასა თამარის რელიეფი განუყოფ-
რებად ელფინს აქლავს თბილისს, მზ-
რამ თბილისს მალაქივ აკათილთხოვნილას
მხატვრის ხეობას. სვდამიან ისინი, ვისაც
ჯონია, რომ თბილისი ლაშაზა მხოლოდ
თავისი ზუნაბრივი ლანდშაფტით. მუხამი,
სანაპირო, სახლიანი, ბაღები და, რა თქმა
უნდა, მონუმენტაბივი — თბილისის დაშვი-
შარ სახის ჰმინიან.

შესანიშნავი ძეგლები დაიდგა თბილი-
სში ამ უკანასკნელ წლებში. პირველ
რიგში მინდა დავასახელო „ქართლის
დედა“ (ავტორი რუსთაველის პრემიის
ლაურეატი ელფუჟა ამამუქელი). ეს მო-
ნუმენტური და დეკორატიული (ამ სიტ-
ყვის საუკეთესო გაგებით) ფიგურა გახ-
და თბილისის სიმბოლო და საქვეყნო
აღიარებაც ჰპოვა. პირადად მე დარწმუნ-
ებული ვარ, რომ ე. ამამუქელის ახალ-
ნამუშევარი — ვახტანგ გორგასალის მო-
ნუმენტი, რომელიც მეტეხის გვერდით
აღმართება, კიდევ უფრო გაამშვენიე-
რებს თბილისის ამ უშესანიშნავეს კუთ-
ხეს.

ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და-
ვით გურამიშვილის ძეგლმა. სადავო კი
არაფერია. ასეთმავე „მოდავეებმა“ მოს-
კოვში მოხსნეს გოგოლის შესანიშნავი
ძეგლი. სავარძელში ღრმად ჩამჯდარი.
მძიმედ ჩაფიქრებული დიდი რუსი მწე-
რლის ნაცვლად წამოჭიმეს სრულიად
უფერული, ორდინარული, გოგოლისათ-
ვის აბსოლუტურად არაბუნებრივი ფი-
გურა. დავით გურამიშვილი მოქანდაკე
მერაბ ბერძენიშვილის ტრანსკრიპციით
მოაზროვნე, ბრძენი პოეტია. ასეც იყო:
ზმლის ქნევა და მემორია დიდი ქართ-

ველი პოეტის ცხოვრებაში ეპიზოდ-
იყო და არა დამახასიათებელი თვისება.
ჩვენ არა გვაქვს მიზნად ამ უცნაურ-
ლაშხატურული ნაწარმოების გარჩევა.
როგორც არქიტექტორი, სავსებით ვე-
თანხმები მას, ვინცა თვლის, რომ ამ
ძეგლს, საუბედუროდ, ვერ მოუნახეს სა-
თანადო ადგილი. უფრო სწორად რომ
ვთქვათ, ეს ადგილი არ აღირსეს. დავით
გურამიშვილი სადაც ეზოში კი არ უნ-
და იდგეს, არამედ რუსთაველის პროს-
პექტზე, ქაშვეთის ტაძრის წინ, როგორც
ეს ავტორსაც ჰქონდა ჩაფიქრებული...

ძალიან საინტერესოდ, დიდი ტაქტითა
და გემოვნებითაა აშენებული „სამასი
არაგველის“ მონუმენტი (ავტორი ა. ბა-
ქრაძე), ეს ძეგლი მშვენივრად ჩაიხატა
მტკვრის მთაგორიანი ნაპირების რელი-
ეფში.



მე წარმომიდგენია, რომ მთავრობის
სასახლის წინ დადგმულ ძეგლებს ადრე
თუ გვიან თავისი ადგილი მოენახება, ის-
ევე, როგორც კიკვიძის, ლესელიძის და
სულხან-საბას ქანდაკებებს...

მე წარმომიდგენია, მეტეხისა და ნა-
რიყალას მიდამოები თანდათანობით
როგორ გაიყვება ისტორიული და ალე-
გორიული ძეგლებით. შექმნება ერთ-
ვარი მუზეუმი თანამედროვე მონუმენ-
ტურ-დეკორატიული ქანდაკებისა, ღია
ცის ქვეშ, თბილისის ფონზე. მსგავსი
მუზეუმები არსებობს პარიზში, რომში,
ვენეციაში. ასეთი მონუმენტურ-დეკო-
რატიული ქანდაკებების სკვერი-მუზეუ-
მი შენდება ვილნიუსში...

მე წარმომიდგენია დავით აღმაშენებ-
ლის, თამარ მეფის, ერეკლე მეორის, გი-
ორგი საყაძის, კრწანისის ბრძოლაში
დაღუპული თბილისელების, მაჩაბლის
დასის, ჩვენი სახელოვანი რევოლუციო-
ნერების, სამამულო ომის ქართველი
გმირების ძეგლები და მონუმენტები,
ლეგენდებისა და თქმულებების პერსო-
ნაჟები, ალეგორიული კომპოზიციები.
ეს არ არის ფუჭი ფანტაზია. თანდათა-
ნობით ეს კეთდება, მაგრამ ამ საშვილი-

შვილო საქმეს ჩვენი საერთო დახმარება სჭირდება...

მე წარმომიდგენია მეტეხის კლდეში ამოკვეთილი ვაჟა-ფშაველას ოდნავ სევდიანი, ძლიერი და ჭკვიანი სახე. ვაჟას სახის კლდეში ამოკვეთა თბილისის მთავარი მხატვრის ოთარ ლითანიშვილის ძალიან საინტერესო იდეა იყო, მაგრამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

ერთ ძალიან სათუთ საკითხსაც მინდა შევეხო. უკვე დროა სერიოზულად ვილაპარაკოთ სასაფლაოების შესახებ. როგორც იტყვიან, ყველას ჯვარი სწერია, მაგრამ საფლავების გიგანტომანიამ კულმინაციას მიაღწია. არა მგონია მსოფლიოს კიდევ რომელიმე კუთხეში შეგვხვდეს ამოდენა საფლავები (თუ არ ჩავთვლით, რასაკვირველია, ეგვიპტის ფარაონების პირამიდებს).

ჯერ ერთი, ქალაქი ველარ იტანს სასაფლაოების ტერიტორიის ასეთ უსაშველო ვაზრდას. და მეორე, რაც მთავარია ჩვენი სასაფლაოები უგემოვნობის აპოთეოზს ჰქმნიან. ლაბრაძორისა და მარმარილოს უშველებელი ლოდები, ყალბი კიბეები, დაბალხარისხოვანი ქანდაკებები და მოზაიკები, უზარმაზარი კედლები, (ზოგჯერ სახურავებიც კი) — ყველაფერი ეს შემოზღუდულია ღობეებით, მესრებით, მოაჯირებით, ბარიერებით. აღამიანის უკეთილშობილესი გრძნობა — სიყვარული დაკარგული ახლობელისადმი, ეს დიდი აღამიანური გულისტკივილი თითქოს ბუტაფორულ გამოფენად იქცა.

რიგში და განსაკუთრებით ტალინში ძალიან ლამაზად და სადადაა გადაწყვეტილი ეს დიდი და ფაქიზად მოსაპყრობი პრობლემა. ტალინში, მაგალითად, სასაფლაო როგორც ასეთი, არ არსებობს. არის მშვენიერი, მთავარიანი ტყე, რომელშიც სერპანტინებად გადის კარგად მოვლილი ბილიკები. მწვანე, მობიბინე ბალახში მხატვრულადაა განლაგებული საფლავები — უბრალო პატარა ქვა ან

ფილა, რომელსაც აწერია მიცალქელის სახელი და ორი თარიღი...

ძნელი სათქმელია, საიდან ვაჩვენებთ ქართველოში მისწრაფება პომპეზურ-მონუმენტური საფლავებისაკენ. ქართველ ხალხს არასდროს ჰქონია ასეთი ტრადიცია. მოვიგონოთ ვახტანგ გორგასლის, ერეკლე II-ს, ვაჟა-ფშაველას საფლავები.

ქართველთათვის ეს ძალიან უცხო და არაღამაჩასიათებელი „მოდა“ რაც შეიძლება მალე უნდა გადავიდეს.

ფერი და გამწვანება ძალიან აკლია თბილისს. ფერი — ნამდვილი, ღრმა, კაჟაჟა. ფერი, რომელიც არ ხუნდება მზიამ, ფერი, რომელიც ამირფას კვასავით გამოაცოცხლებს მონოტონურ ბანაშინიანებას.

პარადოქსალური ამბავია, მაგრამ თბილისის გამწვანების მხრივაც ძალიან ჩამორჩება ლენინგრადს, მოსკოვს, კიევს, ალმა-ატას და ბევრ სხვა ქალაქს. გამწვანებას არსად და არასდროს არ შეუშლია ხელი არქიტექტურისათვის. პირიქით, ხშირად ეხმარებოდა და აკეთილშობილებდა მას. შეხედეთ გმირთა მოედნიდან უნივერსიტეტის თეთრ შენობას, როგორ უხდება მაღალი მწვანე ხეები. განა ასევე არ დამწვანდებოდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთავარ კორპუსს, მისი ფასადი რომ დიდმა ხეებმა დაფარონ? ახ აკადემიის იმ ულაზათო შენობებს, ჩელუსკინელების ხიდთან მტკვარს რომ გადმოჰყურებენ? რასაკვირველია, მწვანე ხეები ვერ გამოასწორებს არქიტექტორის ყველა ცოდვას, მაგრამ ზოგიერთ ნაკოს მიანიც ხომ დაფარავენ!

ბოლო ხანებში თბილისში გაჩნდა რამდენიმე მოხდენილი პატარა სკვერი; მაგალითად, სასტუმრო „საქართველოს“ გვერდით, პლენანოვის გამზირზე, ქაშვეთის ეკლესიის წინ. განსაკუთრებით საინტერესოა პატარა ბაღი ოპერის თეატრთან. მაგრამ რამდენია კიდევ გასაკეთებელი? რა მოუვლელი და მიგდებული ბაღები გვაქვს ქალაქის ცენტრში, არა რაფერს ვიტყვი გარეუბნებზე. რა უგემოვნოდ არის ვაკეთებული გაზონები

რუსთაველის გამზირზე. თუკი რამე ხე, ბუჩქი ან ყვავილი არსებობს — ყველა ამ საცოდად გაზონშია ჩაჩრილი. მე მგონია, რომ ეს „ბოსტანი“ უგემოვნობის ნიმუშია.

მთავარ არქიტექტორსა და მთავარ მხატვართან ერთად თბილისს უნდა ჰყავდეს მთავარი დენდროლოგიც!

თანამედროვე ძალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ღამის განათება, რომელიც აუცილებელი კომპონენტია ცხოვრების თანამედროვე პირობების დასაბამად. განათება ღამის დროს ასრულებს ძალაქის ისეთივე როლს, რასაც ღამის დროს ასრულებს ღამის დროს. განათება აუცილებელი პირობაა ძალაქის კომფორტისა და ჰიგიენის, ტანსაცმლის მოხარებისა და მოქალაქეთა მიმოსვლის გაუმჯობესებისათვის. ხელოვნური განათება ჰქონის ძალაქის სახეს ღამით. და ამ სახეს უფროდენდროლოგია ავსებს ყოველი ძალაქის საერთო აღქმავი.

ღამის თბილისი ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად დამშვენდა მაგისტრატების, ვიტრინების, საზოგადოებრივ ნაგებობის კარგი განათებით. გაჩნდა სინათლის ბევრი რეკლამა. წესიერად შესრულებული ცალკეული ღირსშესანიშნავი შენობის შენათება, მაგრამ შეცდომაც ბევრია.

არ არსებობს თბილისის განათების ერთიანი, ღრმად გააზრებული გენერალური გეგმა. ასეთი გეგმა წესრიგში მოიყვანდა ქალაქის სტიქიურ განათებას, შექმნიდა ღამის თბილისის ერთიან, დასრულებულ სახეს; ხაზს გაუსვამდა მთავარ მოედნებს, მაგისტრატებს, ღირსშესანიშნავ ძეგლებს, მნიშვნელოვან შენობებს. ასეთი განათებით უფრო ეკონომიურად დაიხარჯებოდა ელექტროენერჯი.

არ არსებობს ორგანიზებული ჯგუფი განათების სპეციალისტებისა, რომლებიც პროფესიონალურად შეასრულებდნენ მრავალრიცხოვან სამუშაოს თბილისის ხელოვნური განათების დარგში. ამჟამად ამ სამუშაოს შემთხვევითი აღამიანები აკეთებენ.

შუქსინათლის რეკლამის მოწყობისას ხშირად გვევლინება ელემენტარული წესი: განათების ყველა დეტალი — ხელსაწყო-შექანიში, კონსტრუქცია, არმატურა და ა. შ., რომლებიც ღამით სინთერესო და ღამაზე სანახაობას ჰქმნიან, დღისით ან უხილავი უნდა იყვნენ, ან მოწყობილობის და სასიამოვნო შესახებ. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ღამის თბილისი კიდევ უფრო ღამაზე გახდეს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ამით არ უნდა დამახინჯდეს ქალაქის სახე დღისით...

თბილისში დროდადრო ჩნდება მახინჯი შუქსინათლის რეკლამა, უგემოვნო პანოები, ზოგჯერ უხამსიც კი, საოცარი გადასასვლელები, — ქადრატის დაფის შესვლად შეღებილი, რომელთაც კვირაში ერთხელ განახლება სჭირდება. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ზოგიერთი პროვინციული იერის კიოსკი, სახლის ნომრები, გადასასვლელი ნიშნები და სხვა...



თუ ჩვენ თბილისი გვიყვარს და თუ გვინდა, რომ იგი კიდევ უფრო ღამაზე ქალაქი გახდეს, მხოლოდ სადღეგრძელოების თქმა არ კმარა. არც მარტო ქება და ძაგება შევლის საქმეს. რაც კარგი გვაქვს — დავფასოთ, რაც ცუდი — გამოვასწოროთ, ყველამ ერთად — არქიტექტორებმაც და სხვებმაც. უკვე დროა, არქიტექტორებმა დაიკავონ ის შიდალი ადგილი ხელოვნებაში, რომელიც მათ ოდითგანვე ეკუთვნოდათ. არქიტექტორის მუშაობას პოპულარიზაცია სჭირდება იმათ შორის, ვისთვისაც ისინი მუშაობენ. არქიტექტორის როლი უნდა ამოაღდეს და განმტკიცდეს. მისი შრომა უნდა დაფასდეს, მისი ჩანაფიქრები უნდა ხორციელდებოდეს, მისი უფლებები გაიზარდოს. და მაშინ მოგვეცემა საშუალება მკაცრად მოვითხოვოთ არქიტექტორის შემოქმედებაში პასუხისმგებლობის მაქსიმუმი.



ახალი აკადემიკოსი

ფსევდონიმების კვლევა

არიან ადამიანები მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ სანთელივით რომ იწვიან, იფერფლებიან და შთამომავლობისათვის სიამოვნებით მოსაგონებელ კვალს ტოვებენ. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე.

ამ წერილში შევეხებით მწერლის ბიოგრაფიის შეუსწავლელ მხარეებს, კერძოდ, ჭოლა ლომთათიძის ფსევდონიმებს, მის მთარგმნელობით მუშაობას და დავასახელებთ ქართული პერიოდული გამოცემების პირველ ბეჭდვით წყაროებს, სადაც ამა თუ იმ ფსევდონიმით ჭოლას ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოებები იბეჭდებოდა.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ქართველმა მკითხველმა იცოდეს, რომ უნგრეთის ცნობილი რევოლუციონერისა და სახალხო პოეტის შანდორ პეტეფის (1823-1849), რეალისტი ფინელი მწერლის იოხან ახოსა (1861-1921) და დემოკრატი პოლონელი მწერლის, კრიტიკოს ანტონ სიგეტისკის (1850-1923) ნაწარმოებების პირველი მთარგმნელი ქართულად ჭოლა ლომთათიძე იყო.

ჭოლა ლომთათიძე სამწერლო ასპარეზზე 1896 წელს გამოვიდა და იმ დროიდან სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე

დე თავისი მადლიანი კალამი ხელიდან არ გაუგდია. მწერალმა თავისი მხატვრული ნაწარმოებების მეტი წილი რუსეთის იმპერიის საპყრობილეთა საცნებში დაწერა. ჭოლა ლომთათიძემ თავის თავზე გამოცადა პეტერბურგის, ასტრახანის, სარატოვის, ბაქოს, თბილისის, ბათუმისა და ახალციხის საპყრობილეების რეჟიმის სიმწვავე. მან ნანახი და განცდილი მშვენივრად გამოხატა თავის მაღალიდღეურ მხატვრულ შემოქმედებაში. მაგრამ მისი შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილი შემოგვინახა ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა, ნაწერების უმრავლესობა კი თვითმპყრობელური რუსეთის საპყრობილეთა ზედამხედველებისა და ცენზურის მსხვერპლი გახდა.

ჭოლას პირველი კორესპონდენცია 1896 წელს „კვალის“ 33-ე ნომერში დაიბეჭდა, უკანასკნელი კი — მისი სიკვდილის შემდეგ. ჭოლას ნაწერები ქვეყნდებოდა გაზეთ „თანამედროვე აზრში“ (1915 წ.), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრებაში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

ჭოლა ლომთათიძეს მრავალი ფსევდონიმი ჰქონდა: მცირიშვილი; სპ. მცირიშვილი; სპირიდონ მცირიშვილი, სპ. მც-ლი; ჭოლა; ჭ. ილა; ჭ-ილა; ჭ. ილია; გერი; ჭ. გერი; ჭ. გ-რი; ხასან; ხასან (ჭო-

ლა); ჰ.; ანარქისტი; ბიკენტი მეწიეთე-
ლი; ჰ. ბარელი; ბიკტორი, ვორობიოვი,
ვორობევი, ვიქტორი; Викторь; Гола;
Чола; Чо-ლა; შშირიშვილი და სხვ.
ზოგჯერ ასეც აწერდა ხელს: „სპირიდონ
მცირიშვილი (ჭოლა ლომთათიძე)“. ზე-
მთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ფსევდო-
ნიმი ჭოლა ლომთათიძის პარტიული
მეტსახელი იყო. მაგალითად: Воробьев,
ვორობიოვი, ვიქტორი, ბიკტორი და
სხვა.

ჭოლა ლომთათიძე ნამდვილი სახელი-
სა და გვარის (ბიკენტი ლომთათიძე) ზე-
ლმოწერით მხოლოდ „კვალში“, „სხივი-
სა“ (1905-1906 წ. წ.) და „სიტყვაში“
(1913 წ.) აქვეყნებდა თავის ნაწარმოე-
ბებს, ყველა სხვა შემთხვევაში კი ფსევ-
დონიმს აწერდა.

ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე
დავასახელოთ, თუ რომელ გამოცემებში
რომელი ფსევდონიმით იღებდა მონაწი-
ლეობას ჭოლა ლომთათიძე: მცირიშვი-
ლი („ალიონი“, კრებული, 1911 წ.);
სპირიდონ მცირიშვილი და ხან სხ. მცი-
რიშვილი („კვალი“, „ივერია“, „ცნობის
ფურცელი“, „ცნობის ფურცელის სურა-
თებიანი დამატება“, „ცისარტყელა“,
„ცისკარი“, „მომავალი“; „სხივი“ (1909-
1910 წ. წ.), „ფონი“, „ჩანგი“, „ჩვენი აზ-
რი“, „ახალი აზრი“ (1910 წ.), „ახალი
გზა“, „მნათობი“ (1911 წ.) „ახალი აზ-
რი“ (1913-1915 წ. წ.), „სიმაღლის ხმა“,
„სიტყვა“ (1913 წ.), „აზრი“, „თანამედ-
როვე აზრი“, „სამშობლო“ და სხვ.); სხ.
მც-ლი („ლახვარი“); ხასან („ჩვენი ცხო-
ვრება“ (1906 წ.), „შინაური საქმეები“,
„თანამედროვე აზრი“); ხასან (ჭოლა)
„თანამედროვე აზრი“); ჭოლა („სხივი“,
1909-1910 წ. წ.); გერი („ნიშადური“,
„საქართველო“, „თემი“, „მნათობი“,
(1911 წ.), „დილა“ (1912-1913 წ. წ.),
„ჩვენი ცხოვრება“ (1912 წ.), „სიტყვა“,
(1913); ჰ. გერი („ახალი აზრი“, „საქ-
მე“); ჰ. ოლა („ახალი აზრი“ 1910 წ.),
„თეატრი და ცხოვრება“); ჰ. ოლა, ჰ.
ოლია („ეშმაკის მახე“, „ჰაინრიხ ჰაინეს
ლექსების კრებული“ (1913 წ.); ჰ-ოლა
„გრიგალი“); ჰ. („ტალა“, „ჩვენი ცხო-

ვრება“ (1906 წ.); ჰ. გ-რი („თანამედ-
როვე აზრი“); ბიკენტი მეწიეთელი
„კვალი“); ჰ. ბარელი („ნიშადური“);
Викторь („მოგზაური“); ანარქისტი (იხ.
დან. რამიშვილის მონოგრაფია — ჭოლა
ლომთათიძე, გვ. 46; „ანარქისტის ფსევ-
დონიმით ჭოლამ მრავალი ნაწარმოები
გამოაქვეყნა“); Чола (იხ. Контор.
Р. М. Каторга и ссылка за десять
лет (1921—1930). М., 1931. გვ. 111,
191); Чо-ლა (Масанов, И. Ф. Сло-
варь псевдонимов. ტ. IV. იხ. Лом-
татидзе В. Б.); Мцირიшвили (Пер-
вая русская революция. Указатель
литературы. М., 1930. გვ. 671, 674);
Воробьев (В. И. Ленин, соч. 4-ое
изд. ტ. 10, გვ. 273, 283).

რამდენიმე სიტყვა თვით ჭოლა ლომ-
თათიძის ზოგიერთი ფსევდონიმის ისტო-
რიაზე. ჭოლამ და გიორგი ქუჩიშვილმა
ეგნატე ნინოშვილის პატეისაცემად მისი
ლიტერატურული ნაწარმოებების გმირ-
თა სახელები აიღეს ფსევდონიმებად. პი-
რველმა ამოირჩია სპირიდონ მცირიშვი-
ლი, მეორემ კი — გოგია უიშვილი. ეს
ფაქტი შემთხვევითი არ იყო. ორივე ქა-
რთველი პროლეტარული მწერალი ნი-
ნოშვილის იდეების უშუალო გამგრძე-
ლებლად თვლიდა თავს და მის მიერ
დატოვებულ მემკვიდრეობას თაყვანსა-
სცემდა.

თუ ყურადღებით გადავიკითხავთ ჭო-
ლა ლომთათიძის შემოქმედებას, დავრწ-
მუნდებით, რომ მწერალი თავის მოთხ-
რობებში მოქმედ პირებს ხშირად თავი-
სივე ფსევდონიმებით ალაპარაკებს. ჭო-
ლას მიერ ციხეებში შექმნილ ნაწარმო-
ებთა უმრავლესობა ავტობიოგრაფიული
ხასიათისაა.

საყურადღებოა ერთი ასეთი ფაქტიც:
1906 წლის (5) 18 ივლისის გაზეთ „სი-
მართლის“ პირველ ნომერში აპოლონ
წულაძემ ფსევდონიმით „რიკა“ მოათავ-
სა კორესპონდენცია „გუთრიდან“, რო-
მელშიც კარგად ახასიათებს სოციალ-დე-
მოკრატ ჭოლა ლომთათიძის ბრძოლას
ფედერალისტებთან და აღწერს 1906
წლის 18 ივნისს დაბა ლანჩხუთში ჩატა-
რებულ მიტინგს, რომელსაც თურქე
2.000-მდე ქალი და კაცი დასწრებია.

ხსენებულ მიტინგზე ფედერალისტთაგან სიტყვით გამოსულა ერთი სტუდენტი. ჯ. რიყას გადმოცემით, ორატორს „პასუხი გასცა აშხ. ხასანმა, რომლის აღვზნებული სიტყვა ტაშისცემით მიიღეს“ დამსწრეებმა. ეს ფაქტი ნამდვილად ჭოლას ორატორულ ნიჭზე მეტყველებს, რითაც მან რსდმ IV ყრილობაზე ვ. ი. ლენინის ყურადღება მიიქცია. ლენინი მას ორჯერ იხსენიებს თავის შრომებში (იხ. თხზ. მე-4 გამოც. ტ. 10, გვ. 360-371; იხ. გაზ. „პარუს“ 1907, № 8, „წინ“ 1907, № 11). ამიტომ იყო, რომ აპ. წულაძემ ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ერთ პატარა წერილში „ჩემს ჭოლას“, — გამომავლად თავესი ფსევდონიმი და ძველ მეგობარს ასე მიმართა: „შენი რიყასთვის“ სულ სხვა იყავი შენ, ჩემო კერბო“ („თანამედროვე აზრი“ 1915 წ. № 211). ახოლო ივანეს ძე წულაძეს ხსენებული ფსევდონიმის გარდა 70-მდე სხვა ფსევდონიმი ჰქონდა.

ამავე (1906 წ.) პერიოდს ეხება ერთ თავის მოგონებაში გ. ქიქოძე: „პოლიტიკურ მიტინგზე მხოლოდ ერთხელ გამოვედი. ეს იყო გურიაში, სოფელ შემოქმედში, სადაც მახლობელი სოფლებიდან გლეხკაცობამ და ინტელიგენციამ მოიყარა თავი. მიტინგზე სოციალ-ფედერალისტებმა საუკეთესო ორატორები გამოიყვანეს, მათ მხარს უჭერდნენ ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერებიც. სოციალ-დემოკრატების მხრივ ფილიპე მახარაძე და ჭოლა ლომთათიძე გამოვიდნენ: მეც წარმოვთქვი მოკლე სიტყვა (ხაზი ჩვენია. ა. ა.). გლეხობას უფრო ჩვენი სიტყვები მოეწონა, ინტელიგენციას — ჩვენი მოწინააღმდეგეებისა. ფედერალისტების ერთ ორატორს, აღარ მახსოვს სახელი ფირცხალავას თუ სიმონ მდივანს, საჯაროდ შევეკითხე, როგორ წარმოგიდგენიათ სოციალიზმის დამყარების დრო, შორეული ამბავია თუ ახლო-მეთქი. ასი წელიწადი მაინც უნდა ვიცადოთო, მიპასუხა მან. დამსწრეთა უმრავლესობას ეს პასუხი ძალიან არ მოეწონა: შორეული ბედნიერების ლოდინი

ცუდი მალამოა ტანჯული კაცობრიობისათვის“ (გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. III, გვ. 467). იმავე ხანებში გ. რონტი ქიქოძის ბინაში შეჭრილა მეფის უერთგულესი ურიადნიკი კოწია ბერიძე ჩაფრებით, ეძებდა ვინმე ვიქტორს. რომ ვერაფერი გაუწყვია, თვითონ გ. ქიქოძე წაუყვანია ოზურგეთში და როგორც „ვიქტორი“ წარუდგენია გენერალ-გუბერნატორ ტოლმაჩოვის კანცელარიაში, მაგრამ სიყალბე მალე გამოაშკარავებულა (იხ. იქვე, გვ. 458). ვიქტორის შერქმეული პარტიული სახელით მაშინ ჭოლა ლომთათიძე იძალდებოდა.

ვინ უნდა იყოს სტუდენტი ჯ., რომელსაც ორატორობის დუელში 1906 წ. 18 ივნისს ჭოლა ლომთათიძემ აჯობა და დამსწრეთა ერთსულოვანი ტაში დაიმსახურა? ჩვენ დავადგინეთ, რომ ეს იყო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი არჩილ რაქდენის ძე ჯაჯანაშვილი, რომელსაც სხვადასხვა ფსევდონიმი და კრიპტონიმი ჰქონდა: **Homu; Homunculus; შინაური; გ. მარგალიტაძე; ა.; ა. ჯ; ჯ; ა. ჯ-შვილი; არ. ჯ-შვილი; გარდელი; გარდელი; გ. ბარელი; გ. ბარველი...** იგი აქტიურად თანამშრომლობდა სოციალ-ფედერალისტების მიმართულების ორგანიზებებში.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჭოლა ლომთათიძე და არჩილ ჯაჯანაშვილი საერთო ფსევდონიმსაც იტარებდნენ: **ჭ. ბარელი** (ლომთათიძე) და **გ. ბარელი** (არ. ჯაჯანაშვილი).

ახალგაზრდა ჭოლას პირველი კორესპონდენცია იყო პასუხი კრიტიკაზე. ვინაიდან „ჭოლა ლომთათიძის მონოგრაფიის“ ავტორი დანიელ რამიშვილი „ვიცლაც ლომაძისა“ (?) და ბიკენტი ლომთათიძის საპასუხო წერილების დაბეჭდვის ადგილებს შეცდომით უთითებს (იხ. გვ. 13-14) და ამასთანავე „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც“ (იხ. ნაკვ. III, გვ. 672 და 801) ინიციალები ი. ლ. ამოხსნილი არ არის, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე დავაზუსტოთ ეს საკითხები.

ისიღორე ლომაძემ ინიციალებით ი. ლ.

გაზ. „კვალში“ (1896 წ., № 28, გვ. 493-494) პატარა კორესპონდენცია მოათავსა, რომელშიც აგვაწერს სოფ. ხიდისთავის სამი სკოლის სავალალო მდგომარეობას, კლანჭსა ჰკრავს თვით სოფლის მამასახლისსაც, დაწვრილებით ჩერდება ადგილობრივ სამკითხველოზე, მის ბიბლიოთეკარზე და ბოლოს დასძენს: „რათ უნდა იყოს ასე უყურადღებოთ მიგდებულ ბიბლიოთეკის საქმე“. წერილის ავტორი ჭოლა ლომთათიძის გვარსა და სახელს არ ასახელებს, იგი მას მხოლოდ ბიბლიოთეკარად იხსენიებს. კრიტიკა რომ პირადად ჭოლას ეხება, ამას ვიგებთ თვით ბიკენტი ლომთათიძის ვრცელი საპასუხო წერილიდან, რომელიც „კვალის“ იმავე წლის № 33 (გვ. 588) დაიბეჭდა. ამ წერილში ბიკენტი ლომთათიძის მიერ გაშიფრულია ინიციალები ი. ლ. „ის. ლომთაძე“.

ამრიგად, „კვალში“ 1896 წ. № 33 ბიკენტი ლომთათიძის ხელმოწერით გამოქვეყნებული კორესპონდენცია მომავალი მწერლის პირველ დაბეჭდილ წერილად უნდა ჩაითვალოს. მრავლისმეტყველია თვით ის ფაქტი, რომ მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფი ჭოლა ლომთათიძე თავისი სოფლის ბიბლიოთეკას უფასოდ ემსახურებოდა.

ჭ. ლომთათიძე მთარგმნელიც იყო. თარგმნიდა იმ მწერალთა ნაწარმოებებს, რომლებთანაც თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრით, შინაგანი ფსიქოლოგიური განცდებით და იდეური განწყობილებით ახლოს იდგა. ასეთები იყვნენ: ლეონიდ ანდრეევი, ანტონ სიგეტინსკი, იოხან აზო, ჰაინრიხ ჰაინე, შანდორ პეტფეი...

პოლონელი კრიტიკოსის, ყურნალისტის პროფ. ანტონ სიგეტინსკის (1850-1923) ერთმოქმედებიანი „მონოლოგი — მსახიობი ქალი“ ჭოლა ლომთათიძემ ქართულად თარგმნა 1902 წ. და გაზ. „კვალის“ იმავე წლის № 44 დაბეჭდა. ანტონ სიგეტინსკი ნოველების ავტორიცაა. მისი „მონოლოგი — მსახიობი ქალი“, — პირველად 1884 წ. დაიბეჭდა ყურნ. „ვენდროვეცში“ („მოგზაური“, № 52), 1900 წ. კი ცალკე წიგნად გამოვიდა. მი-

სი რუსული თარგმანი 1908 წელს პეტერბურგში გამოცემულ „თანამედროვე პოლონური თეატრის“ კრებულში დაიბეჭდა.

როგორც ჩანს, ჭოლამ „მონოლოგი — მსახიობი ქალი“ უშუალოდ პოლონური ენიდან თარგმნა, რადგან ჩვენთვის ცნობილ რუსულ გამოცემას 6 წლით უსწრებს ქართველი მწერლის თარგმანიც და გამოცემაც.

ანტონ სიგეტინსკის (ფსევდონიმი: გონლავეც) რეალისტური შემოქმედება, მისი „მონოლოგი — მსახიობი ქალი“ ჭოლას სულიერ განწყობილებასთან მეტად ახლოს იყო. ამიტომაც თარგმნა მან სწორედ ხსენებული ნოველა და არა ამ მწერლის სხვა ნაწარმოები. როგორც ცნობილია, 9 წლის ჭოლას სამი დღის განმავლობაში უეცრად ზედიზედ გარდაეცვალა ერთადერთი ძმა ბიჭორი და საყვარელი დედა. უდროოდ დაკარგული ძმის პატივსაცემად შემდეგში მწერალმა ერთ ფსევდონიმად და პარტიულ შერქმეულ სახელად ბიჭორი აირჩია. „დედის დაკარგვით გამოწვეული მელანქოლია ღრმად დააჩნდა ჭოლას სათუთ გულს და იგი კუბოს კარამდე შეუნელებელი ძალით მიჰყვა“ (იხ. დ. რამიშვილი, „ჭოლა ლომთათიძე“, გვ. 11). შესაძლებელია, ამიტომაც აირჩია ჭოლამ სიგეტინსკის ნაწარმოებთაგან სწორედ „მონოლოგი — მსახიობი ქალი“ და არა სხვა რამ. ამ „მონოლოგის“ ჭოლასეულ თარგმანს ვინც წაიკითხავს, უთუოდ იფიქრებს, რომ ეს სტრიქონები ჭოლამ შექმნა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. დედისადმი სიყვარულმა დააწერინა მას ლექსი „დედინაცვლის ნანა“ და აარჩევინა ფსევდონიმი გერიც.

„ქართული ყურნალებისა და კრებულების ანალიტური ბიბლიოგრაფიის“ (იხ. ნაკვ. III, გვ. 512, № 8104 და გვ. 807) შემდგენლებს რატომღაც ჭოლა ლომთათიძის მიერ თარგმნილი „მონოლოგი“ მის ორიგინალურ ნაწარმოებად მიუღიათ და „პირთა სახელების საძიებელშიც“ ანტონ სიგეტინსკი სულ არ

უხსენებიათ, თუმცა ჭოლა პირდაპირ ამბობს: „მონოლოგი (სიგეტინსკიდან)“-ო. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ „კვალის“ 1902 წ. № 44 შინაარსში ჯერ შეცდომით ეწერა: „მონოლოგი ბ. ლომთათიძისა“-ო, ხოლო შემდეგში „კვალის“ 1902 წლის საერთო წლიურ სარჩევში ეს შეცდომა ასე იყო გასწორებული: „მონოლოგი სიგეტინსკიდან, თარგ. ბ. ლომთათიძისა“. შეცდომა იყო დაშვებული გვარში: სიგეტინსკის ნაცვლად დაბეჭდილი იყო სიგეტინსკი.

საყურადღებოა, რომ ანტონ სიგეტინსკის „მონოლოგის“ შემდეგ „კვალის“ მორიგი ნომრისათვის ჭოლამ რუსული ენიდან თარგმნა ფინური რეალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის მწერალ იოხანი ახონ მოთხრობა „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას!“ მიუხედავად იმისა, რომ „კვალის“ რედაქცია ორჯერ შეეცადა მის გამოქვეყნებას, მკაცრი საცენზურო პირობების გამო მოთხრობის დაბეჭდვა მთარგმნელის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. ამ მოთხრობის 1902 წ. „კვალის“ სექტემბრის ნომრისათვის გამოზადებული საკორექტურო ფურცლები 1929 წ. გამოაქვეყნა პაატა გუგუშვილმა კომენტარებით (იხ. „მნათობი“, 1929 წ. № 8-9, გვ. 17-19).

ღრმა პოლიტიკური შინაარსის მოთხრობა „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას!“ ჭოლა ლომთათიძემ თარგმნა ლ. გორბუნოვას მიერ უშუალოდ ფინური ენიდან შესრულებული რუსული თარგმანიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო 1901 წ. დეკემბრის თვის ჟურნალ „Русская мысль“-ის XII წიგნში (გვ. 155-157).

ქართველმა მკვლევარებმა შეცდომით ეს მოთხრობაც ჭოლას ორიგინალურ ნაწარმოებად ჩათვალეს და 1956 წ. გამოცემულ მის ერთტომეულში შეიტანეს.

ჭოლა ლომთათიძის მთარგმნელობით ლიტერატურულ მოღვაწეობაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მაინც ჰაინრიხ ჰაინეს ლექსებისა და შანდორ პეტეფის ერთი ლექსის ქართულად გადმოლე-

ბა მიგვაჩნია. როგორც ცნობილია, ჰაინეს ლექსებს ქართველი პოეტი საპყრობილეში წლების განმავლობაში ვერცხვებდა. 1913 წელს ჭ. ოლიას ფსევდონიმით გამოიცა მის მიერ თარგმნილი ჰაინეს ლექსების 126-გვერდიანი წიგნი. ჰაინეს რამდენიმე ლექსი ჭოლას სიკვდილის შემდეგ (1915 წ.) იოსებ იმედაშვილმა გამოაქვეყნა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“. ჰაინეს ლექსების თარგმანთა დიდი ნაწილი ჭოლამ თვითონ გაანადგურა, როგორც ამას მისივე მოგონებებიდან ვგებულობთ, ნაწილი კი ციხეების ადმინისტრაციამ მოსპო.

ჭოლა ლომთათიძემ ჰაინეს ლექსების ქართულად თარგმნისას ისარგებლა პეტრე ესეის (ისაის) ძე ვეინბერგის მიერ რუსულ ენაზე ორჯერ (1864-1882 და 1904 წლებში) გამოცემული თორმეტტომეულით. პეტრე ვეინბერგიდანვე გადმოიღო „ჰაინრიხ ჰაინეს მოკლე ბიოგრაფია“ და ჰაინეს ლექსების ქართულად თარგმნულ კრებულს წაუძმღვარა (იხ. გვ. 1-32). კრებულს ერთვის ავტორის „მეგობარ მკითხველის“-ადმი მიმართვა — წინასიტყვაობა (გვ. 33-37). ეს წინასიტყვაობა გადმოგვცემს ჭოლა ლომთათიძის შინაგან ფსიქოლოგიურ განცდებს, ავგიწერს მის დამოკიდებულებას ჰაინრიხ ჰაინესა და მისი პოეზიისადმი. წერილში იგრძნობა ჭოლას კრიტიკული დამოკიდებულება თარგმანებისადმი.

ჯრ. აბაშიძის მიერ თარგმნილ შ. პეტეფის ლექსების 1949 წ. გამოცემული კრებულის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „მიუხედავად უნგრეთისა და უნგრეთის 1848 წლის რევოლუციისადმი ასეთი ინტერესისა, ქართულად დღემდე არ ყოფილა პეტეფისა და მისი პოეზიის ხსენება“-ო (ხაზი ჩვენია. ა. ა.). ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ჭოლა ლომთათიძის მიერ უცნობი ფსევდონიმით დაბეჭდილი პეტეფის ლექსის თარგმანი დღემდე შეუძმნველად იყო დარჩენილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა პრესა. იბეჭდებოდა წერილები, მოგონებები, სამგლო-

ვიარო დეპეშები, თვით ჭოლას ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოებები.

გაზეთ „თანამედროვე აზრის“ 1915 წ. 15 ნომბრის 211 ნომერი მთლიანად ჭოლა ლომთათიძისადმი არის მიძღვნილი. ხსენებული ნომრის მეორე-მესამე ქვედურა გვერდები კი დათმობილი აქვს წერილს „ჭოლას“, მას მისდევს „შეშლილი“ (შ. პეტეფიდან), „შეშლილი“ თარგმნილია პროზით. ხელს აწერს ჭ. გ-რი. და ბოლოს, იქვე 1903 წ. გაზ. „კვალი“-დან გადმობეჭდილია სპირიდონ მცირიშვილის (ჭოლას ფსევდონიმა) ცნობილი ნაწარმოები „კვლავ ფიქრი, ფიქრი...“ (ლექსი პროზათ). მასალების ამგვარი განლაგება, მათი შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ ფსევდონიმი ჭ. გ-რი უთუოდ ჭოლა ლომთათიძეს ეკუთვნის. ამ ფსევდონიმის სავარაუდო პრეტენდენტად ორი პიროვნება — ევგენი გეგეჭკორი და ლადო გეგეჭკორი ჩავთვალეთ.

ევგენი გეგეჭკორი იყო ჭოლა ლომთათიძის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე და ხელმძღვანელი. ჭოლას ნეშტთან საბოლოო გამოთხოვების უამს პირველი სიტყვაც მან წარმოთქვა. ამიტომაც შესაძლო იყო გვეფიქრა, რომ იგი პრესაშიც პირველი გამოეხმაურებოდა ჭოლას ტრაგიკულად დაღუპვას, მაგრამ კვლევა-ძიებამ ეს მოსაზრება არ დაადასტურა.

ლადო გეგეჭკორის სხვა მრავალ ფსევდონიმთან ერთად ფსევდონიმი გერი-ც ჰქონდა, წერდა ლექსებს, მოთხრობებს, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას და ჭოლა ლომთათიძესთან ერთად ბეჭდავდა ლექსებს „ნიშადურში“ (1907-1908 წლები), მაგრამ არც ეს მოსაზრება გამართლდა.

ნათარგმნი ტექსტის დაწვრილებითმა ენობრივმა ანალიზმა, თარგმნის ხერხმა, ჭოლასათვის დამახასიათებელმა ლექსების პროზით წერის მანერამ (იხ. „ზღვა“, „კვლავ ფიქრი, ფიქრი...“ და სხვ.), გრძნობების სიღრმემ, ჭოლას ორიგინალურ შემოქმედებასთან თარგმნილი ლექსის იდეურმა სიახლოვემ და მრავალმა სხვა გარემოებამ დაგვარწმუნა, რომ

ფსევდონიმი ჭ. გ-რი ეკუთვნის ჭოლა ლომთათიძეს. მაშასადამე, პეტეფის „შეშლილიც“ ჭოლას უთარგმნილი ნაწარმოებია ენაზე. ჭ. გ-რი ჭოლას ცნობილი ფსევდონიმის ჭ. გერი-ს შეკვეცილი ფორმაა და სხვა არაფერი.

როდის და რა ენიდან თარგმნა ჭოლამ პეტეფის „შეშლილი“?

პირველ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელია, რადგან არ მოგვეპოვება დათარიღებული ხელნაწერის დედანი. იგი არც გაზეთ „თანამედროვე აზრის“ რედაქციამ დაათარიღა. „თანამედროვე აზრის“ იმავე წლის 204-ე ნომერში დაბეჭდილი ჭოლა ლომთათიძის მოთხრობა „გზაში“ (სილუეტები) დათარიღებულია 1911 წლის მაისის თვით, დაწერის ადგილად კი ახალციხის საპყრობილეა მიჩნეული. ცნობილია, რომ ციხეებში ყოფნისას ჭოლას კალამს არასდროს დაუსვენია და მისი მთავარი ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოებებიც სწორედ საპყრობილეებშია შექმნილი. ვინმე ლ. ქართველი, რომელიც მწერალს სიკვდილის უკანასკნელ დღეებში სარატოვში ესტუმრა, ასეთ საყურადღებო ცნობას იძლევა: „ჭოლამ თავისი ნაწერები სიკვდილის უკანასკნელ დღეებში გადასცა თავის ერთგულ მეგობარს (ნაფიც) ვეჟილს ვასილევს. მასვე გადასცა რამდენიმე თუმანი ფული“ („თანამედროვე აზრი“ 1915 წ. 18 ნომბერი, № 213). ჭოლა ლომთათიძის მდიდარი არქივი და ბიბლიოთეკა ხომ 1918 წ. ოზურგეთში შემოჭრილი თურქი დამპყრობლების მსხვერპლი გახდა (იხ. დ. რამიშვილი „ჭოლა ლომთათიძე“, გვ. 30).

ჩვენი აზრით, შანდორ პეტეფის „შეშლილი“ ჭოლას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში სარატოვში უთარგმნია. იმ ხანებში რუსულ ენაზე პეტეფის „შეშლილის“ მხოლოდ ერთი — ვ. უმანოვ-კაპლუნოვსკისეული თარგმანი არსებობდა. ვ. უმანოვ-კაპლუნოვსკიმ პეტეფის „შეშლილი“ რუსულად გადმოიღო ცნობილი სერბიელი პოეტისა და პუბლიცისტ-განმანათლებლის იოვანა იოვანოვიჩის

(ზმიაი-ს) თარგმანიდან და 1888 წლის ჟურნალ „დელოს“ პირველ წიგნში დაბეჭდა (იხ. გვ. 203-206). ვ. უმანოვ-კაპლუნოვსკის რუსული თარგმანი, ორიგინალის შესატყვისად, ლექსად არის შესრულებული, ხოლო ჭოლამ ქართულად მშვენიერი პროზით გადმოიღო. პეტეფის ლექსის ჭოლასეული თარგმანი ახლო დგას ორიგინალთან.

ამრიგად, ჭოლა ლომთათიძემ ანტონ სიგეტინსკის, იოხანი ახოს, ლეონიდ ანდრეევის, ჰაინრიხ ჰაინეს, შანდორ პეტეფის და მსოფლიოში ცნობილ სხვა მწერალთა ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნით ქართული ლიტერატურის საგანძურში თავისი წვლილი შეიტანა. ადვილი შესაძლებელია, რომ მისი დაბეჭდილი ნაწარმოებებიდან ღღემდე ყველა მიკვლეული და აღმოჩენილი არ არის.

ჭოლა ლომთათიძის ორიგინალურ და თარგმნილ ნაწარმოებთა სრულ ნუსხას, რა თქმა უნდა, არც ჩვენი წერილი იძლევა და არცა აქვს ამის პრეტენზია. ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა-ძიება კიდევ გამოავლენს ჭოლას ღღემდე უცნობ ახალ ნაწარმოებებს და ალბათ ჩვენთვის ცნობილ ნაწარმოებთა შექმნის ისტორიასაც დააზუსტებს.

ჭოლა ლომთათიძის ნაწარმოებების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ორიგინალურ თუ მთარგმნელობით მუშაობისას იგი მხატვრულ სიტყვას ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეპყრობოდა. პირველ რიგში იგი თავის თავს უყენებდა დიდ მოთხოვნილებას. სწორედ ამ გადაჭარბებული თვითკრიტიკის ნიადაგზე გაანადგურა ჭოლამ ბევრი თავისი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოები.

ვახუთ „ლახვარის“ 1907 წლის 13 კანონის 27-ე ნომერში ჭოლამ ფსევდონიმით სპ-მც-ლი საყურადღებო კორესპონდენტია გამოაქვეყნა: „ხმა სამრევლო სკოლის მასწავლებლისა“ („წერილი გუ-

რიიდან“). ხსენებულ წერილში ლახვარია სოფლის მასწავლებლის სავალალო მდგომარეობაზე. ჭოლა იცავს მასწავლებლის უფლებას.

ჭოლა ლომთათიძის წერილები, კორესპონდენციები და თარგმნილი ნაწარმოებები ღღემდე შეკრებილი არ არის და, რა თქმა უნდა, არც გამოცემულია. საჭიროა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან მათი ამოკრეფა, თავის მოყრა და გამოცემა.

ჭოლა ლომთათიძე ქართული კულტურის მოამაგეც იყო. საპყრობილეებში ყოფნის დროსაც არ ანელებდა ზრუნვას ჩვენი წარსული ისტორიული ძეგლების შესწავლა-გამომხეურებაზე. ამის სანიმუშო მაგალითია ის, რომ ასტრახანში დაკრძალულ ცნობილ ქართველ მოღვაწეთა საფლავების ქვებიდან ჭოლამ გადმოიწერა ეპიტაფიები და 1914 წლის 15 ივნისს საქართველოში გადმოუგზავნა იოსებ იმედაშვილს, რომელმაც ნაწილი მოგვიანებით გამოაქვეყნა (იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 47, გვ. 5-8).

ჭოლა რუსულ გამოცემებშიც თანამშრომლობდა.

დასასრულ, კიდევ ერთი ასეთი შენიშვნა: ფსევდონიმები დესპინეშვილი და დესპინაშვილი, ჩვენი ვარაუდით, ჭოლა ლომთათიძეს უნდა ეკუთვნოდეს. პირველი ფსევდონიმით 1903 წ. გაზეთ „ცნობის ფურცლის სურათებიან დამატებაში“ დაბეჭდილია სამი პროზაული თარგმანი 1. „სიმიდირე“, სომხური ლეგენდა (რუსულიდან) (№ 85), 2. „ლეგენდა (რუსულიდან)“ (№ 128) და 3. „შეკვაფი წყარო. „ლეგენდა რუსულიდან“; (№ 138), მეორე ფსევდონიმით კი გამოცემულია წიგნი „განთიადი“. ლექსები შედგენილი და გამოცემული დესპინაშვილისა. (ტფილისი, სტამბა „შრომა“, 1913 წელი. გვ. 23). ხსენებული ფსევდონიმები შემდგომ დაზუსტებანს მოითხოვს და ამიტომ აქ მხოლოდ მათი დასახელებით დავკმაყოფილდებით.



საკრიოზული გამოკვლევა

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიაში კიტა აბაშიძეს საკმაოდ თვალსაჩინო და თავისებური ადგილი უჭირავს.

კ. აბაშიძეს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა ისეთ დიდ შემოქმედთა გვერდით (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი), რომელნიც ლიტერატურული კრიტიკის სფეროშიც მუშაობდნენ და ბევრი რამ გააკეთეს მატერიალისტური ესთეტიკის ძირითადი პრინციპების გაგება-განმარტებისა და, საერთოდ, ქართული ლიტერატურის, სალიტერატურო ენისა და ლიტერატურული კრიტიკის აღორძინებისათვის.

მიუხედავად დიდი დამსახურებისა, კიტა აბაშიძე ათეული წლების მანძილზე ჩრდილში იყო, მის სახელსა და გვარს მხოლოდ მაშინ შეხვდებოდით, როდესაც ცალკეულ შრომებსა და წერილებში დაშვებული შეცდომებისათვის აკრიტიკებდნენ. კ. აბაშიძის მემკვიდრეობის ნეგატური მხარე ცხარე კრიტიკის საგნად იქცა, ხოლო პოზიტიური სრულებით არ იხსენიებოდა. ზოგიერთი ლიტერატორი

იქამდისაც კი მივიდა, რომ თავის შრომებში მოურიდებლად გადაიტანა კ. აბაშიძის დებულებები და ისინი თავისად გამოაცხადა (ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ კ. აბაშიძის „ეტიუდები“ კარგა ხნის განმავლობაში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა).

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა კ. აბაშიძის მემკვიდრეობის შესასწავლად. 1962 წელს პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით გამოიცა კ. აბაშიძის „ეტიუდები“. გაიზარდა მკვლევართა ინტერესი „ეტიუდების“ ავტორის მემკვიდრეობისადმი.

ამ ბოლო ხანებში ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ კიტა აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ორი ვრცელი მონოგრაფია მიიღო: ერთია გიორგი აბაშიძის შრომა — „კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა“, ხოლო მეორე — დანიელ რამიშვილის „კიტა აბაშიძე“.

გიორგი აბაშიძის შრომა, გარდა წინასიტყვაობისა, შეიცავს ორ ნაწილს: კ. აბაშიძის ცხოვრების გზა და კ. აბაშიძის ესთეტიკური შეხედულებები. მეორე ნაწილში განხილულია: ხელოვნების დანიშნულება და საგანი, მხატვრული

ასახვის თავისებურებანი, მხატვრული ნაწარმოების შინაარსი და ფორმა, კ. აბაშიძისა და ფერდინანდ ბრუნეტერის შეხედულებათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის.

ავტორს საკმაოდ საინტერესო მასალების საფუძველზე აღუდგენია კიბა აბაშიძის ბავშვობის, მოწაფეობის და სტუდენტობის ხანა. განსაკუთრებით საყურადღებოა კ. აბაშიძის წერილები სხვადასხვა პირებისადმი, აგრეთვე მოგონებები, რომელთაც ავტორი იყენებს, რათა ნათლად წარმოგვიდგინოს კ. აბაშიძის სათნო ბუნება, მისი შრომისმოყვარეობა, მისწრაფება სწავლა-განათლებისაკენ და ის დიდი პრინციპულობა, რაც ახასიათებდა კრიტიკოსს, როგორც ადამიანსა და მოქალაქეს. კარგადაა აღწერილი მისი პარიზში ყოფნის პერიოდი.

ნაშრომში ასახულია კ. აბაშიძის პირველი ნაბიჯები პრესის ფურცლებზე, შემდეგ სამსახური სხვადასხვა დაწესებულებებში, ი. ჭავჭავაძის მიერ მისი „ივერიის“ თანამშრომლად მიწვევა და ის დიდი ენთუზიზმი და გატაცება, რითაც მან დაიწყო მუშაობა „ივერიის“ რედაქციაში. უდავოდ სწორია ავტორის დებულება, რომ ილიასთან მჭიდრო კავშირმა საბოლოოდ განსაზღვრა კ. აბაშიძის სამოღვაწეო გეზი, მისი ესთეტიკური იდეალები.

როგორც ცნობილია, ჭიათურის მარგანეციის მრეწველობის საქმეში გიორგი ზდანიოვიჩთან (მაიაშვილთან) ერთად კ. აბაშიძემაც საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა; ასევე დიდი როლი ითამაშა მან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, რომლის გამგეობის წევრიც იყო წლების განმავლობაში. ავტორს არც ეს გარემოება გამორჩენია მხედველობიდან და წიგნში ამ საკითხებზედაც გვესაუბრება (თუმცა მათზე უფრო ვრცლად შეიძლებოდა ლაპარაკი).

საინტერესოა კ. აბაშიძის მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციაში და ხელისუფლების მიერ მისი დევნა და შევიწროება.

გიორგი აბაშიძემ კ. აბაშიძის პორტრეტის სრულყოფისათვის გამოიყენა მისი თანამედროვეების, ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მოგონებები (დ. კლდიაშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, ს. შანშიაშვილი, ს. ფაშალიშვილი და სხვ.).

ამრიგად, ჩვენ გვაქვს კ. აბაშიძის ყველაზე სრული ბიოგრაფია, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს იგი შევსებას და გავრცობას არ საჭიროებდეს.

წიგნის მეორე ნაწილი მწერლის ესთეტიკურ შეხედულებათა განხილვას ეთმობა. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ავტორის დებულებას, რომ კ. აბაშიძის ესთეტიკური შეხედულებანი ორგანული ნაწილია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული ესთეტიკური აზროვნებისა.

როგორც ცნობილია, კ. აბაშიძის მდიდარ მემკვიდრეობაში ჩვენ ორიოდ წერილს თუ დავასახელებთ, რომელნიც სავანებოდ ლიტერატურის თეორიის საკითხებს ეხება. ამდენად, მსჯელობა კ. აბაშიძეზე, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსზე, არცთუ ისე ადვილია. საჭიროა კ. აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებიდან ამოიკრიბოს ხელოვნებისა და ლიტერატურის ის ზოგადი პრობლემები, რომელთა შესახებაც იგი ცალკე ეტიუდებში მსჯელობს. მხოლოდ ასეთი მეთოდი მოგვცემდა შესაძლებლობას, ნათელი წარმოდგენა გვქონოდა კ. აბაშიძეზე, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსზე, გაგვერკვია მისი როლი ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში.

გიორგი აბაშიძეს ეს შრომატევადი მუშაობა დიდი გულმოდგინებით გაუწევია და სწორად მოქცეულა, როდესაც კ. აბაშიძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესწავლა ესთეტიკური შეხედულებების განხილვით დაუწყია.

რა არის ხელოვნება? რით განსხვავდება იგი ცნობიერების სხვა ფორმებისაგან, რა სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდება, როგორია მისი შინაარსი და

ფორმა, მისი განვითარების გზები კ. აბა-
შიძის გაგებით? აი საკითხთა ერთი წყე-
ბა, რომელთაც განიხილავს წიგნის ავ-
ტორი.

კ. აბაშიძის მართებული რწმენით (და
არა მხოლოდ კ. აბაშიძის რწმენით), ლი-
ტერატურა და საერთოდ ხელოვნება ობ-
იექტური რეალობის ასახვაა, სინამდვი-
ლის სურათია, მაგრამ სინამდვილევცა და
სინამდვილევც; ერთია მრავალფეროვან-
ი, ფართო სინამდვილე, რომელიც მოი-
ცავს მთელ სამყაროს თავისი მრავალ-
მხრივობით. ეს არის სინამდვილე შექსპი-
რისა და მიქელანჯელოსი, რუსთველისა
და ჰომეროსისა, ხოლო მეორეა სინამდ-
ვილე, რომელიც ადამიანის ცხოვრების
მხოლოდ ერთ პატარა კუთხეს მოიცავს.
ზოგიერთი მწერლისათვის სწორედ ეს
პატარა კუთხე არის სინამდვილე, რად-
გან მისი თვალთახედვა ამის იქით ვეღარ
სწვდება. გიორგი აბაშიძე სავესებით იზი-
არებს თავისი დიდი წინაპრის თვალსაზ-
რისს და მართებულად შენიშნავს, რომ
ხელოვნების ასახვის ობიექტი სწორედ
ის სინამდვილე უნდა იყოს, რომელიც
მრავალფეროვანია. „ყოველი მწერალი
და მისი ნიჭი იმდენად ფასდება, რამდე-
ნად ღრმა და მრავალსახვა მისი სინამდ-
ვილე, რამდენად უსაზღვროა და უძირო
მისი ნიჭისაგან წარმოდგენილი მსოფ-
ლიო“ (გვ. 58).

შრომის ავტორი სამართლიანად მიუ-
თითებს, რომ საკითხი ხელოვნებისა და
მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულე-
ბისა, მათი მიზანი, ამოცანები და სპეცი-
ფიკურობა XIX საუკუნის 60-იანი წლე-
ბის ქართული ესთეტიკური აზროვნების
არსებით საკითხს წარმოადგენდა და სა-
თავეს რუსული რევოლუციურ-დემოკ-
რატიული ესთეტიკის წარმომადგენელ-
თა შრომებიდან იღებდა. რუსი რევო-
ლუციონერ-დემოკრატებიდან გ. აბაში-
ძე მხოლოდ ბელინსკის ასახელებს, სა-
ჭირო და სასურველი კი იყო რეალის-
ტური ესთეტიკის სხვა წარმომადგენელ-
თა დასახელებაც და მათი შეხედულებე-
ბის გადმოცემა.

გ. აბაშიძემ ყურადღება გაამახვილა იმ

წინააღმდეგობებზედაც, რომელნიც აბა-
შიძისათვის კიბა აბაშიძეს ხელოვნების
საგანზე მსჯელობის დროს დასწრისა
წინააღმდეგობათა მიზეზები.

სინამდვილის მხატვრული სახეებით
ასახვა ხელოვნების არსებითი თვისებაა;
ეს ძალიან კარგად იცოდა კიბა აბაშიძემ
და გიორგი აბაშიძეც ამ საკითხს განსა-
კუთრებულ ყურადღებას უთმობს. მაგ-
რამ მას ესმის, რომ მხატვრული ასახვის
თავისებურებას არ ამოწურავს მხოლოდ
მხატვრული ფორმა. ამიტომ იგი კ. აბა-
შიძის ნაწერებში ეძებს და განიხილავს
მხატვრული ასახვის სხვა სპეციფიკურ
მხარეებზე გამოთქმულ მოსაზრებებს.

თავში, რომელიც ნაწარმოების ფორ-
მისა და შინაარსის საკითხს ეხება, ავტო-
რი მართებულად მიუთითებს, რომ ამ სა-
კითხის ირგვლივ ესთეტიკის ისტორია-
ში მრავალი განსხვავებული შეხედუ-
ლება არსებობდა და ძირითადად ორ მი-
მართულებად: მატერიალისტურ და იდე-
ალისტურ მიმართულებად განიყოფებო-
და. ვინაიდან ზემოხსენებულ საკითხებ-
თან დაკავშირებულ შეხედულებებს არ-
სებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ცალკე-
ულ კრიტიკოსთა მსოფლმხედველობის
გასარკვევად, ამიტომ სავესებით ბუნებ-
რივია, რომ კ. აბაშიძის თვალსაზრისი
მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და
შინაარსის შესახებ ავტორისათვის უაღ-
რესად საყურადღებო უნდა ყოფილიყო
და ნაშრომშიც ვრცლად არის ლაპარაკი
კ. აბაშიძის ბრძოლაზე, ერთი მხრივ,
„წმინდა ხელოვნების“ დამცველთა წი-
ნააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, მათ წი-
ნააღმდეგ, ვინც „აზრის მეტს არაფერს
დაეძებდა არც ლექსში და არც პრო-
ზაში“.

კ. აბაშიძისა და ფ. ბრუნეტიერის შე-
ხედულებათა ურთიერთმიმართების სა-
კითხი დღესაც კამათის საგანია. მართა-
ლია, კ. აბაშიძის შეხედულებანი ხელოვ-
ნებისა და ლიტერატურის ცალკეულ სა-
კითხებზე ძირითადად მატერიალისტური
ესთეტიკის პრინციპებს ეყრდნობა, მაგ-
რამ ისიც ცნობილია, რომ მან განიცა-
და ცნობილი ფრანგი კრიტიკოსის ფერ-

დინანდ ბრუნეტაერის, კერძოდ, მისი შრომის — „გვართა ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში“ — გავლენა და თავისი კვლევის მეთოდით არსებითად ბრუნეტაერის მიხედვით შეიმუშავა (თუმცა სარეცენზიო შრომის ავტორი ასე არ ფიქრობს, მაგრამ ამაზე ქვემოთ).

ბრუნეტაერის შეხედულებებისადმი კ. აბაშიძის დამოკიდებულების შესახებ მართებული წარმოდგენის მისაღებად ავტორმა საჭიროდ ჩათვალა შეხებოდა მხოლოდ ზოგიერთ ძირითად საკითხს ბრუნეტაერის მოძღვრებიდან, კერძოდ, მისი ევოლუციური მოძღვრებიდან. კ. აბაშიძე იხილავს ბრუნეტაერის მოღვაწეობის ორ პერიოდს. პირველ პერიოდში, XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე, ფრანგი კრიტიკოსი პი-ზიტეიზმის პოზიციებზე იდგა და ლიტერატურის ისტორიის მიმართ საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეთოდების გამოყენებას ცდილობდა. მეორე პერიოდში ბრუნეტაერი რეაქციული იდეალიზმის ბანაკში მოექცა, ერთმანეთს დაუპირისპირა მეცნიერება და რელიგია და მეცნიერების სრული გაკოტრება აღიარა.

ნაშრომში ავტორის მიერ საკმაოდ კრიტიკულად არის განხილული ბრუნეტაერის მოძღვრების არსი და მკვეთრად არის გამოვლინებული ის შეცდომები, რაც ფრანგმა კრიტიკოსმა დაუშვა.

ავტორი განიხილავს კ. აბაშიძის თვალსაზრისს ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებაზე, სურს წარმოგვიდგინოს მისი პოზიტიური შეხედულებანი ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაზე და, რაც მთავარია, სურს დაასაბუთოს კ. აბაშიძის შემოქმედებაზე ბრუნეტაერის შეხედულებათა გავლენის უსაფუძვლობა. უფრო მეტიც — ავტორის აზრით, კ. აბაშიძე თურმე აშკარად უპირისპირდება ბრუნეტაერის ევოლუციურ მოძღვრებას.

სარეცენზიო ნაშრომში ჩანს ახალგაზრდა მკვლევარის მომზადება და კვლევაძიების უნარი, მაგრამ ნაშრომი არ არის დაზღვეული ზოგიერთი ხარვეზისაგან,

რომელთა შორის ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს აღვნიშნავთ:

შრომის სახელწოდება: „კ. აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა“ არ ასახავს წიგნის შინაარსს. ნაშრომში კ. აბაშიძის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე თითქმის არაფერია ნათქვამი.

ვერ გავიზიარებთ ნაშრომში გამოთქმულ აზრს, თითქოს კ. აბაშიძე ყოველთვის „პირუთენელი დამფასებელი“ ყოფილიყოს ქართული მწერლობისა და მისი წარმომადგენლების, რადგან ცნობილია ის ტენდენციური შეფასება, რაც კ. აბაშიძემ მისცა გიორგი წერეთლის შემოქმედებას ანდა ის უდავოდ მცდარად შეხედულება, რომელიც კრიტიკოსმა 90-იან წლებში განავითარა ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ბელეტრისტიკის შესახებ. ამ პერიოდში კ. აბაშიძემ ხაზგასმით აღნიშნა, 60-იანი წლების დიდი ლიტერატურული პრაქტიკის შემდეგ მხატვრული სიტყვა დაქვეითდა, დეცა. დაკნინდა და ახალი მწერლობა მხოლოდ უიმედობის გამოუმხატველიაო.

კიტა აბაშიძემ გიორგი მიაიშვილთან ერთად დიდი შრომა გასწია ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოში. მართალია, ავტორს ეს საკითხი უყურადღებოდ არ დაუტოვებია, მაგრამ მას რომ გადაეთვალეირებინა და შეესწავლა ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მეტად საინტერესო მასალა, კ. აბაშიძის ბიოგრაფია უფრო გამდიდრდებოდა.

იგივე უნდა ითქვას ნაშრომის იმ ადგილის თაობაზე, სადაც ავტორი ეხება კ. აბაშიძის მონაწილეობას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში. საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში ძვირფასი დოკუმენტები ინახება, რომელნიც ნათელს ჰფენენ კ. აბაშიძის მოღვაწეობას ამ საზოგადოებაში. ავტორს რომ ეს მასალებიც გამოეყენებინა, კ. აბაშიძის ცხოვრ-

ბის გზა უფრო სრულყოფილად იქნებო-
და წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ მთელი რიგი ესთე-
ტიკური საკითხების გადაწყვეტაში კ. აბ-
აშიძეს ჰყავდა სახელოვანი წინამორბე-
დები (ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, ვაჟა-
ფშაველა და სხვანი); კიტა ხშირად მხო-
ლოდ იმეორებდა მათ. ნაშრომის მიხედ-
ვით კი ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება
იქმნება, თითქოს კ. აბაშიძემ პირველმა
წამოაყენა ან გადაწყვიტა ესა თუ ის
საკითხი.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ
„კ. აბაშიძემ არა მარტო გაიზიარა და
აითვისა 60-იანი წლების ესთეტიკური
მსოფლმხედველობის პრინციპები, არა-
მედ კიდევ უფრო გაამდიდრა და გაამ-
რავალფეროვნა ქართული ესთეტიკური
აზრი, როგორც ახალ საკითხთა წამოყე-
ნებით, ასევე უკვე დასმულ საკითხთა,
ხშირ შემთხვევაში, უფრო ღრმა და სა-
ფუძვლიანი კვლევითა ან ახალი კუთხით
განხილვით და დახასიათებით“ (გვ. 55).
ეს ასეა, მაგრამ ნაშრომიდან არ ჩანს, თუ
კონკრეტულად რაში გამოიხატა კ. აბა-
შიძის მიერ ქართული ესთეტიკური აზ-
რის გამდიდრება და გამრავალფეროვნე-
ბა, არ ჩანს, თუ რა სიახლე შეიტანა მან
ამ დარგში.

ნაშრომის 64-ე გვერდის მიხედვით ისე
გამოდის, რომ ავტორი ბ. ბელინსკის 60-
იანი წლების რუსული რევოლუციურ-
დემოკრატიული ესთეტიკის წარმომად-
გენელთა რიგებს აკუთვნებს, რაც სწო-
რი არ არის.

ბ. ბელინსკი რომ რევოლუციონერ-
დემოკრატია, ეს უდავოა, მაგრამ იგი არ
არის სამოციანელი. სამოციან წლებად
პირობითად მიჩნეულია 1858-1866 წწ.,
ბელინსკი კი 1848 წელს გარდაიცვალა.

მეტად ძნელია გავიზიაროთ ავტორის
მსჯელობა, როდესაც იგი ცდილობს კ.
აბაშიძე გაანთავისუფლოს ფ. ბრუნეტი-
ერის მოძღვრების გავლენისაგან.

მართალია, კ. აბაშიძემ არ მოუწონა
ბრუნეტიერს რეაქციულ-კათოლიკური
იდეების ქადაგება, რაც ფრანგ კრიტი-
კოსს შემოქმედების მეორე პერიოდში

ახასიათებდა და ამ იდეების კრიტიკულ
მოგვცა, მაგრამ, სამაგიეროდ, მან საკმარის
ბით გაიზიარა ბრუნეტიერის მოძღვრება
ლიტერატურის ისტორიაში გვართა ევო-
ლუციის შესახებ, საკმაოდ დიდი მუშაო-
ბაც გასწია ბრუნეტიერის მოძღვრებისა
და მეთოდის პოპულარიზაციისათვის სა-
ქართველოში.

თავისი დამოკიდებულება ბრუნეტი-
ერისადმი კ. აბაშიძეს არც XX საუკუნის
პირველ ათეულ წლებში შეუცვლია, რა-
საც ის გარემოებაც მოწმობს, რომ 1911
წელს გამოცემულ თავისი ეტიუდების
პირველ ტომს წაუმიძღვარა წინასიტყვა-
ობა, სადაც კვლავ ბრუნეტიერის ერთ-
გულ მიმდევრად დარჩა.

კ. აბაშიძემ სავესებით გაიზიარა ბრუნ-
ეტიერის დებულება ბუნებრივი შერჩე-
ვის კანონის შესახებ, რაც ფრანგმა კრი-
ტიკოსმა მექანიკურად მიუყენა ლიტერა-
ტურის განვითარების პროცესს. ამ ე. წ.
ბუნებრივი შერჩევის კანონის საფუძვე-
ლზე კ. აბაშიძემ XIX საუკუნის ქართუ-
ლი ლიტერატურის ისტორიიდან სავესე-
ბით ამოიღო მწერლები: ზ. ანტონოვი,
მ. თუმანიშვილი, დ. ჭონქაძე, ლ. არდა-
ზიანი, ნ. ლომოური, ეკ. გაბაშვილი, ს.
მგალობლიშვილი და სხვანი.

ბრუნეტიერის მსგავსად, კ. აბაშიძე-
მაც შეიძუშავა ვარკვეული ქარგა და შე-
ეცადა ამ ქარგაში მოექცია XIX საუკუ-
ნის ქართული მწერლობა, რის შემდეგაც
იგი ქართულ ლიტერატურაში ნატურა-
ლიზმის, სიმბოლიზმისა და ნეორომატი-
ზმის არსებობის მტკიცებამდე მივიდა.

კ. აბაშიძემ უყოყმანოდ გაიზიარა
ბრუნეტიერის ე. წ. მეორე ლიტერატუ-
რული კანონი, რომელიც იუწყება, რომ
არსებობს საერთო „ევროპული ლიტე-
რატურა“, ამ ლიტერატურის ესა თუ ის
საერთო მიმართულება, ხოლო სხვადა-
სხვა ერის, ქვეყნის ლიტერატურა ამ სა-
ერთო ლიტერატურის და მისი საერთო
მიმართულების კერძო, თავისებური გა-
მომსახველია.

აქედან გამომდინარე, ქართული ლი-
ტერატურა კ. აბაშიძემაც ევროპის ლი-
ტერატურის უმცროს ძმად მიიჩნია და

ზაზგასმით აღნიშნა: „თუ დაუკვირდებით ჩვენი ლიტერატურის მსგელობას, ნახავთ, რომ იგი კვალდაკვალ მისდევს ევროპის ლიტერატურას: იქაც საუკუნე რომანტიზმით დაიწყო, საუკუნის ნახევარში რეალიზმი გამეფდა, რომელიც 1870-იან წლებში ნატურალიზმად გადაგვარდა; ხოლო საუკუნის დამლევს გამეფდა ნეო-რომანტიზმი და სიმბოლიზმი... ჩვენი ლიტერატურა მომავალშიაც ევოლუციის კანონის გზას არ გადაუხვევს, მომავალშიც ევროპულ ლიტერატურას უმცროს ძმობას გაუწევს და მეცხრამეტე საუკუნის ჩვენს ლიტერატურას მხარს დაუშვევებს“.

ავტორი ფიქრობს, რომ კ. აბაშიძე აშკარად უპირისპირდება მის მიერვე გადამოცემულ ბრუნეტიერისეულ ევოლუციურ მოძღვრებას. იგი წერს: „კ. აბაშიძე არაერთგან უთითებს, რომ ამა თუ იმ ლიტერატურული გვარის განვითარება ამა თუ იმ პირობებისა და გარემოების მიხედვით ხდება; რომ ერთი გვარი მეორე გვარად სხვადასხვა პირობებში იცვლება“, ან, „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი გვარი ლიტერატურულს ნაწარმოებისა იზრდება და იფურჩქნება მხოლოდ იმ გარემოებაში, რომელიც მისთვის ხელსაყრელია“. მისი აზრით, ამა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობის აღმოცენებისათვის გარკვეული „ნიადაგია“ საჭირო, „დრო და გარემოება“ მოითხოვს ახალ გვარს ლიტერატურისას. სრულიად აშკარაა ისიც, რომ ამ „პირობებში“, „გარემოებაში“ თუ „ნიადაგში“ კიტა აბაშიძე ლიტერატურის შინაგან მამოძრავებელ ძალებს კი არ გულისხმობს, არამედ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ვითარებას; და, მეორე მხრივ, ისიც, რომ ამ ვითარებას იგი ლიტერატურის ხასიათის განმსაზღვრელად თვლის, რითაც აშკარად უპირისპირდება მის მიერვე გა-

დმოცემულ ბრუნეტიერისეულ ევოლუციურ მოძღვრებას“ (გვ. 162).

საქმე ის არის, რომ არც ბრუნეტიერის მიაჩნია ლიტერატურის განვითარების მთავარ გამაპირობებელ მიზეზად მხოლოდ ლიტერატურის განვითარების მანენტური კანონები, არც ბრუნეტიერი სწვევტს ლიტერატურის განვითარებას საზოგადოებრივი განვითარების პროცესისგან. ამ შემთხვევაში ჩვენ წიგნის ავტორის თვალსაზრისს დავიმოწმებდით. იგი წერს: „ლიტერატურის ევოლუციის პროცესის ასახსნელად ბრუნეტიერს აუცილებლად მიაჩნია ამ ობიექტური მიზეზების კვლევა, რომელნიც ზეგავლენას ახდენენ ლიტერატურულ ჟანრთა სახეცვლილებასა და ბოლოს მათ სრულ გარდაქმნაზე. ჟანრების ასეთ „სახეშემცვლელ“ ფაქტორებად კი ბრუნეტიერი მწერლის ინდივიდუალობის დიდ გავლენასთან ერთად, მიუთითებს რასის, კლიმატის, გეოგრაფიული მდებარეობის, სოციალური წყობის და ისტორიული განვითარების გავლენის კვლევის აუცილებლობის შესახებ, რამდენადაც იგი, ამ ხანებში, ძირითადად იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ „ადამიანის სულის შემოქმედება, ისე როგორც ცოცხალი ბუნების შემოქმედება, მხოლოდ მათი გარემო პირობებით აიხსნება“ (გვ. 143-144).

იმ დებულების დასადასტურებლად, რომ კ. აბაშიძე აშკარად იზიარებს ფ. ბრუნეტიერის „ევოლუციური მოძღვრების“ თეორიის არსებით ნაწილს, აურაცხელი მასალის მოტანა შეიძლებოდა. აღსანიშნავია, რომ თვით კ. აბაშიძეც არ უარყოფდა ამ გავლენას, არც მასალა იძლევა საფუძველს მის უარსაყოფად.

ჩვენი შენიშვნები არ ამცირებს წიგნის საერთო ღირებულებას. იგი უდავოდ სერიოზული და საინტერესო გამოკვლევაა.

სანდრო შანშიაშვილი

«დიკლომატი»

მ ე ლ ა

დათვის ბუნავი ჩამოენგრა,
ხმა გაეარდა, როგორც მენი:
ნანგრევებში ცოლი მოჰყვა,
თვითონ მოსტყდა ცალი ფეხი.
და შეიძრა ტყის სამყარო,
იყო გლოვა, იყო ზარი;
ლომს აცნობეს და მოზრძანდა,
უთხრა გულით სამძიმარი.
აქვე იყო ერთი მელა,
სიგრძით სულ მეტრ-ნახევარი:
ოსტატებში თავსა სდებდა,
თვისი თავის მაქებარი.
და როცა ლომს მოჰკრა თვალი,
ორჯერ წელში მოიკვანტა;
ელაქუცა, ეთილისმა,
ქება მისი მიმოფანტა.
რადგან ლომი იყო დიდად
მწუხარე და მგლოვიარე, —
განგებ მელაც აქლოშინდა,
ვითომ თანამოზიარე.
მერე ვეფხვი დაინახა
და მას ზურგი მიუშვირა;
მაგრამ როცა გონს მოვიდა,
მისკენ სწრაფად მიაშურა.
მოეფერა, ხელში დადნა,
ყურში უთხრა: „აქ შენ გარდა
ყველა ყრუა, ყველა ცრუა,
დაგინახე — გამიხარდა!“
მაგრამ გულში სხვას ფიქრობდა,
„თეთრი კბილი, შავი გული“, —
თუ უფროსად აირჩიეს,
მეყოლება მოთაფლული.
სპილოს ზედაც არ შეხედა,
რადგან „შტატში“ აღარ იყო,

უკვე ქარი სულ სხვა ჰქროდა
და ამინდიც შეცვლილიყო.
კვერნა განზე გაიყვანა,
თვალი უყო ჩუმა-ჩუმა,
ეკურკურა, ეჩურჩულა,
უთხრა: „მე რომ სიტყვას ვიტყვი,
წვრილფეხობაც მიიმხარი!
ტაში-ტუში დამიკარი!“
დათვის კარზე გლოვა იყო,
გაჰკიოდა მელა პანგებს;
ლომს შეპარვით ანიშნებდა:
„რაა დათვი, ვის რას არგებს?“
ბევრი რამ თქვა თავის თავზე
ტყუილი და მონაგონი;
ლომს ეწყინა... თქვა: „ჩაადგეთ,
სადაც არ იქნება ფონი!“
მაგრამ მელა უცბად გაძვრა,
მიიმალა, როგორც გნოლი.
„ნუ იფიქრებთ, მელა წახდეს“...
კვერნა ჩუმად ტიტინებდა;
„გაძვრება და გამოძვრება,
ისევ ამოტივტივდება!“

მომავლე კატა

როცა კატა თავგასა გლოვობს,
სასაცილო არის კატა;
მას ჰგონია, ჩვენ არ ვიცით,
რომ თავუნა გადაყლაპა.
ზოგიერთი, როგორც კატა,
თავს იმგვარად იკატუნებს,
ვითომ იცავს ხალხის დოვლათს,
ფარულად კი აკნატუნებს.

მ ე მ უ ა რ ი ს ტ ი

ერთი გულმაგიწიყი კაცი იყო.

ხშირად ავიწყებოდა, რომ გულმაგიწიყი იყო და ისეთ საქმეებს იჩემებდა, რა-
შიც გულმაგიწიყობა ყველაზე სახიფათოა.

ახალგაზრდობაში ქირურგობას ცდილობდა; ავადმყოფს შუაზე რომ გაჭრიდა,
სწორედ მაშინ ავიწყებოდა, თუ რისი ოპერაცია უნდა გაეკეთებინა.

მერე თერძობა დაიწყო და ხშირად შარვლის ნაცვლად ქულს ჰკერავდა, ხა-
ლათის ნაცვლად — ბალიშის პირს.

ერთხანს დაივიწყა ახალგაზრდობაში ქირურგობას რომ ცდილობდა და მერე
თერძობა რომ დაიწყო; ადგა და მსახიობი გახდა.

ზოგჯერ ავიწყებოდა, რომ მსახიობი იყო, თავი მაყურებელი ეგონა და ჭარ-
ტერში ჯდებოდა.

თეატრიდან რომ დაითხოვეს, ხშირად ავიწყებოდა, რომ მხოლოდ მაყურებე-
ლი იყო და სცენისკენ იწევდა.

ცოლი არ შეურთავს, რადგანაც ყოველთვის გადამწყვეტ მომენტში ავიწყდე-
ბოდა, რომ საცოლე ჰყავდა.

არც ერთი წიგნი ბოლომდე არ წაუკითხავს. ხომ გითხარით: ძალიან გულმა-
გიწიყი იყო.

ამასობაში დაბერდა...

ახლა მემუარებს წერს.

სიცილი... სიცილი...

გაჩერებასთან ორი კაცი დგას.

ერთი მათგანი იცინის. მეორე კი გოცებით უყურებს, თუ როგორ იცინის ერ-
თი მათგანი.

რადგანაც გაჩერებასთან მხოლოდ ორი კაცი დგას; ერთი მათგანი იცინის და
მეორე კაცს შესტკერის, ხოლო მეორე ბრანზორეული გოცებით უყურებს უცნობს,
რომელიც მის გვერდით გაჩერებასთან დგას და იცინის; ბუნებრივია, მეორე კაცს
ძალიან აინტერესებს, თუ რაზე იცინის პირველი მათგანი.

— რა გაცინებს?

ერთი მათგანი არაფერს ამბობს. იგი მშვიდად განაგრძობს დაწყებულ საქ-
მეს — იცინის.

— რა გაცინებს, თავი რომ მაქვს დიდი?

ერთი მათგანი კვლავ მშვიდად იცინის.

— რა გაცინებს, ბავშვობაში ბატების რომ მეშინოდა?

ერთი მათგანი კვლავ მშვიდად იცინის.

— რა გაცინებს, „ნიანგში“ ოთხჯერ რომ გამწერეს და ისევ იმ ადგილას რომ
ვმუშაობ?

ერთი მათგანი კვლავ მშვიდად იცინის.

— რა გაცინებს, სოსო თუხაიძის ძალს გუშინ ნემსი რომ გადავაცლაბე?

...და რაკი ერთი მათგანი კვლავ მშვიდად განაგრძობს სიცილს, ჭკუიდან შემ-
ლილი მეორე მათგანი საშინელი ღრიალით შორდება გაჩერებას.

ახლა მეც ვერ გავიგე, რა აცინებს იმ კაცს.

იქნებ იგი მარსიდან ჩამოფრინდა და მხოლოდ იმაზე ეცინება, რომ მიწიერ კაცთა არაფერი ეყურება და მაინც ელაპარაკებიან.

იქნებ იგი სრულებითაც არ იცინის, იქნებ ეს მისი ჩვეულებრივი მდგომარეობაა და იქნებ მარსელები სიცილს ძალიან სერიოზული მიმიკით გამოხატავენ.

რეზაზ მიშველაძე.

თუ ღათვის გადაეყარეთ

ეს მოხდა ერთ დაბასთან, რომელსაც ლირიული სახელი „დედა“ ერქვა. ხელფასების დღეს სატყეო მეურნეობის კანტორაში ტყისმჭრელი შიხეილ პეჩენკინი არ გამოცხადებულა. გავიდა კიდეც ორი დღე და მაინც არ ჩანდა. შეწუხდნენ კანტორაში: განა ცოტა რამ შეიძლება შეემთხვეს კაცს ტაიგაში? მით უმეტეს მაშინ, როცა მარტო ცხოვრობს გამოსაზამთრებელ ბინაში და მხოლოდ დროდადრო ჩამოდის „დიდ მიწაზე“.

პეჩენკინის მოსაძებნად ორნი გაგზავნეს. გამოსაზამთრებელ ბინაში მეტყვევ კუდინოვმა და სატყეო მეურნეობის მნემ ბელოპაშენცევმა ნახეს ცარიელი, დიდი ხნის მიტოვებული ქოხი. ტყესაკაფი მოიარეს, პეჩენკინს ეძახდნენ, მაგრამ ამაოდ. მერე დაბრუნდნენ გამოსაზამთრებელ ბინაში და კიდეც ერთხელ მოათვალიერეს ყურადღებით. აქ კუდინოვმა თოვლზე დათვის ნაკვალევი შენიშნა. ბელოპაშენცევმა კი ყურადღება გაამახვილა შეშის ჩამონგრეულ გროვავზე.

დაბრუნდნენ სატყეო მეურნეობაში და ყველაფერი მოახსენეს დირექტორს. დირექტორი შეწრიალდა, მილიციის რაიგანყოფილებაში დარეკა და მოითხოვა, მიეღოთ ზომები. მილიციის რაიგანყოფილების გამგემ ტურუსოვმა უმცროსი ლეიტენანტი ლაბტევი გამოიძახა და უბრძანა კუდინოვთან და ბელოპაშენცევთან ერთად დაუყოვნებლივ წასულიყო გამოსაზამთრებელ ბინაში.

ლაბტევმა ერთი ავტომატი და ორი პისტოლეტი წაიღო; კუდინოვმა და ბელოპაშენცევმა — თოფები. გამოსაზამთრებელი ბინისკენ მიმავალი უმცროსი ლეიტენანტი ინსტრუქტაჟს აძლევდა თანამგზავრებს, როგორ მოქცეულიყვნენ „ნადირის თავდასხმის შემთხვევაში“. „ამ დროს მთავარია, მოსაზრებულობა, — ამბობდა ის, — და სათანადო მდგომარეობაც უნდა მიიღო. საერთოდ კი, ძმებო, ნუ შეგროვდებით. სამი შეიარაღებული კაცი ერთი დათვის წინააღმდეგ ნამეტანია, თითო გასროლა და... დათვისგან ბურღლაც აღარ დარჩება“.

ნავაურს იქით მოულოდნელად გამოჩნდა დათვი. პირველად იგი ლაბტევმა შენიშნა; „ცეცხლი!“ — დაიყვირა მან და დაბნეულად მიაჩერდა ნადირს. კუდინოვმა თოფი გადმოიგდო და ზედიზედ ესროლა, — ორივე დააცვილა. დათვი ახლოვდებოდა. „ესროლეთ!“ — იყვირა კუდინოვმა, თვითონ კი განზე გახტა და შეეცადა თოფის ხელახლა დატენვას. ლაბტევს უნდოდა ავტომატი ესროლა, მაგრამ ვერ შეძლო. მერე ავტომატი თოვლში გადაავლო. პისტოლეტებიც დაავიწყდა და... მოკურცხლა. მის მხარდამხარ ბარაქიანი ნახტომებითა და გატენილი თოფით ბელოპაშენცევი მიშლივინობდა. კუდინოვმა მაინც ვერ მოასწრო ორლულიანი თოფის დატენვა და დათვთან პირისპირ დარჩა.

ლაბტევმა და ბელოპაშენცევმა მდინარემდე მიირბინეს და ამოიქაქანეს. ტყიდან მათი ამხანაგის გაგუდული ყვირილი მოისმა: „მიშველეთ!“ ორ შეიარაღებულ ვაკეკაცს ერთმანეთისათვის თვალებში არ შეუხედავთ, ისე დაიძრნენ... ყვირილის საწინააღმდეგო მხარეს; — მათ ტელეფონი სჭირდებოდათ.

ლაბტევის დარეკვისთანავე მილიციის რაიგანყოფილებიდან გაიგზავნა გაძ-

ლიერებული რაზმი ხუთი კაცის შემადგენლობით. მაგრამ ლაბტემა და ბელოპაშენცემა უარი თქვეს ერგენებინათ მათთვის ის ადგილი, სადაც შეხვდნენ დათვს. „გაძლევთ ორიენტაციას“, — მჭახელ მხედრული ტონით თქვა ლაბტემა. ^{გაძლევთ ორიენტაციას} ზე ჯერ ნახავთ ჩემს კაშნეს, რომელიც გამოქცევისას გადავაგდე... მცხელოდა... შემდეგ ხელთათმანებს... ისინიც გადავყარე. შემდეგ კი უკვე ავტომატს. ავტომატი ზუსტად იქ გდია, სადაც დათვს გადავყარეთ.

ორიენტირება უტყუარი აღმოჩნდა. მილიციელთა ჯგუფმა ტყესაკაფში მართლაც აღმოაჩინა დათვი და... მოკლეს. მაგრამ ამით ვერ შესძლეს გადაერჩინათ მეტყვევ კუდინოვი.

მერე დაბაში ორ კაცს ასაფლავებდნენ: ბერენკინს, რომლის ძველმანებიც ტყეში იხოვეს, და კუდინოვს.

უმცროს ლეიტენანტ ლაბტევს კი მილიციის რიგები დაატოვებინეს, რადგან იქ მხდალების ადგილი არ არის. ლაბტევის თანამშრომლები, მამსკო ჩუისკის მილიციის რაიგანყოფილების მუშაკებიც ამ აზრისანი იყვნენ.

სამარცხენო სიმხდალზე ბევრი რამ დაუწერიათ, ასე რომ ჩვენ ვერაფერს დაგუმატებთ.

მაგრამ, მკითხველო, გისურვებ, რომ დათვთან თქვენი შეხვედრა (ასეთი შეხვედრა კი შეიძლება ტყის გარეთაც მოხდეს) — იქნება ნებისმიერი გამოცდა, რომელსაც ცხოვრება გიმზადებს. როცა ასე დგას საკითხი: ან როგორმე გადაარჩინო საკუთარი ტყავი ან გამოიხსნა, მხარში ამოუდგე ამხანაგს, — აი, მაშინ გაიხსენე ლაბტევისა და ბელოპაშენცევის საქციელი და დაფიქრდი იმაზე, რომ: ტაიგის დაბაში, რომელსაც ლირიული სახელი „დედა“ ჰქვია, მათი სახელი სამუდამოდ დარჩება — სიმხდალის სიმბოლოდ.

მ. პარხომოვსკი.

უსწაურობათა სურჩინი

ემპაირ სტიტ ბილდინგის ბოლო სართულიდან ერთ კაცს საათი გაუვარდა, სწრაფად დაეშვა ექსპრეს-ლიფტით და ვიდრე საათი ფილაქანს დაენარცხებოდა, დაიჭირა. საფიქრებელია, რომ მისი საათი უკან რჩებოდა.

* * *

— დამეკარგე, შე ლოთო პირუტყვი! შენაირ მდგომარეობაში რომ ვიყო, რევოლვერით გავხზვრეტდი შუბლს.

— ქალ-ბატონო, თთქვენ რომ ჩემნაირად იყოთ, უს-სათუოდ აიციდენდით ტტყვიას!..

* * *

კანასის შტატის ერთ-ერთ მაღაზიაში გამოკრულია განცხადება: „მომხმარებელთაგან, რომელთაც არ ვიცნობთ, მოვითხოვთ ბეს 50 პროცენტის რაოდენობით, ხოლო იმ მომხმარებლებმა, რომელთაც ვიცნობთ, უნდა მოიტანონ 100 პროცენტი“.

* * *

შვილი: მამა, რა განსხვავებაა თოფსა და ტყვიამფრქვევს შორის?

მამა: ძალიან დიდი. ეს დაახლოებით იგივეა,

ჩემს შემდეგ დედაშენმა რომ დაიწყოს ლაპარაკი.

* * *

მატარებელმა მკვეთრად დაამუხრუჭა და შედგა. იატაკზე დაცემული მგზავრი ქალი წამოდგა და კონდუქტორს ჰკითხა, რა მოხდაო.

— ძროხა გავიტანეთ, — აუხსნა მან.

— ლიანდაგზე იდგა? — ისევ იკითხა ქალმა.

— არა, ქალბატონო, მინდორში ბალახობდა და გავეკიდეთ.

* * *

ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ ორი კაცი მუშაობდა. ორთავეს ჰქონდათ ბორბლებზე შეყენებული ნავის პატარა ყუთები და წვეტიანი ჯოხები, რითაც ქუჭყიან ქაღალდებს იღებდნენ. ის-ის იყო ერთმა ქაღალდის ნაგლეჯს ჯოხი დაუმიხნა, რომ უეცრად ქარმა დაუბერა და ღია ფაქრიდან ქაღალდი თეთრ სახლში შეაფრიალა.

გამწარებული მენაგვე მაშინვე შენობაში შევარდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დალონებულად ბარუნდა უკან.

— დავაგვიანე, უკვე მოუწერია ხელი. — უთხრა მან ამხანაგს.

ზინჯაუსი

კოეჩია და კროზა

ვახტანგ გორგანელი — ლექსები	8	გვ.
ვახტანგ ჯავახიძე — ლექსები	6	გვ.
ვლადიმერ იაკაშვილი — მხოლოდ ორი გაზაფხული (რომანი, დასასრული)	8	გვ.
დილარ ივარჯიშა — ლექსები	60	გვ.
ირაკლი არაბული — ამბავი ოპიზარისა (ლექსი)	68	გვ.
ნოდარ აღიშვილი — ორი ლექსი	65	გვ.
მამია ასათიანი — ხე სიკეთისა და ხე ბოროტებისა (პიესა-ლეგენდა)	66	გვ.
პრიგოლ ჯულუხიძე — ორი სურათი (ორი ლექსი)	98	გვ.

რუსთაველის ნაქალაქვა

ლევან გოთუა — ბელიყარის გაზაფხული (მოთხრობა)	99	გვ.
გორის შატბერაშვილი — სიკვდილზე ძლიერნი (მოთხრობა)	118	გვ.

ჩვენი ახალგაზრდობის მეგობრები

ომარ შაფელიძე — სისილია თაყაიშვილთან	121	გვ.
------------------------------------------------	-----	-----

ჩვენი ქალწულები

გურამ გვირგვინი — ღმერთი უმცბელობა	124	გვ.
ნორჩი თაობის მომავალი	127	გვ.

შეძრები ხმაგულა

გივი თევზაძე — ჩვენი დღეაქალაქი	128	გვ.
ნოდარ მგალობლიშვილი — თუ ჩვენ თბილისი გვიყვარს	133	გვ.

წერილები

ანდრია აბრამიშვილი — ფსევდონიმების კვალდაკვალ	142	გვ.
იოსებ გოცვაძე — სერიოზული გამოკვლევა	149	გვ.

ქოლალა

სანდრო შანშიაშვილი — ორი ლექსი	155	გვ.
რევაზ მიშველაძე — არამოდარნიშობული მოთხრობები	156	გვ.
ე. პარსომოვსკი — თუ ღმერთს გადაეყარეთ	157	გვ.
უცნაურობათა ხურჯინი	158	გვ.

გარეკანი და ტიტული ელგუჯა ამაშუკელისა

ჭურნალი გააფორმა თენგივ სამსონაძემ

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციის უფროსული მასალაზე ავტორებს არ დაუბრუნდება

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პრსპ. № 91.

ბელაფონები: რედაქტორის — 5-08-85, კ/მზ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების:
კოეფიისა და პროზის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-85, კულტურისა და
ხელოვნების 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VI-66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 2393. უე 03124. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 11.000

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Левина № 14.

ფასი 60 კპ.

6 113/171



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

Издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236